ენა, მამული, სარწმუნოება

კარიბჭეები

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ დამატება №1(8) 2014 წელი

ქართული ჭიდაობა ეროვნული საუნჯე

კაი ყმა

ქართული ჭიდაობა
ეროვნული საუნჯე

კარი ყმა



ქართული ჭიდაობა – ეროვნული საუნჯე

"ჭიდაობის მრავალი სახე შემოინახა ისტორიამ! ინდური, შვედური, ესტონური, თურქული, იაპონური, ბუხარული, ყირგიზული, აზერბაიჯანული, სომხური, ფრანგული.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მათგან ქართული ჭიდაობა ყველაზე რაინდული, ლამაზი, სწრაფი, საზრიანი და მრავალფეროვანია. ერი რომ ერობდეს, მისი ყველა ისტორიული, სასიცოცხლო თვისება უნდა ცოცხლობდეს, ეროვნული განძი არ უნდა იკარგებოდეს. ჩვენ კი ისე ვიქცევით, თითქოს არ ვიცით რა საუნჯე გვაქვს ქართული ჭიდაობის სახით. კარგი იქნება თუ ფიზკულტურის გაკვეთილებზე ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ვაზიარებთ ქართული ჭიდაობის ილეთებს. მოზარდს ჭიდაობის სიყვარული გაუღვივდება და შემდეგ სერიოზულ გატაცებად გადაექცევა."

„ქართულ ჭიდაობაში ყველა ფანდი დიფერენცირებულია ზოგჯერ ექვს და, ზოგ შემთხვევაში, ცხრა ძირითად დარგად. ესენია: სარმები, კაურები, ღოჯურები, მოგვერდები, თეძოები და კისრულები. ამათ ემატება ცერულები, ნამგალები და ბრუნები. ყველა ეს დარგი წმინდად ქართულ ილეთებს აერთიანებს და ნიკო კეცხოველის თქმით „ისეთივე ეროვნულ საუნჯეს წარმოადგენს, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ხუროთმოძღვრება და სხვა".

რიტმი, ძალა, ხერხი

(ნაწყვეტები ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან)

„– ჯერ ორნი გლეხნი დავჭიდენ, განაგრძელა შანშემ, მათ დიდხანს იბრძოლეს უწარამაროდ; თუმცა ორჯერ კახელმა მუხლი აკვრევინა ქართლელს. ბატონმა ბრძანა იმათი გაშვებინება, და ახალით გამოვიდნენ ასპარეზზედ განთქმულნი ფალავანნი, რომელთაც დიდი ხანია თურმე სურთ ერთმანეთის გამოცდა ქართლითგან ხიზამბარელი და კახეთიდგან ბებურის შვილი, როგორც განზვინებული ლომნი, დაეტაკნენ იგინი ერთმანეთსა, დაჰსცემდნენ ერთმანეთს თავსა, ვითარცა კამბეჩნი რქებით...“

„თამარ ბატონიშვილი“

გრიგოლ რჩეულიშვილი

„**საჭიდაო** რომ დაუკრეს, ძარღვები ათამაშდნენ, ლაჩარმაც კი იგრძნო ძალთა დუღილი და წელში გაიმართა. ბრძოლა უბრალო მოჭიდავეებმა გამართეს, მაგრამ სხვადასხვა სოფლების გაჯიბრებამ თანდათან თავი იჩინა და ფალავნების რჩევა დაიწყეს. დიდად სიამოვნებდა ხალხი ამ სანახავით. ის კი იყო, მეიდანი არა ჰქონდათ მებრძოლთ, ყველა ზედ აწყდებოდა, თუმცა გზირები სახრეს არა ჰზოგავდნენ მაყურებლების დასაწევად“.

„მიეხმატკბილა გოგონას“

ვასილ გარნოვი

„**შეურჩია** დრო, როგორც იქნა ახალგაზრდამ, მოავლო ხელი მკლავში, წამოიკიდა ზურგზე, გადიღო კისრულით და უშვა ხელები. აბდუშაჰილი სიგრძისად გაიდღაშა გულაღმა დედამიწაზე... გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე, გადაახტა და გავარდა წრიდან“.

„ბაში-აჩუკი“

აკაკი წერეთელი

„**ნათქვამია** – მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, სპორტში ეს აქსიომაა და მაყურებელმაც უნდა იცოდეს... ჩვენი სახელოვანი ფალავნების ტრიუმფალური გამოსვლების გამო არაერთხელ დავრწმუნებულვარ იმაში, რომ თანამედროვე ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებს – კლასიკურს, თავისუფალსა და ძიუდოს – ის „ნაკადულები“ ასაზრდოებს, ზოგი კი მთლიანად დაფუძნებულია ქართულ ჭიდაობაზე, რომელსაც საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. იგი ჰკვებავს დიდ სპორტს ქართული ეროვნული ელემენტებით, ამაშია ჩვენი ჭიდაობის ძალა“.

„მშობელ მიწაში უდგას ფესვები“

ნიკო კეცხოველი

„**აზუზუნდა** პირველი ზურნა, აჭიჭყინდა მეორე, დოლმა დაიგუგუნა და იქ მყოფთა გულებიც ააბაგუნა. სისხლმა ჩუხჩუხი დაიწყო, აჩქროლდნენ ძარღვები, აძაგძაგდნენ კუნთები და მოჭიდავენი ერთმანეთისკენ დაიძრნენ“.

„**ყაბახი**“

ლადო მრელაშვილი

„**აჭყვიტინდა** ზურნა, ფალავნებმა ხელი ჩამოართვეს, მერე აქეთ-იქით გაიარეს და თავჩაღუნულები ერთმანეთს დაეტაკნენ. დაეტაკნენ და თვალისდახამხამებაში, ისე რომ ბევრმა ვერც კი გაიგო, ვინ წამოიწყო ილეთი, ორივე ვაზის რქაფოთოლივით ჩახვეულნი ძირს გაგორდნენ“.

„სამხრეთის ვარსკვლავი“

ვანო ურჯუმელაშვილი

მეფე ერეკლე და საგარეჯო

ბრძოლებში ერეკლე მეფეს საგარეჯოდან 200-მდე საუკეთესო ვაჟკაცი გაჰყავდა. ჯერ კიდევ 18 წლის ბატონიშვილი ერეკლე მძევლად წაიყვანა ნადირ შაჰმა ინდოეთის ლაშქრობაში. მამამისმა – თეიმურაზ II-მ პატარა კახ – ერეკლეს დამხმარე მცველებად გააყოლა 7 შერჩეული ვაჟკაცი საგარეჯოდან, პატარძეულიდან და გიორგიწმინდიდან, რომელთაც თავი ისახელეს ქადელის (შახჯანაბადის) აღებაში.

ასევე, გარე კახელმა რჩეულმა ვაჟკაცებმა 1755 წელს ერეკლე II-ის სპეციალური დავალებით, სიცოცხლის თავგანწირვით იხსნეს ყვარლის ციხე ნუსრალბეგის ლაშქრისაგან. ეს გარეკახელი ვაჟკაცები იყვნენ არა მარტო თავგანწირული მეომრები, არამედ საუკეთესო ფალავნები–რაინდები, რომლებიც თავიანთი ფიზიკური მონაცემებით და ქართული ჭიდაობის ილეთებით მხოლოდ მეფე ერეკლეს კი არ აკვირვებდნენ, ბეჭდაუდებელი ფალავნებიც იყვნენ, რომლებსაც სწორედ რომ ფიცხელ ომში შეეძლოთ მტრის მუსრის გავლება, ქართველთათვის უპირატესობის მოტანა და თავად კი ზოგჯერ დაუყოვნებლად შეეძლოთ სიცოცხლის სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანა.

<u>საგარეჯო ტყუილად როდი ითვლება ფალავანთა კერად ოდითგანვე, ეს ჩვენ ჩვენმა ვაჟკაცებმაც დაგვიმტკიცეს.</u>

ალ. ელერდაშვილი

ქართული საბრძოლო ხელოვნება

ქართული საბრძოლო ხელოვნება და ხალხური თამაშობა-ასპარეზობანი უხსოვარი დროიდან წარმატებით ავსებდა სამხედრო ფიზიკური მომზადების საშუალებათა არსენალს. მოსახლეობის მუდმივი სამხედრო მზადყოფნა კი ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური თავისებურებების გამო, ერის გადარჩენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

სიქველე და კაი ყმობა, ვაჟკაცობა და „სახელის დაგდება" ყოველთვის იყო ქართველი კაცის უპირველესი მამოძრავებელი მიზანი. „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა" – საუკუნეების განმავლობაში ქართველი მამაკაცის ცხოვრების დევიზად ქცეულა. სახელიანი კაცი საზოგადოებაშიც დაფასებულია და მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. „კაი ყმა"-ს თემში „სიტყვა მაუდის გზიანი"-ო ამბობს ხალხი. ამასთან ერთად, ის იღბლიანი ანუ „დავლათიანია" და მას ხატსალოცავები სწყალობენ. სახელიან ვაჟკაცს ქალებიც კეთილი თვალით უცქერენ, რადგან „ვაჟასა ქალისპირასა" „ვაჟაი სვილისფერაი" ურჩევნიათ.

ძალიან ძნელია საქართველოში „კაი ყმის" სახელის ტარება, მაგრამ სხვა არჩევანი არ მიუცია ღმერთს ქართველისთვის. ***უზენაესმა გამორჩეული ადგილი გვარგუნა ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის ბრძოლის ველზე და მსოფლიოს ხალხთა შორის ვაჟკაცობისა და კაი ყმის დროშის მტვირთველის როლიც დაგვაკისრა. სწორედ ამიტომ, მუდმივი წვრთნა, ფიზიკური ვარჯიში, ტოლ-სწორებთან ასპარეზობა ქართველი კაცის ყოველდღიური ცხოვრების წესი გამხდარა.*** აი, ამიტომ არის ქართული ყოფა ბრძოლისადმი სრული მზადყოფნის კვალით აღბეჭდილი. „ერის ისტორიის გაგებისათვის მნიშვნელოვანია ქართული შეხვედრის და განშორების წეს-ჩვეულებები, რადგან ხალხი ერთმანეთს იმას უსურვებს, რაც მას ყველაზე მეტად სჭირდება: მშვიდობა და გამარჯვება. მთავარი მისალმება კი მაინც გამარჯვებაა, რადგან მტერი ყოველთვის „მუმლივით გვეხვეოდა."

სამხედრო-საცხენოსნო წვრთნასა და იარაღის ხმარების ტექნიკის დახვეწასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა მომავალი მეომრის ინდივიდუალურ საბრძოლო მომზადებას, რაც უიარაღოდ ბრძოლის ჩვევების ათვისებას გულისხმობდა.

ქართული ჭიდაობა, როგორც სულისკვეთებით, ისე ხერხებისა და ილეთების მრავალფეროვნებით ოდითგანვე მიმზიდველ, რაინდულ სანახაობას წარმოადგენდა და თაობათა ფიზიკური და სულიერი წრთობის მძლავრი საშუალება იყო.

საქართველოში ჭიდაობის ტრადიციების სიძველეზე შემდეგი ფაქტები მეტყველებს: ***ალავერდის ტაძრის მთავარი შესასვლელის მარცხენა ზედა კუთხის ფრესკაზე გამოსახულია ქართულ საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი ორი ფალავანის შერკინება. იგი XV საუკუნითაა დათარიღებული.*** საკათედრო ტაძრის ფრესკაზე ქართული ჭიდაობის სცენის გამოსახვა შესანიშნავი დასტურია მისი დიდი პოპულარობისა და აღიარებისა.

XIII საუკუნის დასაწყისის ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა მეფე ლაშა გიორგის დროინდელი ქართლელი ხიზანბავრელისა და კახელი ბებურიშვილის შერკინების ამბავი, ხოლო XV საუკუნის (1479 – 80 წწ.) მემატიანეებმა – მზეჭაბუკ ათაბაგის შეხვედრის ცნობა თათართა ფალავან ძალანთან, რომელიც მზეჭაბუკის გამარჯვებით დასრულდა.

მკვლევართა მიერ ქართული ჭიდაობის სამშობლოდ მიჩნეულია აღმოსავლეთ საქართველო – ქართლი და კახეთი, თუმცა საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეს გააჩნია ჭიდაობის საკუთარი, ზოგ შემთხვევაში განსხვავებული, ზოგჯერ ტრადიციულთან ახლო მდგომი, იშვიათ შემთხვევაში კი უნიკალური მანერა თუ სტილი.

ძველი ქართველი მოჭიდავეები – XIX ს

ცნობილ ქართველ ფალავანთა ჯგუფი; წამოწოლილები: დათა მსუქნიშვილი, გიორგი დათიაშვილი; სხედან: ლუკა დადიანიძე, მსაჯი ვანო ჩიბალოვი („შენ დაუკარ"), ალექსანდრე კახნიაშვილი (შაშო ვერელი); დგანან: მედროგე ურეხა, სანდრო კანდელაკი და მიხა ძურხული.

ეს სურათი თავისი ისტორიული ღირებულების გარდა, იმითაც არის საინტერესო, რომ **მასზე აღბეჭდილია სამი სხვადასხვა ტიპის ქართული საჭიდაო ჩოხა**, რომელთაგან თითოეული გარკვეული პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი. თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ **მიხა ძურხულს,** რომელიც დგას მესამე რიგში, მარჯვნივ, **აცვია ტრადიციული გრძელმკლავებიანი ჩოხა, რომლითაც ოდითგანვე ასპარეზობდა ქართველი კაცი.** ლუკა დადიანიძეს და მედროგე ურეხას (მარცხენა მხარეს მეორე და მესამე რიგში) აცვიათ მკლავებდამოკლებული ჩოხები, რომლის სახელოები მხრებს კი ფარავს, მაგრამ ძველ ჩოხასთან მცირედი რამ თუ აკავშირებს. დანარჩენ მოჭიდავეებს აცვიათ თანამედროვე ტიპის უმკლავებო ჩოხა, რომელსაც საერთო აღარაფერი აქვს ქართულ სამოსთან და საასპარეზო კოსტიუმის მოდერნიზების ნაყოფს წარმოადგენს.

ჭიდაობას მეტ შნოსა და ლაზათს სძენდა სისხლის ამაჩქროლებელი „საჭიდაო", რომელსაც სპეციალურად მოწვეული მეზურნეთა „დასტა" ასრულებდა.

ჭიდაობას მუდამ უამრავი ხალხი ესწრებოდა.

ჭიდაობის სპორტულ დისციპლინად ჩამოყალიბება და

ერთიანი საშეჯიბრო წესების შემუშავება მხოლოდ XX საუკუნის პირველ ნახევარში იწყება. საბოლოო სახით ქართული **ჭიდაობის წესები ჩამოაყალიბა, დახვეწა და სისტემაში მოიყვანა მიხეილ ხერხეულიძემ,** რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში ბურჯად ედგა ქართულ ჭიდაობას. ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელოები შექმნეს ი. თომაშვილმა 1950 წ., და ს. მაისურაძემ 1984წ. ქართული ჭიდაობის მდიდარი ტრადიცია და ტექნიკური არსენალი ჩვენმა სახელოვანმა ფალავნებმა წარმატებით გამოიყენეს ჭიდაობის საერთაშორისო შეჯიბრებებში. **ქართული ჭიდაობის ილეთები ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში და დღეს ისინი მრავალი საერთაშორსო სახეობის ტექნიკურ არსენალს ამდიდრებენ.**

„ხრიდოლის" მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოვლენილ იქნა ჭიდაობის ორი ათეული სახეობა, რომელთაგან უმრავლესი, თუ მცირედ განსხვავებებს არ მივიღებთ მხედველობაში, ერთმანეთს ჰგავს და ზოგად ქართულ ანუ ქართლ-კახური ჭიდაობის ვარიანტს ენათესავება. მეგრული „რკინება" და გურული „ჭედობა"პრაქტიკულად ქართლ-კახური ჭიდაობის იდენტურია და განსხვავება მხოლოდ მათ კუთხურ დასახელებებშია. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს შემოუნახავს ჭიდაობის უძველესი ქართული სახელი „რკინება". სულხანსაბას განმარტებით „ჭიდება არს მხეცი და კაცი რა შეიჭიდნენ, გინა მხეცი და მხეცი ანუ პირუტყვი და პირუტყვი; ხოლო **კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, რკენა** ეწოდების."

ჭიდაობის ყველა სახეობაში, ასპარეზობა ქართული ჩოხით მიმდინარეობს. შერკინების დროს ჩოხის სახელოები აკაპიწებულია იდაყვებს ზემოთ, ჩოხის საყელო გადაღეღილია ისე, რომ მკერდი არ დაფაროს, ხოლო კალთები კი უკან არის გატანილი და სარტყელშია ჩაკეცილი. ყველა კუთხის ჭიდაობათათვის დამახასიათებელია გამართული დგომი და ილეთის შესრულების დროს გდების მაღალი ამპლიტუდა. ილეთის შემსრულებელი ყოველთვის ცდილობს მეტოქის მიწაზე დანარცხების შემდეგ ფეხზე დარჩენას. ამას თავისი ახსნა აქვს. **ქართული ჭიდაობა საბრძოლო დისციპლინაა და მიმართულია ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანისკენ. როგორც ცნობილია, ქართველებს უმრავლეს შემთხვევაში მომხდურთა ჭარბ რაოდენობასთან გვიწევდა გამკლავება,** ისე, რომ ხშირად თითოეულ მებრძოლზე მტრის რამდენიმე მებრძოლი მოდიოდა. თუ ქართველი მეომარი მოახერხებდა ერთ-ერთი მათგანის დაბლა დაგდებას, მაგრამ თვითონაც ზედ დაჰყვებოდა, დანარჩენებს გაუჩნდებოდათ მშვენიერი შესაძლებლობა მისი მოკვლისა. ამიტომ მტერი ძირს ისე უნდა დაგეგდო, რომ თვითონ ფეხზე დარჩენილიყავი და ბრძოლა გაგეგრძელებინა. აი, სწორედ ეს პრინციპი იქნა ჩვენი წინაპრების მიერ ქართული ჭიდაობის საფუძველში ჩადებული. ჭიდაობის ტრადიციული სახეებისგან განსხვავებით **ცალკეა გამოსაყოფი ჭიდაობათა ჯგუფი, სადაც ორთაბრძოლა მოწინააღმდეგეთა დაცემის შემდეგ ჩოქბჯენშიც გრძელდება.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, მიწაზე ბრძოლა იმდენად მიუღებელი გახლდათ ქართული ხასიათისთვის, რომ ზოგიერთ რეგიონში ასეთ ჭიდაობას „ღორულსაც" კი უწოდებდნენ, თუმცა ეთნოგრაფიულმა ყოფამ მაინც შემოგვინახა აღნიშნული ტიპის ორთაბრძოლები. ესენია მესხეთში გავრცელებული ჭიდაობის ვარიანტი, რომელიც იმით გამოირჩევა, რომ შერკინება წელსზევით გაშიშვლებულ მეტოქეებს შორის მიმდინარეობს. მისთვის დამახასიათებელია ბრძოლის უხეში ფორმა, ჩავლება დასაშვებია კიდურებისა და ტორსის ცალკეული კუნთების მოჭყლეტვით, რაც ტკივილით გამოწვეული შოკის პირობებში მოწინააღმდეგის დამორჩილებასა და შემდგომ მის გდებას აადვილებს.

როგორც აღვნიშნეთ, ბრძოლა მიწაზე დაცემის შემდეგ, ანუ ჩოქბჯენშიც გრძელდება, სადაც გამოიყენება სხვადასხვა სახის გრეხვები, მტვრევები, მოგუდვები და მოხრჩობები. მესხური ჭიდაობის მსგავსად ფიზიკურ ძალასა და ტრავმულ ილეთებზე კეთდება აქცენტი ერთ-ერთ ხევსურულ ჭიდაობაშიც. ორთაბრძოლას, რომელსაც ადგილობრივები „დამოშვით" ან „მოშ და მოშ" ჭიდაობას ეძახიან, ახასიათებს ილეთები, რომლის დროსაც სასურველი შედეგი მიიღწევა მოწინააღმდეგის სხეულზე მკლავების ძლიერი შემოჭერით. ასეთი შეტევები ხორციელდება ტორსზე ცრუ ნეკნებისა და ფილტვების არეში, კისრის უკანა მხარეს თავის ქალის ფუძის მიდამოებში. გდებები სრულდება თავისა და კისრის ორივე ხელით ამოკეტვით, თავის იღლიაში ამოდებით, სახსრების უხეშად გრეხვით და ა.შ.; „დამოშვა" ხევსურულ დიალექტზე დაბღუჯვას, დაიღლივებას ნიშნავს, რაც ზუსტად ასახავს ამ ჭიდაობის არსს. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამდაგვარად შესრულებული ილეთები მოწინააღმდეგეს დიდ ფიზიკურ ზიანს აყენებდა და ხშირად ერთ-ერთი მებრძოლის დაღუპვითაც მთავრდებოდა. არსებობს ამბავი თუ როგორ „გახეთქა" წელზე ხელის შემოჭერით ერთმა ხევსურმა სამეკობროდ შემოსული „ვიღაც ქისტი".

საქართველოს კუთხეებში გავრცელებულ ჭიდაობათა რიცხვი და მრავალფეროვნება საფუძველია ზოგადქართული ჭიდაობის მდიდარი ტექნიკური არსენალისა. დიდი ხანია აღარავისათვის აღარაა საიდუმლო, რომ ილეთების მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით ქართულ ჭიდაობას ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. ეს უკვე მრავალჯერ დაამტკიცეს ჩვენმა სახელოვანმა ფალავნებმა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში, ძიუ-დოსა და სამბოში. **სწორედ ქართული ილეთების ეფექტურობას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მრავალრიცხოვან წარმატებებს საერთაშორისო სარბიელზე. ქართული ჭიდაობის საფუძვლებზე აღიზარდნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში:** არსენ მეკოკიშვილი, დავით ციმაკურიძე, მირიან ცალქალამანიძე, დავით გობეჯიშვილი, საფრანგეთში „ჭიდაობის პროფესორად"წოდებული ვახტანგ ბალავაძე, გურამ საღარაძე, შოთა ლომიძე, ვლადიმერ რუბაშვილი, ზარიბეგ ბერიაშვილი, გიორგი სხირტლაძე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული და მსოფლიო სპორტის ლეგენდა, ორგზის ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, **1973 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობა „სამბოში", ლევან თედიაშვილი.** ქართული ჭიდაობის ილეთებს უმადლიან გამარჯვებას ძიუ-დოს ოლიმპიური ჩემპიონები შოთა ჩოჩიშვილი, დავით ხახალეიშვილი და ზურაბ (ავთო) ზვიადაური. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იაპონური ძიუ-დოს ტექნიკური არსენალის გამდიდრება წლების განმავლობაში სწორედ ქართული ჭიდაობის ილეთებით ხდებოდა, რისთვისაც საქართველოს ხშირად სტუმრობდნენ უახლესი გადასაღები ტექნიკით აღჭურვილი ძიუ-დოს სპეციალისტები. ჭიდაობის ქართველი ოსტატები კი უშუალოდ „ამომავალი მზის" ქვეყანაში აზიარებდნენ ჩვენებური ჭიდაობის საიდუმლოს იაპონელ სპორტსმენებს. 2009 წელს ძიუ-დოს საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება ძიუ-დოს საშეჯიბრო წესების რეორგანიზაციის შესახებ. ახალი წესების თანახმად, აიკრძალა დგომიდან ხე-

ლის ფეხში ჩავლებით ილეთის შესრულება, რათა ჭიდაობა გამართული დგომიდან წარმართულიყო და შესაბამისად სანახაობრივად უფრო მიმზიდველი გამხდარიყო. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სპორტსმენს უფლება ეძლევა ილეთი ფეხში ხელის ჩავლებით შეასრულოს, არის ეგრეთწოდებული **„გადავლებული" მოგვერდის საწინააღმდეგო ფანდი. „გადავლებული" წმინდად ქართული ილეთია, რომლის წინააღმდეგ დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერს აწყობდნენ იაპონელი ძიუდოისტები. ამ შემთხვევაში ეფექტური მხოლოდ ფეხში ხელის ჩავლებით შესრულებული კონტრილეთი გახლავთ და ზემოთხსენებული აკრძალვაც სწორედ ამიტომ არ შეეხო ჭიდაობის ჩვენებურ ხერხს.**

ქართულ ჭიდაობაში ყველა ფანდი დიფერენცირებულია ზოგჯერ ექვს და, ზოგ შემთხვევაში, ცხრა ძირითად დარგად. ესენია: სარმები, კაურები, ღოჯურები, მოგვერდები, თეძოები და კისრულები. ამათ ემატება ცერულები, ნამგალები და ბრუნები. ყველა ეს დარგი წმინდად ქართულ ილეთებს აერთიანებს და ნიკო კეცხოველის თქმით „ისეთივე ეროვნულ საუნჯეს წარმოადგენს, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ხუროთმოძღვრება და სხვა".

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცალი ხელით ჩასატარებელი **ფანდების ჯგუფი,** სადაც ყველა **ილეთი ცალი ხელის ჩავლებით სრულდება**. ასეთი ტიპის ილეთები გვაქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. კერძოდ, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში ცალი ხელით ჭიდაობის ილეთები დააფიქსირა და შეისწავლა ზაზა ვარდიძემ, **საგარეჯოში მსგავს ილეთებს მიაკვლია *ზურაბ ოსეფაშვილმა***. ცალი ხელით ჭიდაობა დასტურდება დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებშიც, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მას „მკლავმობმით" ჭიდაობად მოიხსენიებს. (მთხრობელი ნუკრი თანდაშვილი, სოფელ ანაგიდან, იხსენებს, რომ „მკლავმობმით" ჭიდაობის დროს ხელი ჩავლებული ჰქონდათ მოწინააღმდეგის მოსახელე ხელის იდაყვთან.) 1995 წელს იუნესკოს სპორტის ნაციონალური სახეობების კვლევის სპეციალურმა კომისიამ „ცალხელა" და „მაჯურა" ჭიდაობები ორთაბრძოლების უნიკალურ სახეობათა რანგს მიაკუთვნა. მიუხედავად ამისა, მკვლევართა რიგებში დიდი ხნის განმავლობაში მაინც გრძელდებოდა მსჯელობა იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ცალხელა ჭიდაობის დამოუკიდებელ სახეობად განხილვა, თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ ქართული ჭიდაობის ერთ დარგად უნდა ჩაგვეთვალა.

2009 წლის დასაწყისში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა რუსულმა ვიდეოფილმმა, რომელიც სამბოს შექმნის ისტორიას მოგვითხრობს. ფილმი იწყება XX საუკუნის I ნახევრში გადაღებული კადრებით, სადაც ცალხელა ჭიდაობის ეპიზოდია დაფიქსირებული. ტრადიციულ საჭიდაო წრეში, რომელსაც მაყურებელთა რიგი ქმნის, ერთმანეთის პირისპირ დგას ორი, ჩოხაში გამოწყობილი მეტოქე. ჭიდაობა, ჩვეულებრივ, დოლისა და ზურნის აკომპანიმენტით მიმდინარეობს. შეხვედრის დასაწყისში მოჭიდავეებს მარცხენა ხელი ზურგს უკან, სარტყელთან აქვთ მიდებული, ხოლო მარჯვენა ხელით ცდილობენ მოწინააღმდეგის ჩოხის საყელოს ჩაავლონ. თავიდან ერთ-ერთი მათგანი შედის ზეზელა კისრულზე, თუმცა მეორე ინიციატივას ჩამოართმევს და ჯერ ჩოქელა კისრულითა და შემდეგ შუაკაურით ცდილობს მეტოქის დაგდებას. ეკრანზე აშკარად ჩანს, რომ მოჭიდავეები ილეთებს მხოლოდ ცალი ხელის გამოყენებით ასრულებენ, მეორე ხელს კი ვარდნის დროს, ტრავმის თავიდან ასაცილებლად იყენებენ. ეს ეპიზოდი 18 წამის განმავლობაში გრძელდება. ოდნავ მოგვიანებით **ცალი ხელით ჭიდაობის ფაქტი დაფიქსირდა ლაგოდეხშიც**. სხვა ფაქტებიდან განსხვავებით, აქ უკვე არა მხოლოდ ილეთების კრებული იქნა გამოვლენილი, არამედ აღმოჩნდა, რომ ჭიდაობის ამ ერთობ სპეციფიურ სახეობაში პაექრობაც კი იმართებოდა. ეს ცნობები, შესაბამისი ილეთების აღწერასთან ერთად, მოგვაწოდა ერთ-ერთი ცალი ხელით მოჭიდავის ძმისშვილმა, ჯონი ეგეტაშვილმა, რომელიც წარსულში თავადაც მოჭიდავე გახლდათ და კარგად ახსოვდა თუ როგორ ჭიდაობდა ცალი ხელით მისი ბიძა, ნიკოლოზ ეგეტაშვილი. ამის შემდეგ უკვე მოგვეცა საშუალება, რომ ცალხელა ჭიდაობა გვეღიარებინა, როგორც ჭიდაობის დამოუკიდებელი სახე. რას წარმოადგენს ჭიდაობის ამ სპეციფიური სტილის ტექნიკური არსენალი? თითქმის ყველა ილეთი, მცირედი გამონაკლისის გარდა, რომელიც ქართული ჭიდაობისთვისაა დამახასიათებელი, აქაც სრულდება, ოღონდ, რა თქმა უნდა, ცალი ხელით.

ესენია ზეზელა და ჩოქელა კისრულები სხვადასხვა ჩავლებით, ე.წ. „წისქვილი", სარმები, კაურები, მოგვერდი – ხელის ჩავლებით ქამარში და გადავლებული და ა.შ. ამათ ემატება ქართული ჭიდაობისაგან განსხვავებული ილეთები, რომლებიც კიდურებისა და სახსრების გრეხვებსა და ტეხვებზეა აგებული და მხოლოდ ცალხელა ჭიდაობისთვისაა დამახასიათებელი. **ცალი ხელით ჭიდაობა ძველ დროში, როგორც ჩანს, საბრძოლო დისციპლინას წარმოადგენდა, რომელიც უხელოდ ჭიდაობასთან ერთად, მომავალ მებრძოლს შეზღუდულ პირობებში**, – ცალ ხელში დაჭრისას ან ერთი ხელის შებოჭვის დროს, ბრძოლას უადვილებდა. ამასთან ერთად მეომარს, რომელსაც ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორე, თავისუფალი ხელით უნდა შესძლებოდა მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოყვანა, მიწაზე დაგდება და ნეიტრალიზება. თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოში მოქმედებდა ე.წ. „აზარის" წესი, რომლის ***მიხედვითაც ყოველი ბრძოლის დროს მეომარს მხოლოდ თორმეტი კაცის მოკვლის უფლება ჰქონდა ღვთისაგან მინიჭებული, დანარჩენი კი შეეძლო მხოლოდ წყობიდან გამოეყვანა, მივხვდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა მებრძოლისათვის ცალხელა ჭიდაობის ილეთების ფლობა.***

გარდა საბრძოლო დანიშნულებისა, **ცალი ხელით ჭიდაობას** სასწავლო დანიშნულებაც აქვს. ქართული ჭიდაობის ილეთების ცალი ხელით შესრულება ტექნიკის დახვეწას უწყობს ხელს. ორი ხელით ჭიდაობის პროცესში დამწყები მოჭიდავე ძირითად აქცენტს უნებურად მაინც ფიზიკურ ძალაზე აკეთებს, რითაც ილეთის შესრულების ხარვეზებს მალავს. ეს კი დროთა განმავლობაში ჩვევაში უჯდება და ილეთის სწორად შესრულებას უშლის ხელს. ცალი ხელით ჭიდაობისას ფიზიკურ ძალაზე აქცენტის გადატანა, გასაგები მიზეზების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია და სპორტსმენის მთელი ყურადღება შესრულების ტექნიკის სრულყოფას ხმარდება, ცალი ხელით ჭიდაობასთან ერთად, ე.წ. შეზღუდულ პირობებში ჭიდაობათა კატეგორიას განეკუთვნებიან „მაჯურა" და უხელო ჭიდაობები.

ცალხელა ჭიდაობისგან ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ჭიდაობის ისეთ სპეციფიურ სახეობაში, როგორიცაა **უხელოდ ჭიდაობა,** რომელიც მავანთა მიერ „მკერდაობადაც" მოიხსენიება. ამ უკანასკნელის სახელწოდება არაორაზროვნად მიგვანიშნებს, რომ საჭიდაო გდებები ხელის ჩავლების გარეშე უნდა შესრულდეს. შეტევები ძირითადად ფეხის გამოკვრით, გამოსმით, ფეხით ფეხზე ჩახვევით და მოწინააღმდეგის ფეხის სახსრების ჩატეხვით კეთდება. ამასთან მეტოქის წონასწორობიდან გამოყვანა მხრისა და მკერდის კვრითაც შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ **ხელის ჩავლების გარეშე შესასრულებელი ილეთები** ჩვენს მიერ მრავლად იქნა მოძიებული (ხელის გარეშე ჭიდაობის ილეთები სოფელ არაშენდაში ჩაიწერა), ასეთი სახის ჭიდაობის დამოუკიდებლად არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი მაინც არ გაგვაჩნია. აღნიშნული ტიპის ილეთე-

ბი, როგორც ჩანს, ძირითადი სახეობის დამხმარე ფუნქციას ასრულებდა, თუმცა თავისთავად ყოველი ილეთი უნიკალურია და ანალოგები მსოფლიოში ნაკლებად მოეძებნება. **უხელოდ ჭიდაობაც, ან უკეთ ილეთები, რომლებიც ხელის ჩავლების გარეშე კეთდება, საბრძოლო დისციპლინათა რიგს განეკუთვნება და მებრძოლს ხელებშეკრულ მდგომარეობაში ბრძოლის ჩვევას უვითარებს.** მიუხედავად იმისა, დადასტურდება თუ არა წარსულში ცალხელა ჭიდაობის ტრადიციის არსებობა, დღეს ეს უკანასკნელი თავისუფლად შეგვიძლია ორთაბრძოლების დამოუკიდებელ სახეობათა სიაში ჩავწეროთ.

სხვადასხვა სახის ორთაბრძოლა და მათ შორის ჭიდაობაც რელიგიური დღესასწაულების დროს სარიტუალო ქმედების შემადგენელი ნაწილი გახლდათ. დიდი რელიგიური დღესასწაულებისა და დღეობების დროს, სადღესასწაულო წირვის დამთავრების შემდგომ, ყოველთვის იმართებოდა შეჯიბრი ჭიდაობაში, რომელსაც საქართველოს ბარში, ბოლო დროს, მხოლოდ სპორტული ასპარეზობის ხასიათი ჰქონდა. ალავერდობისა და მცხეთობის დროს გამართული ჭიდაობა ტილოზე არაერთ დიდ მხატვრებს გადაუტანიათ.

გიორგი კოკოშაშვილი,
(ჟურნალი „სვეტიცხოველი“)

ფალავანთა კერა
(მოკლე მიმოხილვა)

კახეთი, ანუ გარე კახეთი საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე ყოველთვის იყო ფალავანთა კერა. ამას ხელს უწყობდა, როგორც სამხედრო ასპარეზობანი, ისე საეკლესიო დღესასწაულები, სადაც ამ დღესასწაულების აუცილებელ კომპონენტს სპორტული ასპარეზობანიც წარმოადგენდნენ.

ქართველი ვაჟკაცები აქ ავლენდნენ თავის სპორტულ უნარსა და შესაძლებლობებს. სპორტული შესაძლებლობების გამოვლინებას ხელს ისიც უწყობდა, რომ გარე კახეთის სოფლების უმრავლესობა საეკლესიო-სამონასტრო და სამეფო-სახასო სოფლებს წარმოადგენდა და ბატონ-ყმობის მძიმე უღლისაგანაც აქაური გლეხობა შედარებით თავისუფალი იყო.

ნინოწმინდა ძველთაგანვე, წინარე ქრისტიანული პერიოდიდან წარმოადგენდა დიდ წარმართულ სატაძრო ცენტრს, სადაც აღმართული იყო მთვარის სათაყვანოდ ტაძარი. აქ 14 იანვარს იმართებოდა მთვარის დიდებული დღესასწაული, სადაც თავს იყრიდა არა მარტო კახეთ-კუხეთის ქართული მოსახლეობა, არამედ მეზობელი ალბანეთის (ახლანდელი აზერბაიჯანი) მოსახლეობაც. მთვარის დღესასწაული რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, სადაც ხდებოდა მსხვერპლთშეწირვა (მათ შორის ადამიანებისაც კი), რასაც თან ახლდა დიდი სპორტული ასპარეზობანი. ეს ტრადიციული სპორტული ასპარეზობა ქრისტიანობის შემოღების შემდეგაც გრძელდებოდა.

დიდი სპორტული ასპარეზობანი ახლდა თან **უჯარმაში** ჯვარპატიოსნობას, ასევე **ხაშმის** კაწარეთში კაწარეთობა-სამებობას, სპორტული ასპარეზობანი იმართებოდა კუხეთის ყველა დიდი ეკლესიების სადღესასწაულო დღეობებში. ასეთი სოფლები იყო **ხაშმი**, (ნათლისმცემლობა), **პატარძეული** (შიოობა), **გიორგიწმინდა** (დვთისმშობლობა, თეორგიორგობა), **კაკაბეთი** (კავთობა), **ყანდაურა** (გორიჯვრობა), **მარტყოფი** (მარტყოფობა), **საგარეჯო** (პეტრე-პავლობა) და სხვა.

ჩვენმა ისტორიამ ძუნწად შემოგვინახა ძველი ფალავნების სახელები, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ახალი პერიოდის ფალავნებს თუ დავასახელებთ.

***

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში პატარძეულელი ფალავნები იყვნენ ლელო ონაშვილი და გიორგი (არწივი) ელერდაშვილი, ასევე სოლომონ თაფლიაშვილი, გოლიათი პატარძეულელი ფალავანი, რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო დღესასწაულების ბეჭდაუდებელი ფალავანი იყო

მიუხედავად დიდი ხანდაზმულობისა, ხალხის მეხსიერებამ დღემდე შემოინახა გარე-კახეთის (საგარეჯოს) გოლიათი ფალავნები.

წარსულში საგარეჯო ერთი სოფელი კი არ იყო, არამედ სამ ძირითად ნაწილად იყოფოდა და გიორგიწმინდაც და ნინოწმინდაც ამ დიდ, გიგანტურ დასახლებას შეადგენდა.

როდესაც ქრისტიანობის განვითარებამ სამონასტრო ცხოვრების განვითარება გამოიწვია და დავით გარეჯის მონასტრები 30 კილომეტრის რადიუსზე გადაიჭიმა, ერთ უბანს უნდა შეენახა წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი, ამ უბანს შემდეგ გიორგიწმინდა უწოდეს (საგარეჯოს აღმოსავლეთით).

მეორე უბანს წმ. ნინოს სახელობის მონასტერი უნდა შეენახა, მასში შედიოდა აგრეთვე გაღმაუბანი, მას „სანინოწმინდაო“ დაერქვა (ახლა ნინოწმინდა).

ხოლო საგარეჯოს შუა უბანს, რომელიც ყველზე დიდი იყო და დოდოს მონასტერს , დავითის ლავრასა და ნაწილობრივ იოანე ნათლისმცემლის მონასტერსაც ეკუთვნოდა, უნდა შეენახა ეს მონასტრები.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ მამულების ფაქტობრივი პატრონები იყვნენ მაშინდელი საგარეჯოელები, რომლებიც ითვლებოდნენ ამ მონასტრების ყმებად, სინამდვილეში ისინი სრული თავისუფლები იყვნენ და დრო და განწყობილებაც იმდენი ჰქონდათ, რომ დიდი დრო დაეთმოთ გართობისა და სპორტული შეჯიბრებებისთვისაც. მართალია, ძირითადი სპორტული შეჯიბრებები და თეატრალიზებული სანახაობები ხშირად იმართებოდა, მაგრამ დავასახელებ ძირითადს:

„**ღვთისმშობლობა**“ იმართებოდა „აღდგომის“ მეორე დღეს (ჯაბადრიანთ უბანში და გიორგიწმინდაში).

„**დიდოობა**“ – აღდგომის სამშაბათს (კუჭუანთ უბანში).

„**კვირაცხოვლობა**“ – აღდგომის სწორზე ქვლივიაძიანთ უბანში;

„**დავითობა**“ – 25 მაისს (ძვ. სტილით) ესაიაანთ უბანში.

„პეტრე-პავლობა“ 29 ივნისს (ძველი სტილით) – გაღმაუბანში.

„თვალთავის წმ. გიორგობა“ – 10 ნოემბერს (ძველი სტილით) – სოფლის თავში.

გარეკახეთის სხვა სოფლების დღეობები

გიორგიწმინდაში –

„**გიორგობა**“ – თავწმინდაგიორგის და „თეთრი გიორგის“ ეკლესიებში;

„**კალოობნობა**“ – მანავსა და თოხლიაურში;

„წმ. ესტატობა“ და „**შიოობა**“ – პატარძეულში;

„**ღვთაებობა**“ – მარტყოფში (მაშინ მარტყოფი საგარეჯოსთან ერთად თბილისის მაზრაში შედიოდა).

„**სამებობა**“ – ხაშმში

„**ჯვარპატიოსნობა**“ – უჯარმაში.

ალ. ელერდაშვილი

საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ისტორიკოსი, ჟურნალისტი.

„კულა გლდანელი“ — ივანე ყირიმელაშვილი

“ქართული ჴიდაობის გამოჩენილ ფალავნებს შორის საპატიო ადგილი უკავია ივანე ყირიმელაშვილს. კულა გლდანელი - ამ შერქმეული სახელით იცნობენ მას საქართველოში. კულა გლდანელი ძალიან ლამაზი აღნაგობის, ღონიერი, მარდი, მოხერხებული და ქართული ჴიდაობის შესანიშნავი მცოდნე ყოფილა. ილეთებიდან ყველაზე ძალიან კაური, მოგვერდი, სარმა და კისრული ჰყვარებია. აქებენ კულას გულკეთილობას და ქველმოქმედებას”. (რ. კრიჴინაშვილი “ქართული ჴიდაობის მატიანედან”)

ამბობენ კულა გლდანელი
განთქმული ფალავანია,
მან საჴიდაო გამართა,
მოავლო გალავანია...
ზოგს სარმით აკოტრიალებს,
ზოგიც გადაჰყავს ყირასა,
ვერ მოინახა თანასწორი
ამ ქართლ-კახეთის პირასა.
ეს ქუთაისში შეიტყვეს,
შუბლში იტაცეს ხელია,
ნუთუ ქართლსა და კახეთსა
ვაჟკაცი შემოელია?
როგორ თუ მთელი ქვეყანა
მან ასე აიბუაო,
მოდი, გავგზავნოთ აქედან
მეგრელი ესებუაო!
(გაზეთი “ლელო” 1950 3/VIII)

XIX საუკუნის დამლევისათვის ქართულ ჴიდაობას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას, უკვე ქალაქურმა პრესამაც მიაქცია ყურადღება. ჯერ კიდევ 1882 წელს გაზეთ „დროებაში” (№202) გამოქვეყნდა სტატია ,რომელიც სახელგანთქმული მოჴიდავის, **კულა გლდანელის გამოსვლებს** მიეძღვნა. **კულას ძლიერების, ვაჟკაცობის, აღნაგობის, სილამაზისა და ლაზათის შესახებ გაზეთი წერდა: „მშვენიერი თვალტანადია გლდანელი, ვიწრო ჩოხა შემოწურული, სწორედ გმირსა ჰგავს, როდესაც გამოვა მოედანზე. მისი ამაყი, დარწმუნებული სიარული, მედიდური მიხვრა-მოხვრა, განიერი და ძარღვიანი გულმკერდი, მართლა სასიამოვნო სანახავია”.**

ცნობილია,რომ აკაკი წერეთელი დიდათ იყო გატაცებული ქართული ჴიდაობით. 1876 წლის „დროებაში” მოთავსებულ წერილს რომ თავი გავანებოთ, აკაკიმ გლდანელსა და ესებუას ჯერ კიდევ 1886 წელს უძღვნა ვრცელი წერილი ილიას „ივერიაში”. ამ წერილში უშუალოდ შერკინების აღწერასთან ერთად, აკაკიმ სასტიკად გაკიცხა ხალხისთვის საყვარელი რაინდული სანახაობის „სასყიდელის გაუჴირველად მოხვეჴის” საშუალებად გადაქცევის მცდელობა. საქმე იმაში გახლავთ, რომ **კულა გლდანელი — ივანე ბეროს-ძე ყირიმელაშვილი — ჴიდაობას ორგანიზებას უწევდა და გამართული სანახაობის საცქერლად მოსული მაყურებლისაგან საზღაურს იღებდა, რაც იმ დროისათვის გაუგონარ ამბად ითვლებოდა. აკაკის თქმით „„უხსოვარ დროიდან შემოღებულ ჴიდაობას ჩვენში ყოველთვის რაინდული ხასიათი ჰქონია...” და ის ქართველი კაცის სულიერი მოთხოვნილების გამოძახილს წარმოადგენდა: „მთელის კვირის განმავლობაში დაღალულსა და გულ-დათუთქულ მუშას, კვირაში ერთხელ, რასაკვირველია, ეჴირვება შესვენება და თავის შექცევა. მუსიკა და ოპერები მის სულიერ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ და მხოლოდ ერთად ერთიღა სასიამოვნო ჴიდაობა დარჩენილა, რომელიც იმის გულს იზიდავს”**— ო ამბობს აკაკი.

(1858-1933)

კულა გლდანელისთვის ქველმოქმედება ჩვეულებრივი საქმე გახლდათ.ქართულ ჴიდაობაში მუდამ აქტიური მონაწილეობის გარდა, კულა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მას არა ერთი ცნობილი ფალავანი ჰყავს გამოზრდილი. ამას გარდა, კულა გაჴირვებულ ადამიანებსაც ეხმარებოდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კულას ღვაწლი ჩვენი საყვარელი მწერლის ვაჟა-ფშაველას მიმართ, რაც გამოიხატებოდა ვაჟასადმი სისტემატურ ფულად დახმარებაში. მან 1883 წელს მეგობრების დახმარებით თიანეთში მოაწყო დიდი შეჯიბრი ქართულ ჴიდაობაში და შემოსული თანხა მთლიანად ვაჟა-ფშაველას გადასცა, რამაც პოეტს საშუალება მისცა პეტერბურგში წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად. მარტო ამ ფაქტის გახსენებაც კი იკმარებდა კულა გლდანელის ღვაწლის შესაფასებლად.

თუმცა დირსება და კეთილშობილება არც **კულა გლდანელს** აკლდა. მის რაინდულ ხასიათზე მეტყველებს ერთი შემთხვევა, რომელიც აღწერს კულას შეხვედრას სპარსელ ფალავან ხუშტურ-ბეგთან:

„1906 წლის შემოდგომაზე, თბილისიდან ბაქოში ჩასულა ქართველ მოჴიდავეთა გუნდი: კულა გლდანელი, ნიკოლა დაბღიშვილი, გიორგი ოდიშვილი და სხვ. ბაქოელ მილიონერ თაგიევის შვილს თბილისელ მოჴიდავეებთან შესარკინებლად მოუწვევია იმ დროს სპარსეთში დიდად სახელგანთქმული ფალავანი ხუშტურ-ბეგი, რომელიც კულაზე ზორბა ტანისა ყოფილა. თაგიევის შვილს სმენოდა კულას ძალა და ხერხიანობა და, მართალია, დიდი იმედი ჰქონია ხუშტურ-ბეგის გამარჯვებისა, მაგრამ მაინც შუაკაცის პირით შეუთვლია: 50 ოქროს მოგცემ თუ წაექცევინები ხუშტურ-ბეგსო, რაზეც კულა არ დათანხმებულა და უთქვამს: ფული არ მინდა, მე ვეჴიდავები და ვინც წააქცევს წააქციოსო. ბაქოს ცირკში ამ ჴიდაობაზე დიდძალი ხალხი მისულა. შეჯიბრების დაწყებისას ჯერ ხუშტურბეგი გამოსულა ქედმაღლურად, მოუხდია აბრეშუმის ძვირფასი წამოსასხამი, აგრეთვე თავსაბურავიც და მისალმებია ხალხს. შემდეგ მოედანზე კულა გლდანელი გამოვარდნილა ირემივით, თექის ქუდი მოუხდია, მაღლა შეუგდია და მისალმებია მაყურებლებს. დაწყებულა ჴიდაობა. ფალავნებს ერთმანეთისთვის ჩაუვლიათ ხელები. მუდამ გამარჯვებებით გათამამებულ სპარსელ ფალავანს ჩვეულებად ჰქონია ჴიდაობისას ხტომა. კულას ეს შეუმჩნევია მისთვის, თვითონაც აჰყოლია და ნება-



ნება ხტუნვა-ხტუნვით, განზრახ უკან დახევით, სპარსელი ფალავანი იმ ადგილისკენ წაუყვანია, სადაც ქალაქის თავი, თბილისელი თავადი, ნაკაშიძე მჯდარა. სპარსელს ჰგონებია, ეშინია და გამირბისო და უფრო გულდაგულ დაუწყია ხტუნვა რომელიმე ილეთის გაკეთებამდე. ნაკაშიძეც დარწმუნებულა, რომ კულა შეუშინდა სპარსელსო და განაწყენებულს ხმამაღლა შეუძახია:

– კულავ, საქართველოს სახელი არ შეარცხვინოო. კულას ამ სიტყვაზე სპარსელის პამპულა-ხტუნაობაში ნაკაშიძისათვის ხმამაღლა უპასუხია: ნუ გეშინია, კნიაზჯან, შენთან მომყავს, ფეხებთან უნდა დაგიხეთქოო და, მართლაც, როცა მას მიახლოებია, სრულიად მოულოდნელად, თავისებურად, უეცრივ წამოუღია ახმახი კაცი კისრულზე და ორივე ბეჭით ისე დაუხეთქებია, რომ ძლივსდა ამდგარა საცოდავი.”

ჭიდაობის კორიფე

თავისუფლებისმოყვარე, ამაყი და შემართებული ხალხის წიაღში წარმოშობილი დევგმირი, ბეჭდაუდებელი ფალავნების პლეადაში დღესაც ბრწყინავენ ჩაუმქრალ შუქურებად ოლაგირი და ლაპრიკანჯი, სოლომონ ბუტულაშვილი და დიდი იაკოფა. უფრო ახლო პერიოდის – მე-19, მე-20 საუკუნეთა მიჯნების ფალავნები ფრიდონ მეკოკიშვილი, ფირო გრატიაშვილი, ლევან დალაქიშვილი, მიხა და საზონა კევლიშვილები, სანდრო ქვლივიძე, კოლა თულაშვილი („თამარაანთ კოლა“), კოტე დიდმელაშვილი და მრავალი სხვები.

ამ ნარკვევში საუბარი გვექნება ქართული ჭიდაობის კორიფე მიხა ქურხულზე.

* * *

როცა საზუაანთ მიხუა ამ ქვეყანას მოევლინა, საგარეჯო ჯერ ისევ საუკუნეების ძილს იყო მიცემული, ციხე-კოშკებით და ეკლესია-საყდრებით დამშვენებულ გარემოს სევდისმომგვრელად შემოჯაროდა აქაურ გლეხკაცთა ქოხმახები.

ქურხულიანთ უბანში, ძველისძველი კოშკის გვერდით იდგა ლაზარე ქურხულის ქოხიც და სწორედ აქ დაიბადა მომავალი ფალავანი 1879 წელს. პატარა მიხას ბედად დაჰყვა ლუკმა-პურის საძებნელად წანწალი. ადრე დაობლებული მიხა, მცირეწლოვანი და – ძმების სარჩენად დაქვრივებული დედის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა. აკი, არც უღალატია ოჯახისათვის მეოცნებე ჭაბუკს.

უკვე მოდერებული ჯეელი პეტრე-პავლესთან, კვირაცხოველში თუ ნინოწმინდაში – დღეობებში გამართულ ჭიდაობებში თავის ტოლებში ბეჭდაუდებელ მოჭიდავედ ითვლებოდა, მაგრამ ბედის ტრიალმა და ლუკმა-პურის ძებნამ ჭაბუკი მიხა 1906 წელს თბილისში ჩაიყვანა და მეკალბასე იაგორას მოჯამაგირედ აქცია.

ეს ის დრო იყო, როცა თბილისში ჭიდაობა მარტო სპორტული გატაცების საგანი კი არა, ზოგიერთისთვის ფულის შოვნის საშუალებადაც იყო გადაქცეული. მიხა ქურხული მუშაობისაგან თავისუფალ დროს ჭიდაობის ჟინს იკლავდა „ფიქრის გორაზე“ და დიდუბეში „კნიაზების კრუგში“ გამართულ შეჯიბრებებზე, მერე ნაცნობ-მეგობრების რჩევით და ცნობილ ფალავან ნესტორ ესებუას რეკომენდაციით მიხა ქურხული უკვე დიდ სპორტულ სარბიელზედაც გავიდა.

პირველი ასპარეზობიდანვე მიხამ გულშემატკივართა მთელი არმია გაიჩინა. მისი წარმატებებით გახარებულმა ნესტორ ესებუამ იგი დასავლეთ საქართველოში წაიყვანა საასპარეზოდ.

1907 წლის 10 ივლისს გაზეთი „ისარი“ აცხადებდა: „დაბა ჭიათურაში 10 და 11 ივლისს კავკასიის უძლეველი ფალავნის ნესტორ ესებუას თაოსნობით გაიმართება დიდი საინტერესო ქართული ჭიდაობა. იჭიდავებენ მიხა ქურხული და

საჩხერელი კ. არჯევანიძე“.

მიხამ კ. არჯევანიძე მოხდენილი კისრულით გააკრა ბეჭებზე და მაყურებელთა ოვაცია დაიმსახურა.

მიხა ქურხულმა იმავე წლის 2 სექტემბერს ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია ხაშურელ ფალავან ილიკო ლაბაძესთან, ხოლო ორიოდ კვირის შემდეგ თბილისში, ნიკიტინის ცირკში გამართულ შეჯიბრებაში დაამარცხა ცნობილი ფალავანი გიორგი ოდიშვილი – „ჯიბგირი“. ამის შემდეგ მიხა ქურხული კიდევ ორჯერ შეხვდა გიორგი ოდიშვილს და ორჯერვე ბრწყინვალედ მოუგო. შებეზრებულმა გიორგი ოდიშვილმა თურმე ასე მიმართა მიხა ქურხულს: „ამიღე რაღა და ეგ არის! მე შენ არასოდეს აღარ გეჭიდავებიო“.

„ჯიბგირზე“ გამარჯვებამ მიხას ფართოდ გაუთქვა სახელი და უძლეველ ფალავნად იქნა აღიარებული.

ჭიდაობის მოყვარულებმა და მიხას თაყვანისმცემლებმა ასეთი სიმღერა შეთხზეს:

„აფიშები გამოვიდა
ჭრელ-ჭრული, შავი, თალხი,
„ჯიბგირი“ გაულახია,
ყველგან ლაპარაკობს ხალხი.
აქებენ მიხა ქურხულსა,
განთქმული ფალავანია,
ვინც ნახა ნაჭიდავები,
სულ მასზე დარჩა თვალია.
ვინც უქეს ყველას ეჭიდა,
ხელი არავის გაუშო,
ვისაც რომ ხელი მოავლო,
ფეხზე არავინ გაუშო...“

მიხა ქურხულმა 1909 წელს გორში ჩატარებულ ასპარეზობაზე 16 მოჭიდავე წააქცია და გორის მაზ-

რის თავადაზნაურობის მიერ ოქროს მედლით იქნა დაჯილდოვებული. მედალს ასეთი წარწერა ჰქონდა: „წაუქცეველ ფალავანს ჭიდაობის მოყვარულებისაგან“.

მიხა ქურხული 6 წელს ითვლებოდა ბეჭდაუდებელ ფალავნად და ამ პერიოდში მის მიერ წაქცეულ იქნენ ისეთი ცნობილი ფალავნები, როგორებიც იყვნენ დათა მსუქნიშვილი, იოსებ ცერაძე, ალექსანდრე კახნიაშვილი (შაშო ვერელი), კოლია ქვარიანი, ვ. მიდელაური, კბილაშვილი, ბერუაშვილი და მრავალი სხვა.

1912-1913 წლებში, ნიკიტინის ცირკში, კლასიკური ჭიდაობის ჩემპიონატის ჩატარების დროს, კლემენტი ბულის ინიციატივით ჩემპიონატის ყველა მონაწილე ქართულ ჭიდაობასაც დაუფლებია მეტი მაყურებლის მოზიდვის მიზნით. თვითონ კლემენტი ბულმა ქართული ჭიდაობა ორი კვირის განმავლობაში შეისწავლა და ყველა ფალავანი გამოითხოვა, მათ შორის მიხა ქურხულიც.

ამ ჩემპიონატში მიხა ქურხულმა ჩამოსული რუსი მოჭიდავეებიდან დაამარცხა სიმიაკინი, „ჩორნი ვორონი“ და სხვები. ამ ჩემპიონატშიც გაიბრწყინა კომეტასავით მიხა ქურხულმა და თითქოს დასრულდა კიდეც მისი სპორტული კარიერა.

წლებმაც თავისი ქნა. სულ ბოლო ასპარეზობა მიხა ქურხულისათვის შედგა 1915 წელს, ესიკოვსკის ცირკში, როცა იგი 46 წლისა იყო. იგი შეერკინა 22 წლის ფალავანს ვანო წამალაშვილს (გლდანელს) და ორთაბრძოლაში დამარცხდა. ეს ასპარეზობა მისთვის „გედის სიმღერა“ უფრო იყო. მიხა ქურხულში რაინდული სული ტრიალებდა, იგი შურითა და ღვარძლით როდი განიმსჭვალა თავისი მძლეველის მიმართ. მიხამ გულში ჩაიკრა ახალგაზრდა ფალავანი, გადაკოცნა ვანო წამალაშვილი და სპორტული დიდების გზა დაულოცა, თვითონ კი სამუდამოდ აიღო ხელი ჭიდაობაზე. იგი დაბრუნდა მშობლიურ საგარეჯოში და სოფლის მეურნეობას მოჰკიდა ხელი. მიხა ქურხულმა 81 წელი იცოცხლა ამ ქვეყანაზე და ვალმოხდილი გამოეთხოვა თავისიანებს 1960 წელს.

ალ. ელერდაშვილი

გაზეთი *„ივრის განთიადი“ 1982წ*

◇◇◇

ივანე ყირმელაშვილი. მან ყველა ფალავანი დაამარცხა, ბაქოელმა მილიონერებმა სპეციალურად კულასთან საასპარეზოდ ირანიდან ჩამოიყვანეს მანამდე ბეჭდაუდებელი ფალავანი მურშუდი,კულამ მურშუდი ხელებით ასწია და ბაქოელი მილიონერების ფეხებთან ზღართანი მოადენინა. ამის შემდეგ კულა ითვლებოდა უძლიერესად, მაგრამ ნესტორ ესებუასთან ორთაბრძოლაში დამარცხდა. ნესტორ ესებუამ მოიხვეჭა უძლიერესი ფალავნის სახელი. როდესაც ნესტორ ესებუამ ნახა მიხას ჭიდაობა, ის აღიარა უძლიერეს ფალავნად და ლამის შვილობილად გამოაცხადა. დასავლეთ საქართველოში წაიყვანა საასპარეზოდ, სადაც დარჩნენ თითქმის მთელი წელი.

1907 წლის 10 ივლისს გაზეთი „ისარი“ აცხადებდა: „დაბა ჭიათურაში 10 და 11 ივლისს კავკასიის უძლეველ ფალავნის ნესტორ ესებუას თაოსნობით, გაიმართება დიდი საინტერესო ქართული ჭიდაობა. იჭიდავებენ მიხა ქურხული და კ. არჯევანიძე.”

მიხამ არჯევანიძე მოხდენილი კისრულით გააკრა ბეჭებზე და მაყურებელთა ოვაცია დაიმსახურა.

იმავე წლის 2 სექტემბერს კიდევ ერთი გამარჯვება მიიწერა ხაშურელ ილიკო ლაბაძესთან.

დასავლეთ საქართველოში მიხამ არაერთი ორთაბრძოლა მოიგო. მას აქ არცერთი დამარცხება არ ჰქონია. ამ მოგზაურობის დროს ქუთაისში დახვდა ცერაძე, ხოლო ზუგდიდში „ჯიბგირი”. ორივემ ხელახლა გამოიწვიეს და კვლავ ორივეზე სუფთად გაიმარჯვა. „ჯიბგირის“ და მიხას ეს მესამე შეხვედრა იყო. „ჯიბგირს“ უთქვამს: „ხო ამიღე და ამიღე, მე შენ აღარ გეჭიდავები.”

მიხამ გამოიწვია სახელგანთქმული ფალავანი შაშო ვერელი, იგივე ალექსანდრე კახნიაშვილი. პირველი შერკინების დროს გაუგებრობა მოხდა. მსაჯების არაობიექტური გადაწყვეტილებით შაშო ვერელი გამოაცხადეს გამარჯვებულად. მიხამ ხელმეორედ გამოითხოვა და თავდაუზოგავად შეებნენ ერთმანეთს. შაშო ვერელს ლავიწის ძვალი გაუტყდა და დამარცხდა. ამის მერე ერთმანეთს ხალიჩაზე აღარ შეხვედრიან, თუმცა მეგობრობდნენ.

ამ გამარჯვების შემდეგ ის შეერკინა მსოფლიოში სახელგანთქმულ ფალავანს–ვანო მედელაურს. გარეჯელმა ფალავანმა შუაკაურით წაიღო, სუფთად დასცა... მაგრამ, მოხდა სამწუხარო ამბავიც–ვანო ფეხმოტეხილი გაიყვანეს მუშტაიდის საჭიდაო მოედნიდან.

ცნობილმა გოლიათმა სანდრო კანდელაკმა 1000 მანეთიანი სანაძლეო დადო მიხასთან, რომ 5 წუთსაც ვერ გაუძლებდა. იჭიდავეს, დათქმულ დროში სანდრომ ვერ სძლია, 2 წუთი კიდევ ითხოვა და კინაღამ სუფთად წააგო. მიხამ სანაძლეო მოიგო. ეს იყო ქურხულისა და კანდელაკის ერთადერთი შეხვედრა.

1909 წელს გორში ჩავიდნენ რუსი „ბაგატირები” ბრუსიკის მეთაურობით. გორელებმა მიხა მიიწვიეს „თუ გვიხსნი შენ, თუ არა და შევრცხვით”. მან ეს მიპატიჟება მიიღო და ორი კვირის განმავლობაში სუფთად გაიმარჯვა სახელგანთქმულ ფალავნებზე: ლიტვინოვი, ივანოვი, ზაგორიუკი, ნიკო ტურიაშვილი, (ამ ჯგუფის ერთადერთი ქართველი). სულ ბოლოს ეჭიდავა ტიტანური ძალის მქონე ბრუსიკს, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ შოუებში გრეხდა რკინიგზის რელსებს, რითაც დამსწრე საზოგადოებას შოკში აგდებდა. მიხამ პირველ დღეს ორჯერ გააკრა ხალიჩაზე ბეჭებით რკინიგზის რელსების დამგრეხავი, მაგრამ ბრუსიკს დანებება არ უნდოდა და მეორე დღესაც გამოითხოვა. ქართველმა ამჯერად სამჯერ დასცა ბეჭებზე მოწინააღმდეგე. ბრუსიკმა ქართული ჩოხა გადააგდო „მე ქართულ ჭიდაობაში აღარავისთან აღარ გავალო”.

ასეთი დიდი წარმატებებისთვის გორელებმა გარეჯელს აჩუქეს ბაჯაღლო ოქროს მედალი წარწერით: „უძლეველ ფალავანს მიხა ქურხულს–ჭიდაობის მოყვარულებისაგან”.

ბევრმა ქართველმა ფალავანმა სცადა მიხას დამარცხება მაგრამ ამაოდ. საგულისხმოა ერთი ასეთი ფაქტი: მთელ კახეთში უძლეველი ფალავანი „ნანოს ბიჭი ლევანა”(გვარი უცნობია) შეერკინა მიხას, მაგრამ სუფთად წააგო. ლამის იტირა, ისე ეწყინა, მაგრამ მიხას ხელი ჩამოართვა და შესანიშნავი სიტყვა უთხრა: „შე ღმერთძაღლო, ძუძუ მეც მიჭამია, მაგრამ შენ რკინა გაქვს ნაღეჭი”.

მიხას დამარცხების სურვილით სიღნაღიდან ჩამოვიდა ვანო ხარაზიშვილი. ის იქადდა – უთუოდ მოვცელავო, მაგრამ ნახა რა მისი ჭიდაობა, უკანვე გაბრუნდა. სამაგიეროდ მთელ კახეთში სახელგანთქმული და უძლეველი ფალავანი, გურჯაანელი სოსო ჭანტურიძე არ შეუშინდა მიხასთან შებმას, მაგრამ მწარედ დამარცხდა. ამ დამარცხებამ ისე იმოქმედა მასზე, რომ მისი დედა საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში, ნახა მიხა და უთხრა „ისეთი რა უყავი ჩემს უძლეველ ბიჭს, რომ ლამის ბოღმამ დაახრჩოს, მთელი კვირა ლუკმა პირში არ ჩაუდიაო”.

1912–13 წლებში თბილისს ეწვია კლასიკურ მოჭიდავეთა ჯგუფი კლემენტი ბულის მეთაურობით. რადგან ქართულ ჭიდაობას უფრო ბევრი გულშემატკივრობდა, ვიდრე კლასიკურს, ბულმა თავის ფალავნებს ქართული ჭიდაობაც შეასწავლა და გამოითხოვა ყველა ქართველი ფალავანი. მას ერთ–ერთი პირველი მიხა ქურხული გამოეხმაურა, რომელმაც ზედი–ზედ მოიგო ისეთ სახელგანთქმულ მოჭიდავეებთან, როგორებიც იყვნენ: სიმიაკინი, „ჩორნი ვორონი”, „მალი”, „სტუდენტი”. ყველასთან სუფთად გაიმარჯვა, მხოლოდ ბულთან ორთაბრძოლაში დამარცხდა. ეს ერთადერთი დამარცხებაა, რომელიც მიხას ახსოვს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე და მას თვლიდა ნამდვილ და ღირსეულ დამარცხებადაც. შემდეგ ბულმა ასევე სუფთად დაამარცხა სანდრო კანდელაკიც, მხოლოდ ფრანგულ, იგივე კლასიკურ ჭიდაობაში.

ნიკიტინების ცირკში მიხა შეხვდა წაუქცეველ ფალავანს „ჩორნაია მასკას”. დაამარცხა რა იგი, ნიღაბი ჩამოხსნა. ის აღმოჩნდა ცხინვალელი ლუკა დადიანიძე, მანამადე მას უნიღბოდ უჭიდავია სანდრო კანდელაკთან. ეს ორთაბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ვერავინ ვერ იგებდა. ბოლოს მოწინააღმდეგეები შეთანხმდნენ ორთავჯანში გასულიყვნენ(ფრე).

მთელ მსოფლიოში აღიარებული და უძლეველი კოსტია მაისურაძე მიხა ქურხულმა 5-ჯერ გამოითხოვა ქართულ ჭიდაობაში, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო, რატომ და რისთვის, ამის ახსნა მიხასაც უჭირდა.

1923 წელს, ვერის ხიდთან არსებულ ცირკის შენობაში, ხანდაზმული(44 წლის) მიხა შეერკინა მართლაც რომ გოლიათთა შორის გოლიათს კოლია ქვარიანს და სუფთად მოუგო.

მიხას ყველა აღიარებდა უძლეველ ფალავნად,48 წლის ასაკში ის შეერკინა 22 წლის ვანო წამალაშვილს–იგივე ვანო გლდანელი. ამ ორთაბროლაში დამარცხდა გარეჯელი ფალავანი, მან ახალგაზრდას მიულოცა გამარჯვება და ჭიდაობაზე სამუდამოდ აიღო ხელი. დაუბრუნდა თავის მშობლიურ სოფელს და ახალგაზრდების წვრთნას მიჰყო ხელი, თან კოლმეურნეობაშიც მუშაობდა.

ყველაფერი ამის მიუხედავად, 9 დედ-მამიშვილის შთამომავლობიდან არავინ ისურვა ამ საქმიანობისთვის მიეყო ხელი. თამაზ ქურხული იხსენებს: „ჭიდაობაზე ჩემი სურვილით მივედი. ეს რომ პაპამ გაიგო, მითხრა: ჯანი რას უნდა შეაჭამო, ვერ ხედავ შავი პურიც სანატრელი გამიხდაო“.

მხოლოდ მისი დის შვილიშვილები, დავით და გივი ყვარელაშვილები, გაყვნენ პაპის კვალს.

ბევრს ვეღარაფერს მივაკლიე მიხას საგარეჯოში მოღვაწეობაზე. აღარ არიან ის ადამიანები, რომლებიც იცნობდნენ ჭიდაობის ამ კორიფეს.

კიდევ ერთხელ დაკვირვებით გადავიკითხე იან დიმოვის წიგნი „საჭიდაო ხალიჩის რაინდები”. მიკვლეულმა ცნობებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აღმოჩნდა, რომ სსრკ 9გზის ჩემპიონს, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში, ფინელი ტოისტო კანგასნიემის, უნგრელი ნოტნი ნერენის, ირანელი ახმედ ვაფარის, თურქი ირფან ათანის, შვედი „ლომის”, ბერტიო ანტონსონის დამმარცხებელი, ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩენპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, 1954 წლის სპარტაკიადის ჩემპიონი - არსენ მეკოკიშვილი არის მიხა ქურხულის და შალვა გზირიშვილის აღზრდილი. შალვას რჩევით 19 წლის არსენა გადავიდა თბილისში საცხოვრებლად და იქ მას წრვთნიდნენ: მიხა ქურხული, მიხეილ ხერხეულიძე, სანდრო კან-

დელაკი, და ვინმე ადეიშვილი.

სასიხარულოა რომ ამ პატარა საგარეჯომ ასეთი დევგმირები დაზარდა. კარგი იქნებოდა, რომ სათანადო პატივი მიგვეგო მათთვის. საგარეჯოს სტადიონის წინ არის არსენ მეკოკიშვილის ძეგლი. მაგრამ იშვიათია ადამიანი, მათ შორის სპორტსმენები, რომლებმაც იციან, რომ ამ ტიტანს ერთი უბრალო გლეხი-მიხა ქურხული ზრდიდა. არსენ მეკოკიშვილს დაუფასდა სპორტული წარმატებები. იმდროინდელი სახელმწიფოს მეთაურის სტალინის ბრძანებით საცხოვრებლად გადაიყვანეს ლენინგრადში, კეთილმოწყობილ ბინაში და მატერიალურად უზრუნველად ცხოვრობდა, ხოლო მისი აღმზრდელი ლუკმა-პურის საშოვნელად ხან კოლმეურნეობაში, 1948-52 წლებში კი საკალბასეში მუშაობდა ოსტატის თანამდებობაზე სულ რაღაც 600 მანეთად. მე მაქვს 1960 წლით დათარიღებული ცნობები. ამავე წლით დათარიღებული დახასითება, რომელსაც ხელს აწერს საგარეჯოს სპორტსაზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირების საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ივანე (ყველასათვის ვანო) მეკოკიშვილი.ეს დახასიათება ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად. დახასიათებაში ნათქვამია: „საგარეჯოს რაიონის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირების საბჭოს პრეზიდიუმი მიზანშეწონილად ცნობს, რომ მას დაენიშნოს პერსონალური პენსია“. „მაგრამ“, ამ პენსიით არ უსარგებლია, იმავე წელს გარდაიცვალა.

მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებს იხსენებს საგარეჯოში ყველასათვის კარგად ცნობილი ილია(ილუშა) ქვლივიძე-კაცი ენციკლოპედიური განათლებითა და საინტერესო სპორტული წარსულით:„მე მიხა მოხუცებული მახსოვს, ჯოხზე დაყრდნობილი რომ გამოვიდოდა გარეთ, როგორც მოჭიდავეს, მსურდა მისგან მის წარსულზე რამის მოსმენა, მაგრამ ყოველთვის მოკრძალებულად თავს არიდებდა. სხვები კი, მათ შორის ჩემი მწვრთნელი ვანო მეკოკიშვილი, ძალიან საინტერესო რამეს გვიყვებოდნენ. ერთ-ერთ შეჯიბრზე მიიწვიეს. მოკრძალებით შემოვიდა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა და მქუხარე ოვაციები გაუმართეს. შეჯიბრს დაესწრო, მაგრამ სიტყვით არ გამოსულა. ალბათ სიღარიბემ, ბავშობიდანვე ლუკმა პურის შოვნამ, დიდმა ფიზიკურმა დატვირთვამ, სიბერემ თავისი გაიტანა და ერთ დროს უძლიერესი მიხა ქურხულიც კი დააძაბუნა“.

გული შემეკუმშა ამის მოსმენისას. რამდენმა გენიოსმა დალია სული სიღატაკეში?! მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აფასებენ მათ დანატოვარს.

და მაინც რა დაგვიტოვა მიხა ქურხულმა?

– თითქმის 25 წლის მანძილზე ის იყო ეროვნული სპორტის ულამაზესი სახეობის-ქართული ჭიდაობის პოპულიზატორი. ის იცავდა ამ სპორტის ყველა წეს-ჩვეულებას. საყურადღებოა ერთი ისტორიული ფოტო, რომელზედაც გამოსახულია ცნობილ ქართველ ფალავანთა ჯგუფი:

მარცხნიდან მარჯვნივ წამოწოლილები არიან დათა მსუქნიშვილი და გიორგი დოთიაშვილი. სხედან: ლუკა დადიანიძე იგივე „ჩორნაია მასკა“, მსაჯი ვანო ჩიბალოვი იგივე „შენ დაუკარ“ და ალექსანდრე კახნიაშვილი

იგივე „შაშო ვერელი“. დგანან მედროგე არუთინა ზუსტად ამ ფოტოზე ოღონდ სხვა წყაროში მას იხსენიებენ როგორც მედროგე ურეხას, სანდრო კანდელაკი და მიხა ქურხული.

გარეჯელ ფალავანს ქართული ჭიდაობის განვითარებაღმავლობის საქმეში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. მან ქართული ჭიდაობა გაამდიდრა ახალი ილეთებით და ხერხებით, ასე მაგალითად: შუაკაურის დროს მოწინააღმდეგის ფეხში ფეხის გაკვრა, ასევე შუაკაურის დროს შეხტომა და მოწინააღმდეგის თან ატანა, რასაც თვითონვე უწოდებდა „მხრით მოკიდებას“. ყველა ამ ხერხს დღესაც ასწავლიან ახალგაზრდა მოჭიდავეებს როგორც მიხა ქურხულის ხერხს.

თუკი ჩემი ნაშრომი არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და რაიონის მესვეურები, სპორტსაზოგადოების წევრები მიხა ქურხულის დაბადების 135 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიმე ქუჩას დაარქმევენ მის სახელს ეს იქნება დიდი მამულიშვილური საქმე, ჭიდაობის კორიფის დაგვიანებული დაფასება.

ანა ქურხული,

სოსანა კევლიშვილი

ხალხში ლეგენდად იქცა გიორგიწმინდელი ფალავნის სოსანა კევლიშვილის სპორტული ფენომენი ქართულ ჭიდაობაში, რომლის შესახებაც გაზეთ „ლელოს“ 1956 წლის №2-ში გამოქვეყნდა საგარეჯოელი მწერლის სიმონ მთვარაძის ნარკვევი. მოგვყავს ამონარიდი ამ გაზეთიდან: „გვამს მიწა ინახავს, სახელს კი ხალხი“. „ამ ხალხისაგან საგარეჯოში ხშირად მსმენია სოსანა კევლიშვილის ტრაგიკული ისტორია. სოსანა თავის დროზე მეტად განთქმული ვაჟკაცი და კარგი ფალავანი ყოფილა, დღეობას თურმე არ გააცდენდა, მისი წამქცევი არავინ გამოჩენილა. სოსანას მკლავი უჭრიდა მაგრამ ბავშვივით გულუბრყვილოს თვალი დახუჭული ჰქონდა, რამდენადაც შეუდარებელი ვაჟკაცი იყო, იმდენად დიდი ტრაგედია დატრიალდა მის თავს. სოსანას დროს ვიღაც თურქი ფალავანი ჩამოსულა თბილისში, რომელსაც თან ჩამოჰყოლიან თავისი დამქაშები. თურმე ცირკის ყველა მოჭიდავე დასცა, ვერავინ ვერ გაუძლო, იძულებული გახდნენ სხვადასხვა მხრიდან გამოეწვიათ სახელგანთქმული ფალავნები, მაგრამ მაინც ვერავინ გაუძლო თურქს, ვერაფერს გახდნენ, თურქი ზეიმობდა გამარჯვებას. ბოლოს გუბერნატორს მოახსენეს სოსანა ჩამოიყვანეთ, პირადად თქვენ თხოვეთო, იმის იქით გზა არა გვაქვსო. მართლაც დაიბარეს. სოსანა წარსდგა გუბერნატორის წინაშე. გუბერნატორმა უთხრა, ბიჭო, ოღონდ ის თურქი წამიქციე და რაც გინდა მთხოვეთ. სოსანამ კი ამაყად უპასუხა, **ვაჟკაცი არაფერს თხოულობს, თვითონ მისგან ითხოვენო** და ღიმილით განაგრძო – რაკი საქმე აქამდე მივიდა, თავს არ დავზოგავ, იმ თურქს ერთ ღამეში სამჯერ ავაყრი ზურგზე მტვერსო. თქვა და შეასრულა კიდეც. როგორც დამსწრენი გადმოგვცემენ, თურქი თურმე ბურთივით ათამაშა, ერთ წუთს ფეხზე არ გააჩერა, თავს რეტი დაასხა, სამჯერ ბეჭებზე დასცა, მაგრამ რა გამოვიდა? თურქმა და მისმა დამქაშებმა ეს მარცხი საშინლად იწყინეს, იმავე ღამეს „ისანში“ ბებუთი ჩასცეს ზურგში და ერთ წუთში გამოასალმეს სიცოცხლეს.

ნამდვილად რომ თურქმა და მისმა დამქაშებმა მოკლეს სოსანა კევლიშვილი, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ იმ ღამის შემდეგ თურქი ფალავანი აღარავის უნახავს თბილისში, ის ჩუმად გაპარულიყო. ასე შემოინახა ხალხმა თავის ხსოვნაში ლეგენდარული ფალავნის გიორგიწმინდელი სოსანა კევლიშვილის სახელი.

„თამარაანთ კოლა“



გაღმაუბ-ნელ თულაშვილებში ყველაზე სახელოვანი ვაჟკაცი იყო ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე თულაშვილი, რომელსაც „თამარაანთ კოლას“ ეძახდნენ. იგი ქართლიდან ჩამოსახლებული გივი თულაშვილის მე-3 თაობის წარმომადგენელი იყო. დაიბადა 1901 წელს. როგორც სახელოვანი თულაშვილების წარმომადგენელი საგარეჯოში და მთელ გარე-კახეთში, სარგებლობდა კარგი სახელით. იზრდებოდა სახელოვანი შრომითი ტრადიციების მქონე უბანში, ჰყავდა მოსიყვარულე მეუღლე სონა დაბახიშვილი, შექმნეს შესანიშნავი ოჯახი, ჰყავდათ შვილები, ქმნიდნენ ხვავსა და ბარაქას, გველისწყაროზე ჰქონდათ ძროხის ბინა და ჰყავდათ მეწველი ძროხები და ცხვრის ფარა. გარდა კარგი მეოჯახისა, „თამარაანთ კოლაც“ სწორუპოვარი ფალავანი იყო მთელს გარე კახეთში. როცა სრული კოლექტივიზაცია დაიწყო XX საუკუნის 30-იან წლებში, „თამარაანთ კოლაც“ თავისი უძრავ-მოძრავი ქონებითა და ცხვარ-ძროხით გადმაუბანში შექმნილ „ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში“ გააერთიანეს თავის ძმასთან ანდრიასთან ერთად. ვერ ვიტყვით, დიდი ხალისით შევიდნენ თუ არა კოლმეურნეობაში, მაგრამ ვიცით, ეს კოლმეურნეობა ენგელსის სახელს ატარებდა და კოლას ძმას ანდრიას თავისი ბიჭისათვის ენგელა დაურქმევია.

„თამარაანთ კოლა“ რომ სწორუპოვარი ფალავნის სახელს ატარებდა, მოვიყვანთ მთელს გარე-კახეთში ლეგენდად ცნობილ ერთ გადმოცემას:

1929 წლის 29 ივლისს პეტრე-პავლობის დიდი დღესასწაული იყო. დღესასწაულზე დიდი სპორტული ასპარეზობა გამართულიყო. დღესასწაულს ესწრებოდა ცნობილი ქართველი პოეტი გოგლა ლეონიძე. სწორედ ამ დღესასწაულის დამსწრე ცნობილი საგარეჯოელი მოდვაწის ყოფილი სოფსაბჭოს თავმჯდომარის ვანო ჩაფიძის მონაყოლი ჩავიწერე.

პეტრე-პავლობის დღესასწაულზე ჩამოდიოდნენ მლოცველები მარტყოფიდან კაჭრეთამდე. საჭიდაოდ ჩამოსულა ორი მარტყოფელი ფალავანი – კოლა შოშიაშვილი და ივანე წამალაშვილი. ყველა მოჭიდავე წაუქცევიათ ამ მარტყოფელ ფალავნებს, მათი წამქცევი არავინ გამოჩენილა მთელ საგარეჯოდან და ახლო-მახლო სოფლებიდან. გაწბილებულ საგარეჯოელებს გახსენებიათ „თამარაანთ კოლა“, რომელიც იმ დროს გველისწყაროდან დასასვენებლად ჩამოსულიყო ოჯახში. ნირწამხდარი საგარეჯოელები შეხვწნიან: – შენი ჭირიმე კოლა, წამოდი, ნამუსი მოგვწმინდე, თორემ აგვიკლეს საგარეჯოელები ამ მარტყოფელმა ფალავნებმაო, – აბა, როგორ კაცო, ეხლახან ჩამოვედი გველისწყაროდან დაღლილ-დაქანცული, დასაბან-გასაპარსი, ესე ხომ არ წამოვალ დღეობაზე, ვინ რას იტყვის, ასე აძონძილ-დაძონძილს რომ დამინახავენო.

ეცნენ გარეჯელი ბიჭები, ზოგმა დალაქი მოუყვანა, ზოგმა წყალი გააცხელა, სასწრაფოდ დაბანეს, გაპარსეს, გამოაწყეს, მერე ცხენზე შესვეს, პეტრე-პავლეს გორაკის აღმართზე არ დაიღალოსო და ისე წარუდგინეს მოზეიმე ხალხს.

ხალხში დიდი აჟიოტაჟი შეიქმნა „თამარაანთ კოლას“ გამოჩენისას. შუადღე უკვე გადასული იყო და ხალხი საპურმარილოდ ემზადებოდა, მაგრამ „თამარაანთ კოლას“ გამოჩენამ ისევ სანახაობის აზარტით ააჩოჩქოლა ხალხი. მედოლე ერვანდ ვართანოვმა და მეგარმონე ქიტესა ნაკულაშვილმა ისევ დაუკრეს საჭიდაო, მარტყოფელი ფალავნები – კოლა შოშიაშვილი და ივანე წამალაშვილიც საჭიდაო სარბიელის წრეში ჩადგნენ მორიგი „მსხვერპლის“ გასანადგურებლად.

დოლი აბაგუნდა, გარმონმა ჩააწიკწიკა საჭიდაო ჰანგი და თამარაანთ კოლაც საჭიდაო ჩოხაში ჩაცმული დინჯად გაემართა საჭიდაო მოედნისაკენ. აზარტში შესული ხალხითაც მალე გაივსო მოედანი. პირველი „მუსკულების“ თამაშით გამოვიდა ივანე წამალაშვილი და სხარტად გაემართა კოლასაკენ. კოლა ჯერ გაუსხლტა მარტყოფელს, მაგრამ მალე იხელთა დრო, მხრებში წაავლო თავისი ღონიერი ხელები, მიწას მოსხლიტა, ჰაერში დაატრიალა, შემოატარა არენას და მერე პირდაპირ აზარტში შესული ხალხის შუაგულისკენ გადაისროლა.

ხალხს აღტაცებისგან „ააუჯ“ აღმოხდა. ნირწამხდარი ივანე წამალაშვილი სირცხვილნაჭამი ხალხში გაუჩინარდა.

კოლა თულაშვილი დინჯად გამოვიდა წრიდან და დადგა მორიგი მსხვერპლის მომლოდინე.

ახლა საჭიდაო „პოდიუმზე“ კოლა შოშიაშვილი გადმოხტა „მუსკულების“ თამაშით. იგი მართლაც ბეჭდაუდებელი ფალავანი იყო და თბილისის „ცირკის პოდიუმზე“ არაერთხელ მოუხიბლავს ჭიდაობის მოყვარულნი. არ ვიცი, კოლა თულაშვილი გაცნობილი იყო თუ არა შოშიაშვილის ფალავნობის წარმატებებს, მაგრამ დინჯად გაემართა საჭიდაო მოედნისაკენ. შოშიაშვილიც თამამად წამოვიდა თულაშვილისკენ. მოჭიდავეები ერთხანს უშედეგოდ უტრიალებდნენ ერთმანეთს, სასურველი ილეთისთვის ზვერავდნენ ერთმანეთს, მაგრამ უცბად, ყველას მოულოდნელად „თამარაანთ კოლამ“ კვლავ მხრებში დასტაცა ხელი შოშიაშვილს, მიწას მოსწყვიტა, სამჯერ შემოატარა წრე და ზედ მსაჯების წინ გაშხლართა მიწაზე... ხალხის აღშფოთებისა და მოწონების ხმამ მთელი გარემო შეძრა.

ხალხში დაიძახეს – ეს უჯერია, უჯერო! მიდი კოლა, მიდი!.. ამ ძახილში კოლა თულაშვილმა ახლა გარეთა სარმაზე წამოიღო მარტყოფელი ფალავანი და ზედ ერვანდასა და ნაკულაშვილი ქიტესას წინ გაშალა მიწაზე. ასე დასრულდა „თამარაანთ კოლას“ კიდევ ერთი სახელოვანი შერკინება მარტყოფელ ფალავნებთან.

„თამარაანთ კოლას“ წამქცევი კაცი არ დაბადებულიყო. კაკაბეთში „კავთობის“ დღესასწაულზე სანდრო პეტუაშვილმა (მეიფარიანმა) სანაძლეოს მოსაგებად დამკვრელები და „თამარაანთ კოლა“ წაიყვანა. მაშინ კაკაბეთში ცნობილი ფალავანი და ქართლ-კახური სიმღერების უებრო შემსრულებელი ფთხენელა (შაქრო) მჭედლიშვილი იყო, მთელ კახეთში ცნობილი. სანდრო მეიფარიანი ფიქრობდა, რომ მხოლოდ „თამარაანთ კოლა“ თუ იყო მისი მჯობნი და არც მოტყუებულა. „თამარაანთ კოლამ“ რაღაც წამებში გააკრა მიწას ფთხენელა.

„თამარაანთ კოლამ“ 40-იან წლების დასაწყისში ჩიქვინიანთ კოლას დაჟინებული თხოვნით გაღმაუბნის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ დაიწყო მუშაობა. ისე, მისთვის რომ გეკითხათ, კოლას ისევ „გველისწყაროზე“ მწყემსად ან ფერმის გამგედ ერჩია მუშაობა, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხა ჩიქვინიანთ კოლას მისი მოადგილე ყოფილიყო. „თამარაანთ კოლა“ ერთი იმათგანი იყო, ვინც დაძახებისთანავე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. იბრძოლა სახელოვნად და ბრძოლა უნგრეთში ბალატონის ტბასთან დაამთავრა. უნგრეთის მიწამ მიიბარა მისი ნეშტი. სახლში კი დარჩა ცოლი – სონა, შვილები გოგია, ავთო და ტყუპი ვაჟი ივანე (ვალიკო) და ომარი. ტყუპები მამას არც უნახავს, ისინი მისი ომში წასვლიდან 3 თვეში დაიბადნენ.

ალ. ელერდაშვილი

ლეონ ბერბიჭაშვილი

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში 1907 წელს. ორი კლასის განათლების მქონემ ზეპირად იცოდა ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება. ენაწყლიანსა და ტკბილმოუბარს ხშირად თამადად ირჩევდნენ. ვაჟას შემოქმედებასა და ქართულ პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა ჭიდაობდა მთელი თავისი შეგნებით, სიყვარულით. 23 წლისა საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში. ჭიდაობის ილეთებს ხშირად თავად იგონებდა დღეობებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობისას. მასთან უყვარდა ურთიერთობა ქართული ჭიდაობის მოტრფიალეს შალვა გზირიშვილს. მათი მეგობრობა კი მხოლოდ საგარეჯოდან არ დაწყებულა. სამამულო ომში დათას ბატალიონი მიწის სამუშაოებს ასრულებდა თურმე. მანქანის ძარაზე ჯარისკაცებს შორის დათას საგარეჯოელი შალვა გზირიშვილი დაუნახავს და ისე გახარებია, რომ მისი სიხარული უფროსებს არ გამოჰპარვიათ. დათას თურმე როგორც ქართველს და ჯარისკაცებს შორის ბეჭდაუდებელ ფალავანს "სტალინს" ეძახდნენ. უკითხავთ, "სტალინ", ვისი დანახვა გაგიხარდაო. უფროსობას შალვა დათასთან გადაუყვანიათ და მისივე თხოვნით სამზარეულოში გაუმწესებიათ შალვა გზირიშვილი. ამიტომაც იყო, შემდეგში ხშირად იტყოდა ხოლმე თურმე შალვა გზირიშვილი – თუ ცოცხალი დავრჩი, დათას უნდა ვუმადლოდეო, რადგან ჭამისმოყვარულ შალვას მისივე თქმით ისე გასქელებია კისერი, ვეღარ ვმოძრაობდიო... დათა ომიდან საკუთარ ლექსებს წერდა შვილებს, ამხნევებდა, ეფერებოდა, ლექსებით ესაუბრებოდა ფრონტისკენ თვალდარჩენილ ოჯახს ...

1944 წელს დათა კოჭლამაზაშვილი ომის წინა ხაზზე მიღებული მძიმე ჭრილობების გამო სამშობლოში დაბრუნდა. ჭიდაობის დიდი გულშემატკივარი თავისი სპორტული წარსულით დიდხანს ამაყობდა ...

1975 წელს პირველ სახალხო ზეიმზე "გარეჯობაზე" ჭიდაობაში მონაწილეობის მიღება დავით კოჭლამაზაშვილს თავად საგარეჯოს მაშინდელმა რაიკომის პირველმა მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა სთხოვა. დათა მაშინ უკვე 61 წლის იყო. ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედანზე ათი წლით უმცროს პატარძეულელ მოჭიდავეს დაჭიდეს ინვალიდი კაცი. დათამ იმარჯვა – 61 წლის ასაკშიც გაამართლა ბეჭდაუდებელი საგარეჯოელი ფალავნის სახელი...

ტანმორჩილი იყო, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი. 300 კილოგრამიან ყურძნით სავსე გოდორს მარტო მოიკიდებდა და მანქანაზე მარტო მიიტანდა დაუხმარებლად. ჩუმი, უპრეტენზიო კაცი იყო თავის თავის მიმართ. თავის გამოჩენა არ უყვარდა სიტყვაწყლიანს. უკვირად, როცა მის სპორტულ მიღწევებსა და შესაძლებლობებზე საუბრობდნენ – ეგონა, ყველა კახელი, ქართველი ასეთი უნდა ყოფილიყო. რადაც ფანდი იცოდა, მოხერხებული, რომლითაც ყველას ამარცხებდა.



საგარეჯოში ჩამოსულმა რეჟისორებმა მოახერხეს და რამდენიმე ფილმში გადაიღეს, მათ შორის – "ჩემპიონის დაბადება", "ჭიდაობას რა უნდა"

დავით კოჭლამაზაშვილის დაკრძალვაზე, ქალბატონმა **ლია ბერბიჭაშვილმა** ლექსი მიუძღვნა ბეჭდაუდებელ ფალავანს

დათა ძიას !

ლექსს ვაზის ცრემლად დავწურავ ჩუმად,
და ისევ ჩუმად გულზე დაგაფრქვევ,
თავად ლექსების მუზას ეტრფოდი,
და ბევრი ლექსი სანთლად აინთე!
მაინც რა ძალით გიყვარდა – ვაჟა,
თითოეულ სტრიქონს ეფერებოდი,
ყოველ ცისმარეს, ყოველ განთიადს
დიდი გულით და ლექსით ხვდებოდი.
დიდი გული და დიდი ფიქრები,
სულ თან დაგქონდა ხანდაზმულს, ფეხმარდს,
ნეტავ თუ დარჩა ამ სოფლად კაცი,
ტკბილი და თბილი სიტყვა არ გეთქვა...
ლექსს ვაზის ცრემლად დავწურავ ჩუმად,
არა, არ მინდა ცრემლით გიტირო,
ამ ლექსით გეტყვი, რისი თქმაც მსურდა,
იქნებ, როგორმე გადმოგიბირო ,
როს დაგვესიზმრო, ხანდახან მაინც,
როს შენი ხილვა იყოს კეთილი
იყოს ეს ლექსიც ხსოვნა კაცისა,
კი არ მომკვდარის, მხოლოდ შეცვლილის.
ახალგაზრდობის ყოველი ლექსი,
სანთლად აგენთოს, გზა გაგინათოს,
მადლი შენს შვილებს, დე, უშენოდაც,
კვლავ იღიღინონ: "შენ ხარ ვენახო",
მუდამ ისმოდეს შენი კერიდან,
ამაყი კაცის ამაყი სიტყვა
შენს შვილებსა და შენს შვილიშვილებს,
ვერ მოერევა ვერავინ – მითქვამს.

არსენ მეკოკიშვილი

კაცი — ლეგენდა

პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი
მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში
სსრ კავშირის 17-გზის ჩემპიონი მძიმე წონაში

"მაყურებელმა გულწრფელად შეიყვარა ქართველი ფალავანი არსენ მეკოკიშვილი თავისი ცეცხლოვანი ტემპერამენტის გამო, გოლიათი საგარეჯოელი მოჯიდავე ქართული სარმით ცელავდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტებს და იოლად იკაფავდა გზას ჩემპიონობისკენ. ამ გამარჯვებათა საკირკველი კვლავდაკვლავ ქართული ჯიდაობის სწორუპოვარი ილეთები იყო." (რ. კრიჭინაშვილი "ქართული ჯიდაობის მატიანედან")

არსენ მეკოკიშვილის გახსენება

მასაც ეხატა ბეჭზე არწივი
იმ ჩამოჯანდულ, მდელვარ დროისა.
მაინც იცოდა ვისი ძე იყო,
ვისი ჯიშის და ვისი გორისა.
ერთ დღესაც, როცა ჯაჭვის პერანგი
თუ საჭიდაო ჩოხა ჩაიცვა,
მთელი ხმელეთი ზურმუხტისფერი
საასპარეზო გახდა ხალიჩა...
სახელ-დიდების გაფრინდა რაში,
ფლოქვების ელვა კრთოდა იორღის,
გიორგიწმინდა მკლავს თუ უწვრთნიდა,
სულს – უტეხობა წმინდა გიორგის.
შაირმესიტყვის ამ მესტვირულზე
უტკბება ივრის ნიავ-ქარს ენა,
ძველებურით რომ ამოთქვამს
სიტყვით: - არსენა იყო და იარსენა.
ზოგმა ცა ქუდად არ მიიჩნია
და დედამიწა კიდევ ქალამნად,
მან კი ქედდრეკით იგოლიათა
იჩემპიონა და იფალავანა.

ანზორ აბულაშვილი

ჯიდაობა სპორტის უძველესი, უბერებელი და უსაყვარლესი სახეობაა, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ყოფილი საბჭოეთის ყველა რესპუბლიკაში და კერძოდ, საქართველოში. იგი შეადგენდა რესპუბლიკის ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს მხარეს – არც ერთი დღესასწაული და ზეიმი ისე არ ჩაივლიდა, მოჭიდავეთა შეჯიბრება რომ არ გამართულიყო.

როგორც ცნობილია, არსენ მეკოკიშვილი მევენახედ მუშაობდა კოლმეურნეობა "საამურ ცხოვრებაში".

არათუ ახლო-მახლო სოფლებში, არამედ მთელ საქართველოშიც ვერ ნახავდით მეორე ასეთ დევგმირს. სხვებზე ერთი თავით მაღალ, ბრგე, მხარბეჭიან არსენს, თითქოს უფალმა დაანათლაო ყველა ის ღირსება, სწორუპოვარ ფალავანს რომ უნდა ჰქონოდა. მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული ქართული ჭიდაობის საიდუმლოებანი – მისი შუაკაურ-გარეკაურებით, სარმებითა და ცერულებითურთ, რამაც დიდი გავლენა მოახდინა სპორტულ სარბიელზე არსენ მეკოკიშვილის ძლევამოსილ გამოსვლებზე.

ეს იყო მრავალნაკადი ათლეტი, სპორტული ჭიდაობის უბადლო მცოდნე, რომელიც ოსტატობით ათი თავით მაღლა იდგა ნებისმიერ მეტოქეზე და თავისი ბრწყინვალე ტექნიკით, ჭიდაობის ყველა სახეობის უზადო ცოდნით საუკეთესო სპეციალისტებსაც კი აოცებდა. ეს იყო კაცი ლეგენდა, რომლის მომრევი არ გამოჩენილა საერთაშორისო ასპარეზზე. პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის ჩემპიონი. ეს ტიტული მან მოიპოვა 1956 წელს 44 წლის ასაკში.

დასანანია, რომ ეს ლეგენდარული მოჭიდავე შედარებით გვიან გამოჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე – საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა XV ოლიმპიურ თამაშებში, როდესაც არსენა უკვე 40 წლისა იყო.

ეს დარბაისელი, მშვიდი, მხიარული და სულგრძელი დევკაცი, თავისთავადი, ყველასგან გამორჩეული, ძლიერი და გულუხვი, უჩუმრად სთესდა სიკეთეს, ყოველთვის მზად იყო მხარში ამოდგომოდა მოყვასს.

ასეთად დაგვამახსოვრდა არსენა. მეგობრები ყოველთვის სიამაყისა და აღტაცების გრძნობით იგონებენ არსენ მეკოკიშვილს – ნამდვილ დევგმირს, სიკეთითა და სულგრძელობით გამორჩეულ ადამიანს.

მიხეილ ტიხომიროვი,
მსოფლიო სამოყვარულო ფედერაციის პრეზიდენტი,
რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი.

* * *

„**ქართული** ჭიდაობა უბრალოდ ჭიდაობა არ არის. ეს – ჭიდაობა-ცეკვა, ჭიდაობა-სიმღერა, ჭიდაობა-ცხოვრებაა. თვით ბუნება კარნახობს მოჭიდავეს ილეთებს. როგორც ვაზი ეხვევა საკუთარ ღეროს, ასევე ახვევს ფეხს მოჭიდავე თავის მეტოქეს. მოიქნევს, მიწაზე დასცემს და შეტევის დროს მის ფეხის გულებს მხიარულ მზეს დაანახვებს.

იოსების ერთ-ერთი ვაჟის – ფიდოს ფეხის გულები არასოდეს არ დაუნახავთ არც ადამიანებსა და არც მზეს. ღონიერი იყო, მხარბეჭგაშლილი, საბერველივით მკერდი ჰქონდა, ზურგს კი, რომ იტყვიან, თვალით ვერ გასწვდებოდი. ფიდო მეკოკიშვილს, როგორც მოჭიდავეს, ორი ნაკლი ახასიათებდა – უზომოდ გულკეთილი და დინჯი იყო, მაგრამ შეიძლება სწორედ ამიტომაც უყვარდა ხალხს თავისი ფალავანი. ასე ხიბლავდა მისი კეთილი ღიმილი.

1912 წელს ფიდო მამა გახდა. ბიჭს არსენა დაარქვეს. თავის წიგნში „ფალავნების მწყობრში“ არსენ მეკოკიშვილი დაწერს: „პირადად მე არასოდეს მინახავს, როგორ ჭიდაობდა მამაჩვენი უბნის მოჭიდავეებთან. 5 წლის ვიყავი, ის რომ მოკვდა“...

პაპა იოსებმა არსენს მამის მაგივრობა გაუწია. ძველ მეცხვარეს ბიჭი მთაში დაჰყავდა. მკაცრად და უბრალოდ ზრდიდა. მხოლოდ იშვიათად გადაუსვამდა ხოლმე თავზე ხელს და ეუბნებოდა: „მამას გავხარ, არსენ, მამას!“19 წლის ასაკში არსენ მეკოკიშვილი 90 კილოგრამს იწონიდა და ბევრი ცნობილი მოჭიდავე ჰყავდა დამარცხებული. მისმა მეგობარმა საგარეჯოელმა მჭედელმა შალვა გზირიშვილმა, რომელთანაც არაერთხელ უჭიდავია, ურჩია თბილისში წასვლა და იქ ნამდვილი მწვრთნელის მოძებნა. თბილისში ნიჭიერ ყმაწვილს მასავით თვითნასწავლი სოფლელები ასწავლიდნენ. მისი აღზრდისათვის გარკვეულ შრომას ეწეოდნენ გზირიშვილი, ადეიშვილი, თომაშვილი, ხერხეულიძე, ქურხული და კანდელაკი.

ქართული ჭიდაობა მეკოკიშვილის პირველი სპორტული აკადემია იყო. იგი საქართველოს მრავალგზის აბსოლუტური ჩემპიონი გახლდათ, მაგრამ მან მეორე აკადემიაც გაიარა – საკავშირო. იგი ჭიდაობის სამ სახეობაში გამოდიოდა – თავისუფალში, კლასიკურსა და სამბოში. იგი 1939 წელს კლასიკურ ჭიდაობას სულ არ იცნობდა. 1940 წელს მან პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა იმ სახეობაში, რომელიც ასე ძალიან ჰგავდა მის მშობლიურ ქართულ ჭიდაობას. ომის შემდეგ მეკოკიშვილი სსრ კავშირის უცვლელი ჩემპიონი იყო სამბოში. რვაჯერ მიიღო ოქროს მედალი. 1945 წლიდან მან ცხრაჯერ მოიგო სსრკ-ს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. 1954 წელს მეკოკიშვილმა მოიგო ჩვენი სპორტსმენებისათვის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ტოკიოს ხალიჩაზეც არავინ აღმოჩნდა 42 წლის კახელი გლეხის სწორი. **მარდი ფინელი ტოისტო კანგასნიემი და ფრთხილი უნგრელი ნოტნი ნერენი არსენამ შოთებივით გააკრა ხალიჩაზე. ახალგაზრდა ირანელმა მოჭიდავემ ახმედ ვაფადარმა და შეუპოვარმა თურქმა ირფან ათანმა ქულებით წააგეს.**

შვედი „ლომი“ ბერტიო ანტონსონი ოლიმპიურ ჰელსინკში წაგებისათვის მასთან რევანშის აღებას შეეცადა. ის მეკოკიშვილზე 10 წლით უმცროსი იყო და გადაწყვიტა იმ დონემდე დაექანცა, რომ ქართველს კი არ ებრძოლა ხალიჩაზე, არამედ „ეცურავა“. მოჭიდავეები ამას „ჟანგბადის გადაკეტვას“ ეძახიან. ისე გამოვიდა ორთაბრძოლის დროს, მეკოკიშვილმა იქით „გადაუკეტა ჟანგბადი“ მეტოქეს. არსენაც ძალიან დაღლილი იყო მაგრამ ფეხზე მაინც მტკიცედ იდგა, ხოლო ანტონსონმა „ცურვა“ დაიწყო. ასე გასცურა მან სახლში ვერცხლის მედლით.

44 წლის ვეტერანი საბჭოთა კავშირის I სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. არასოდეს, არც ერთ საბჭოთა მოჭიდავეს არ მოუპოვებია ამ ასაკში ქვეყნის უმაღლესი სპორტული წოდება.

არსენ მეკოკიშვილი დაუმარცხებელი წავიდა თავისუფალი ჭიდაობიდან. ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონაში ყოველთვის პირველი იყო.

ყველას ახსოვს მეკოკიშვილისეული ცნობილი სარმა. მთავარი საიდუმლო კი იმაში იყო, რომ შემტევი მძლავრად ცელავდა მეტოქის ფეხს. საიდუმლოება მეკოკიშვილის მოქმედებების სინქრონულობაშიც იყო: **მარჯვენა ხელით იგი მოწინააღმდეგის მარცხენა ხელს გლეჯდა, მარცხენა ხელით კი მეტოქეს კისერში, ასევე, მარჯვნიდან აწვებოდა – ამით მის მარცხენა ფეხს ტვირთავდა. სიმძიმის ცენტრი ამ ფეხზე გადაჰქონდა და ამის მერე ურტყამდა თავის მარჯვენა ფეხს მოწინააღმდეგეს დატვირთული ფეხის კოჭში. ვინ გაუძლებდა, როცა ეს სამივე შემტევი ქმედება ერთიანდებოდა და სინქრონულად ტარდებოდა.**

მასალა მომზადებულია იან დიმოვის წიგნის „საჭიდაო ხალიჩის რაინდების“ მიხედვით

ჭიდაობა და მეკოკიშვილების ფალავანთა დინასტია

მამაჩემი, ფიდო მეკოკიშვილი, გიორგიწმინდის უპირველესი მოჭიდავე და აღიარებული ფალავანი იყო. ეს საპატიო წოდება მოპოვებული ჰქონდა უამრავი გამარჯვებებით სოფლის დღესასწაულებზე, რომელთაგან ერთიც არ დამთავრდებოდა ისე, მოჭიდავეთა ტურნირი რომ არ გამართულიყო. ჩვეულებრივ, ყველაზე დიდი შეჯიბრება ეწყობოდა შემოდგომაზე, რთველობის შემდეგ და გიორგობის დღესასწაულზე.

მოედანზე, ეკლესიის წინ, ხალხი დილიდან იყრიდა თავს. მაყურებლები წრეში დგებოდნენ... ცოცხალი წრე თანდათან უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, და მაშინ, რამდენიმე კაცი, ძირითადად უფროსები, კეტებს იღებდნენ ხელში, ატრიალებდნენ და აიძულებდნენ ყველაზე სულწასულ გულშემატკივრებს, წრე გაეშალათ; ზოგს რა თქმა უნდა, ფეხებშიც ხვდებოდა, მაგრამ ეს არავის სწყინდა: კეტის დარტყმა წიპურტია იმ სიამოვნებასთან შედარებით, რომელსაც ჭიდაობის ყურება განიჭებს!

პირველ რიგებში ისხდნენ მოხუცები, ჭიდაობის უბადლო მცოდნენი და მკაცრი მსაჯულები; იქვე, ბალახზე, მოიკალათებდნენ ხოლმე დამკვრელები, თავიანთი განუყრელი ზურნა და დოლი რომ ჰქონდათ მომარჯვებული. პატარა ბიჭები, კედლად აღმართულ



უფროსებში რომ ვერ გამოეღწიათ, და მხოლოდ წინ მდგომთა ზურგებს ხედავდნენ, ჩვეულებრივ, ხეზე ადიოდნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს ჭიდაობას. უნდა ითქვას, რომ მათ შურის თვალით უყურებდნენ შედარებით უფროსი ყმაწვილები, სადღესასწაულო შარვალ-კოსტუმებში რომ გამოწყობილიყვნენ და თავს ვალდებულად თვლიდნენ, ისე მოქცეულიყვნენ, როგორც დარბაისელ ხალხს შეჰფეროდა.

სწორედ ასეთ დღეებში ჩამოდიოდა გიორგიწმინდაში პაპაჩემი იოსება. მას დევკაცების დათვალიერებაზე მოჰყავდა შვილები – გიორგი, ნიკო, სოლომონი, მიხეილი და ფიდო. თმაჭაღარა მწყემსს დიდსულოვნად უთმობდნენ საპატიო ადგილს – გაიხაროს, დატკბესო თავისი ვაჟკაცების ჭიდაობით.

ამასობაში კი წრეში შემოდიოდა მოჭიდავეთა პირველი წყვილი. მათ ტრადიციული ჩოხები ეცვათ, მკერდი მოეღელათ, სახელოები მხრებამდე დაეკაპიწებინათ, ხოლო ჩოხის კალთები ქამარში ჩაეკეცათ. მოჭიდავის "ფორმას" ავსებდა განიერი შარვალი და ჩუსტი ან ქალამანი. თუმცა, ზოგი ფეხშიშველიც გამოდიოდა.

და აი, უეცრად აჭყვიტინდებოდა ზურნა, და დიმპიტაურის ხმაზე მეტოქენი, აქამდე ერთმანეთს შორიდან რომ ზვერავდნენ, შესარკინებლად დაიძვრებოდნენ. საჭიდაოს ხმა მაყურებელსაც აანთებდა: ტაშისცემას მოჰყვებოდნენ, ზოგი კი სიმღერას იწყებდა: "ჭიდაობას რა უნდა, ფეხის გამოკვრა უნდა..."

ქართული ჭიდაობა – შეტევის და თავდაცვის ილეთებით აღსავსე ვირტუოზული ორთაბრძოლა – მართლაც იშვიათი სანახაობაა. როგორი ღონიერიც უნდა იყოს, თუ ხერხი აკლია, მოჭიდავე აუცილებლად წააგებს, ვინაიდან სხარტი მეტოქე ყოველთვის მოუძებნის "გასაღებს" – უეცრად გამოჰკრავს სარმას ან თვალის დახამხამებაში წამოაგებს გარეკაურზე, და მაშინ ფეხზე ვეღარ დადგება. ანდა მოგვერდით დასცემს მიწაზე.

ხუთ წუთს გრძელდება ბრძოლა – ძალისა და სიჩაუქის შერკინება. აი, ერთმა მოჭიდავემ შუაკაური გამოსდო მეორეს, ღონივრად სტაცა ხელი ჩოხაში და მოიქნია. უსაყრდენოდ დარჩენილი მოწინააღმდეგე წამით ჰაერში ეკიდება, მერე კი, მიწისაკენ რომ მიექანება, ცდილობს, ამოტრიალდეს და დაეცეს გვერდით ან მკერდით, - ასეთ შემთხვევაში ორთაბრძოლა გაგრძელდება, რადგან ბეჭები არ შეხებია ბალახს.

მაყურებელს სულ უფრო უჭირს, დაიოკოს მოთმინება: რა ხდება, მათ საყვარელ მოჭიდავეს აკლია შეუპოვრობა თუ დამკვრელებმა ვერ შეუნთეს ცეცხლი?

"დედალ მოჭიდავეს ვერავითარი დიმპიტაური ვერ უშველისო",- ამბობენ მცოდნენი. კარგი სპორტსმენი დოლის დარტყმებს შუა ასწრებს მოეშვას, სული მოითქვას, რათა ახალი ძალით ეკვეთოს მეტოქეს.

ფიდო მეკოკიშვილს დამკვრელების შენთება არ ჭირდებოდა. ეს მთასავით კაცი მარტო თავისი შესახედაობით თავზარს სცემდა მოწინააღმდეგეს; იგი გაუბედავად უმალავდა ფეხს მრისხანე ფალავანს, ცდილობდა, გაეძლო დაწესებული ხუთი წუთი ან, ყოველ შემთხვევაში, ცოტათი მაინც მოეგო დრო. მაშინ ფიდო ეშმაკობას მიმართავდა: არ ჩქარობდა, ამით ამშვიდებდა მეტოქეს, და მერე თავბრუდამხვევი ფანდების კორიანტელს უყენებდა.

მე პირადად არ მინახავს, როგორ ჭიდაობდა მამა, როგორ სდებდა ორივე ბეჭზე ახლო-მახლო სოფლების უძლიერეს ფალავნებს – იგი მაშინ გარდაიცვალა, როდესაც ხუთი წლისა ვიყავი, 1917 წელს. მამაზე, უმთავრესად, პაპაჩემი მიამბობდა, ყველაფერს წუთისოფლის სიმუხთლეს აბრალებდა. "ფიდოს ვერანაირი ავადმყოფობა ვერ ერეოდა, - ამბობს იგი, - მაგრამ აი, რაღაც ჯანდაბად გაჩნდა "ისპანკა" და ეს მთასავით კაცი მოინელაო".

მამაზე ბევრი მსმენია მერეც, როცა უკვე ცნობილი მოჭიდავე, რესპუბლიკაში პირველი ფალავანი გავხდი. "მაგარია არსენა, ვერაფერს იტყვი, - ეუბნებოდნენ ერთმანეთს მოხუცები, - მაგრამ ფიდოსთან რას მივა, ფიდო თვით სანდრო კანდელაკს დაეჭიდებოდაო". კანდელაკის სახელი იმ დროს მთელ კავკასიაში ქუხდა.

მეკოკიშვილო არსენ !

"შენი ჭირიმე, არსენ!"
წამოძახილი დარბაზიდან.
შენი ჭიდაობა მინახავს არსენ,
მეკოკიშვილო, - საუკუნის ფალავანო !
გატინებულო მძლე რაინდო,
კლდის ნატეხარო ! ...
ივრისპირეთის შე, ლაბა ხარო!...
ივრის ზვირთებმა გამოგზარდეს,
გაგბანეს მკერდი,
იყავ ფალავანთ ფალავანი,
მხოლოდ შენ ერთი ! ...
ყველამ ხომ ვიცით,
იმ კაცივით რომ ფალავნობდი,
შენ ღონით იყავ,
ის ჭკუით იყო ფალავანი.
სიტყვა არ მყოფნის
შენს გმირობაზე ვწერო,
მოუძებნელო,
გადაკარგულო წერო !

სილოვან ნარიმანიძე
1973 წელი

1. მოგონებების წიგნი "დევგმირთაგანი" (ი. ბორისოვის "ლიტერატურული ჩანაწერები") 1959 წ. გამომცემლობა "ფიზკულტურა და სპორტი"
2. ბიოგრაფიების სერიალი "გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება" – 1982 წ. გამომცემლობა "ახალგაზრდა გვარდია"
3. ვიქტორ განჩეკის ნარკვევები.

საქართველოს ჩემპიონი
(მოგონებები)

კველი თბილისის ცირკში შეჯიბრების პირველი დღე ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, სრულიად ჩვეულებრივი მეჩვენება. მე შევხვდი ვახტანგ ჭიჭინაძეს და დავამარცხე. ეს გახლავთ, ასე ვთქვათ, შიშველი სქემა.

უნდა იცოდე თბილისელი მაყურებელი – მხურვალე, გულისხმიერი, თავგამოდებული, უდრეკი თავის სიმპათიებში. ასეთ მაყურებელს ვერ გააკვირვებ ლამაზი მოგვერდით, ოსტატური შუაკაურ-გარეკაურით თუ ძალისმიერი შეტევით – დარბაზში მსხდომთაგან ნებისმიერ კაცს შეეძლო, გამოსულიყო ნახერხმოყრილ არენაზე და დაგჭიდებოდა. თბილისელ მაყურებელს, ვიმეორებ, ვერ გააკვირვებ, მაგრამ სულ იოლად შეიძლება აუცრუო გული.

წარმოიდგინეთ აგრეთვე, ჩემი მეტოქე ვახტანგ ჭიჭინაძე, დედაქალაქისა და საქართველოს ჩემპიონი. ჯერ არ გამოჩენილა არენაზე, მაგრამ დაზვერვაზე გამოსულ მაყურებელთაგან ვიღაცამ უკვე დაინახა, დერეფანში თამაშ-თამაშით რომ მოდიოდა, საუცხოო, საბრძოლო გუნებაზეაო. და იმავ წამს რიგებს გადაუარა ჩურჩულმა: “ ვახტანგი ემზადება...”, “ვახტანგმა თქვა შევეცდები, დროზე ადრე მოვრჩეო”...ვერაფერი სასიამოვნო ამბავია ამის მოსმენა განთქმული ფალავნის მეტოქისთვის, რომელმაც უამისოდაც ბევრი რამ იცის ჭიჭინაძის უძლეველობის შესახებ.

ვახტანგს, უკანასკნელი ორი წელიწადი, არავისთან არ წაეგო. იმხანად იგი ახალგაზრდა იყო და ახალგაზრდულად პატივმოყვარე, გამოირჩეოდა ძალითა და სისწრაფით. ჭიჭინაძე ამჯობინებდა ხანმოკლე ტემპიან ორთაბრძოლებს, მაგრამ შეეძლო შეუპოვრობა და მოთმინება გამოეჩინა, როდესაც ბრძოლის პროცესში უხდებოდა ხელიდან გაშვებული უპირატესობის ანაზღაურება, ინიციატივის დაბრუნება.

ერთი სიტყვით, ეს იყო გულადი და მრავალნაცადი ათლეტი, რომელმაც ჭიდაობის ფასიც იცოდა და მეტოქეებისაც. მაგრამ მეკოკიშვილის გვარმა, რომელიც არც კი სმენოდა, არ დააფიქრა, არ მოანდომა წინასწარ გამოეკითხა ჩემი ამბავი, “არენაზე გავიცნობო” – ფიქრობდა, ალბათ ჭიჭინაძე.

ჩემპიონმა კარგა ხანს ალოდინა დარბაზი. ვიდექი მარტოდმარტო ჩაბნელებული, მოგუგუნე დარბაზის წინაშე და არ ვიცოდი როგორ დამეჭირა თავი გაჩახჩახებულ არენაზე. ყველა მე მომჩერებოდა – აშკარად ვგრძნობდი – დაუფარავი, დამცინავი ინტერესით, და თავით ფეხამდე მათვალიერებდა. ჭიჭინაძეს შეეძლო ეამაყა ერთგული თაყვანისმცემლებით.

ვახტანგის გამოჩენამ დარბაზში გამოცოცხლება გამოიწვია. ჩემპიონმა თავი დაუკრა მაყურებლებს. ჩოხა მჭიდროდ ეკვროდა ოდნავ დაქანებულ ბეჭებზე, - ძლიერი, გამოზნექილი მკერდი და წვრილი წელი ძალასა და მოქნილობას მოწმობდნენ.

ჩვენ წრის შუაგულში შევხვდით ერთმანეთს. ვახტანგს სწრაფი და მაგარი ხელის ჩამორთმევა ჰქონდა; წამით დავინახე, როგორ უცინოდა მეტოქეს თაფლისფერი თვალები, მერე ცირკი თითქოს რაღაც ბიძგმა შეაქანაო, და მე, საბოლოოდ რომ არ გამომცლოდა საყრდენი, იძულებული შევიქენი, ჩამემუხლა. როდესაც წამის შემდეგ წამოდგომა ვცადე, ვიგრძენი როგორ მაწვებოდა მხრებზე ჭიჭინაძის ბათმანიანი ტორები. ვერ მივმხვდარიყავ, როგორ გამომკრა სარმა.

მთელი დარბაზი ვახტანგს ამხნევებდა, ამფითეატრის ბოლო რიგების სიმაღლიდან, როგორც მთიდან, ცხელი, სულთამხუთავი ზავივით მოდიოდა მაყურებლის გუგუნი, და, ჭიჭინაძის ხელებთან ერთად წარმოუდგენელ სიმძიმედ მაწვებოდა მხრებზე. ვახტანგი ჩქარობდა, მოწინააღმდეგე უკვე გატეხილი, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ დაშფრთხალი ეჩვენებოდა. ეს მარცხი მეკოკიშვილს სიმხნევეს არ შემატებს, და, მაშასადამე, შემიძლია გადამწყვეტ მოქმედებაზე გადავიდეო.

ჭიჭინაძე ერთხელ კიდევ შეეცადა, ძირს დავეგდე, მაგრამ დავასწარი და განზე გავხტი. წინ წამოსული ვახტანგი სიცარიელეს წაეპოტინა. ამ მოძრაობას მყარს ვერ უწოდებ, და მეც იმავე წამს ვიხელთე დრო, ვისარგებლე ჭიჭინაძის შეცდომით: ელვისებური სარმით ჩემპიონი ნახერხზე მოვისროლე. ახლა ჩვენ უკვე თანაბარი რაოდენობის ქულები გვქონდა.

ჭიჭინაძემ სიფიცხეს მოუკლო, ეტყობა, ჩემს მიმართ რაღაც პატივისცემისმაგვარი იგრძნო. ახლა ფრთხილი და ანგარიშიანი მეტოქე გაცილებით უფრო საშიში იყო, ვიდრე თავბრუდამხვევ შეტევაზე გადმოსული ჩემპიონი, რომელსაც არაფრის ეშინია.

ორთაბრძოლის ტემპი მაშინვე ჩაცხრა. დარბაზშიც იკლო გუგუნმა. როგორც ცნობილია, ქართულ ჭიდაობაში ორთაბრძოლა მიმდინარეობს მხოლოდ დგომში – აქ არ არის ეგრეთ წოდებული ჩოქბჯენი, როდესაც მეტოქეები დაბლა, ხალიჩაზე ჭიდაობენ და ერთი მეორის ამობრუნებას ცდილობენ.

სწორედ ამიტომ არის ქართულ ჭიდაობაში ასე ვირტუოზულად დახვეწილი სარმა, ცერული, კაური, ღოჯური, კისრული, რომელთა მეშვეობითაც შეგიძლია, მეტოქე მიწაზე დააგდო. გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც შეძლებს მოწინააღმდეგის ბეჭებზე დადებას, - ასეთ გამარჯვებას სპორტულ ენაზე წმინდა ეწოდება. ეს უცილობელი მოგებაა, რომელსაც ხამი მაყურებელიც კი ხვდება, მაგრამ არც თუ იშვიათად, ორთაბრძოლის დრო ისე ამოიწურება, რომ წმინდა მოგების მომტანი “სნაიპერული” ილეთის ჩატარება ვერ ესწრება; მაშინ შეხვედრის ბედს წყვეტენ მსაჯები. ისინი ითვლიან, რამდენი გდება აქვს აქტივში ერთსა და მეორე მოჭიდავეს, ვის მხარეზე იყო ინიციატივა, ვინ უფრო მარჯვედ იცავდა თავს, და ამის შედეგად განსაზღვრავენ გამარჯვებულს. ასეთ გამარჯვებას ქულებით მოგება ეწოდება, ვინაიდან თითოეულ ილეთს აქვს გარკვეული შეფასება – სამი, ორი, ერთი ქულა, მისი ეფექტიანობის კვალობაზე.

ვერც მე და ვერც ჭიჭინაძემ წმინდა გამარჯვებას ვერ მივაღწიეთ. როდესაც შეხვედრის ხუთივე წუთი ამოიწურა, მსაჯებმა თათბირი დაიწყეს და დიდხანს ვერ გამოიტანეს გადაწყვეტილება. აღმოჩნდა, რომ ორივეს თანაბარი რაოდენობის ქულები გვქონდა, რაც ფრეს ნიშნავდა. მაშინ შემოგვთავაზეს გვეჭიდავა კიდევ სამ წუთს – ამ დამატებით დროში რომელიღაც ჩვენგანს უპირატესობა უნდა მოეპოვებინა.

ჭიჭინაძეს ვატყობდი, რომ დაიღალა. ტყუილად კი არ ამბობდა, ორთაბრძოლას ვადაზე ადრე დავამთავრებო – უბრალოდ, არ იყო მზად ხანგრძლივი ბრძოლისათვის. შავი ხუჭუჭა თმა შუბლზე ეწებებოდა; ჩემპიონი მძიმედ სუნთქავდა, ხვნეშოდა, მოძრაობაში აღარ ეტყობოდა წინანდელი სისხარტე, და მაინც, გამარჯვებისაკენ მიისწრაფოდა. მაგრამ ახლა ამჯობინა არა პირდაპირი, არამედ შემოვლითი გზა. ჭიჭინაძე მოთმინებით ელოდა, როდის მიეცემოდა მომენტი, რომ დრო ეხელთებინა; გამოცდილ ჩემპიონს იმის იმედი ჰქონდა, რომ “დიდ სარბიელზე” პირველად გამოსული მეკოკიშვილი უნებლიე შეცდომას დაუშვებს, საჭიროზე მეტად დატოვებს ღიად კორპუსს და მაშინ შეიძლება, ელვისებური, მოულოდნელი ილეთით გადაწყვიტო ორთაბრძოლის ბედი. ეს ტაქტიკა გარკვეულწილად გამართლებული იყო, ოღონდ იმ პირობით, თუ მასზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მეტოქეს. მე კი ფხიზლად ვიყავი, ვერიდებოდი მოუმზადებელ შეტევას და ასევე მქონდა შემონახული მოულოდნელი ფანდი. მესამე წუთი იწურებოდა, რომ დაღლილი ჩემპიონი მოგვერდით ცირკის არენის ნახერხზე დავანარცხე.

დარბაზში რამდენიმე წამით სიჩუმემ დაისადგურა. მაყურებლები გაოცებულნი დაჰყურებდნენ დამხობილ კერპს და ვერ გაეგოთ, რა მოხდა სინამდვილეში. ისინი თვით ჭიჭინაძემ გაარკვია მომხდარში. ჩამოიბერტყა თავისი ქულაჯიდან ნახერხი, მოვიდა ჩემთან და მდუმარედ გამომიწოდა მარჯვენა. ეს ხელის ჩამორთმევა ერთდროულად მოლოცვასაც ნიშნავდა და გამოწვევასაც. “ჩვენი დავა ჯერ არ დამთავრებულაო”,- თითქოს აცხადებდა ჩემპიონი. და ამ მჭერმეტყველურ ჟესტს მქუხარე ტაშით მიესალმა დარბაზი.

მე კი სულ არ მინდოდა მეფიქრა ვახტანგთან ხელახალ შეხვედრაზე – პირველობისათვის ბრძოლა ეს-ეს არის დაიწყო, და მე ახალი შეხვედრები, ახალი გამოცდა მელოდა. ძნელი გამოდგა ეს ორთაბრძოლები – მეტოქეები ჩემზე გაცილებით უფრო გამოცდილები იყვნენ – თანაც, მეტს იწონიდნენ. ქულებით მოვუგე აკაკი თათაძეს, ბეჭებზე გავაკარი უძლიერესი ცხინვალელი მოჭიდავე დიმიტრი ბესტაევი. ხოლო ფინალში დავამარცხე ახალგაზრდა გორელი მოჭიდავე ნაკასაშვილი.

გიორგიწმინდაში საქართველოს ჩემპიონად დავბრუნდი.

შალვა გზირიშვილი

“შალვა გზირიშვილი ძლიერი მოჭიდავე იყო. თავის საყვარელ ფანდს “წისქვილზე დატრიალებას” ეძახდა – მოწინააღმდეგეს ერთ ხელს მხარში ჩაავლებდა, მეორეს – ქამარში, მთელი ძალით ასწევდა, წისქვილის ქვასავით დაატრიალებდა, მერე ხელის ან ფეხის დახმარებით მეტოქეს ზურგზე დასცემდა”.

(რ. კრიჭინაშვილი “ქართული ჭიდაობის მატიანედან”)

შალვა ალექსანდრეს ძე გზირიშვილი 1931-1974 წლებში აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, – იგი იყო საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში 1934 წელს, ასევე საქართველოს ჩემპიონის ტიტული ჰქონდა 1938, 1940, 1945, 1947, 1950, 1951 წლებში. 1938-1939 წლებში მონაწილეობდა საკავშირო ფიზკულტურელთა აღლუმში, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში.

სპორტული მოღვაწეობის პარალელურად იგი ეწეოდა აქტიურ ორგანიზაციულ საქმიანობას რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. 1939-1959 წლებში ხელმძღვანელობდა საგარეჯოს რ-ნის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს. ამ ხნის მანძილზე რაიონის ქართულ მოჭიდავეთა გუნდი დიდ წარმატებებს აღწევდა რესპუბლიკის პირველობებში. მისი მწვრთნელად მუშაობის პერიოდში აღიზარდნენ საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენები – მოჭიდავეები: ***საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრკ ჩემპიონი სპარტაკ ქარსაულიძე, საქართველოს აბსოლუტური ფალავანი და მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ანზორ ზურაბაული, სპორტის ოსტატები ძმები ელერდაშვილები*** და მრავალი სხვა.

მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გახდნენ მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები: არსენ მეკოკიშვილი, ლევან თედიაშვილი, გივი ონაშვილი.

შალვა გზირიშვილი 1959 წლიდან მუშაობდა მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად 1974 წლამდე, სამეურნეო დარგში მოადგილედ. საგარეჯოს რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი წამყვანი იყო.. მან თითქმის ყველა სოფელში შექმნა ფიზკულტურული ძირეული კოლექტივები. მისი ფიზკულტურის კომიტეტში მუშაობის პერიოდში შეიქმნა მრავალი სპორტული მოედანი, როგორც საჭიდაო, ისე ფეხბურთის.

შალვა გზირიშვილმა თავისი სიჭაბუკე მოანდომა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს და ამ საქმეში იმოღვაწა 40 წელი. ამ ხნის განმავლობაში მას მიღებული აქვს მრავალი სიგელი და ჯილდო.

• • • •

ზღვა ხალხი მოაწყდა პეტრე-პავლეს კარებს. საფლავებზე მისულ მედოლე-მეგარმონეს ადგილი მიუჩინეს და წრე შეკრეს. გზირიშვილი მკლავის სიმტკიცეს მიენდო, მეკოკიშვილი – უჯიათ ფოლადს საკუთარი თავისას. შეიჭიდნენ და შეიბნენ...

მხოლოდ დოლის ბაგა-ბუგი ისმოდა, პეტრე-პავლეს კედელზე ნაკვეთი ფრესკებივით გაქვავებულიყო მაყურებელი. შეიჭიდნენ და შეიბნენ. მტვერი ადინეს პეტრე-პავლეს მიწას..

– ორთავეჯანიაო, გამოაცხადეს ბოლოს. ამ დღეს ძმობა შეჰფიცეს არსენ მეკოკიშვილმა და შალვა გზირიშვილმა.

გარეჯელმა ფალავანმა მითელ-მოთელა სოფლის მოედნები, ტანი აიყარა და ულვაშიც დაიმშვენა, ასპარეზი ეცოტავა და ახლა თოფში ჩადებული ტყვიასავით სოფლიდან გავარდნას ლამობდა. იმ ხანად კაკო ადეიშვილი ჩამოვიდა საგარეჯოში, კარგ თოფს კარგი მსროლელი გამოადგა! შალვა გზირიშვილი თბილისში გაიწვიეს საჭიდაოდ.

ჩავიდა და გარეჯული სიჩაუქე თან ჩაიტანა, ჭიდაობა პროფკავშირის ინიციატივით ტარდებოდა, მაყურებელი უთვალავი იყო და გამარჯვების წყურვილი დაუოკებელი. იმ ხანად შვიდჯერ იჭიდავა შალვა გზირიშვილმა, შუამავალმა მსაჯმა შვიდჯერ ასწია გაუდრეკელი მარჯვენა მაღლა... გამარჯვების მედალიონი მაშინ პირველად აბრწყინდა განიერ მკერდზე. შალვა იქვე დატოვეს სახელოსნო სკოლაში. ჭიდაობას კი მიშა შაოშვილი ასწავლიდა.

პეტრეპავლობას თბილისშიც ზეიმობდნენ, რასაც შემდეგ ჭიდაობა მოჰყვებოდა ხოლმე.

საგარეჯოში პეტრეპავლობამ გიორგიწმინდელ ვეფხვთან დააძმობილა. ეს გაიფიქრა, მკლავს გავუსინჯავო. მანაც ჯერ ერთთან მოსინჯა, მერე მეორესთან, ჭიდაობა ისე დამთავრდა, რომ პეტრეპავლეს ფრესკებს რომ ენახათ, ღიმილი მოერეოდათ...

თბილისიც აღარ ეყო საასპარეზოდ, მცხეთას აჰყვა და გორში ჩავიდა, სახელიანი დაბრუნდა იღბლიანი მონადირესავით, სწავლობდა და სხვებსაც ასწავლიდა. საგარეჯოში არტელის ხელმძღვანელობა მიანდეს, გორში მოჭიდავეთა დრო, ჩოხა მოირგო ბეჭზე და სცადა.

საკუთარ სახელს ამოფარებული „მოდი მნახე“ და „პადოშა“, ავლაბრის გარდა, თბილისის სხვა უბნებშიც ქუხდნენ. სახელები ეჩოთირა გარეჯელ მოჭიდავეს და გუნდის ჩამოყალიბება და მწვრთნელობა დაიწყო.

1938 წელს არსენ მეკოკიშვილი და შალვა გზირიშვილი თბილისში გამოიძახეს. მიზნები და ამოცანები აუხსნეს და ორი აწყვეტილი ვეფხვის ბოკვერი მოსამზადებლად ვახტანგ კუხიანიძეს მიანდეს. იმავე წელს მოსკოვში გაიწვიეს. კრემლის კედლებიდან დინჯად უცქეროდაო ულვაშიანი კაცი...

მომდევნო წელს კვლავ მოსკოვშია, როგორც ტანმოვარჯიშე, აკრობატი და მოჭიდავე.

1940 წელს საგარეჯოელი არსენ მეკოკიშვილი, შალვა გზირიშვილი, არჩილ ონაშვილი, გლდანელი იასონ დიღმელაშვილი, კასპელი არტაშ ბერუაშვილი, გორელი სანდრო ნაკაშაშვილი, დუშეთელი შალვა ნათელაშვილი და სხვები. მესამედ გაიწვიეს მოსკოვში საჩვენებლ ჭიდაობაზე... ამავე წელს ქართველი ფალავნები თბილისში დაბრუნდნენ, მტკვრის მარცხნივ, ლამაზ გორაზე აღმართულ ცირკის ახალ შენობაში იასპარეზეს. მეკოკიშვილი, გზირიშვილი, ონაშვილი – ასე განაწილდა ადგილები მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის.

კვლავ მოსკოვის გზა და ომმა მოუსწრო. იმ მძიმე წლებში კავკასიის მისადგომებთან იბრძოდა. ბრძოლით გაიარა გროზნო, უკრაინა, აზოვის ზღვა, მოლდავეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია...

...გამარჯვების პირველი შემოდგომა ჩამოთავდა, ნაომარი ვაჟკაცები მშობლიურ კერას უბრუნდებოდნენ, სოფლები და ქალაქები – მშვიდობიან ცხოვრებას. 1945 წლის 21 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო ცირკში, საღამოს, ჭიდაობა იყო დანიშნული. როგორც წესი, სხვა რაიონებს შორის საგარეჯოელებიც იყვნენ ჩამოსული. დრო დიდი იყო და გარეჯელმა მოჭიდავეებმა თბილისის ქუჩებში გაისეირნეს. ორმა მათგანმა ამირან არჩუაძემ და გიორგი ნარიმანიშვილმა თბილისის ვოგზალი აირჩიეს, იქნებ ჯარიდან მომავალი ვნახოთ ვინმეო.

მატარებელი ჩამოდგა. ამირანი და გიორგი თვალს არ უჯერებდნენ, ვაგონის კარებში შალვა გზირიშვილი გამოჩნდა.

– სადა ხარ აქამდე? – გაიხუმრა ამირან არჩუაძემ და ჯარისკაცს გადაეხვია.

– რა არის გეთაყვა, დავიგვიანე? – გულუბრყვილო ღიმილით შეეკითხა შალვა.

– როგორ თუ დაიგვიანე, ჩვენ განაცხადში შეგიტანეთ, აბა ჩქარა, ჩქარა ცირკში.

თურმე ვიღაცას მართლა შეეტანა შალვა გზირიშვილი განაცხადში, ხუმრობა გამართლდა. ძველმა მოჭიდავემ სამხედრო ფარაჯა გაიძრო და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კვლავინდებურად მკლავიც ერჩოდა და ღონეც – გაიმარჯვა და ვერცხლის თასი დაისაკუთრა.

დიდხანს რაიონის სპორტული კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა. იყო დრო, როცა გარეჯელ მოჭიდავეთა გუნდი ქუხდა და წლების მანძილზე არავის უთმობდა პირველობას. შალვა გზირიშვილის სახელთან, როგორც პედაგოგთან და ხელმძღვანელთანაა დაკავშირებული **ისეთი შესანიშნავი მოჭიდავეების გამოზრდა, როგორიც არიან ძმები თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილები, ნიკო მუჩიაური, გუგული ერბოწონაშვილი, ნუგზარ და ოთარ ბუზარიაშვილები, იოსებ თედიაშვილი, შაქრო ელერდაშვილი, ვალიკო ლაფერიშვილი, ილო ქვლივიძე, ანზორ ზურაბაული, გოგი გზირიშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, არსენ ჭინჭარაძე და სხვა მრავალი.** და გასაკვირი მაინც ის იყო, რომ 1954 წელს, 40 წლის ასაკში, შალვამ კვლავ სცადა ბედი და გამარჯვებულმა დატოვა საჭიდაო ხალიჩა.

ვ. ჩეკურიშვილი

გაზეთი „ივრის განთიადი“ 1974წ.

სონკა კოჭლამაზაშვილი

დაიბადა საგარეჯოში 1914 წელს, სოფელ გიორგიწმინდაში. სკოლაში სწავლისას გამოირჩეოდა სიბეჯითით და ნიჭიერებით. მეოთხე კლასის მოსწავლე თავისი გონებრივი შესაძლებლობებით მეექვსე კლასში გადაიყვანეს და მაშინდელი სკოლის დირექტორის სოლომონ გულისაშვილისთვის ერთ-ერთ საინტერესო მოსწავლეს წარმოადგენდა. ამასთან, ფიზიკური ძალა ჰქონია ისეთი, რომ ხშირად მასთან ჭიდაობაზე გამოსასვლელად გამზადებული მოჭიდავეები უარს ამბობდნენ – სმენოდათ მისი ბეჭდაუდებლობის ამბავი, მაგრამ 19 წლის ახალგაზრდა ფიზიკური შრომის დროს ისე გაცივდა, რომ მისი გადარჩენა ექიმებმა ვეღარ შეძლეს, რადგან დაგვიანებით მიმართა ექიმს.

არჩილ ონაშვილი



დაიბადა 1916 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. არჩილ ონაშვილი იყო ქართული ჭიდაობის უბადლო ოსტატი, მუშაობდა ქალაქ თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკაში. იქვე იყო ქართული ჭიდაობის არენა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. არჩილი დიდი დონის პატრონი ყოფილა. 1953 წელს მან მოუგო ისეთ ფალავნებს, როგორებიც იყვნენ ზალიკო ჩიკვილაძე და ვალერიან ბათლიძე. იყო "საქართველოს აბსოლუტური ფალავანი".



დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: სულიკო ზალიკაშვილი, ზაზა გვასალია, ომარ გულისაშვილი, ომარ ბაჩიაშვილი, გივი ნაცვლიშვილი, ზაურ ქურხული, ბიძინა ბასილაშვილი, როინ ქაიხოსროშვილი, თამაზ კევლიშვილი.

შაქრო ელერდაშვილი



დაიბადა 1925 წელს სოფელ პატარძეულში. 1932 წელს შევიდა პატარძეულის სკოლაში. სკოლის პერიოდშივე გამოირჩეოდა როგორც ნიჭიერი მოჭიდავე. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. იუმორით სავსე, მეგობრული და მუდამ თავისი საქმის ერთგული სხვადასხვა დროს მუშაობდა მძღოლად. ბოლო ხანს კი, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საგარეჯოს რაისაავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილების სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლად.

გარდაიცვალა 2014 წლის მარტში.

სამსონ მარიდაშვილი



დაიბადა 1920 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში. დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა. რაიონში და მის ფარგლებს გარეთ, სადაც კი რაიმე დღეობა ტარდებოდა, იგი ყველგან იღებდა მონაწილეობას ქართულ ჭიდაობაში. 1938 წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა ქალაქ ბრესტში. სამხედროდან თავის ამხანაგებს გამოუგზავნა წერილი, რომ მისთვის გაეგზავნათ ქართული ჭიდაობის ჩოხები. ჩოხების მიღების შემდეგ დივიზიაში გახსნა ქართული ჭიდაობის შემსწავლელი ჯგუფი და თვითონვე ავარჯიშებდა. ყოველ შაბათ-კვირას ტარდებოდა დივიზიის პირველობა. "თავიდან მიბედავდნენ ჭიდაობას, ხოლო შემდგომ აღარავინ მეჭიდავებოდა და მე ვხელმძღვანელობდი ჭიდაობის მოწყობას"-ო, ასე აღნიშნავს მშობლებისადმი მოწერილ წერილში. როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, 21 ივნისს ჩატარდა დივიზიის პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გვიანობამდე გაგრძელდა ჭიდაობა. გათენებისას დაწვნენ დასაძინებლად. სწორედ ამ დროს, გათენებისას გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და პირველი დარტყმა სწორედ ბრესტმა მიიღო. იმ დამის ჭიდაობის ბიჭებმა სამუდამო განსასვენებელი ბრესტში ჰპოვეს, მათ შორის მათმა მწვრთნელმა სამსონ მარიდაშვილმაც.

ამირან დიღმელაშვილი



დაიბადა 1921 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში. სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობის ფაკულტეტზე, მაგრამ მაშინდელი სოციალური პირობების გამო ვერ შეძლო ინსტიტუტის დამთავრება.

იგი იყო საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების წევრი, საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. ხშირად ასპარეზობდა სსრკ-ს სხვადასხვა ქალაქებში, ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადში.

იყო საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში საგარეჯოს ნაკრებ გუნდთან ერთად.

ვალიკო ლაფერიშვილი

საქართველოში ამჟამად 800 ათასი სული ცხვარია აღრიცხული. ძვეძანაში 1.5 მილიონი ჰა მთის საძოვარია, 250 ათასი ჰექტარი კი ბარშია. საქართველოში ცხვრის ორი ჯიშია: თუშური და იმერული, ქართული ცხვარი უნიკალური ჯიშისაა, ამბობენ. მისი უნიკალურობა კი იმაშია, რომ ცხვარს ერთ წელიწადში 4 ათასი კილომეტრის გავლა შეუძლია ძვეითად, როცა სხვა ძვეძნებს ცხვრები ტრანსპორტის თითქმის ყველა სახით გადაჰყავთ საზამთრო თუ საზაფხულო "იალაღებზე"- საძოვრებზე, რაც მეტწმუნეთ, ძვირი ჯდება.

დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველს ჩვენი თანამემამულის - ქართველი მეცხვარის მიერ განვლილ გზაზე მოგითხრობთ.

75 წელი ცხვარში

სახელი- *ვალიკო (ვალერიანი),*

გვარი - *ლაფერიშვილი*

ჩემი გარიჭრაქი და დილა



დავიბადე 1925 წლის 2 იანვარს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში.

მშობლები - დედა - თამარი, მამა - სოლომონ ლაფერიშვილი.

ყოველთვის 10-15 ცხვარი გვყავდა ოჯახს. როგორც უფროს ვაჟს, მე მიხდებოდა მწყემსვა. ისე შემიყვარდა ამ უსუსური, მაგრამ ბარაქის შამომტანი ცხოველების მოვლა, რომ 12 წლისამ ცხვარში წასვლა გადავწყვიტე. მამამ დამიშალა, არ უნდოდა ოჯახიდან გავსულიყავი, მთა-ბარში მეხეტიალა, გამეძლო სიცხეყინვისთვის, მზის, თოვლისა და ათასნაირი გასაჭირი დამტეხოდა თავს. მე მაინც მოვძებნე ძველი ხურჯინი, ჩავიწყე ჩემი ტანსაცმელი და გამთენიისას გაპარვა გადავწყვიტე. ჩუმად ვიპარებოდი, მაგრამ ბაბოს ვერ გავეპარე, ჩუმად მიმიხმო, ხელში მაშინდელი 5 მანეთიანი ჩამიდო და გზა დამილოცა - შენ ისეთი ჯიუტი ხარ, რო დაგაბათ, გასწყვეტ ბორკილებს და ცხვარში მაინც გაგვექცევიო. 12 წლისა სართიჭალაში ცხვრის პატრონებს დავუდექი, გამამცადეს რამდენჯერმე - მოვეწონე ფეხმარდი, დაუზარელი, შრომისმოყვარე, ცხვრის მოვლაში ერთგული ბიჭი. არასოდეს მეზარებოდა ათასი, ორი ათასი ცხვრისთვის დღეში რამდენჯერმე შემომერბინა, შემეთვალიერებინა, დავკვირვებოდი მათ ქცევას, უყურადღებოდ არ მიმიტოვებია სამწყსო, ერთი ყურადღების მოდუნება და კაცმა არ იცის ეს უწყინარი ცხოველი თავს რას დაიტეხავს.

წლები გავიდა, თიანეთში გადავედი ცხვარში. იქაური კოლმეურნეობა "დაგავორში" მწყემსებს 80 თუმანს გვიწერდნენ ქირისთვის თვეში, მაგრამ სინამდვილეში 2 სულ ცხვარს გვაძლევდნენ. რამდენიმე წელიწადში 300 სული ცხვარი მყავდა კერძო. ყველა ჩვენ დაგვდევდა, რაიკომისა და მილიციიდან დაწყებული - 10 სულ ცხვარზე მეტი არ უნდა ჰყოლოდა კერძოდ. მაგრამ, ცხვარი ისეთი შემოსავლიანია, თავს ვერ დაანებებ, თანაც შენ შენს ჯანს აწვალებ, ხარ თოვლსა და წვიმაში, მზესა და ქარში, მაგრამ დაუნდობელ, გაუტანელ ადამიანებთან ყოფნას ისევ შენნაირ მამაც, გულად მწყემსებთან გირჩევნია ყოფნა და ოჯახსაც კარგად ინახავ. ცხვარი შემოსავლიანია - წელიწადში ერთ, იშვიათ შემთხვევაში 2 ნამატს იძლევა, წელიწადში ორჯერ ნაპარსით 3 კგ. მატყლს გაძლევს, 30 ლიტრი რძიდან - ყველს, ხორცზე აღარ გინდა ლაპარაკი. ზრდი ბატკანს, ნელ-ნელა ამზადებ ჭედილობისთვის - ერთი წლისას დაკოდვა უნდა, თუ კარგი ჭედილაა ყოჩად შეარჩევ და შეიძლება 10წელიც უპატრონოს, უწინამძღვროს ფარას. გაზაფხულზე გაიპარსება შარშანდელი ბატკანი, ის უკვე თოხლია (მამალი), შაქი - დედალი ცხვარი 12-13 ბატკანს გაძლევს თავის სიცოცხლეში, ერთ თვეში 30 ლიტრ რძეს გაძლევს ყველის ამოსაყვანად. შიშაქს შარშანდელი (წინა წლის) დედალ ბატკანს ვეძახით. გაზრდი, ეფერები, მაგრამ მერე გენანება შენი გაზრდილი გასაყიდად, დასაკლავად, მაგრამ ...

მწყემსი, მეცხვარე გვიან ეკიდება ოჯახს. მამა 27 წლისა გავხდი. იმ პერიოდში თიანეთში ვცხოვრობდი ოჯახით. ჩემი კუთვნილი ცხვარი იქ მყავდა...

ფეხით მოვიარე კავკასია, მხარზე კომბალგადებულმა. "ყიზლარი" ისე შორს არი, სტავროპოლს უნდა გასცდე, ათასი ჯურის და გვარის კაცი გვხვდებოდა გზაში - მტერ-მოყვარე ჯერ ქართველის, მერე მეცხვარისა და ცხვრის. ზამთარში იქ ვაზამთრებდით ცხვარს. ათასობით კილომეტრს გავდიოდით ფეხით. ლეკებს ეშელონებით ჩამოჰყავდათ იქამდე ცხვარი. ამიტომ მოსწონდათ და მოსწონთ ჩვენი ცხვარი - გამძლე და ამტანიაო. მაგრამ მას მიხედვა და მოვლაც რომ სჭირდება?! საქართველოში შეიძლება 1 ჰა ვიანგარიშოთ საძოვრად ჰა-ჰაა სამი ცხვრისთვის. ფარეხში კი 1 მ2 - ზე ორი ცხვრისთვის არის ფართობი დაანგარიშებული. ათას ცხვარს მეწველს 5 მწყემსი უვლის, წველის, კვებავს, მშრალ ცხვარს კი 2000-ს ისე მოუვლის 3-4 კაცი, დაღლას ვერ იგრძნობს. იმიტომაც არის მეცხვარე ჯანმრთელი, ამტანი. სარქალი კი - ფერმის ხელმძღვანელი გონიერი, მშრომელი, ცხვარ-მეცხვარზე მზრუნველი უნდა იყოს. ესეთები იყვნენ ქურხული გიგა ("საზუაანთი"), მათიაშვილი ვალიკო ("ქორფაანთი"), ვასია ურდულაშვილი, დარბაისელი ყარამანი ("პრიკაჭაანთ ყარუა") და სხვა.

ცხვარი დიდი სიმდიდრეა, განსაკუთრებით ჩვენთვის, კახელებისთვის. მართლა დიდი შრომა სჭირდება, მაგრამ შემოსავლიანია და მერე როგორი?! ვერც ერთი ჯიშის ცხვარი ვერ აჯობებს ქართულს, ვერც ხორცის გემოვნებიანობით და ვერც ყველით. მატყლი მართალია ცოტა უხეში აქ რუსულ და იმერულ ცხვართან შედარებით, მაგრამ სამკურნალო თვისებები ხო აქვს მისგან მოქსოვილ ტანისამოსს და ლოგინს - თბილია, ადამიანს ყველანაირი ყინვისგან იცავს.

ცხვრის მოვლა=პატრონობა ეხლა უფრო ადვილია, ვიდრე ადრეულ პირობებში, მეტი ყურადღება ექცევა ეხლანდელ ფერმერს სახელმწიფოსგან. ადრე დასაჭერად დაგვდევდნენ, მილიციას გვიგზავნიდნენ - ნუ გყავს ამდენი სულიო. ეხლა თუნდაც 10-15 ათასი იყოლიე, ოღონდ მისი მოვლის შნო გქონდეს. მართალია, ხელისშეწყობა ისიც იქნება, საძოვრები ცოტა რომ გაიაფდეს და 1 ჰა 16 ლარი არ ჯდებოდეს. და რაც მთავარია, ეს საძოვრები უნდა აზრიანად და ყაირათიანად გამოვიყენოთ. თუ არ გავუფრთხილდით, მაშინ ბალახის საფარი ზიანდება და მეორე წლამდე ბალახი აღარ ამოვა წესიერად.

ჩემი შუადღე:

– პირველი შვილი 27 წლისას შემეძინა და შემდეგ გარკვეული შუალედებით თინას (ნელის) მოჰყვნენ სულიკო და ზაზა. თინა 1952 წელს დაიბადა. შემდეგ მძიმე პერიოდი დაიწყო - 1953-54 წლებში ცხვარი გაწყდა საქართველოში კი არა, ახლო-მახლო რესპუბლიკებშიც. რამდენიმე ათეული ძლივს გადავარჩინე 300 სულიდან. ისევ ახლიდან დაიწყო შრომა. ცხვარი მართალია მრავლდება, მაგრამ ნელა და ნებისყოფა გჭირდება. თანდათან წამაიზარდნენ ჩემი შვილები. ვერ ვიტყვი რომ ცუდი მოსწავლეები იყვნენ, მითუმეტეს ბიჭები. მეუღლე - ციალა სიბოშვილი ერთგულად მედგა და დღესაც მიდგას მხარში. ვიცხოვრეთ თიანეთში 1954 წლამდე, შემდეგ პატარძეულში, საგარეჯოში. ისე გავლიე ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები, უკან რომ მივიხედო, ჩემი გავლილი ცხოვრების არ შამრცხვება. ცხვრისგან დაწალიკებულ ბილიკებზე ვხვდებოდი რუსს, ჩეჩენს, ლეკს, ბერძენს, თათარს, სომეხს და კიდევ რა "ნაციის" ადამიანს აღარ, მაგრამ ქართველებს სხვანაირი გული გვაქვს - უშიშარი, კაცთმოყვარე, სამშობლოს მოყვარული, თავმოყვარე.

ჩემი საღამო:

სიბერეც მოვიდა... მაგრამ ჩემი საქმისთვის არ მიმინებებია თავი, ვერ შეველიე. სიბერეს სიმწარე მოჰყვა - ჩემი ქალიშვილი, ორი შვილის დედა ამ ათიოდე წლის წინ გარდაიცვალა. ცხოვრებამ სხვანაირი სიმწარე ვერ მაგემა და ისეთი "სარმა" გამამდო, გულიც წაიღო და ჩემი სიხარულიც. ეხლა იმის შვილიშვილებში ვეძებ ჩემი შვილის სახეს. ასეთი ყოფილა სიბერე...

ჩემი მოსახელეებიც მყავს - სულიკოს "ვანჩო" და ზაზას - ვალერი. ვალერი ჭიდაობის მწვრთნელია საგარეჯოში. უყვარს ჭიდაობა, მაგრამ რა ვიცი, სხვების გაზრდა ამჯობინა მოჭიდავეობას. სულიკოს 5 შვილი ჰყავს, ზაზას- 2. თინასგან – ორი ქალიშვილი მყავს შვილთაშვილები, ერთსაც მალე ველოდებით, გოგოსო, ეგრე მითხრეს. გამრავლდნენ, ჩემ ცხოვრებას თუ გაეცნობიან, სიამაყის მეტი არაფერი ექნებათ - შრომაში, პატიოსანი ცხოვრებით გავლიე ჩემი წუთისოფელი... მოიხედამ და ფიქრობ, რა მალე გავიდა, გაფრინდა დრო... 75 წელი ცხვარში მოვლიე, ეხლა სახლში ვარ, ერთი ეგ არი, მუხლები მტკივა ძალიან, თორემ ისე, გულიც მერჩის და ჯანიც მამდევს, - ისევ მოვუარო ცხვარს, შეევშველო ზაზას ფერმის მართვაში, მაგრამ, ჯოხის დახმარებით, მუხლების მწარე

ტკივილით დავდივარ. ახლა ვფიქრობ, რატომ მაფრთხილებდნენ მოხუცი მწყემსები - ვალიკო, მუხლებს გაუფრთხილდი, მუხლებსო.

რა ვუთხრა სიბერეს?! მაგრამ ესეც რო აუცილებელი ყოფილა?!

ჭიდაობა

ცხვარში ვიყავი, მაგრამ ხშირად მაკითხავდნენ საგარეჯოდან - ჭიდაობაა და უნდა გამოხვიდე საგარეჯოს სახელითო. პატარაობიდან უბანში ვჭიდაობდი, უბანში ჩემი მამრევი არც ჩემს ასაკში იყო, არც წინაში და არც შემდეგში...

"გაუჭირდებოდა" საგარეჯოს ჭიდაობაში და დამიძახებდა. გავიხდიდი მეცხვარის ტანსაცმელს, ჩამოვიდოდი, ჩავიცმევდი ქართული ჭიდაობის ჩოხას და რა მესმოდა მწვრთნელები როგორ წვრთნიდნენ ჭიდაობისთვის თავიანთ მოჭიდავეებს?! ერთი დოლგარმონი, ზურნა და თავისით პოულობდა ხელი მოწინააღმდეგისათვის სანდოდ ჩასავლებ კისერსა და ხელს, თავისით მოდიოდა ქართული ჭიდაობის ილეთი ჩემში და ერთი წუთი კი არა, ნახევარ წუთში მოწინააღმდეგეს ბეჭებზე ვაწვენდი. გამოვდიოდი საშუალო წონაში - 75 კგ-ში, რომელსაც არასოდეს "ვაკონტროლებდი", რაში მჭირდებოდა კონტორლი როცა ცხვარი, მეცხვარის საქმე ისე მწვრთნიდა, ზედმეტი არაფერი დამედებოდა კუნთებზე, ხშირად ქვემძიმე წონაშიც 75 კგ-ის ზევითაც გამოვყავდი. მე არ მაინტერესებდა ჭიდაობაში აღებული ფული, არც არავის არასოდეს მოუცია რამე, არა, ჩემი და ჩემი რაიონის სახელი მინდოდა ჯილდოდ. ერთხელ გლდანელი მოჭიდავე წავაქციე, მწვრთნელი ისე გაბრაზებია, ამ მეცხვარემ როგორ უნდა გაჯობოსო, რომ იმავე წუთში თავად მწვრთნელი - ვანო კოტორაშვილი დამეჭიდა, როგორ თუ ჩემი მოჭიდავე წააქციეო და ისე დავეცი ბეჭებზე, მაყურებელი ფეხზე იდგა დიდხანს. სპორტდარბაზში მომუშავემ რა იცოდა ქარში და წვიმაში გამოჯეჯილი კაცის ილეთების?!

ერთხელ თბილისში ნიკო კეცხოველი ესწრებოდა თურმე ჭიდაობას - უნივერსიტეტის რექტორი, ჩემი მეტოქე, გრემელი იმისი სტუდენტი გამაიყვანეს და ისე წავაქციე, კარგა ხანს ფეხზე ვედარ ადგა.

ნიკო კეცხოველმა მითხრა: - ჩემთან მოდი, ჯერ ტექნიკუმს დაგამთავრებინებ და მერე უნივერსიტეტსო. არც კი დავფიქრდი - რას ამბობ, კაცო, ჩემი ცხვრის ფარა მელოდება-მეთქი და პირდაპირ ცხვარში წავედი...

ხან თბილისში "დინამოს" სტადიონზე ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედანზე ვჭიდაობდი, ხან საგარეჯოში "ხატიკაკლებში". ვიცოდი ჩემი გულშემატკივარი, ჩემი მაყურებელი მყავდა. მე რა მომზადება მჭირდებოდა , ცხვარი მწვრთნიდა და მავარჯიშებდა .

ოთხნი გადმოვედით პატარძეულიდან საგარეჯოში. გამაიყვანეს გოგია ა-შვილი. ჩემი ძმა უნდა დასჭიდებოდა...შენ არა, შენი ძმა დამეჭიდოსო, რადაცა უცნაურად გამამიწვია. მერე გავიგე, თურმე, მე რო გოგო მამწონდა ყმაწვილობისას, იმისი ქმარი იყო, ვინ იცის რა ბოღმა ახრჩობდა?! ჩემ ძმას საჭიდაო ჩოხა გავხადე, ჩავიცვი, გავედი და ისეთი გავხადე, ფეხზე ვედარ დგებოდა... ილო და ვასია ქაიხოსროშვილები იყვნენ მსაჯები, უკვე მარიდებდნენ ხოლმე ჩემგან ბეჭებზეგაკრულებს, ნუღარ გამაიყვანთ, ცოდონი არიანო, - ეუბნებოდნენ მათ მწვრთნელებს...

"ბატკანში" ვარ (ასე ეძახიან, როცა ბატკანს მწყემსავ), გავიხედავ და ჩვენებური ჭიკარტაძე მოვა დაბრიყვებული, ნაგორავები ორი მარტყოფელი მწყემსისგან. აშკარად ჩაგრავენ საგარეჯოელს. ერთხელაც მოვიხელთე დრო და "ვეწვიე" იმ მარტყოფელებს, - ნახეთ რა დღეს გაყრით ლაფერიშვილიო, და გულმოცემული ჭიკარტაძე ყოჩაღად წამოხტა. ისეთი დღე ვაყარე ორივეს, ჭიკარტაძეს უბატონოდ ხმას აღარ სცემდნენ.

ხუთი პატარძეულელი ვართ: ელერდაშვილი შაქრო, (ეხლახანს გარდაიცვალა), არსენა ჭინჭარაძე, ნიკო მუჩიაური, თეზიკო ცინარიძე და მე, არასოდეს წავქცეულვართ, არც ფულზე გვიჭიდავია და არც ჩინ-მედლებზე - ქართველები ვიყავით და საგარეჯოს რაიონის სახელს ვიცავდით და ვეფერებოდით.

ერთხელ ცხვარი წალკის გავლით მიგვყავდა, გამაცია, "პოსკას" ამოვეფარე, იქიდან დავინახე რაღაც ბევრი ხალხი იყო ერთად. ჩემს ამხანაგ მწყემსს ვუთხარი, რაღაც ხდება, ეტყობა ჭიდაობაში ცდიან ერთმანეთს-მეთქი. ოღონდ მივიდეთ და მე ვიჭიდავებ, შენ სიცხე გაქვსო. მივედით, წალკელი ბერძნები წრეში ჭიდაობდნენ, ქალი, კაცი, ბავშვი იქ იყო. ჩემმა ამხანაგმა ეს სიცხიანი წრეში შემაგდო... ვიჭიდავე, ერთი წავაქციე, ორი, სამი, ოთხი ... შვიდი და შეეატყვე მთელი სოფელი ჩვენ "დაგვატყდებოდა მეხად", მაგრამ არა, პირიქით, გაკვირვებულები იყვნენ და ყველა ჩვენ გვეპატიჟებოდა გასამასპინძლებლად. ჩვენ რა თქმა უნდა, ცხვარს ვერ ვუღალატეთ...

1981 წელია, ცხვრიდან გამოვედი და ვენახში მივიჩქარი, უნდა გავსხლა. გზაზე ჩემი მეზობელი - ჭიდაობის მწვრთნელი როინა ყორღანაშვილი შამამხვდა: - რა დროს ვენახია, ვალიკო ძია, ჭიდაობა იმართება, "ვეტერანები" ერთმანეთს უნდა შეგახვედროთო, მამატრიალა. წავედით თბილისში. ჩემთან ერთად არიან ელერდაშვილი შაქრო, "თაღიას ბიჭი"- შათირიშვილი გოგია (მერე შაქრომ "შავი დღე" აყარა გოგიას). სკამზე ვხივარ და თვალს ვადევნებ

ჭიდაობას, გამოდიან 50,60 წლის ზევით ძველი მოჭიდავეები. ხელით მანიშნეს ჩამოდი, იჭიდავეო. ჩამოვედი, გამამიყვანეს კასპელი კაციაშვილი ლავრენტა და აცხადებს მსაჯი - 6 გზის საქართველოს ჩემპიონი, ამდენ გზის კასპის, იმდენი გზის ქართლის, შიდა ქართლის ტურნირების გამარჯვებული და სულ ჩემპიონია და სულ გამარჯვებული. მე კიდე არც საქართველოს ჩემპიონი ვარ და არც ქართლ-კახეთის. გამამიყვანეს ისე, უგრაფიკოდ, "უპრაგონოდ". არც გუნდის წევრი ვიყავი და არც კლუბების. კარგით, კარგით გამამიყვანეთ ეგ თქვენი ჩინ-მედლებიანი-მეთქი, ვამბობ. გამამაცხადეს ისე, სხვათაშორის - საგარეჯოელი ვალიკო ლაფერიშვილი, რომელიც ჯერ არავის წაუქცევიაო. დავეჭიდეთ ერთმანეთს, ერთი ხელი მოვავლე და გამითამამდა ეს "ჩემპიონი", არ მამინდომა კისრულზე წამოდება?! თუ კისრულზე წამოგიდეს, იცოდე, რო მიწა ბეჭებით უნდა გადათელო, მაგრამ წამოვდე ფეხი, გავაკავე და კაცოო, მე თითონ არაფერი გამიკეთებია - მეთქი, როგორ ვთქო, მაგრამ თავისი ფანდით თვითონვე ისე წაიქცა, შარცხვენილი ვედარა დგებოდა. ვიდექი და გაღიმებული დავყურებდი ეს უჩინ-უმედლო კაცი. 1981 წელს "ვეტერანებში" ჭიდაობით საქართველოს ჩემპიონი გავხდი... შაქრომაც ყველა ბეჭებზე დააწვინა.

ქართული ჭიდაობა ისეთი უცნაურია, ვერც ერთი ჭიდაობა ვერ მოვა. ეხლა ამბობენ, რუსულ და იაპონურ ჭიდაობას ქართული ჭიდაობის ილეთები დაედოო, მაგრამ ერთი მითხარით, თუ ქართველი არ არის, რამდენიც გინდა იმდენი ფანდი გადაიღე ქართული ჭიდაობიდან - არც სილამაზე ექნება ეგეთ ჭიდაობას და ვერც ყველაზე გაჭირვებულ ყოფაში მოიშველიებს ვინმე აზრიანად იმ ფანდს, რომელსაც მხოლოდ ქართველი გააკეთებს.

თინათინ ილაური

გაზეთი „გარეჯის მაცნე" №8
2014 წ.

ოთარ შაქარაშვილი

დაიბადა 1927 წელს ქალაქ საგარეჯოში. სწავლობდა ქალაქ საგარეჯოს I საშუალო სკოლაში. დაამთავრა 8 კლასი. მუშაობდა საგარეჯოს ფოსტაში მონტიორად. ვარჯიშობდა ქართულ ჭიდაობაში მწვრთნელ შალვა გზირიშვილთან. არის საქართველოს მრავალგზის პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში. 1950 წელს გუნდურ პირველობაზე გახდა საქართველოს ჩემპიონი გუნდთან ერთად.

იოსებ გრატიაშვილი



1929 წელს დაიბადა საგარეჯოში. დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა. სწავლის პერიოდში ვარჯიშობდა ქართულ ჭიდაობაში მწვრთნელ შალვა გზირიშვილთან. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადავიდა ქალაქ თბილისში და ვარჯიში დაიწყო ჭიდაობა "სამბოში" მწვრთნელ შალვა ნოზაძესთან. მოგებული აქვს საქართველოს პირველობა და 1955 წლს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში. შემდეგ კი მიიღო ტრავმა და ვარჯიშს თავი დაანება.

გუგული ერბოღონაშვილი

დაიბადა 1930წელს საგარეჯოში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ქართულ ჭიდაობას ეუფლებოდა მწვრთნელ შალვა გზირიშვილთან. გამოდიოდა სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" პირველობებზე და საქართველოს პირველობებზე. არის **1950 წლის გუნდური პირველობის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში.** 1951 წელს დაიკავა მეორე ადგილი სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს"რესპუბლიკურ პირველობაზე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ცეკავშირის ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მანავის საბჭოთა მეურნეობაში ბუღალტრის თანამდებობაზე. შემდეგ იყო საგარეჯოს რაიკავშირის თავმჯდომარე. ბოლოს კი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

ნიკო მუჩიაური



დაიბადა 1930 წელს სოფელ პატარძეულში.

1937 წელს შევიდა სოფელ პატარძეულის სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო. **არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში.**

თენგიზ ელერდაშვილი



დაიბადა 1930 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. 1948 წელს დაამთავრა სოფელ პატარძეულის სკოლა. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1956 წლიდან მუშაობა დაიწყო ვაჭრობის სფეროში, იყო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საგარეჯოს აგურის, საკონსერვო ქარხნებისა და მეთევზეობის სატბორე მეურნეობის დირექტორად.

ჭიდაობა 1948 წლიდან დაიწყო და 1950 წელს გამართულ საქართველოს გუნდურ პირველობაში **ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა.**

ელერდაშვილების გვარი ამაყობდა თავისი სასახელო შვილებით და ყველაზე მეტი საამაყო სწორედ თენგიზის მიღწევებით ჰქონდა, თენგიზი ქართლისა და კახეთის ფალავნებს მართლაც რომ მედგრად ედგა გუნდურ და პირად პირველობებში. იყო შემთხვევები, როცა გორელი, ახმეტელი ფალავნები შიშით ელოდნენ მასთან შეხვედრას.

1950 წელს საკავშირო გუნდ "დინამოს" ჩემპიონი ხდება და **1955 წელს საქართველოს ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში**. ქართული ჭიდაობის ილეთებს კარგად დაუფლებული ჭაბუკი არ უშინდება სამბოში რუსებთან დაპირისპირებას და 1952 წელს საბჭოთა კავშირის მესამე პრიზიორი გახდა სამბოში. მას სხვა წარმატებებიც მოჰყვა და 1956, 1958 წლებში იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია სამბოში.

თენგიზის კვალს მისი უმცროსი ძმა – მურთაზიც აქტიურად მიჰყვებოდა. საინტერესო იყო მათი საჭიდაო ხალიჩაზე შეხვედრები, სადაც გასვლის წინ უფროსი ძმა ყოველთვის მოძღვრავდა უმცროსს – ჩვენ სისხლისმიერი ძმები ვართ, მაგრამ ჭიდაობა, ჭიდაობაა და აქ ჩვენ მეტოქეები ვართო. მაყურებელი კარგად ხედავდა ორივე ძმის შერკინებას, მაგრამ იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ უმცროსი ძმა უგებდა უფროსს.

აი, რას წერდნენ ელერდაშვილებზე:

1948 წელს, როცა თბილისში საქართველოს პირველობა ჩატარდა, ფავორიტებად ორს ასახელებდნენ: საგარეჯოელ ელერდაშვილს და კასპელ მაზმიშვილს. ორივე მოგვერდის, გარეკაურის, შუაკაურის, სარმების, კისრულის ოსტატი იყო.

(რ. კრიჭინაშვილი "ქართული ჭიდაობის მატიანე")

"თენგიზი და მურთაზი საბჭოთა კავშირის პირველობაზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ფინალში. გამოძახების წინ თენგიზს უმცროსი ძმისთვის უთქვამს, მთელი ძალით უნდა მებრძოლო, მორიდებისა რამე რომ შეგატყო, სახალხოდ შეგარცხვენ, ძმობა ძმობაა და ჭიდაობა ჭიდაობაო."

(რ. კრიჭინაშვილი "ქართული ჭიდაობის მატიანე")

ივანე (გურგენა) უდუმაშვილი



დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში 1931 წლის 1 აპრილს. იქვე დაამთავრა პატარძეულის საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის პერიოდში ხშირად მონაწილეობდა სპორტულ შეჯიბრებებში, როგორც ძალოსნობაში, ისე ქართულ ჭიდაობაში. იყო რაიონის ჩემპიონი ნსს „კოლმეურნეს“ ჩემპიონი მძიმე წონაში. მრავალჯერ უჭიდავია საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, არის საქართველოს III პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში.

ვალიკო ჭინჭარაძე



დაიბადა 1933 წლის 10 იანვარს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში გიგო ჭინჭარაძის და ევა ყუშიტაშვილის მრავალშვილიან ოჯახში. ჰყავდა ოთხი ძმა და ორი და. გაიზარდა საგარეჯოს რაიონის პირველი მდივნის ბესო ყურაშვილის ოჯახში. დაამთავრა საგარეჯოს რაიონის საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა პოლიციის აკადემიაში და დაამთავრა გამომძიებლის სპეციალობით. მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური შავი ზღვის ფლოტში, სევასტოპოლში.

იყო საქართველოს ჩემპიონი 72 კგ. წონის კატეგორიაში ქართულ ჭიდაობაში.. **იყო ულამაზესი ფანდის – “ბრუნის” ოსტატი.**

გარდაიცვალა 80 წლის ასაკში 2013 წლის 6 ივნისს.

ჰყავს დიდი ოჯახი – სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.



მარცხნიდან მარჯვნივ:ამირან არჩუაძე,ოთარ შაქარაშვილი, თენგიზ ელერდაშვილი, გუგული ერბოწონაშვილი, ნიკო მუჩიაური, არსენ ჭინჭარძე, იოსებ ქაიხოსროშვილი, ამირან დიღმელაშვილი, ვალიკო მამუკაშვილი, შალვა გზირიშვილი.

ანზორ კიკნაძე

დაიბადა 1934 წელს, სოფელ ბადიაურში.

ტოკიოს 1964 წლის XVIII ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში;

1967 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი;

ევროპის ოთხგზის (1962, 1964, 1965, 1966 წლები) აბსოლუტური ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში და ორგზის მეორე პრიზიორი (1967, 1968წწ). ევროპის ოთხგზის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1963, 1964, 1965, 1966 წლები), სსრკ ხუთგზის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში (1961-65წწ), საქართველოს ხუთგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1959-62, 64წწ). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1976 წელს.

“სახელგანთქმული ფალავანი ანზორ კიკნაძე 27 წლისა ეზიარა იაპონურ ჭიდაობას “ძიუდოს”. ამ ასაკში ჭიდაობის ახალი სახის დაუფლება, რა თქმა უნდა, ძნელი იყო, თუმცა საფუძველი საიმედო ჰქონდა – ქართული ჭიდაობა ა. კიკნაძის ცხოვრების ძველი და ნაცადი მეგობარი, რომელმაც მრავალი სასიამოვნო წუთი განაცდევინა. ანზორის მოულოდნელი სარმები და ეფექტური მოგვერდები მოწინააღმდეგეებს შიშის ზარს სცემდა. ამიტომ იყო, რომ დიდად აღიარებულ ფალავნებსაც კი “სამბოში” და “ძიუდოში” ანზორთან ჭიდაობა ეძნელებოდათ.

(რ. კრიჭინაშვილი “ქართული ჭიდაოგის მატიანე”)

მურთაზ ელერდაშვილი

დაიბადა 1934 წელს საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულში, დაამთავრა თბილისის სპორტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტი.

1950 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა მოსწავლეთა პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში.

1951 წელს მონაწილეობდა ნსს „კოლმეურნეს“ მიერ ჩატარებულ სპარტაკიადაში საქართველოს პირველობაზე, სადაც პირველი ადგილი დაიკავა ქართულ ჭიდაობაში.

1952 წელს იყო თბილისის ოლქის ჩემპიონი.

საინტერესო იყო 1953 წლის საქართველოს ჩემპიონატი, სადაც მურთაზმა პირველი ადგილი დაიკავა. ამ ჩემპიონატში მურთაზი თავის უფროს ძმას

– თენგიზს შეხვდა. ორივე ქვემსუბუქ წონაში (64კგ) გამოდიოდა. შეხვედრის შემდეგ მურთაზი I ადგილზე აღმოჩნდა, თენგიზი – მეორეზე.

ასევე, 1956 წელს სსრკ სპორტული კლუბის „ბურევესტნიკის“ („ქარიშხალას“) მიერ გამართულ სსრკ უმაღლეს სასწავლებლებს შორის პირველობაზე ერთმანეთს ძმები მურთაზ და თენგიზ ელერდაშვილები შეხვდნენ. აქაც პირველი ადგილი მურთაზმა დაიკავა, მეორე თენგიზმა.

1958 წელს მინსკში ჩატარებულ საკავშირო შეჯიბრში სამბოში კი მურთაზი III ადგილს დასჯერდა, თენგიზმა I ადგილი მოიპოვა.

1957 წელს ქართულ ჭიდაობაზე საქართველოს პირველობაზე I ადგილი აიღო მურთაზ ელერდაშვილმა.

1960 წელს კიევში საკავშირო შეჯიბრზე სამბოში II ადგილი აიღო.

წლების განმავლობაში მურთაზ ელერდაშვილი სპორტგაერთიანება „კოლმეურნეს“ რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, სპორტსკოლის დირექტორი იყო. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა სამბოში

დღეს მურთაზ ელერდაშვილი პენსიაზეა.

სურათზე: „კოლმეურნეს“ ნაკრები გუნდი ჭიდაობა სამბოში. პირველ რიგში: გივი ბალხამიშვილი (კასპი), ზელიმხან მონასელიძე (მცხეთა), მურთაზ ელერდაშვილი, ბიძინა კევლიშვილი (ორივე საგარეჯო); მეორე რიგში: ლავრენტი კაციაშვილი (კასპი), ჯოყოლა ქუშანაშვილი (ახმეტა), თენგიზ ელერდაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, ნიკო მუჩიაური (ყველა საგარეჯო); მესამე რიგში: ამირან ვარდოშვილი (კასპი), ლევან ჯაფარიძე (მესტია), გიორგი გზირიშვილი (საგარეჯო).

ანზორ ზურაბაული

ეოთა ზუკაკიშვილი – *საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი:* „...ისეთი ტექნიკური ქართულის მოჭიდავე, როგორც ანზორ ზურაბაული იყო, მე მგონი, საქართველოში არც კი ყოფილა. იგი იყო ქართული ჭიდაობის ნამდვილი დიდოსტატი!”

– გარეჯის მიწამ, საგარეჯომ ბევრი სასახელო მამულიშვილი აღუზარდა მსოფლიოს, საქართველოს თითქმის არ არსებობს დარგი, სადაც საგარეჯოელებს მსოფლიოს, ქვეყნის მასშტაბით არ ეთქვათ თავიანთი სიტყვა საგარეჯომ განსაკუთრებით სპორტით გაითქვა სახელი, უფრო სწორედ– ჭიდაობით.

ქართველ ფალავანთა ბრწყინვალე გამარჯვებებში ოლიმპიურ სარბიელზე, მსოფლიოს, ევროპის, საერთაშორისო, საკავშირო თუ ეროვნულ ჩემპიონატებში–საგარეჯოს მუდამ გამორჩეული ადგილი ეკავა და დღესაც წარმატებით გრძელდება ეს ტრადიცია. საგარეჯოს ჭიდაობის სკოლა იყო და არის ერთ–ერთი წარმატებული სკოლა. მსოფლიოს ლეგენდარულ ფალავნებს – არსენ მეკოკიშვილს და ლევან თედიაშვილს გვერდს უმშვენებენ სახელგანთქმული მოჭიდავეები: მიხა ქურხული, შალვა გზირიშვილი, არჩილ ონაშვილი, ნიკა ბუზარიაშვილი, იოსებ გრატიაშვილი, თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილები, გოგი გზირიშვილი, გივი ონაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, ვაჟა და როინ ქაიხოსროშვილები, კობა კუპატაძე, მამუკა კურდღელაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი, უშანგი კუზანაშვილი, დავით ხუციშვილი, ანზორ ზურაბაული და სხვები.

ანზორ ზურაბაული ერთ–ერთია მათ შორის, ვინც წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო და ქართული სპორტის ისტორიაში და დღემდე, უფრო სწორედ 2007 წლამდე, მიუხედავად ჭარმაგი ასაკისა– 72 წლის ასაკშიც (დაბადებულია 1935წ.) წარმატებით გამოვიდა საჭიდაო ხალიჩაზე, ანცვიფრებდა მაყურებელს თავისი ოსტატობით, გამოცდილებით, ახალგაზრდული შემართებით, მონაწილეობდა რა ვეტერან–სამბისტთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში. განცვიფრებაში მოდიხარ, როცა ათვალიერებ სპორტულ სარბიელზე მოპოვებულ მრავალრიცხოვან (ასზე მეტი) ჯილდოებს, მედლებს, პრიზებს, სიგელებს, რომლებსაც საპატიო ადგილი უკავიათ საკუთარ სახლში მოწყობილ სპეციალურ სტენდზე! ბევრი ქვეყნის ნაკრებს ერთად აღებულს არ ექნებათ მოპოვებული ამდენი სპორტული ნადავლი, რაც ანზორს აქვს მოპოვებული.

გვესაუბრება ანზორ ზურაბაულის სიყრმის მეგობარი, თანაკლასელი, თანაკურსელი, თანაგუნდელი, თანაქალაქელი– საკავშირო პირველობების (სამბო) პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ბიჭიკო მარიდაშვილი:**

– ანზორ ზურაბაული– ფშაველი კაცი (წარმოშობით მისი წინაპრები არიან ახმეტის რაიონიდან) საგარეჯოშია დაბადებული და გაზრდილი. უწინ საგარეჯოში, ეკლიანი მავთულხლართებით შემოღობილ მაღალი ფიცრულის შიგა წრეში, ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედანზე სახელგანთქმული, მრავალნაცადი ფალავანი, ქართული ჭიდაობის ერთ–ერთი პატრიარქი შალვა გზირიშვილი ახალბედა პირტიტველა ბიჭებს, მომავალში ცნობილ მოჭიდავეებს ქართული ჭიდაობის ხერხებს ასწავლიდა და ერთმანეთთან აჯიბრებდა. ეს პატარა ბიჭები მომავალში გახდნენ ცნობილი მოჭიდავეები – ანზორ ზურაბაული, ბიჭიკო მარიდაშვილი, ბიძინა და თამაზ კევლიშვილები, გურამ სონიშვილი, მიშა არჩუაძე, იაგო მათიაშვილი, გივი ტაბატაძე, კაკო მათიაშვილი, ილია ქვლივიძე, რობიზონ დიღმელაშვილი, გუგული (ქოთუა) კუჭუაშვილი, ამირან ქურხული („ჩაჩის”ბიჭად წოდებული) გოგი გზირიშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, ვაჟა ქაიხოსროშვილი („ზღვის ქაფად” წოდებული) სულიკო ზალიკაშვილი, ზაური ქურხული, როინ ქაიხოსროშვილი და სხვები.

შალვა გზირიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის საგარეჯოელი მოჭიდავეების სპორტულ დაოსტატებაში. 1952 წლიდან საგარეჯოელ ნორჩ ფალავნებს, მათ შორის ანზორისაც ავარჯიშებდა ლეგენდარული ლევან თედიაშვილის პირველი მწვრთნელი ვანო მეკოკიშვილი (ძირითადად ის ავარჯიშებდა თავისუფალ ჭიდაობაში). ანზორის სპორტულ დაოსტატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საგარეჯოს № 1 საშუალო სკოლის ფიზიკურზრდის მაშინდელ მასწავლებლებს ვალიკო ოდიკაძეს და ვიქტორ გარსიაშვილს. ისინი ავარჯიშებდნენ მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში. შაბათ–კვირას ნახერხმოყრილ საჭიდაო არენაზე უამრავი ხალხი იკრიბებოდა მეზობელი სოფლებიდან. გიორგიწმინდიდან, ნინოწმინდიდან, პატარძეულიდან, მანავიდან, კაკაბეთიდან, ჩაილურიდან. მაყურებელთა პირველ რიგში თავის განუყრელ პატარა სკამზე იჯდა საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მიხეილ მანდარია და თავის მოწაფეს ანზორ ზურაბაულს ქომაგობდა. მანდარიას გარდა, ანზორის ჭიდაობის ხერხებს, მის „მოგვერდულს” ბევრი მოუხიბლავს. მისი ჭიდაობის მნახველი იყო პატარა საგარეჯოელი „ ქიტესას” ბიჭი, ლეგენდარული ლევან თედიაშვილი, რომელსაც შემდგომში ხშირად უთქვამს – ბევრი რამით ან-



ზორს ვბაძავდიო.

–ანზორის გვარში თუ იყო ჭიდაობის ტრადიციები?

– საგარეჯოელ ფალავანს ანზორ ზურაბაულს ჭიდაობისადმი ლტოლვა გენიდანაც მოსდგამდა. პაპამისი ნიკა ბუზარიაშვილი (დედის მამა) სახელგანთქმული მიხა ქურხულის, შაშო ვერელის, კოსტა მაისურაძის, მიშიკო მაჩაბელის და სხვა წარსულში ცნობილი ფალავნების ტოლ–სწორი მოჭიდავე იყო. ბიძები „წარბა" (ნუგზარ) და ოთარ ბუზარიაშვილებიც საკმაოდ ცნობილი მოჭიდავეები იყვნენ.

– გარდა ქართულისა, რა წარმატებები ჰქონდა ანზორს თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, სამბოში?

– მსოფლიოში იშვიათია მოჭიდავე, რომელსაც ანზორისავით ერთნაირი წარმატებით ეასპარეზოს ჭიდაობის ოთხივე სახეობაში– ქართულში, თავისუფალში, ძიუდოში და სამბოში.

ანზორმა ქართულ ჭიდაობასთან ერთად ვარჯიში ჯერ კლასიკურში (ბერძნულ–რომაული) და მალევე თავისუფალში, ლევან თედიაშვილის პირველ მწვრთნელთან ვალიკო (ვანო) მეკოკიშვილთან გააგრძელა. 1953–1954 წლებში თავისუფალ ჭიდაობაში საოლქო პირველობაზე იასპარეზა, სადაც გამოდიოდნენ მირიან ცალქალამანიძე, გიორგი სხირტლაძე, აკაკი ნინიაშვილი... პარალელურად ქართულ ჭიდაობასაც არ ივიწყებდა. 1956 წელს თელავში ზონალური სპარტაკიადა მოიგო, 1957 წელს თბილისში ჩატარდა სპორტული ფესტივალი. ანზორმა ქვემძიმე წონაში (79 კგ.) პირველი ადგილი დაიკავა. ამ ტურნირის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვანმა რექტორმა, სპორტის დიდმა მოყვარულმა ნიკო კეცხოველმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოაქვეყნა წერილი სათაურით „იმედის მომცემი ფალავანი", რომელიც ანზორს ეხებოდა.

1957 წელს დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომლის რექტორმა, ანზორის აზრით, „ღმერთის მიერ გამოგზავნილმა" ბრწყინვალე პიროვნებამ, სპორტზე უზომოდ შეყვარებულმა საშა ფალავანდიშვილმა ანზორის მეურვეობა „ ლელო"–ს იმ დროის რედაქტორს ირაკლი უგულავას სთხოვა. თავისუფალ ჭიდაობაში მას ცნობილი მწვრთნელი მიხეილ თიკანაძე წვრთნიდა, ის ვარჯიშობდა ცნობილი ფალავნების გიორგი სხირტლაძის, გურამ სადარაძის, ანზორ გვიმრაძის, ზაურ მჭედლიშვილის, ვლადიმერ არსენიანის გვერდით. მის სპორტულ დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის იმ დროის აღიარებულ პედაგოგებს შალვა ჩახნაშვილს (ფიზიოლოგია), აბო ნემსაძეს, ავთანდილ ციბაძეს (ისტორია), ს. ალიხანოვს, ნოდარი ოყოროშიძეს (თავისუფალი ჭიდაობა), კ.თედეევს (ტანვარჯიში), მამია ჟღენტს (ძალოსნობა), ფელიქს ნავერიანს (თხილამურები) და სხვებს. 1960 წელს თბილისში ჩატარებულ ამიერკავკასიის პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა, 1958–1970 წლებში 14–ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში. 2–ჯერ გახდა საკავშირო სპარტაკიადის გამარჯვებული თავისუფალ ჭიდაობაში. 1961–1963 წლებში გამოდიოდა ძიუდოს საქართველოს პირველ ნაკრებში – მსოფლიოში ცნობილ ფალავნებთან – ანზორ კიკნაძესთან, დურმიშხან ბერუაშვილთან და ანზორ ქიბროწაშვილთან ერთად.

პირველი გამოსვლა ქართულ ჭიდაობაში თელავში ზონალურ პირველობაზე 1956 წელს მარცხით დამთავრდა, ლაგოდეხელ ასაკით უფროსთან, ცნობილ მოჭიდავესთან ანზორ კაპანაძესთან დათმო ორთაბრძოლა. ერთი თვის შემდეგ თელავში გამართულ სპარტაკიადის ზონალურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში რევანში აიღო ა. კაპანაძესთან შეხვედრაში, ხოლო ფინალში დაამარცხა იმ დროს აღიარებული მოჭიდავე ახმეტელი ლავროსი მაისურაძე. ამ გამარჯვების შემდეგ ანზორის თქმით „ჩავთვალე ჩემი თავი მოჭიდავედ!" ამის შემდეგ ანზორი შვიდჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. სანამ ანზორი საქართველოს ფალავანი (აბსოლუტური წონა) გახდებოდა ქართულ ჭიდაობაში, 1957 წელს მოსკოვში გაიმართა მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი, იქ წასვლამდე ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, სადაც ანზორმა დაამარცხა რა უძლიერესი მეტოქეები დავით ჩაჩანიძე (ლაგოდეხი), ზაქარია მუხიაშვილი (გლდანი), ი. რეხვიაშვილი (თელავი), კარლო უნდილაშვილი (მცხეთა), იოსებ კაჭაროზაშვილი (დედოფლისწყარო) – დაიკავა პირველი ადგილი. ასევე წარმატებით გამოვიდა მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე. 1959 წელს მოსკოვში გაიმართა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ეროვნული ჭიდაობების ფესტივალი. ქართული ჭიდაობის პრესტიჟს მაშინ ანზორ კიკნაძე, სიმონ მაისურაძე, სულიკო სულაშვილი და ანზორ ზურაბაული იცავდნენ. ქართველი მოჭიდავეები მრავალრიცხოვან მაყურებელს ქართული ჭიდაობის ოსტატობას უჩვენებდნენ. სპეციალურად წაყვანილ ხაჩიკ ტულგაუკოვის ცნობილ მედუდუკეთა ანსამბლის მიერ შესრულებული „საჭიდაო"–ს ცნობილი მუსიკის თანხლებით.

ამავე დროს ქართველმა მოჭიდავეებმა თავიანთი საჭიდაო ხელოვნება აჩვენეს საკავშირო სასოფლო–სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე ამერიკის შეერთებული შტატების პავილიონში. მაყურებელს განსაკუთრებით ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლები მოსწონდათ და მოუთმენლად ელოდნენ მორიგ ქართულ ორთაბრძოლებს. 1958 წელს საგარეჯოში ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ფალავნობა (აბსოლუტური წონა), რომელშიც მონაწილეობდნენ აღიარებული ოსტატები – ანზორ კიკნაძე, ბუდდან ბადაკაშვილი, ამირან ვარდოშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი, გივი კახაბრიშვილი, გოგი გზირიშვილი და სხვები. ფინალში ანზორი ქულებით დამარცხდა ამირან ვარდოშვილთან. 1963 წელს საგარეჯოში გამართულ მორიგ ქართველ ფალავნობაზე, სადაც მონაწილეობდნენ იმ დროის საქართველოს უძლიერესი ფალავნები – ბუდდან ბადაკაშვილი, გივი კახაბრიშვილი, ნოდარ ყაჩმაზაშვილი, გოგი გზირიშვილი, გ. მალვენიშვილი, ისიდორე მჭედლიძე, ა. გაურგაშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი და სხვა. ანზორმა ფინალურ შეხვედრამდე დაამარცხა გივი კახაბრიშვილი, გოგი გზირიშვილი, ნოდარი ყაჩმაზაშვილი, ისიდორე მჭედლიძე. ფინალში შეხვდა ქართული ჭიდაობის ცნობილ ოსტატს ბუდდან ბადაკაშვილს, რომელიც სუფთად დაამარცხა და გახდა საქართველოს ფალავანი. გამარჯვება მიულოცეს ლეგენდარულმა გიორგიწმინდელმა გოლითმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში არსენ მეკოკიშვილმა „თავისუფალი ჭიდაობის პროფესორად აღიარებულმა ,მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ვახტანგ ბალავაძემ..

თენგიზ კოკიაშვილი,
გაზეთი „გარეჯის მაცნე" 2012წ.



ოთარ მათიაშვილი

დაიბადა 1937 წელს საგარეჯოში. მონაწილეობდა რაიონის და მის ფარგლებს გარეთ მოწყობილ ქართული ჭიდაობის შეჯიბრებებში, სახალხო ზეიმებში. ხშირად შეხვედრია ტიტულოვან სპორტსმენებს და ღირსეულ მეტოქეობას უწევდა მათ.

გივი ტაბატაძე



დაიბადა საგარეჯოში 1935 წელს. საგარეჯოს I საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლა თავისუფალი ჭიდაობის განხრით. სკოლაში სწავლისას მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან ეუფლებოდა თავისუფალ ჭიდაობას. გივი იყო სპორტული პიროვნება. თამაშობდა ფეხბურთსაც, პარალელურად ფეხბურთელთა გუნდ "გარეჯში ". თავისუფალ ჭიდაობაში იყო სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" ოთხგზის მეორე ადგილოსანი. იყო სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში. გივი ტაბატაძე **სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" პრიზიორი იყო ქართულ ჭიდაობაში.**

ვახტანგ ნახუცრიშვილი



დაიბადა 1934 წლის 12 მაისს, სოფელ ხაშმში. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მუხროვანის ცხენსაშენში და ღებულობდა მონაწილეობას ცხენების შეჯიბრში. ამის შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც სამი წელი იმსახურა.

1957 წელს სამხედრო - სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, დაიწყო მუშაობა მძღოლად და პარალელურად გააგრძელა მოღვაწეობა სპორტის სახეობა "ჭიდაობაში", სადაც ჰქონდა დიდი წარმატებები:

იყო საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში და მრავალგზის პრიზიორი. სპორტსაზოგადოება "განთიადის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი. ასევე, სპორტგაერთიანება "სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი.

მოგებული ჰქონდა სსრკ-ს ზონალური პირველობა და მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

გარდაცვალებამდე მას არ შეუწყვეტია სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა.

გარდაიცვალა 1966 წლის 24 სექტემბერს ასპარეზობაზე მიღებული სასიკვდილო ტრავმის შედეგად.

კარლო ნადირაშვილი



დაიბადა 1935 წელს სოფელ თოხლიაურში. 16 წლიდან თბილისში გადავიდა სასწავლებლად, მაგრამ მშობლიური კერა არ მიუტოვებია. 1955 წელს თბილისის 62-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში. სწავლის პერიოდში აქტიურად ვარჯიშობდა ჭიდაობაში,თითქმის არ გამოუტოვებია თოხლიაურში გამართული რელიგიური დღესასწაული "კალობნობა", სადაც ტრადიციულად იმართებოდა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში. აქ, ეკლესიის გვერდით, ნახერხმოყრილ მოედანზე ერთმანეთს ჭიდაობაში ექიშპებოდნენ თოხლიაურელი, პატარძეულელი, გიორგიწმინდელი, მანაველი, ჩაილურელი, კაკაბელი თუ ყანდაურელი ჭაბუკები. მის ბავშვობისდროინდელ მოგონებებს შემორჩა არაერთი მოჭიდავის სახელი, მაგრამ მათგან მაინც თავისი თანასოფლელების, ძმების – სონკა და გიორგი გვარენაშვილების ჭიდაობა ახსოვს,რომლებიც არსენ მეკოკიშვილს არ ჩამოუვარდებოდნენ ძალ-ღონითა და ფანდებით. ისინი 1937 წლის რეპრესიებმა იმსხვერპლეს ... ასევე, კარგად ახსოვს ვალიკო ტაბატაძის ჭიდაობა. დიდი სიყვარულით ადევნებდა თვალს ბეჭდაუდებელი ფალავნის,გიორგიწმინდელი არსენა მეკოკიშვილის სპორტულ ცხოვრებას. თელავში მუშაობისას კიდეც ამაყობდა არსენ მეკოკიშვილის შერკინების ეპიზოდით თელაველი კოლორიტის გეგე სულხანიშვილის მამასთან - გეგესთან. არსენას თელავში გამართულ ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში ბეჭებზე გაუკრავს გეგე, მაგრამ თელაველი გულშემატკივარი ფეხზე წამომხტარა და "არ იყო","არ იყოო" – შეძახილით მსაჯს შეედავა. ძლივს წამომდგარა გეგე, გამწარებული ღიმილით მაყურებლისთვის უთქვამს: - "იყო,როგორ არ იყო,თუ თქვენ ეგრე გინდათ, გადმოდით და ვისაც გინდათ, დაეჭიდეთო".

კარლო ნადირაშვილი ჩვენი რაიონის სხვა სოფლების მოჭიდავეებთან ერთად აქტიურად იღებდა მონაწილეობას ქართულ ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრებებში.

1956 წელს იგი რიგაში გამართულ სსრკ-ის ჩემპიონატში სამბოში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

1957 წელს კიშინიოვში გამართულ სსრკ-ს ცსს "დინამოს" ჩემპიონია.

სხვადასხვა დროს იკავებდა II და III ადგილებს სსრ კავშირის და საქართველოს პირველობებზე სამბოში.

1961 წლიდან მუშაობა დაიწყო თელავში ქართული ჭიდაობის მწვრთნელად და ამავე დროს იყო თელავის ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე. შემდეგ მუშაობდა თელავის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორად,იყო სხვადასხვა თანამდებობაზე. პარალელურად დაამთავრა თელავის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1981 წლიდან ჯერ თბილისის შინაგან საქმეთა ვაკის რაიონის განყოფილებაშია,შემდეგ საბურთალოს,ბოლოს კი ისნის რაიონის განყოფილებაში იმუშავა. 1993 წლიდან კი პენსიაზეა.

კარლო ნადირაშვილს აქტიურ სპორტულ ცხოვრებასთან არასოდეს გაუწყვეტია კავშირი. თელავშიც და თბილისშიც მუშაობის დროს ყოველთვის ჩაბმული იყო მოჭიდავეთა აღზრდისა და წვრთნის საქმეებში.

პენსიაზე გასვლის დღიდან კარლო ნადირაშვილი თოხლიაურში საკუთარ კერას დაუბრუნდა.

გურამ სონიშვილი

დაიბადა საგარეჯოში 1937 წელს. სწავლობდა ქალაქ საგარეჯოს I საშუალო სკოლაში. სკოლაში სწავლის დროს დადიოდა თავისუფალი ჭიდაობის სექციაში მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან. საგარეჯოში ხშირად ტარდებოდა რაიონული პირველობები ქართულ ჭიდაობაში, სადაც რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა და საპრიზო ადგილიც არაერთხელ მოიპოვა. დამთავრებული აქვს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია. ერთხანს იყო საქართველოს ნაკრების კანდიდატი თავისუფალ ჭიდაობაში. არის სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" ჩემპიონი და საქართველოს პრიზიორი.

ჭიდაობას ადრეულ ასაკში ჩამოშორდა ფეხის ტრავმის გამო.

ვალოდია ლაფერიშვილი



დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში 1937 წელს. დაამთავრა პატარძეულის საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის პერიოდში ხშირად მონაწილეობდა საგარეჯოს რაიონის პირველობებზე, როგორც მოსწავლეებში, ასევე დიდებშიც. მიღწეული წარმატებებით იგი ხშირად შედიოდა გამარჯვებულ სამეულში. იყო საგარეჯოს ნაკრების გუნდის წევრი და მონაწილეობდა საქართველოს პირველობებზე. არის ნსს სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" III პრიზიორი. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. გამოდიოდა საქართველოს ტექნიკუმების პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, სადაც დაკავებული აქვს II ადგილი.

შოთა დავითელაშვილი

დაიბადა 1938 წლის 3 იანვარს, საგარეჯოში. ისევე, როგორც ყველა ქართველს და მით უმეტეს გარეკახელს, ესახელებოდა ნახერხმოყრილ მოედანზე საჭიდაოდ გამოსვლა. პერსპექტიულ მოჭიდავედ თვლიდნენ არა მარტო საგარეჯოელები. 19 წლისა,მ 1957 წელს მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ ტურნირში და მეტოქესთან შერკინებისას, უხერხული ილეთით ისე დაეცა, რომ ექიმებმა „კისრის მოტეხილობის" დიაგნოზი დაუსვეს. ტრაგიკულად დამთავრდა დავითელაშვილების გვარისათვის საამაყო ჭაბუკის ეს ჭიდაობა.

(ხალხური)

„ჩემს შვილს რად უნდა სამოსელი?
ჩოხა გახადეთ, გადააგდეთ,
მიწის სამოსელი შეუკერეთ,
სარჩულად მოთქმა დაუდევით,
ცრემლები ღილად დაუკერეთ,
სამარეს პირი გაუკერეთ
დიდი ცრემლების ძაფებითა,
ხავერდოვანი ბალახითა...
სამარევ პირი დაიბანე
მწუხარე დედის ცრემლებითა,
მიწაო, შვილი შემინახე,
შენ შემოგზიავ ვედრებითა".

ოთარ გილაშვილი

ადამიანის გონებას შემორჩენილი მახსოვრობა წაკითხული წიგნის ფურცლებს გვაგონებს. წაიკითხავ წიგნს, ისიამოვნებ შენთვის საინტერესო ამბით და ფურცელს გადაშლი... მეორეს კითხულობ... მესამეს, მეოთხეს, მეასეს. პირველი წაკითხული წიგნის ფურცლებში ინახება... გადაშლი ისევ პირველწაკითხულ ფურცლებს და ცოცხლდება ყველაფერი... მეც ჩემი მახსოვრობის ფურცლები გადავშალე... დიდი დრო გასულა, – ნახევარი საუკუნე!!!

... აფიშები იუწყებოდნენ, რომ კვირას, საგარეჯოს საჭიდაო მოედანზე ერთმანეთს ხვდებიან კასპის, გორის, მცხეთის, ქარელის, ახმეტის, თელავის, საგარეჯოს... და სხვა რაიონების სახელგანთქმული მოქართულე მოჭიდავენი...

გარეჯელებს იმედი აქვთ ჩვენი მოჭიდავეების – ბეთლაანთ იოსების – იოსებ ქაიხოსროშვილის, გზირიაანთ შალიკოსი, – შალვა გზირიშვილის, წარბას, – ნუგზარ ბუზარიაშვილის, ლეკიას ბიჭის, – იოსებ თედიაშვილის, ამირან დიღმელაშვილის, არსენ ჭინჭარაძის, გურგენა უდუმაშვილის, ჩაილურელი ბელის ბიჭების – შოთა და ლადო ღვინიაშვილების, ყანდაურელი გურამ სირაძის და სხვების.

ხმა გავარდა, ჭიდაობას მიხა ქურხული და ქართული ჭიდაობის დიდი გულშემატკივარი მიხეილ ხერხეულიძეც ესწრებიანო...

კიდევ ვშლი ჩემი მახსოვრობის ფურცლებს... დღევანდელი დავით აღმაშენებლის ქუჩის წინამორბედი ვიწრო გზა იყო... ორი ურემი ძლივს აუქცევდა, ალბათ... ეს გზა ყოფილი კლუბისკენ მიემართებოდა. კლუბის აღმოსავლეთი მხარე ხატიკაკლებამდე „საჭიდაო კრუგი" იყო მაღალი მესერით შემოღობილი, ცენტრში ნახერხმოყრილი საჭიდაო მოედნით. მაშინ ის საშინელი ომი 7-8 წლის დამთავრებული იყო. გამარჯვებული ხალხი ზეიმით ეგებებოდა ომიდან ახლადაბრუნებულებს. ბევრი მათგანი საჭიდაო ასპარეზზედაც ხალისით მოირგებდა ხოლმე საჭიდაო ჩოხას...

საჭიდაო მოედანი ხალხით იყო სავსე, რომელსაც ბუთლაანთ ვასია სახრით აწესრიგებდა, „კრუგს" ათავისუფლებდა მოჭიდავეებისათვის... მას ღლიღვის ბიჭი – შალვა მათიაშვილიც ეხმარებოდა.

საჭიდაო მოედანს მექანიზატორების გუნდი მოაწყდა. გარეჯელი ტრაქტორისტები ფეხით წამოსულან მინდვრიდან, ზოგი მათგანი მოჭიდავეა, ზოგიც მაყურებელი, ჭიდაობა რომ დამთავრდება, კვლავ ფეხით გაუყვებიან გზას...

მეგარმონე ქიტესა ნაკულაშვილსა და მედოლე გოჩას ბიჭს თავიანთი ადგილი დაუკავებიათ და მსაჯის – ამირან არჩაძის სასტვენს ელოდებიან.

ერთ მხარეს ქართლიდან ჩამოსული კასპელი, გორელები და მცხეთელები დგანან. ახმეტელები გოლიათ შაქრო ბაკურაძეს უტრიალებენ. გარეჯ-

ელ მოჭიდავეებში ჩოხამორგებული მოჩანს ჩვენი კიტეც, – ოთარ გილაშვილი... ბიჭები ჩოხებში გამოწყობილან და სასტვენის ხმას ელოდებიან.

ფეშხანს ბიჭმა სასტვენს ჩაბერა, გოჩას ბიჭმა დოლს დასცხო, ნაკულაანთ ქიტესამ გარმონი გაწელა და ორი ქართველი ლომის ბოკვერი ერთმანეთს ეძგერა. მსუბუქი წონის მოჭიდავეებს ზედაწონოსნები ცვლიან... საოცარი სანახაობაა, ხალხი ღელავს, გარმონი ტკბილ ხმაზე იწელება, დოლი იქაურობას აყრუებს.

ძველი სურათები კვლავ ცოცხლდება ჩემს მეხსიერებაში, ეგ არის მხოლოდ მათი გვარ-სახელის გახსენება მიჭირს, მიჭირს კი არა, აღარ მახსოვს, რომელიღაც კასპელმა ქულებით სძლია გარეჯელს. კიტე აფეთქდა, მსაჯებთან მიირბინა და ხელით ანიშნა: გამარჯვებული კასპელი მე დამჭიდეთო... ასეც მოხდა, არც კასპელს უთქვია უარი. საგარეჯოელის დამარცხებას ვერ ეგუებოდა ოთარ გილაშვილი, – მაშინვე ჩოხას მოირგებდა და გამარჯვებულს გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა წონას.

ორი გაბედული ვეფხვი ერთმანეთს შეეჭიდა. კიტე წელში შეუვარდა კასპელს, აიწია ფეხის წვერებზე, აიტაცა კასპელიც, წელში გაიდრიკა და ბეჭებით დაეშვა ქვემოთ, მაგრამ მისი ბრუნი გაელვებას ჰგავდა, – ვიდრე ნახერხმოყრილ მიწას შეეხებოდა, ჰაერში შეტრიალდა და კასპელი ორივე ბეჭით გააკრა მიწას.

ფეხზე წამომდგარი მაყურებელი ღრიალებდა... ზოგი „არის“! – ყვიროდა, ზოგი „არ არის“... ამ უკანასკნელებს გახანგრძლივებული ჭიდაობის ყურება უნდოდათ, მაგრამ მსაჯმა უკვე ჩაბერა სასტვენს... ამას წინათ შემთხვევით გავიგე, – დაბადებიდან 75 წლისთავი შესრულებოდა ოთარ გილაშვილს 24 სექტემბერს, გარეჯელებისათვის ცნობილ მოჭიდავეს, საყვარელ კიტეს. ეს თარიღი შინაურულ , ნათესაურ-მეზობლურ წრეში აღინიშნა... რას ვიზამ? ასე მოიტანა ჩვენმა გაუსაძლისმა გაჭირვებამ. მე კი ვფიქრობ, სწორედ ახლა სჭირდება თავისუფალ საქართველოს ის ადამიანები, რომლებიც თავისიანის მარცხს ვერ ეგუებოდნენ, მზად იყვნენ ყველაფერი გაეწირათ გამარჯვებისათვის.

ქართული ჭიდაობის ძველი გულშემატკივრები თუკი ამ წერილს წაიკითხავენ, ალბათ, მრავალზე მრავალ მოგონებებს გააცოცხლებენ არა მარტო კიტეზე, იმათზეც, ვინც ნაადრევად წავიდა ჩვენგან, მაგრამ კაცური კვალი დაგვიტოვა. ***ჩვენი, დროებით აქ დარჩენილთა ადამიანური მოვალეობაა ჩვენსავე მომავალ თაობას არ დავუკარგოთ იმათი სახელები, რომლებიც მთელი თავისი შემართებით ადიდებდნენ და ასახელებდნენ მშობლიურ რაიონს, სოფელს გვარ-ნათესაობას.***

ჩვენი კიტე კი, ოთარ გილაშვილი იყო ბეჭდაუდებელი, ეროვნული სპორტის, – ქართული ჭიდაობის საოცარი განსახიერება, – მას მწვრთნელი არ ჰყოლია, მისი ხელოვნება ქართველი ხალხის წიაღიდან მოდიოდა და როცა ჭიდაობდა, სწორედ მაშინ „იგონებდა“ შესაბამის ილეთს, რათა გამარჯვება გარანტირებული ჰქონოდა.

ოთარ გილაშვილი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. მისი სახელი იმ დროისათვის რაიონის ფარგლებს გასცდა... გაეზარდა და გაუმრავლდა ჭიდაობის გულშემატკივრები... აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოთარი მარტო ქართულ ჭიდაობაში როდი პირველობდა, საოცარი ჰუმანური იყო ოჯახში, უყვარდა შრომა და შრომაში შემართება. ბედმა კი უადგილო ადგილზე უმტყუნა – ტრაგიკულად დაიღუპა 31 წლის ასაკში... დაიღუპა, მაგრამ მისი კაცური ხსოვნა დღემდე შემორჩა არა მარტო მის ახლობლებს – მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებსა და ნათესავებს, არამედ მის გულშემატკივრებსაც...

ვახტანგ ჩეკურიშვილი,
„კახეთის კარიბჭე“ 2004 წელი. №40

ბიძინა კევლიშვილი

დ ა ი ბ ა დ ა

საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში 1938 წელს. საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში თავისუფალი ჭიდაობის განხრით, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფია- გეოლოგიის ფაკულტეტზე, იქიდან კი გადავიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს ორენბურგის ოლქის გეოლოგიურ სამმართველოში, სადაც მუშაობდა გეოლოგად და თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელად. 1971 წელს დაბრუნდა საგარეჯოში და მუშაობა დაიწყო მშენებლობებზე ინჟინრად. რაც შეეხება მის სპორტულ მიღწევებს, **არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში;** 1961 წელს ქალაქ მახაჩკალაში საბჭოთა კავშირის სოფლის სპორტსმენთა პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში დაიკავა II ადგილი; არის საქართველოს პირველობების მრავალგზის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში; თავისუფალ ჭიდაობაში მოგებული აქვს საბჭოთა კავშირის პირველობა ინსტიტუტებს შორის. ამავე სახის შეჯიბრებაზე ჭიდაობა სამბოს მრავალგზის პრიზიორია. მრავალჯერ მიუღია საბჭოთა კავშირის პირველობაზე მონაწილეობა, როგორც თავისუფალ ჭიდაობაში, ასევე ჭიდაობა სამბოში. ამასთან, იყო სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ჭიდაობის სამ სახეში: ქართულში, თავისუფალ ჭიდაობასა და ჭიდაობა სამბოში. **არის სპორტის ოსტატი სამივე სახეობის ჭიდაობაში.**

ბიჭიკო მარიდაშვილი



დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში, 1939 წლის 26 ივნისს. დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. 1953 წლიდან ვარჯიში დაიწყო ქართულ ჭიდაობაში შალვა გზირიშვილთან, შემდეგ კი ვარჯიში გააგრძელა თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა

სკოლაში თავისუფალი ჭიდაობის განხრით. აღნიშნული სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1963 წელს. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და იმავე წელს გაიწვიეს სამხედრო - სავალდებულო სამსახურში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1970 წლიდან მუშაობდა საგარეჯოს შ.ს. რაიგანყოფილებაში გამომძიებლად.

1976 წლიდან მუშაობდა საგარეჯოს რაიკავშირში იურისკონსულად.

1978 წლიდან მუშაობდა გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად. გიორგიწმინდაში მეთოდისტად მუშაობის დროს მისი უშუალო თაოსნობითა და მონაწილეობით აშენდა საჭიდაო დარბაზი და აქაური მოსწავლეების ჭიდაობა ძიუდოში მომზადება დაიწყო – რამდენიმე წელში კი გაზარდა საბჭოთა კავშირის, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონები.

1982 წლიდან მუშაობა დაიწყო გიორგიწმინდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. აქაც დაეტყო სოფელს მისი მზრუნველი ხელი. სპორტული დარბაზის აშენების გარდა, მან რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე სასოფლო გზები, სასმელი წყალი და იმ პრობლემების მოგვარება დააყენა, რომლებიც გიორგიწმინდელებს აწუხებდათ. გაჭირვებულის ნუგეში და თითოეული კომლის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო იმ წლებში, მაგრამ მისმა თავდადებამ სოფლისთვის ბევრი გააღიზიანა და სოფელზე მზრუნველი კაცი მავანთა ენების გამო გაათავისუფლეს. თუმცა ეს მოზარდი თაობის სასარგებლოდ გაკეთებული სვლა აღმოჩნდა. მონდომებული, პროფესიონალი მწვრთნელი მთელი არსებით ჩაება მოზარდთა სპორტული აღზრდის საქმეში.

რაც შეეხება პირად სპორტულ შედეგებს - **ათჯერ საქართველოს ჩემპიონია.** აქედან: **ორჯერ ქართულ ჭიდაობაში**, ორჯერ თავისუფალ ჭიდაობაში, ექვსჯერ ჭიდაობა სამბოში, ნსს "კოლმეურნეს" მრავალგზის ჩემპიონი სამივე სახის ჭიდაობაში; შეიარაღებული ძალების ოთხგზის პრიზიორი; საბჭოთა კავშირის სამგზის პრიზიორი - ორი გუნდურში, ერთი პირადში; **სპორტის ოსტატი სამივე სახის ჭიდაობაში; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში.**

თავისი ბიოგრაფიული მონაცემების თვალის გადავლებისას ბატონმა ბიჭიკომ ორიოდე ეპიზოდი გაიხსენა თავისი სპორტული ცხოვრებიდან:

- წელი აღარ მახსოვს, ვჭიდაობდით საბჭოთა კავშირის პირველობაზე. პირველობა ჭიდაობა სამბოში მიმდინარეობდა. 4 შეხვედრა მოვიგე და დავრჩით ოთხი მოჭიდავე. მე ვხვდებოდი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, მოსკოველ ანდრეი სუსლინს. შეხვედრას მე ვიგებდი ერთი ქულით. შეხვედრის დამთავრებამდე 13 წამით ადრე სუსლინმა გამიკეთა ილეთი და ის შეხვედრა, რომელიც იყო მედალზე, წავაგე. შეჯიბრი ტარდებოდა ქალაქ ლიპეცკში. ამ შეჯიბრებაზე მონაწილეობას იღებდა ქალაქ ახმეტის წარმომადგენელი, საგარეჯოელების სიძე, ანზორ ფიცხელაური, რომელმაც ყველას გამოუთქვა ლექსი, მაგრამ ერთს გავიხსენებ, რომელიც მე მეხება.

"საგარეჯოელი ბიჭი ვარ,
მარიდაშვილი ცაციკო, (ცანცო ზედმეტი სახელია ბიჭიკოსი)
ნუ გამახსენებთ ბიჭებო,
ქალაქ ლიპეცკში რაც იყო..."

1960 წელს ვმონაწილეობდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჭიდაობა სამბოში. გამოვდიოდი პირველად. ჯგუფში შეხვედრები მოვიგე და გადავედი შემდგომ წრეში. ვხვდებოდი წინა წლის სსრკ-ს პრიზიორ, ყვარლელ როსტომ სესიაშვილს. . შეხვედრის წინ მოვილაპარაკეთ, ქულებით ვინც წინ წავიდოდა, მეორეს უნდა მიეცა სუფთა. მე სესიაშვილს მოვუგე 2.5 ქულით. მან სუფთა არ მომცა. ამის შემდგომ მე ვხვდებოდი თენგიზ არაბულს. მოგების შემთხვევაში გადავიდოდი სამეულში. შეხვედრის წინ შევედი ტუალეტში სახეზე წყლის შესასხმელად. ამ დროს ვიღაცამ დამიკეტა გარედან კარები და ვეღარ გამოვედი არაბულთან საჭიდაოდ. ჩემი გამოუცხადებლობის გამო გამარჯვება მისცეს არაბულს, მაგრამ ვერც არაბული გადავიდა შემდგომ წრეში. მე არც რუსული ვიცოდი და არც არავინ პატრონი მყავდა, რომ მისულიყვნენ მსაჯთა კოლეგიასთან და აეხსნათ მდგომარეობა. ასე დავკარგე მედალი. ახლაც არ ვიცი ეს ვინ ჩაიდინა. ვისზედაც ეჭვი მაქვს, აღარ არის ცოცხალი და ღმერთმა შეუნდოს. ამ შეჯიბრებაზე მტკივნეული ილეთით წააგო შეხვედრა ჩვენებურმა ნიკო მუჩიაურმაც. შეჯიბრებაში მონაწილეობდა დუშელი გიორგი უნდილაშვილი, რომელმაც გამოთქვა ლექსი:

" მაცნე მოვიდა კიევსა
შეატყობინეთ ყველასა -
მაინც "ბალევოით" წააგო
თავზე დავაფსით ყველამა
მუჩიაურის ხმისაგან
თბილისის ზღვაც კი ღელავსა..."

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს!"

ბიჭიკო მარიდაშვილი - ჭიდაობისა და ვაჟკაცობის ჩემპიონია

– მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი სამბოში (ვეტერანები), საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორი, საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში:

იშვიათად მოიძებნება ჭიდაობის ოთხივე სახეობაში (ქართული ჭიდაობა, სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო), ასევე, მწვრთნელის რანგში, საზოგადოებრივ თუ მენეჯერულ - ორგანიზატორულ საქმიანობაში - ისეთივე წარმატებული ადამიანი, როგორიც იყო და არის ბიჭიკო მარიდაშვილი! განუზომელია მისი ამაგი და დამსახურება, როგორც ქართული სპორტის განვითარების, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც მისაბაძი და მაგალითის მიმცემია ახალგაზრდა თაობისათვის! თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც ჭიდაობაში, ასევე, ვაჟკაცობაში, ცხოვრებაშიც ჩემპიონი კაცია!"

იმ სასახელო მამულიშვილთა შორის , რომლებიც აღუზარდა გარეჯის მიწამ – საგარეჯომ მსოფლიოს, საქართველოს - ბიჭიკო მარიდაშვილსაც ერთ-ერთი გამორჩეული, საპატიო ადგილი უკავია. საქართველოს ჭიდაობის ყოფილი პრეზიდენტი ნ. იაშვილი აღნიშნავდა, რომ "... საქართველოს იმ გამოჩენილ სპორტსმენთა შორის, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ჭიდაობის განვითარების ისტორიაში, ბიჭიკო მარიდაშვილს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი იყო უნივერსალური მოჭიდავე, რომელიც ერთნაირად ფლობდა ქართულ ჭიდაობას და სამბოს, ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობას. ძნელია ყველა იმ მიღწევათა ჩამოთვლა, რომლებიც ბიჭიკომ მოიპოვა ჭიდაობის ამ სახეობებში რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე. მის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს ღღესაც ახსოვს თბილისის სპორტის სასახლეში მის მიერ ჩატარებული ულამაზესი ორთაბრძოლები, რომელთაც აღფრთოვანებაში მოჰყავდათ ჭიდაობის ჭეშმარიტი ქომაგნი. ასეთივე წარმატებული იყო და არის ბიჭიკო მარიდაშვილი, როგორც მწვრთნელ-პედაგოგი და რო-

გორც ორგანიზატორი საზოგადოებრივ თუ სპორტულ ცხოვრებაში!...”

ცნობისათვის: ბიჭიკო ალექსის ძე მარიდაშვილის წინაპრები წამოსულები არიან კასპის რაიონის, სოფელ გომიდან. მამა იყო მეურნე კაცი, დედა ნინა სონიშვილი - დიასახლისი. ბიჭიკოს ჰყავდა და-ძმა. და მაყვალა მარიდაშვილი, განათლებით ბუღალტერი წლების განმავლობაში მუშაობდა “მმკ”-ში ბუღალტრად, ხოლო ძმა სულიკო იყო ავტოინჟინერი. სამწუხაროდ, ბიჭიკოს და-ძმა 2013 წელს გარდაიცვალნენ.

გვარში თუ იყო ჭიდაობის ტრადიციები?

გვარში უჭიდავია მის ბიძაშვილს სამსონ მარიდაშვილს, რომელიც მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქალაქ ბრესტში. იქ აწყობდა პოლკის პირველობებს ქართულ ჭიდაობაში, მას მოუთხოვია და მისთვის გადაუგზავნიათ ქართული ჭიდაობის ჩოხები. იგი ყოფილა დივიზიის ჩემპიონი, ჭიდაობის თავკაცი. სამამულო ომის დაწყებისთანავე გმირულად დაღუპულა.

ასევე, ჭიდაობდა მისი მეორე ბიძაშვილი - შურა მარიდაშვილი. 1958 წელს კასპში გამართულ საქართველოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში, როცა ბიჭიკომ ფინალში დაამარცხა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სამბოში ლავრენტი კაციაშვილი - გაიცნო კასპელი მარიდაშვილები!

– ბატონო ბიჭიკო, რომელი სკოლა გაქვთ დამთავრებული და როდის? თქვენი თაობის საგარეჯოელი მოჭიდავეები ვინ იყვნენ?

– სოფელ გიორგიწმინდის 8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე საგარეჯოს №1 საშუალო სკოლაში, რომლის დირექტორი იმ დროს იყო ქართული ჭიდაობის დიდი მოყვარული და გულშემატკივარი მიხეილ მანდარია, ამ დროს სკოლაში მოღვაწეობდნენ ბრწინვალე პედაგოგები, რომელთაგანაც გამოვყოფდი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ელენე გოდერძიშვილს, ისტორიის მასწავლებელს მალაქია გობეჯიშვილს, ფიზკულტურის მასწავლებელს ვალიკო ოდიკაძეს, გეოგრაფიის მასწავლებელს ვანო მათიაშვილს და სხვ, რომლებისგანაც ვისწავლეთ სამშობლოს სიყვარული, ზრდილობა, თავაზიანობა და ყველა ის კარგი თვისება, რაც ჭეშმარიტ ქართველ ადამიანს უნდა გააჩნდეს. სკოლის წლებიდან ჩემთვის საამაყო იყო ჭიდაობის რაინდთან - ანზორ ზურაბაულთან მეგობრობა, რომლისგანაც არამარტო ჭიდაობის, არამედ კაცობის ბრწყინვალე გაკვეთილებიც ვისწავლე.

ჩემი თაობის საგარეჯოელი მოჭიდავეები იყვნენ - ანზორ ზურაბაული, მურთაზ ელერდაშვილი, ოთარ ოტიაშვილი, ილია ქვლივიძე, სპარტაკ ქარსაულიძე, ზაურ ქურხული, ბიძინა და თამაზ კეკლიშვილები, როინ ქაიხოსროშვილი, როინ ყორღანაშვილი, ვაჟა ქაიხოსროშვილი, შოთა დავითელაშვილი, სულიკო ზალიკაშვილი, ოთარ (ოთუა) მათიაშვილი, ავთო მეურმიშვილი და სხვები.

– ვინ გაზიარათ ჭიდაობის საიდუმლოებას?

– სოფელ გიორგიწმინდის 8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის მე-9 კლასში გადასვლის შემდეგ ერთი დღით მივედი ვარჯიშზე თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილის პირველ მწვრთნელთან ვანო მეკოკიშვილთან. მან ვარჯიშზე არ მიმიღო, მითხრა: - სუსტი ხარ, ხათაბალა გამიხდებიო, ამის შემდეგ ვარჯიში დავიწყე ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ პატრიარქთან, ლეგენდარულ მოჭიდავე შალვა გზირიშვილთან. თითქმის 6 თვე დავდიოდი ვარჯიშებზე, სადაც ვეზიარე ქართული ჭიდაობის საიდუმლოებებს, მაგრამ იმდენად მაინტერესებდა თავისუფალი ჭიდაობა, რომ ძალიან მინდოდა ვანო მეკოკიშვილთან მევარჯიშა თავისუფალ ჭიდაობაში, რომლითაც გავიდოდი დიდ საჭიდაო არენაზე. ჩემი ძმა და ვანო მეკოკიშვილი ძმაკაცები იყვნენ. ეს რომ გავიგე, ვანოსთან “პროტექტორად” მივგზავნე და 8 თვის შემდეგ მიმიღო თავისუფალი ჭიდაობის სექციაში.

– როგორი იყო პირველი ნაბიჯები დიდ სპორტში და როგორი იყო შემდგომი წარმატებები?

– საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში თავისუფალი ჭიდაობის განხრით, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე ამავე ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე, რადგან დაუსწრებულზე ქულები არ მეყო, შემდგომში გადავედი დასწრებულზე, რომლის დამთავრების შემდეგ დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ფიზიკური კულტურის და სპორტის ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლისას მუშაობა დავიწყე სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად. საჭიდაო დარბაზი გავხსენით მიტოვებულ ეკლესიაში და ბავშვებს დავაწყებინეთ ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში. იმ წელს სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობის გუნდი გახდა რაიონის ჩემპიონი ფეხბურთში, ხოლო ქართულ ჭიდაობაში, რომლის შემადგენლობაში მეც ვმონაწილეობდი - დავიკავეთ მეორე ადგილი. 1960 წელს პირველად ვიჭიდავე საქართველოს პირველობაზე სამბოში და გავხდი საქართველოს ჩემპიონი, დავამარცხე რა საბჭოთა კავშირის პირველობების პრიზიორი - ანზორ მარტყოფლიშვილი და გულარ სვიმონიშვილი. ერთი წლის შემდეგ ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში გავაგრძელე მსოფლიოში ცნობილ მწვრთნელთან მიხეილ თიკანაძესთან. გავხდი თავისუფალ ჭიდაობაში სსრკ-ს ნაკრების კანდიდატი. 1963 წელს მოვიპოვე საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში, ორჯერ მაქვს მოპოვებული ვერცხლის მედლები სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობებზე. დასწრებული განყოფილების დამთავრების შემდეგ გავაგრძელე ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში და საკმაოდ პერსპექტიულ მოჭიდავედ ვითვლებოდი, მაგრამ გაწვეული ვიყავი საბჭოთა არმიის რიგებში. სამხედრო სამსახურში მისვლისთანავე მონაწილეობა მივიღე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობაზე სამბოში და მოხდა გაუგებრობა - ფინალში ქულებით დავამარცხე მოსკოველი ილიუშინი და გამომაცხადეს ჩემპიონად, ხოლო 4 წუთის შემდეგ რუსმა მსაჯებმა მოითათბირეს და ჩემპიონად ილიუშინი გამოაცხადეს, რათა მოსკოვის სამხედრო ოლქის ნაკრები გაეხადათ გამარჯვებული. თითქმის ათი წელი გამოვდიოდი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობებზე და ყოველთვის პირველ ან მეორე ადგილებს ვიკავებდი. 1963 წლიდან ვიყავი საქართველოს ნაკრების წევრი სამბოში, რომლის მთავარი მწვრთნელი იყო ცნობილი მოჭიდავე და მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი. ორჯერ მაქვს აღებული გუნდთან ერთად საკავშირო პირველობებზე მეორე ადგილი, ერთხელ მესამე ადგილი. სამჯერ ვიყავი საბჭოთა კავშირის პირველობების პრიზიორი (პირადში); დამარცხებული მყავს მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავეები, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები, მოსკოველი ილიუშინი, ლენინგრადელი ნატალენკო, მოსკოველი ტერონი, ევროპის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ანზორ მარტყოფლიშვილი, ევროპის ჩემპიონი როინ მაღალთაძე, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი უკრაინელი მელნიჩენკო, საბჭოთა კავშირის პირველობებზე მსაჯების არაობიექტურობის გამო ორჯერ დავკარგე ჩემპიონობა. სამჯერ ვიყავი მესამე პრიზიორი და სამჯერ მეოთხე; 12-ჯერ გავხდი ყველა სახის ჭიდაობაში ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი.

ერთი მოჭიდავისთვის ფრიად შთამბეჭდავი შედეგებია!

- კურიოზები, რომლებიც გადაგხდენიათ როგორც ცხოვრებაში, ისე სპორტში?

- ცხოვრების გრძელ მანძილზე, რომელიც გამოვიარე, კურიოზებს რა გამოლევს. მოვიგონებ ორიოდე კურიოზს:

- ... ჭიდაობა ახალი დაწყებული მქონდა, ზოგ-ზოგი ჭიდაობის ფანდები ვიცოდი, ტარდებოდა რაიონის სპარტაკიადა. მამაჩემმა მითხრა სწორედ იმ დღეს - ვენახში წამოდი, გათოხნა მიშველეო, რადგან ოჯახში ჭიდაობაზე სიარულს მიშლიდნენ. მამას უარი ვერ ვუთხარი, რომ რაიონის სპარტაკიადაზე უნდა მეჭიდავა, წავყევი ვენახში სამუშაოდ. ვმუშაობ ჩქარა, სანამ მამაჩემი ერთ პლანს გათოხნის, მე ორი მომაქვს, ჩემი აზრით მალე უნდა მოვრჩე და წავიდე საჭიდაოდ. მამა კი მეუბნება - ეგრე მუშაობა არ შეიძლება, ნელა უნდა იმუშაო ხარულადაო. ამ ლაპარაკში მე და მამაჩემი მივედით ვენახის ტახტებს შორის ცარიელ ადგილზე. მე ვუთხარი მამას - მოდი ვიჭიდაოთ, მე დაგეჭიდები უხელოდ და თუ წაგაქცევ, გამიშვი საგარეჯოში საქმე მაქვს - მეთქი. მამაჩემი ჭკვიანი კაცი იყო და სიცილით მითხრა: - მკვდარი ხომ არ ვარ, რომ უხელოდ წამაქციო. დავიწყეთ ჭიდაობა, მივახტი ე.წ. "მაკრატელაზე" და წავაქციე, წამოვხტი და მაშინვე საგარეჯოში გავიქეცი და სპარტაკიადის ჩემპიონიც გავხდი. სახლში ცოტა გვიან მივედი. მამაჩემი ვენახიდან არ იყო მოსული, მაშინ მანქანები სად იყო, ჩავედი ფეხით ვენახში და მამაჩემი სადაც დავტოვე ისევ იქ დამხვდა: თურმე ჭიდაობისას ფეხი მომიტეხია და ცხენამდე ვეღარ მისულა. შემდგომში შეჯიბრებებზე ბიჭები მეძახდნენ ხოლმე - მამაშენს რომ ფანდი გაუკეთე, ის გააკეთეო! ეხლა ვბრაზობ ჩემს თავზე, მაშინ 15-16 წლის ვიყავი და ჭკუა არ მქონდა!

ბიჭიკო მარიდაშვილი მართალია ვერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, თუმცა სისტემატურად ამარცხებდა უძლიერეს ფალავნებს. ამასთან დაკავშირებით ასეთ კურიოზს ჰქონდა ადგილი - კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე სამბოში რამდენიმე ქართველი მოჭიდავე ასპარეზობდა და როგორც წესი ყველა ისინი გამარჯვების ფავორიტთა შორის იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი მისულა ბიჭიკოსთან და უთხოვია - შეხვედრა დამითმეო, მაგრამ ბიჭიკოს უარი უთქვამს. ვიჭიდაოთ და ვინც ძლიერია, იმან გაიმარჯვოსო. ის შეხვედრა ბიჭიკოს მოუგია. დამარცხებული მისულა მეორე ქართველ მოჭიდავე თენგიზ არაბულთან - დამითმეო. იმასაც უარით უპასუხია, მაგრამ არაბული დამარცხებულა. გამარჯვებულს ნიშნის მოგებით უთქვამს: - მაინც ხომ მოვიგეო. გაბრაზებულ არაბულს უპასუხია: - ვნახოთ, როგორ გახდები ჩემპიონი, ახლა მე მარიდაშვილს დავუთმობ და ჩემპიონი ის გახდება, რადგან შენთან მოგებული აქვსო! არავინ იცის, მართლა ასე მოიქცა თუ არა, მაგრამ როცა მარიდაშვილი შეხვედრის წინ გასახდელში შესულა, ვეღარ გამოსულა, კარები ვიდაცას საგულდაგულოდ ჩაეკეტა გარედან. ვერავინ გაიგო ვინ ჩაუკეტა კარი და სანამ ბიჭიკო იქიდან გამოაღწევდა, ამასობაში გამოუცხადებლობის გამო ასპარეზობიდან მოუხსნიათ! ფაქტიურად ასე დააკარგვინეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა!

– ვინ არიან თქვენი კერპები ჭიდაობაში და საერთოდ ცხოვრებაში?

– ჩემი სათაყვანო კერპები არიან – ჭიდაობის და ვაჟკაცობის რაინდები – ლევან თედიაშვილი, ანზორ ზურაბაული და რომან რურუა! აქვე დავძენ, რომ ყველა დროის უდიდეს მოჭიდავედ, შეიძლება ითქვას "ჭიდაობის მეფედ" – ლევან თედიაშვილი უნდა ვაღიაროთ.

– რა არის თქვენი აზრით იმის მიზეზი, რომ ლეგენდარული ლევან თედიაშვილის, არსენ მეკოკიშვილის მსგავსი ჭიდაობის ვარსკვლავები უკვე ათეული წლებია არ ჩანან საჭიდაო არენაზე?

– ლევანის და არსენას მსგავსი მოჭიდავე საუკუნეში ერთი იბადება და დაიბადებიან კიდევაც მომავალში!

წარმატებული გამოდგა ბიჭიკოს დებიუტი და საქმიანობა მწვრთნელის ამპლუაშიც – მისი აღზრდილები არიან : - სსრკს-ს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის გია ხოსიტაშვილი, სსრკ-ს ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ლევან ბასილაშვილი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გოჩა მეკოკიშვილი, მისი ძმა გოგიტა, ძმები კირაკოზაშვილები, ბადრი ბასილაშვილი, დავით ხოსიტაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის გიორგი რევაზიშვილი, სამბოში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს II პრიზიორი დავით სვიმონიშვილი, ლევან ჭიაბერაშვილი, ლაშა ცხვარიაშვილი,

გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზის მშენებლობაზე შესვენებისას

ნიკა გელაშვილი და სხვ.

ბიჭიკო მარიდაშვილს რაიონის "ძიუდოს პაპას" უწოდებენ. რაიონში პირველად მან შემოიტანა და ააღორძინა ძიუდო.

ღმერთმა ყველა სიკეთესთან ერთად ბიჭიკო მარიდაშვილს მენეჯერულ-ორგანიზატორული საქმიანობის ნიჭი და უნარი დაანათლა! მისი პირადი ინიციატივით საგარეჯოში, სოფ. გიორგიწმინდაში დანერგილი იქნა ვეტერან მოჭიდავეთა, სახელგანთქმული საგარეჯოელი მოჭიდავეების სახელობის ტურნირები, მემორიალები, თავის მეგობრებთან – მურთაზ ელერდაშვილთან, მიშა ქურხულთან და სხვ. ერთად ააღორძინა დანგრევის პირას მისული საჭიდაო დარბაზები – სოფელ გიორგიწმინდაში, საგარეჯოში. სოფელ გიორგიწმინდაში მისი უშუალო თაოსნობით აშენდა ახალი, კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი, რომელშიც დაეხმარა მაშინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ცნობილი ქართულის მოჭიდავე შოთა ეცადაშვილი. გაკეთდა და კეთილმოეწყო სოფელ გიორგიწმინდაში ფეხბურთის მოედანი, ღია, ნახერხმოყრილი საჭიდაო არენა. დღეს, რომ საგარეჯო რესპუბლიკის მაშტაბით გადაქცეულია ჭიდაობის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად – ამ საქმეში ბიჭიკო მარიდაშვილის ლომის წილია ჩადებული! ბიჭიკო მარიდაშვილი ახლაც ენერგიით აღსავსე - ჩქარობს არ გამორჩეს არც ერთი ცნობილი საგარეჯოელი მოჭიდავე, რომ მას ჯეროვანი პატივი მიაგოს – ჩაატაროს მათი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო მაშტაბის სახელობითი ტურნირები, მემორიალები.

– ცნობილია, რომ ნიჭთან ერთად ცხოვრებაშიც და სპორტშიც – იღბალს, ბედისწერას დიდი მნიშვნელობა ენიჭება?

– შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრებაშიც, სპორტშიც ბევრჯერ იღბალმა ზურგი შემაქცია! პირველი უიღბლობა იყო ჩემი შვილის ზაზას ტრაგიკული დაღუპვა 2000 წლის 15 მაისს ავტოავარიაში. ორჯერ უიღბლობის და მსაჯების არაობიექტურობის გამო ვერ გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. შემდგომშიც – როგორც საჯარო სამსახურში, ასევე, მწვრთნელის ამპლუაში მუშაობისას ბევრი უსაფუძვლო ტკივილი მომაყენეს ჩემმა გაზრდილმა მოსწავლეებმა, მაგრამ მე მაინც არ გავტყდი და დღესაც წარმატებით ვმუშაობ საგარეჯოს სპორტულ გაერთიანებაში – მწვრთნელად! ველოდები ცხოვრება კიდევ რა სიურპრიზებს შემომთავაზებს.

– ცნობილი ფაქტია, რომ მწვრთნელის მუშაობაში წარმატებები პირად ფაქტორთან ერთად, ბევრადაა დამოკიდებული სპორტის მესვეურთა მხრიდან როგორი თანადგომა, დახმარება იქნება...

– დღეს ჩემი აზრით, საგარეჯოს სპორტულ გაერთიანებას ჰყავს ღირსეული წინამძღოლი გია მაისურაძე, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს, რათა რაიონში სპორტის ყველა სახეობა ააღორძინოს. გია მაისურაძეს, ჯერ კიდევ ადრე, მაშინ, როცა მე და მიშა ქურხული ვმუშაობდით ძიუდოს მწვრთნელებად, ბევრჯერ ჩვენი ნორჩი მოჭი-

დავეებისათვის ჩაუტარებია საწვრთნელი შეკრებები, დაუფინანსებია სხვადასხვა შეკრებებზე მათი წაყვანა და სხვა მრავალი ქველმოქმედებები ჩაუტარებია. იმედი მაქვს, რომ მისი მუშაობის პერიოდში სპორტში უფრო მეტი წარმატებები გვექნება.

ბიჭიკო მარიდაშვილი პირად ცხოვრებაშიც ჩემპიონი კაცია. ჰყავს ბრწყინვალე ოჯახი – მეუღლე ჟენია ჭიაბერაშვილი – დიასახლისი; შვილები – ლელა მარიდაშვილი-იურისტი, კახა მარიდაშვილი – ბიზნესმენი, შვილიშვილები – ქეთი მარიდაშვილი – დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ნინო მარიდაშვილი – დაამთავრა სამედიცინო მედდის სასწავლებელი, ბიჭიკო მარიდაშვილი – სწავლობს საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში, ლექსო მარიდაშვილი – სწავლობს თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ზაზა მარიდაშვილი – სწავლობს საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში, ბექა ხაჩიური – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თამთა ხაჩიური – სწავლობს თბილისის №186 საჯარო სკოლაში.

და ბოლოს, მთავარი სათქმელი – ჩვენს სახელოვან თანამემამულეს – ბიჭიკო მარიდაშვილს 2014 წლის 26 ივნისს უსრულდება დაბადებიდან 75-ე წლისთავი. მისაბაძია მისი სულის ძლიერება და გაუტეხელობა, რაც იმაში სახიერდება, რომ მიუხედავად უამრავი სიძნელეებისა, დღესაც ჩვეული რუდუნებით და სიბეჯითით განაგრძობს ქართული სპორტის წინსვლისთვის აქტიურ საქმიანობას; კვლავაც დიდხანს ხელიდან არ გაგეგდოს ეს მძიმე საჯილდაო ქვა, კვლავაც დიდხანს გეღვაწოს ეროვნული სპორტის წინსვლისა და განვითარებისთვის. ბატონო ბიჭიკო, გილოცავთ მოახლოებულ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, პირად კეთილდღეობას, მეუღლის გამოჯანმრთელებას და ახალ-ახალ წარმატებებს თქვენი კეთილშობილური მიზნების აღსრულებაში. ღმერთმა დაგლოცოთ, იგი იყოს თქვენი შემწე და მფარველი მომავალშიც!

თენგიზ კოკიასშვილი

გაზეთი „გარეჯის მაცნე“ №11, 2014წ.

ვაჟა ქაიხოსროშვილი

დაიბადა ქალაქ საგარეჯოში 1939 წელს. დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა. ბავშვობისას ვარჯიშობდა ქართულ ჭიდაობაში შალვა გზირიშვილთან. შემდეგ ვარჯიში დაიწყო თავისუფალ ჭიდაობაში ვანო მეკოკიშვილთან. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომლის დამთავრებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა ქალაქ საგარეჯოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ. იგი ჭიდაობდა ქართულ ჭიდაობას, თავისუფალ ჭიდაობას და ჭიდაობა სამბოს. თითქმის ყველა სახეობაში ჰქონდა გარკვეული წარმატებები. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში იკავებდა საპრიზო ადგილებს. იგი იყო საბჭოთა კავშირის მესამე პრიზიორი. **იყო სპორტის ოსტატი ჭიდაობის სამ სახეობაში: ქართულში, სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში.**

გარდაიცვალა 52 წლის ასაკში.

სულიკო ზალიკაშვილი



დაიბადა 1939 წელს. 1947 წელს შეიყვანეს საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს. მისი სკოლაში სწავლის პერიოდში სკოლაში ჩამოყალიბდა თავისუფალი ჭიდაობის სექცია, რომლის ინიციატორი იყო მწვრთნელი ივანე მეკოკიშვილი. 1953 წლიდან დაიწყო თავისუფალი ჭიდაობის სექციაში ვარჯიში. მასთან ერთად ვარჯიშობდნენ შემდეგში ცნობილი მოჭიდავეები ძმები ბიძინა და თამაზ კევლიშვილები, ბიჭიკო მარიდაშვილი, ანზორ ზურაბაული, სპარტაკ ქარსაულიძე და სხვა ცნობილი მოჭიდავეები. 1956 წელს სულიკო ზალიკაშვილმა იჭიდავა სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" პირველობაზე და მეორე ადგილს დასჯერდა. 1957 წელს შედეგი გააუმჯობესა და ჩემპიონი გახდა. ამ საზოგადოების სამჯერ პირველი და ორჯერ მეორე ადგილის მფლობელია. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში 1959-1962 წლებში. არის ქალაქ თბილისის ჩემპიონი და პრიზიორი. 1962 წელს მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშებში, სადაც გახდა ვერცხლის მედალოსანი. ამავე წელს ქალაქ ნალჩიკში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა პირველ თანრიგოსნებში. აქაც ვერცხლის მფლობელი გახდა და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

1962 წელს ქალაქ კასპში სულიკო ზალიკაშვილმა იჭიდავა საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში, აიღო მეორე ადგილი. ამავე წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, სადაც გააგრძელა სპორტული მოღვაწეობა. არის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი შეიარაღებულ ძალებში.

1963 წელს ქალაქ ვორონეჟში ჩატარდა რუსეთის ზონალური სპარტაკიადა, სადაც გახდა ჩემპიონი. არის აგრეთვე აზერბაიჯანის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში.

აგრეთვე მონაწილეობა მიიღო მრავალ ამხანაგურ და საერთაშორისო შეჯიბრებაში. მიღებული აქვს მრავალი მედალი და სიგელი.

სულიკო ზალიკაშვილი მრავალი მოუშუშებელი ტრავმის გამო 1970 წელს ჩამოშორდა აქტიურ სპორტს.

ჩაილურელი მოჭიდავეები

დიდი ჩაილური ქართული ტრადიციებით ცხოვრობს ოდითგანვე. ყოველი დღეობა,რელიგიური თუ საერო აქ ცეკვა-თამაშის, სიმღერის გარეშე არ ტარდებოდა. რაც შეეხება ქრისტიანულ დღესასწაულებს „ყველიერი“, „კვირაცხოვლობა“, „ღვთისმშობლობა“, თუ წინარექრისტიანული დღესასწაული „კოპალობა“ გართობასთან ერთად ქართული ჭიდაობის გარეშე არ ჩაივლიდა. სოფლის ახალგაზრდები ყოველ საღამოს სოფლის ორღობეებსა თუ სახელდახელოდ მოწყობილ საჭიდაო მოედნებზე ერთმანეთს ძალას უსინჯავდნენ – ეჭიდავებოდნენ და მერე კი სოფელსა და მეზობელ სოფლებში გამართულ დღეობებზე ერთმანეთს ფალავნობისთვის ეძალავებოდნენ.

ჩემს ხსოვნას შემორჩა ერთი მონათხრობი. ეს სოფელ კაკაბეთში გამართულ დღეობაში „სამებობას“ მომხდარა. ძველი მეტოქეები პატარა ჩაილურელი ვლადიმერ ღვინაშვილი (ბელიას ბიჭი ლადო) და ყანდაურელი ლადო ათაბეგაშვილი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. ბელიას ბიჭი ნასვამი ყოფილა და მასთან შედარებით ახალგაზრდა შოთა საგინაშვილისთვის („ბუღალა“) უთხოვია ლადო ათაბეგაშვილთან დაჭიდება„ბუღალას“ უარი არ უთქვამს. მაშინ დასანიშნი ბიჭები დღესასწაულზე მისულ გოგონებს სწორედ ჭიდაობაში შეპაექრებით აწონებდნენ თავს. ათაბეგაშვილმა იუკადრისა თურმე „ბუღალასთან“ შებმა და შორიდანვე გაუფრთხილებია: არ გადმოხვიდე საჭიდაოდ, თორემ მოგკლავო! მაგრამ, „ბუღალა“ მის მუქარას არ შეშინებია და საჭიდაოდ გადასულა. ხალხს თავი უნებებია ყველაფრისათვის და ყველა საჭიდაო მოედანს მიაწყდა თურმე. გოლიათი ათაბეგაშვილი ვეფხვივით დაეძგერა თურმე ტანდაბალ „ბუღალას“, რამდენიმე ილეთი ჩაუტარა. მაყურებელს ეგონა „ბუღალა“ ბეჭებზე იქნებოდა, მაგრამ... შეცდა – „ბუღალა“ გოლიათი ათაბეგაშვილის ყველა შეტევის შემდეგ ფეხზე იდგა. გოლიათი გაგიჟდა. ერთ-ერთი შერკინების დროს „ბუღალამ“ მოახერხა და ათაბეგაშვილს წელზე გაუყარა ხელი და ქამარი დაიჭირა, რომლის გაშვებას უკვე ხარის ძალა სჭირდებოდა და „ბუღალამ“ ეს ილეთი შემდეგშიც არაერთხელ გამოიყენა – მოგვერდით გოლითი ათაბეგაშვილი სუფთაზე წააქცია. გაოცებულმა მაყურებელმა დაიგუგუნა და ამბობენ, კაკაბეთიდან ეს ხმა ჩაილურშიც გადმოვიდაო.

დიდი ჩაილურიდან იყო ოთარ ლოლაძე („ილიჩი“), გასაოცრად სწრაფი და დახვეწილი მოჭიდავე. იმდენად სწრაფი, რომ მოწინააღმდეგეს ხელებს გაუშლიდა (რაც ჭიდაობაში მიუღებელი იყო) და საშუალებას აძლევდა – ფანდი შენ დაიწყეო. ამის შემდეგ კი თავად ელვის უსწრაფესად იწყებდა ილეთს და სუფთა მოგებით ასრულებდა შეხვედრას.

დიდი ჩაილურიდან იყვნენ ქართულის ლამაზად მოჭიდავეები:

ძმები ტერტერაშვილები – ნოდარი და ავთანდილი

ძმები საგინაშვილები – გურამი და ელგუჯა

ძმები ქევხიშვილები – ვაჟა და ვალერი

გზირიშვილი ნიკა

ქევხიშვილი გოდერძა

კირაკოზაშვილი ვიგენტა („კრუცოანთი“)

ლოლაძე სანდრო („ბიბა“)

არჩილ დიდებულიძე,

სოფელ დიდი ჩაილურის რწმუნებული

გიორგი ოთარაშვილი



დაიბადა 1940 წლის 26 ნოემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. დაამთავრა სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლა. **არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში.** ნსს სპორტსაზოგადოება “კოლმეურნეს” ორგზის პრიზიორი. საგარეჯოს რაიონის ჩემპიონი. **გიორგი ოთარაშვილი ჭიდაობდა მხოლოდ ქართულ ჭიდაობას.**

გიორგი გზირიშვილი

დაიბადა საგარეჯოში 1940 წელს. დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. მეხუთე კლასიდან დადიოდა ქართული ჭიდაობის წრეზე მამამისთან - შალვა გზირიშვილთან. შემდგომ ვარჯიში დაიწყო თავისუფალ ჭიდაობაში ვანო მეკოკიშვილთან. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და დაამთავრა წარჩინებით. არის საქართველოს ნსს სპორტსაზოგადოება “კოლმეურნეს” ჩემპიონი ქართულ, თავისუფალ და ჭიდაობა სამბოში. არის საბჭოთა კავშირის მესამე პრიზიორი ჭიდაობა სამბოსა და თავისუფალში.

გიორგი (ცუგო) გვარიძიშვილი



რაღაცნაირი ინტერესით, დაკვირვებულად ადევნებდა თვალყურს პატარძეულელი მოჭიდავეების ჭიდაობას. იცოდა,რომ პატარძეული ეს ძირძველი ქართული სოფელი, თავისი ისტორიული წარსულითა და საქართველოსთვის თავდადებული შვილებით ამაყობდა. ომიც ახალი დამთავრებული იყო. საომარი აღარაფერი იყო, მაგრამ ერთმანეთს მაინც ეჭიდებოდნენ, ძალაში ცდიდნენ, "მოთელვას" აკეთებდნენ – ქართველები იყვნენ, სხვანაირად არც შეეძლოთ. ამასთან, უნდა ეშრომათ, მაგრამ წინაპართა მსგავსად, "კაი ყმის" სახელიც დაეგდოთ. საინტერესო კი როგორ არ იყო: შაქრო ელერდაშვილის და არჩილ ონაშვილის, შოთა ზუკაიშვილის სახელოვან გზას მიჰყვებოდნენ ნიკო მუჩიაური,თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილები, მთელი სოფლის ახალგაზრდობა. ჯერ კიდევ ბალღობისას ვერც უბანსა და ვერც პატარძეულის ორღობეებში, ვერც სკოლის გაშარავებულ ეზოში ვერავინ უბედავდა საჭიდაოდ გაწვევას. სკოლის მოსწავლე იყო და მის სახელს უკვე წონა ჰქონდა საგარეჯოში. საგარეჯოში გამართულ ჭიდაობის აფიშებს პირდაპირ აწერდნენ "ღღეს იჭიდავებს ცუგო გვარიძიშვილი". ინტერესი დიდი იყო მაყურებლის, დიახ, – მექანიზატორები, მწყემსები, მევენახეები, საგარეჯოს საზოგადოება, სოფლების ახალგაზრდობა სწორედ მისი ჭიდაობის სანახავად მოდიოდნენ.

სახელი: *ცუგო* (დაბადების მოწმობით გიორგი)

გვარი: *გვარიძიშვილი*

ჩემი გაზაფხული:

დავიბადე 1940 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში.

ვსწავლობდი პატარძეულის სკოლაში.

მეამაყებოდა, რომ ვიზრდებოდი იმ მიწა-წყალზე, სადაც ბუმბერაზი გოგლა დადიოდა, სადაც ქმნიდა ქართული სიტყვით მოჩუქურთმებულ ლექსებს და მოთხრობებს, სადაც ვაზის ნაჟურით ამბობდა საქართველოს სადიდებელ სადღეგრძელოებს და ეფერებოდა ქართულს, თუნდაც მარტოსულ ხეს, - ჩვენს "ჭამპურასა" და "ხვედიას", გვატირებდა მარიტასა და გედიას უიღბლო სიყვარულზე...

მეამაყებოდა ბებერი ციხეების ჩამოშლილი კედლები, ჩვენი სოფლის ვაჟკაცების მეისტორიე...

მეამაყებოდა ჩემი ხალხი, ქედდუდრეკელი, სხვა სოფლებისგან განსხვავებული თავისი ცხოვრების წესითა და ადათებით, აი, ისეთი, ნაღდი ქართული...

მეამაყებოდა ჩემი სოფლის ახალგაზრდობის სილამაზე და სიჩაუქე...

მეამაყებოდა, რომ ვიღვიძებდი ქართულ სოფელში მამლების ყივილზე და შეღამებისას საძოვრებიდან მობრუნებული საქონლის სურნელი გვაგრძნობინებდა მზის ჩასვლას...

მიხაროდა ტყემლების და ნუშების ღიმილის შემოფეთება გაზაფხულზე

მიხაროდა პურის ყანაში გაბნეული ყაყაჩოები და ...

... ეს ყველაფერი მახსენებდა, რომ ქართველი ვიყავი და მართლმადიდებელი, ქართული ცა მეხურა ქუდად და ქართული მიწა მედგა საყრდენად.

ვგრძნობდი აქედანვე, რომ ბევრ რამეს მავალებდა ჩემი ქართველობა და ქართული მიწა-წყალი...

ჭიდაობა ადრევე დავიწყე, არ ვიცი, ეს არ იყო რაღაც მოვალეობის მოხდა, ან ღღეობაში "გათამაშებული" ჭედილის მოგების ჟინი, არც ლამაზ-ლამაზი გოგონების ღიმილის დამსახურების სურვილი... თავისით მომდიოდა სურვილი- გამომეცადა თავი, არ შემერცხვინა პატარძეული, საგარეჯო, გარეკახეთი...

რაღაცნაირი აღტკინებით ველოდით თბილისში ჭიდაობის ტურნირებზე, შეჯიბრებებზე გამოძახებას. არ გვქონდა გზის ფული. ერთხელ საგარეჯოელების მწვრთნელ შალვა გზირიშვილთან ერთად ფეხით წავედით საგარეჯოდან თბილისში. რა სილაღით, რა მოუთმენლობით გავლიეთ გზა სართიჭალამდე. გზადაგზა ქლიავის ტოტები გადმოგყურებდნენ მაცდურად. მივესეოდით, ჩამოვბრდღვნიდით, თან ჯიბეებს ვივსებდით. უკან ჩვენი, 120 კილოიანი მწვრთნელი საყვედურნარევი დუდღუნით მოგვდევდა...

ჩავიდოდით თბილისში, იქ ახმეტიდან, თელავიდან, კასპიდან, გორიდან, ქარელიდან კარგად ნაპატივები მოჭიდავეები დაგვხვდებოდნენ საბარგო მანქანებით "მობრძანებულები". გამოგვიძახებდნენ გარეკახელებს საჭიდაო მოედანზე და ქლიავისგან მუცელაჭრიალებულები იმ "პატივცემულ" მოჭიდავეებს ისე გავაგორებდით ნახერხში, რომ ჩვენ ერთსაც არ ჩავიმუხლებდით. იმ პერიოდში 7 "მასტერკლასა" მყავდა წაქცეული 0 ქულით.

ადრეული, ცხელი, მწველი ზაფხული:

სკოლა ახალი დამთავრებული მაქვს, 16 წლისა საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ვარ ქართულ ჭიდაობაში. იმედით, რწმენით, უკვე "ჟილკით" გავდივარ მეტოქეებთან. თბილისში ვართ. გამომიყვანეს ერთი ბუდაგოვი, ბიძამისი დიდი ფიგურაა თბილისში, სამჯერ შემახვედრეს, სამჯერვე ისე ვაგორავე, ფეხზე ვედარ დგება. ახმეტელი თედეევი მიყვირის – ცუგო, მოახრჩე, მოახრჩე, ხომ ხედავ რაც ხდებაო. თბილისში გამარჯვებულს მოსკოვში მიწევს საკავშირო პირველობაზე გამოსვლა. ბუდაგოვს თავისი ძმისშვილის გაგზავნა უნდა. არ წავექცევინე. ესე არ გინდაო, და ვიღაცამ სოფლიდან ქალაქში ჩასულს თურმე მოპარული ფეხსაცმელები "შემომაპარა" იაფად. მეც დავხარბდი, თან ფეხსაცმელებიც თბილისი-პატარძეულის გზაზე ფეხით სიარულში შემომაცვდა. იქვე მტაცა ხელი ვიღაცამ, "მოპარულ" ფეხსაცმელებში, მართალია, ფული მივეცი, მაგრამ მყიდველი აითესა, ვეღარსად ვიპოვე ჩემი სიალალმართლის დასამტკიცებლად... გაიმარჯვა ბუდაგოვის დაგებულმა მახემ... "მომარჭვეს" ციხე. ის ბუდაგოვი მოსკოვში პირველივე მეტოქეს "გაუგორდა" ბეჭებზე. სამართალმა პური ჭამა, მაგრამ მე რა?! ოთხგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და "სამბოში" ციხეში ჩამსვეს.

ცხელი ზაფხულის გაგრძელება:

– ციხე ციხეა, იქ კანონს თვითონ სიმართლე და სამართალი ქმნის. რა მეკეთებინა?! ვინ დაიმორჩილებდა ჭიდაობაში დაუმარცხებელ 16 წლის ბიჭს? მაშინ 16 წლისას ცხოვრებისათვის მომზადებულად თვლიდნენ. ციხეში დავიწყე ჭიდაობების გამართვა. ამყვნენ ციხის უფროსებიც და ახლა ციხის აუღებელი "ციხე-სიმაგრე" ვარ ჭიდაობაში. არ მასვენებს რაღაც, რაღაც კი არა, სიმართლის დადგენა. ვერ ვეგუები უსამართლოდ დაჩაგვრას, სისხლი მიდუღს, გაქცევა მინდა და ჩემს დამღუპველზე შურისძიება... ასე მოვიარე ციხეები – ციხეში სახელმწიფოს კანონებისადმი დაუმორჩილებელმა. ახლა რუსეთის ციხეებში "მიმავლინეს". იქაც მაგარი გამოვდექი ჭიდაობაში. "სამბო" არაფერია, რუსებმა ჭიდაობის რა იციან?! მათში გაბნეულმა გარუსებულმა თათრებმა შეიტანეს ისიც. ქართველი ვიყავი, წინ ვის გავუშვებდი?! ძალაუნებურად ვარღვევდი ციხის შინაგანაწესს...

ციხიდან გადავყევარ, როგორც დაუმორჩილებელი, საშიში პიროვნება "კოლომაზე" ვერტმფრენს. მე ხელბორკილები მადევს, თავზე "პლაშჩის კაპიშონ" წამოფარებული ვზივარ სალონში. ორი მფრინავია, მცველი და მე. კომის ავტონომიური რესპუბლიკის თავზე ვართ. დაბლა უსასრულო ტყეა. ისე დაბლა მივფრინავთ, მფრინავები ირმებს ათვალიერებენ. გავიხედე და ბორკილები თავისით დამცვივდა (თურმე "ბრაკი" ყოფილა, როგორც შემდეგ გაირკვა, შეცდომით დაუდვიათ ხარისხიანებში), მფრინავები გართულები არიან ირმების თვალიერებაში. ისე დაბლა მივფრინავთ, უზარმაზარი ხეე-

ბის კენწეროები ქანაობს ვერტმფრენის გადაფრენაზე. მეც რა მინდოდა, ეს ჩემი "კაპიშონიანი" ლაბადა როგორც ღამურას ფრთები, ისე გავშალე და გადავხტი. იმდენი ჭკუა ვიხმარე, ტორფიან ადგილებს გავცდი, იქ ჭაობი იყო, ვიცოდი ცოცხალი ვერ გამოვაღწევდი. მდელოზე მომიწია ბედად "დაშვება". გვიან მომიკითხეს ეტყობა მფრინავებმა და თანმხლებმა...შემობრუნდნენ. ისე მოხდა, ისინიც იმ მდელოზე დაეშვნენ. რაციით გადასცემდნენ აეროპორტის ხელმძღვანელობას შექმნილ ვითარებას. გაირკვა, რომ ჩემს საძებნელად უამრავი ცოცხალი ძალა უნდა გადმოესროლათ და თან ძაღლებიც... იმდენი მოვახერხე, თანმხლები დაცვა და ორივე პილოტი "გავთიშე", "რაცია" ხელში ჩავიგდე და აეროდრომის უფროსს დაველაპარაკე. აღმოჩნდა მეგრელი აფხაზეთიდან. შემეხვეწა, ოღონდ ნუ დაგვდუპავ, ვერტმფრენი მილიონი ღირს და რასაც გვეტყვი, იმას გაგიკეთებთ, იმ ციხეში გადაგიყვანთო ...

ასე მოვახერხე "სმერტნიკების" ციხიდან (საიდანაც ცოცხალს აღარავის უშვებდნენ) შედარებით "მსუბუქ" ციხეში მოხვედრა...

სიყვარულს ციხის კედლებიც ვერ იჭერს...

გაზაფხულის პირია. იქ გვიან მოდის გაზაფხული... ციხე, რომელშიც ჩვენ ვიყავით, ტყეში იდგა, მავთულხლართებით, დენის სადენებით, კოშკურებით, ძაღლებით, ძლიერი დაცვით. ახლოს პატარა სოფელია, ციხის მომსახურე პერსონალით დასახლებული.

მარწყვი მწიფს (ჩვენი აზრით) ტყეში. სოფლის ქალები ტყეში მარწყვის საკრეფად გადიან თურმე. ერთხელაც ყვირილის ხმა შემოგვესმა – ქალი განწირული ხმით შველას ითხოვდა. ციხის უფროსის მოადგილემ ერთ ადგილას შეგვყარა და გამომიცხადა, ქართველო, შენს გარდა დათვს ვერავინ შეებრძოლებაო. უცბად ვიგრძენი, რომ ახლა საქართველო ვიყავი. ჩამაცვეს სველი "ტელეგრეიკა", გამიყვანეს ციხის გარეთ, მომცეს ხელში პატარა ხანჯალი და გაავებულ დათვს მიმაყენეს. ბილიკზე მარწყვი გაბნეულიყო, აქეთ-იქით ეყარა კალათები. დათვს ბებია მოეკლა, 16 წლის გულწასულ გოგონას ზედ გადაჰფარებოდა და გამწარებული ღრიალებდა. (ეს კაციჭამია დათვები იყვნენ. სადაც ჩვენ ვიყავით, იქ მიცვალებულებს ვერ მარხავდნენ ზამთარში, მიწა ისე იყო გაყინული. თოვლში მარხავდნენ, გაზაფხულზე დაიძვრებოდა ყინული, თოვლის წყალი მიცვალებულებს იქვე ტბაში ჩაიტანდა და კაციჭამია დათვები, ზამთარგამოტარებულები გვამებს ეტანებოდნენ. მაგრამ, "პირისგემო იცოდნენ" – ნარკომანების და ლოთების გვამებს არ ჭამდნენ). საშინელი სუნი უდიოდა დათვს, იმხელა ხახას აჩენდა, მთლიანად გადამყლაპავდა, თან გოგონასაც არ შორდებოდა. შევეჭიდეთ ერთმანეთს, ვიგრძენი "სკალპი" როგორ გადამაძრო თავზე. გავმწარდი, იქვე ხელი ვტაცე მომცრო ხის მორს და პირში ჩავჩარე, მერე ჭიდაობის ფანდის გამოყენებამდე ხანჯალი ალალ-ბედზე მუცელში ვატაკე და დათვის შიგნეულის სიმყრალემ გულიც ამირია. ხანჯალი მოვუნაცვლე, ვიგრძენი, როგორ დუნდებოდა, ტორებს მიღერებდა, ბრჭყალების ბასრ კვალს ჩემი კანი თან ჩაჰქონდა. როგორც იქნა, ის 380 კილოგრამიანი დათვი მიწაზე ჩაიმზღვლა... გოგონა ჩვენი ციხის უფროსის ქალიშვილი აღმოჩნდა (ჩემთვის), დათვის ტორებს გამოქცეული ქალი – დედამისი, დათვისგან მოკლული მოხუცი – ციხის უფროსის სიდედრი.

დათვისგან დახსნილი ტანია შემდეგში ჩემი სამი ვაჟის დედა გახდა. ჩემი სიდედრი ცოცხალი აღარ არის, ჩემი ციხის უფროსი, ჩემი სიმამრი დღეს ცოცხალია, მოსკოვში ცხოვრობს, ტანია წავიდა მის ჩამოსაყვანად, ძალიან უყვარს საქართველო, ქართული პურ-მარილი და რაღა დაგიმალოთ მეც, მისი ერთადერთი ქალიშვილის გადამრჩენელი,– ერთ დროს მისი ციხის ამფორიაქებელი, ციხეების ბეჭდაუდებელი ფალავანი და მრავალი ღამის ძილის დამრღვევი... ტანიას და მას ჩვენი პირველი შვილიშვილი გოგონა დახვდებათ, რომელიც სულ რამდენიმე თვისაა...

ჩემი შემოდგომა...

მე ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ციხეში გავატარე. არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია, მაგრამ ალბათ განგებამ ასე ინება – გამოვიდოდი ციხიდან, გავებმებოდი "ხათაბალაში" და ისევ უკან მაბრუნებდნენ – ვიყავი და დავრჩი ციხის ფალავნად. 16 წლისამ, ოთხგზის ჩემპიონმა დავამთავრე ჩემი "სპორტული სამოქალაქო კარიერა". ვინ გამიყვანდა საკავშიროსა და ევროპაზე ნასამართლევს?! მაგრამ მე ხომ მახსოვდა, ჩემს თაობას ხომ ახსოვს, აფიშებზე სპეციალურად რომ წერდნენ ჩემს გვარს, ხალხი მეტი მოსულიყო, მეტი დასწრებოდა ჭიდაობას?! ისიც ხომ ტკბილად მახსენდება, ორჯერ ფეხით ჩასულმა საგარეჯოს გუნდმა როგორ მწარედ დავამარცხეთ კასპი, გორი, ქარელი, ახმეტა და პირველი ადგილები ავიღეთ?!



მერე იყო 90-იანი წლები... ეროვნული მოძრაობა... ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვარ ეროვნული მოძრაობისა. ახლოს ვიყავი ზვიადთან, მერაბთან, ის პირსისხლიანი აპრილის ღამეც ერთად გადავიტანეთ ... ისევ მე მეძებდა, მე მებრძოდა მთავრობა, როგორც ჩანს "ანგარიშგასაწევი კაცი" ვიყავი...

დიდი წონა აქვს ქართველს კავკასიაში. ჯოხარ დუდაევთან გამგზავნა ზვიადმა იარაღისთვის, ჯოხარმა ფულის აღებაზე უარი თქვა – კავკასიაში ვაჟკაც ხალხს იარაღი არ უნდა მიჰყიდო, უნდა აჩუქო...

იყო სამაჩაბლო, იყო აფხაზეთი, იყო დევნა, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა შეუპოვარი აღმოჩნდა ქართველებისათვის ...

– ერთი უფალმა იცის რა გაჭირვება, დამცირების მცდელობა გადამიტანია, სიკვდილისთვისაც ხშირად ჩამიხედავს თვალებში. ციხის ცივ საკნებსა და ზედამხედველებისგან ულმობელი მოპყრობით გულგაყინული ფურცლებს ვანდობდი ჩემს სათქმელს. ბევრმა თეთრმა ქაღალდმა დაიტია ჩემი ტკივილი, ტკივილი სულის, თორემ ფიზიკური არასოდეს მიგრძვნია ისე მწარედ.

მაგრამ, მე რაც 2012 წლის 26 მაისის ღამეს გამომატარეს, ასეთი რამ ალბათ ციხეშიც არ ყოფილა. დამიჭირეს და იმ პირობით გაგიშვებთო –ნაცმოძრაობის ლიდერებმა, თუ ელიზბარ ჯაველიძეს აგინებ, აუგს იტყვი მასზე, შენ ასაკიანი კაცი ხარ, გამოცდილება გაქვს ეროვნულ მოძრაობებში და ხალხი შენს ნათქვამს დაიჯერებსო. ყველაფერთან ერთად, საგარეჯოს რაიონის გამგებლობაც შემომთავაზეს. არ გავყიდულვარ არასოდეს და სიბერეში ქართველობას, ქართულს გავყიდდი, კაცო?! იქით ვაგინე და არც იმათ დამაკლეს, - ფიზიკურად გამისწორდნენ. პირდაპირ ვუთხარი მათ – მოღალატეები ხართ და მოღალატეებთან მე რა მინდა-მეთქი. მე სხვანაირად არ შემეძლო.

კაცური კაცის სახელით შევხვდი ჩემს პირველ შვილიშვილს, მერე რა, რომ გოგონაა, მას სხვები მოჰყვებიან, სახელი უნდა დავუტოვო, სახელი კაცური კაცისა ...

ერთი სურვილი მაქვს – ღმერთმა მომასწროს საქართველოს გაბრწყინებას, გამთლიანებას, "ნიკოფსიიდან დარუბანდამდის" მეხილოს ჩემი სვეგამწარებული საქართველო. სვის გამწარების, დაუმსახურებლად დასჯის სიმწარე კი ყველაზე მეტად ჩემნაირმა ადამიანმა იცის ...

გაბრწყინებული მენახოს ჩემი საქართველო ...

ჩაიწერა თინა ილაურმა

სპარტაკ ქარსაულიძე

დაიბადა 1940 წელს საგარეჯოში.

1958 წელს დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის პერიოდში დაინტერესებული იყო ტანვარჯიშით. სკოლის დამთავრებამდე დაინტერესდა ჭიდაობით და ვარჯიში დაიწყო მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან. სწავლა საქართველოს ფიზკულტურის აკადემიაში განაგრძო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჭიდაობებში გამართულ შეჯიბრებებსა თუ ტურნირებში. აკადემიის დამთავრების შემდეგ სპარტაკ ქარსაულიძემ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 1969 წელს დაამთავრა.

სპარტაკ ქარსაულიძეზე, მისი ჭიდაობის დახვეწილ მანერასა და ჭიდაობაში მის მიერ გამოვლენილი საოცრებების შესახებ ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისიდან საუბრობდა მთელი საქართველო, ამაყობდნენ გარეჯელები. მისგან, როგორც მზარდ, პერსპექტიული მოჭიდავისაგან ძალიან ბევრს ელოდა მწვრთნელიც და გულშემატკივარიც, მეგობარიც და მისი მეტოქეც – არსენა მეკოკიშვილის შემდეგ სპარტაკ ქარსაულიძე პირველი მოჭიდავე იყო, ვინც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში (1965წ). სპორტის დიდ არენაზე გამოსვლა კი სპარტაკმა 1963 წლიდან დაიწყო. ამ წლიდან აიყვანეს სსრკ-ს ნაკრებში, სადაც 6 წელი იყო. ლეგენდად იქცა მისი გამოსვლა საჭიდაო არენაზე. საერთაშორისო ტურნირები ირანელებთან, თურქებთან, ბულგარელებთან, იაპონელებთან, ოლიმპიურ ჩემპიონებთან წვრთნისა და ახალ-ახალი გამარჯვებებისკენ უბიძგებდა უნივერსიტეტის სტუდენტს. მაგრამ... რუსებს არ მოსწონდათ... და რა არ მოსწონდათ?! 30-40-იანი წლების საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი ჭიდაობაში არსენ მეკოკიშვილი და 60-იანი წლების №1 ჩემპიონი ისევ ქართველი – სპარტაკ ქარსაულიძე (?!). ყელზე ედგათ რუსებს ორივე ქართველი და თუ კარგად გადახედავდნენ, სპარტაკ ქარსაულიძის უკანაც პერსპექტიული ქართველები იდგნენ. და აი, 63 კგ. წონით კატეგორიაში სპარტაკ ქარსაულიძე არ შეიყვანეს იმ ოთხეულში, რომელსაც საბჭოთა კავშირიდან უშვებდნენ საერთაშორისო ტურნირებზე. მაგრამ გასაჩივრების, გარკვეული ინსტანციების გავლის შემდეგ, როგორც იქნა მეხუთე კაცად შეიყვანეს სპორტსმენი, რომელიც ნახევრადმსუბუქ წონაში მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენებს არ უგებდა. სენსაცია მაშინ ნახა მსოფლიო თასის საერთაშორისო ტურნირზე ჭიდაობის მსოფლიო გულშემატკივარმა – 8 შეხვედრა მოიგო ქართველმა, მოუგო მსოფლიო ჩემპიონ ფინელ იასკარს, ჩემპიონთა ჩემპიონს ირანელ რეიფუულს.

იყო სხვა გამარჯვებებიც, რუსებისთვის გულის გამხეთქავი.

1965 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველ ნომრად იყო დასახელებული, მიდიოდა აშშ-ში საერთაშორისო ტურნირზე, მაგრამ მოსკოვიდან არ გაუშვეს – ქართველი იყო, პირველობას არავის დაუთმობდა და რუსებს მობეზრდათ კუდში ჩანჩალი.

იყო დიდი გულისტკენა, სიმართლის მიმართ იმედის გაცრუება და სენსაცია მართლაც 1967 წელს მოახდინა მისმა უარმა – მონაწილეობას აღარ მიიღებდა არც ერთ შეჯიბრში. ეს მართლაც დიდი გულისტკენა იყო თავად ქართველი გულშემატკივრისთვის – სპარტაკ ქარსაულიძემ უარი თქვა იმ შეკრებაზე მონაწილეობის მიღებაზე, რომელიც მოსამზადებელი ეტაპი იყო ინდოეთში სერიოზულ შეჯიბრში წასასვლელად. ასე ჩამოშორდა 27 წლის ჭაბუკი აქტიურ სპორტს. სპორტსმენმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის, უამრავ საერთაშორისო, მსოფლიო შეხვედრებში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებებით.

სპარტაკ ქარსაულიძე საერთაშორისო სპორტის ოსტატია. მას 1967 წლის შემდეგ აღარ მიუღია მონაწილეობა სპორტულ ასპარეზობებში, მაგრამ

სამაგიეროდ, გულმხურვალე გულშემატკივარია ჭიდაობის, ყოველივე ქართულის და არასოდეს იშურებს არც ფინანსებს და არც თავს არ ზოგავს ქართული ჭიდაობის შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის.

საქართველოს ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში

გივი ეპიტაშვილი



დაიბადა 1941 წელს სოფ პატარძეულში. საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში, თავისუფალსა და სამბოში 1958-60 წლებში. დამთავრებული აქვს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი. 2000 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელ-მასწავლებლის, ხოლო 2003 წელს – საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

სპორტის, კონკრეტულად კი ჭიდაობის გულშემატკივრობისა და გაწეული ამაგისათვის საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ 2004 წელს სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა.

ავთანდილ ჭიკაძე

დაიბადა 1940 წელს სოფელ კაკაბეთში. 1947 წელს შევიდა სოფელ კაკაბეთის საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1958 წელს.

1965 წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში და 1969 წელს დაამთავრა სრული კურსი სპეციალობით – ფიზიკური კულტურა და სპორტი.

იმავე წელს დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის საშუალო სკოლაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასწავლებლად. ავთანდილ ჭიკაძე სპორტული ცხოვრებით ცხოვრობდა. ახალგაზრდობაში იგი მონაწილეობდა რაიონულ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. მიღებული ჰქონდა სიგელები და დიპლომები ქართულ ჭიდაობაში საპრიზო ადგილების დაკავებისთვის. დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნებით და დიპლომებით. იყო სპორტის ოსტატი ჭიდაობა სამბოში.

ამავე დროს შესანიშნავად მღეროდა, იყო რაიონის ანსამბლ "გარეჯის" სოლისტი და შესანიშნავი მეგობარი, თანამეინახე და მონადირე.

1981-1988 წლებში იგი მუშაობდა გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში ფიზიკური კულტურის მეთოდისტად.

1992 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაციის თავმჯდომარე იყო. იგი ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი გახდა, რითაც გული დასწყვიტა რაიონის კულტურულ და სპორტულ საზოგადოებას.

ზაურ ქურხული

დაიბადა 1941 წლის 1 მარტს საგარეჯოს რაიონში, გლეხის ოჯახში.

1947 წელს შევიდა საგარეჯოს რაიონის დაწყებით სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს. ამავე წელს სწავლა გააგრძელა ქალაქ თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში თავისუფალი ჭიდაობის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1961 წელს. შემდეგ სწავლა განაგრძო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც აღარ დაუმთავრებია.

სკოლაში სწავლის დროს 1955 წლიდან ვარჯიში დაიწყო თავისუფალი სტილის ჭიდაობაში მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილის ხელმძღვანელობით.

1959 წელს სკოლაში სწავლის პერიოდში თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, დაიკავა მეორე ადგილი.

1960 წელს ნსს "კოლმეურნეს" პირველობაზე დაიკავა მეორე ადგილი თავისუფალ ჭიდაობაში, ხოლო ქალაქ თბილისის პირველობაზე ასევე, მეორე ადგილი.

1961 წელს ნსს "კოლმეურნეს" პირველობაზე დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო ქალაქ თბილისის პირველობაზე პირველი ადგილი.

1962-1967 წლებში საზოგადოება "სპარტაკის" საკავშირო შეჯიბრებაზე ქალაქ ოდესასა და ქალაქ თბილისში დაიკავა პირველი ადგილი. ეს არის ზაურ ქურხულის უმაღლესი შედეგი სპორტული კარიერის დროს ჭიდაობა სამბოში.

1964 წელს საქართველოს პირველობაზე ჭიდაობა სამბოში დაიკავა მეორე ადგილი.

1965 წელს საქართველოს პირველობაზე ქალაქ ბათუმში – პირველი ადგილი თავისუფალ ჭიდაობაში.

1968 წელს ქალაქ თბილისის პირველობაზე ჭიდაობა სამბოში – პირველი ადგილი.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი არ დაუმთავრებია, მაგრამ გადავიდა ქალაქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე. სწავლასთან ერთად მუშაობდა ქალაქ თბილისში სხვადასხვა სამსახურებში.

1968 წელს დაქორწინდა. ამჟამად ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

ომარ ქვლივიძე

დაიბადა 1941 წლის 12 ოქტომბერს, საგარეჯოში. 1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1958-1962 წლებში სწავლობდა ქალაქ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში . ამავე წლებში ვარჯიშობდა ჭიდაობა სამბოს სახეობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწვრთნელი მურთაზ ელერდაშვილი. 1962 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში . 1963 წელს გაწვეული იყო სავალდებულო- სამხედრო სამსახურში ქალაქ სვერდლოვსკში მუშათა ბატალიონის დივიზიაში. 1964 წელს ჩატარებულ ქალაქ სვერდლოვსკის პირველობაზე, ჭიდაობა სამბოში დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი, ხოლო 1965 წელს ქალაქ ტამბოვში ჩატარებულ შეჯიბრში იმავე სახეობაში - სამხედრო ნაწილების მუშათა ბატალიონებს შორის კავშირის მასშტაბით, დაიკავა პირველი საპრიზო ადგილი თავის წონით კატეგორიაში.

სამხედრო - სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქალაქ თბილისის ხისდამამუშავებელ კომბინატში სხვადასხვა თანამდებობაზე. მათ შორის, წლების განმავლობაში ეკავა დირექტორის ადგილი.

1989 წლიდან მონაწილეობას იღებდა ეროვნულ - გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

1990 წელს არჩეულ იყო "ძირძველ ქართველთა" ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

1992-1993 წლებში მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში წარმოებულ საომარ მოქმედებაში.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ვაჟა ქევხიშვილი

დაიბადა 1941 წლის 4 ივნისს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურში, მოსამსახურის ოჯახში.

1958 წელს დაამთავრა სოფელ მანავის საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა და 1963 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო 1968 წელს ქალაქ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება-გასაღების სპეციალობით. 1965 წლიდან მუშაობდა სსრკ შსს თბილისის მილიციის სპეც. საშუალო სკოლაში, სამხედრო ფიზიკური მომზადების პედაგოგად. აღნიშნული სკოლის ბაზაზე მის მიერ მომზადებულ იქნა 56 პირველ თანრიგოსანი სხვადასხვა სპორტის სახეობაში. აქედან ოთხმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი ჭიდაობა სამბოში. მან ჩამოაყალიბა ნაკრები გუნდი , რომელმაც ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი სსრკ უმაღლესი და სპეცსაშუალო მილიციის სკოლების პირველობაზე ჭიდაობა სამბოში.

1968 წელს გადაიყვანეს საქართველოს შსს სოც. საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთ. სამმართველოში. იყო ინსპექტორი, უფ. ინსპექტორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი, ქვეგანყოფილების უფროსი, განყოფილების უფროსი, განყოფილების უფროსის მოადგილე. პარალელურად იყო ამავე სამმართველოს ინსტრუქტორი ფიზიკური მომზადების ხაზით.

1987-1990 წლებში მუშაობდა შ.ს. სამინისტროს დედოფლისწყაროს მილიციის განყოფილების უფროსად, სადაც მისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად აწყობდა ამხანაგურ შეხვედრებს რესპუბლიკის მასშტაბით ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში.

1991-2001 წლებში გადაყვანილ იყო საქართველოს შსს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის სამმართველოში, სადაც ამ ხაზით კურირებდა კახეთის რეგიონს.

1991 წელს მინიჭებული აქვს პოლიციის პოლკოვნიკის წოდება. შ.ს სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ წახალისებულია 28-ჯერ. არის სპორტის ოსტატი ჭიდაობა სამბოში. იყო სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებში, ხოლო დიდებში 5-ჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი - აქედან 2-ჯერ - ქართულ ჭიდაობაში, ხოლო 3-ჯერ - სამბოში.

ალექსი მენაბდიშვილი

დაიბადა 1941 წელს სოფ. პატარძეულში. ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში დაიწყო ბავშვობიდანვე. არის საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი – თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

სპორტული მიღწევებია: არის საქართველოს სპორტ საზოგადოება "განთიადის" ცენტრალური საბჭოს მრავალგზის გამარჯვებული – თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. საქართველოს სტუდენტთა საზაფხულო თამაშების გამარჯვებული, 1961-62 წლებში საქართველოს პრიზიორი. 1962 წელს გახდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის გამარჯვებული ქალაქ ერევანში. 1962 წელს გახდა სპორტ საზოგადოება "დინამოს" ცენტრალური საბჭოს გამარჯვებული ქალაქ კალინინგრადში.

არის 1961-1963 წლებში ყაზახეთის რესპუბლიკის ჩემპიონი (სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდში)

არის 1969 წელს საკავშირო პროფკავშირების სპარტაკიადის IV პრიზიორი. ამავე წელს ქალაქ მახაჩკალაში ჩატარდა საკავშირო ზონალური პირველობა და დაიკავა მეორე ადგილი - მოიპოვა საკავშირო ფინალში ჭიდაობის უფლება.

ამავე წელს გახდა საბჭოთა კავშირის გუნდურ შეჯიბრზე გამარჯვებული ქალაქ ალმა-ატაში.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ილია ქვლივიძე



დაიბადა საგარეჯოში 1942 წელს. აქვე დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა. ვარჯიშობდა შალვა გზირიშვილთან ქართულ ჭიდაობაში. შემდეგ ვარჯიში დაიწყო თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან. არის **საქართველოს ნსს საზოგადოება "კოლმეურნეს" ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში და ჭიდაობა სამბოში. ასევე, მრავალგზის პრიზიორი როგორც ქართულ, ასევე ჭიდაობა სამბოში.**

ომარ გულისაშვილი

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში 1941 წელს. დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის პერიოდში ვარჯიში დაიწყო ფეხბურთში, ერთი წლის შემდეგ კი გადავიდა თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან. გამოდიოდა საგარეჯოს პირველობებზე ქართულ ჭიდაობაში. რამდენჯერმე გახდა რაიონის ჩემპიონი. ნსს "კოლმეურნეს" პირველობაზე – დაიკავა II საპრიზო ადგილი. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში და პარალელურად ვარჯიშობდა ჭიდაობა სამბოში, სადაც რამდენჯერმე საქართველოს ჩემპიონატში დაიკავა საპრიზო ადგილი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჭიდაობა სამბოს სახელმწიფო მწვრთნელად. შემდეგში მუშაობდა ჭიდაობა ძიუდოში გოგონების მთავარ მწვრთნელად. ***არის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში და ჭიდაობა სამბოში.***

თენგიზ ასლამაზიშვილი



დაიბადა საგარეჯოში 1943 წელს. დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. მეხუთე კლასიდან ვარჯიში დაიწყო თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან. თენგიზს უჭიდავია რაიონის პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, მაგრამ შედეგი არ ჰქონია. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ვარჯიში დაიწყო გიორგი როსტიაშვილთან. იყო საქართველოს ნაკრების გუნდის წევრი თავისუფალ ჭიდაობაში. საკავშირო პირველობაზე დაკავებული აქვს მესამე საპრიზო ადგილი.

თამაზ კევლიშვილი

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში, 1943 წლის 27 ივნისს. 1950 წელს სწავლა დაიწყო გიორგიწმინდის შვიდწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში. სკოლა დაამთავრა 1960 წელს. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1965 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობაზე, რომელიც 1969 წელს დაამთავრა.

რაც შეეხება თამაზის სპორტული ცხოვრების დაწყებას, მან გიორგიწმინდის შვიდწლიანი სკოლიდან საგარეჯოს საშუალო სკოლაში განაგრძო სწავლა და ამ პერიოდში შევიდა თავისუფალი ჭიდაობის სექციაში მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან. გამოდიოდა საქართველოს და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის შეჯიბრებებში. არის საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონი თავისუფალ და ჭიდაობა სამბოში. ნებაყოფლობით საზოგადოება "კოლმეურნეს" და "ბურევესტნიკის" („ქარიშხალას")ჩემპიონი და პრიზიორი. ასევე, სპორტული საზოგადოება " ბურევესტნიკის" საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი.

1964 წლის საკავშირო სტუდენტთა თამაშების მესამე პრიზიორია თავისუფალ ჭიდაობაში.

1965 წელს ქალაქ ცხინვალში საქართველოს პირველობაზე ჭიდაობა სამბოში მონაწილეობდა, სადაც ფეხზე მიიღო ტრავმა და სპორტს ადრეულ ასაკში დაანება თავი.

თამაზ კევლიშვილმა 1969 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი. შემდეგ მუშაობა დაიწყო საგარეჯოს მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკაში ეკონომისტად, სადაც იმუშავა 1973 წლამდე.

1973 წელს მუშაობა დაიწყო საგარეჯოს პარტიის რაიკომში, სადაც იმუშავა 1975 წლამდე.

1975 წლიდან დღემდე მუშაობს საგარეჯოს რაიკოოპერატივების გამგეობის თავმჯდომარედ.

ქართული ჭიდაობა. სოფ. უდეაბნო. 2013 წელი

ომარ ჭინჭარაძე

დაიბადა 1943 წლის 17 მარტს. 1950 წელს შევიდა სოფ. პატარძეულის საშუალო სკოლაში. სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. **არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში** 1970 წლის რესპუბლიკური სპარტაკიადის მეორე პრიზიორი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გურამ გოგოლაური

მსოფლიოში აღიარებული ფალავანი გურამ გოგოლაური 1944 წლის 28 აპრილს მანაველი ზაქარია გოგოლაურისა და მარიამ თამაზაშვილის მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი ვაჟი, აქ, მანავში გამართულ კალობნობის და სხვა სახალხო დღესასწაულებზე ეზიარა ქართული ჭიდაობის მადლსა და საიდუმლო გზებს, რამაც შემდგომში დიდ სპორტში შეადგმევინა ფეხი.

1970-იანი წლებისათვის მწვრთნელ ბიძინა მაზიაშვილის აღსაზრდელი უკვე საქართველოს ძიუდოს ნაკრების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერია, თავად ეს ნაკრები კი საუკეთესოთა შორის საუკეთესო და ანგარიშგასაწევი ძალა იყო მთელ იმჟამინდელ საბჭოთა კავშირში. ამ ნაკრების წევრებთან ერთად ჩვენებურმა ფალავანმა, რომელიც ძირითადად 80 კგ. წონით კატეგორიაში ჭიდაობდა, არაერთ გამარჯვებას მიაღწია ევროპისა და სსრკ-ს პირველობებზე.

იგი გახლავთ ევროპის სამგზის (1972, 1973, 1974 წ.) ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ორგზის მეორე (1971, 1972 წწ.) და მესამე (1973 წ.) პრიზიორი პირად ჩათვლაში. 1972 წელს მონაწილეობდა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც შეძლო V ადგილის დაკავება.

გურამ გოგოლაური ასევე, გახლავთ სსრკ 1974 წლის ჩემპიონატების მეორე და 1973 წლის პირველობის მესამე პრიზიორი, სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი სამბოში (1971 წ). **მინიჭებული აქვს სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.**

მან ქართველ გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა, როგორც შემტევმა, მოძრავმა და დაუღალავმა ფალავანმა.

ოთარ მუჩიაური

დაიბადა 1944 წლის 5 მაისს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში მოსამსახურის ოჯახში.

1959 წელს დაამთავრა პატარძეულის საშუალო სკოლის 8 კლასი და სწავლა გააგრძელა ქალაქ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1964 წელს. 1965 წელს სწავლა გააგრძელა ქალაქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით.

აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ სპორტულ ცხოვრებაში. 1962 წელს მინიჭებული აქვს საქართველოს ჩემპიონის წოდება. ასევე მონაწილეობდა საკავშირო პირველობებში ჭიდაობა სამბოში. მიღებული აქვს 6 სიგელი და 10 დიპლომი, აქედან 8 პირველი ხარისხის, რისთვისაც **1966 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.**

1971 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საგარეჯოს საკოლმეურნეებათშორისო მეფრინველეობის ფაბრიკაში ჯერ ეკონომისტ-ბუღალტრად, ხოლო 1973 წლიდან მთავარ ბუღალტრად. ამ დღიდან მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე (თბილისის სოფლის მეურნეობის სამინისტროში რევიზორ-ბუღალტრად, საგარეჯოში ბანკის მმართველად და ა. შ.)

პარალელურად მუშაობდა სადისერტაციო თემაზე "გარე კახეთის ზონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ძირითადი საკითხები" (ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა).

გარდაიცვალა 2006 წელს.

მიხეილ არჩუაძე

დაიბადა 1945 წელს საგარეჯოში. დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა. ვარჯიშობდა ვანო მეკოკიშვილთან თავისუფალ ჭიდაობაში. 1963 წელს მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ასევე, მონაწილეობდა ქართული ჭიდაობის შეჯიბრებებში. არის საქართველოს პრიზიორი ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში.

დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა საგარეჯოს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში ფიზადზრდის მასწავლებლად. შემდეგ კი საგარეჯოს არასაუწყებო დაცვის უფროსად.

იყო დიდი მოყვარული და ერთგული საგარეჯოსი და მთელი საქართველოსი. აგრეთვე იყო ქველმოქმედი. მის მიერ არის აშენებული არასაუწყებო დაცვის განყოფილების შენობა, მის პარალელურად ააშენა სპორტული დარბაზი, რომელიც დღესაც მოქმედებაშია. მისი ინიციატივითა და ზრუნვითაა აშენებული მდინარე "თვალთხევზე" გადასასვლელი საცალფეხო ხიდი.

რევინ ქაიხოსროშვილი



დაიბადა 1945 წელს საგარეჯოში. დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. ვარჯიში დაიწყო თავისუფალ ჭიდაობაში ვანო მეკოკიშვილთან. თავისუფალი ჭიდაობის პარალელურად ვარჯიშობდა ჩოხიან ჭიდაობებშიც - ქართულსა და ჭიდაობა სამბოში. იგი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ჭიდაობა სამბოში. სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო - სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა თბილისის სპორტ-ასეულში. სსრკ-ს შეიარაღებულ პირველობების ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორია, როგორც ჭიდაობა სამბოში, ასევე, ჭიდაობა ძიუდოში. სამხედრო - სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ჭიდაობდა გორის რაიონის სახელით. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების პირველობების მრავალგზის ჩემპიონია. არის საბჭოთა კავშირის III პრიზიორი ჭიდაობა სამბოში. **არის სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში, ჭიდაობა სამბოში და თავისუფალ ჭიდაობაში.**

გივი ონაშვილი
პატარძეულელი – ოლიმპიელი

ბედის და იღბალის ყველაზე მეტად სპორტსმენებს სწამთ და სჯერათ. ზოგჯერ ხომ ერთი წამი, ერთი მოძრაობა გვაახლოებს წარმატებასთან, ან უკუღმა დაატრიალებს ნაფიქრ-ნააზრევ-ნაოცნებარს. ჭიდაობაში კი თუ იღბალი არ გწყალობს მსაჯებთან, მხოლოდ სპორტსმენი არ რჩები გულნატკენი, აქ გულშემატკივრებს, უბრალო მაყურებელსაც დიდი უხერხულობა და გულისტკენა ეუფლება. არ ყოფილა მოჭიდავე, ვისაც უიღბლობისთვის ერთხელ მაინც არ გაეწიოს საყვედური. მაგრამ... არიან სპორტსმენები, რომელთაც უიღბლობა თან მისდევთ მთელი სპორტული მოღვაწეობის დროს. ასეთი იყო პატარძეულელი ჩვენი თანამემამულის, მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის გივი ონაშვილისათვის მიუნხენის ეს ოლიმპიადა. არა და გივი ოქროს მედლისათვის იბრძოდა. ჰქონდა სათანადო ფიზიკური მომზადება, შემართება, სურვილი, მაგრამ გერმანელთან წმინდა მოგება ჯერ ჩაუთვალეს, შემდეგ გაუუქმეს და აღარც ყურადღება მიაქციეს შემდგომ სვლას. რამდენი შემთხვევა იყო კიდევ ამისთანა შემდეგ და გულისტკენა მსაჯების მხრიდან. ასეთი იყო სახელგანთქმულ ჰოლანდიელ რიუსკასთან რამდენიმე შეხვედრისას. 70-იანი წლების სპორტული ჟურნალისტები გივი ონაშვილს უიღბლო სპორტსმენს უწოდებდნენ. არადა, მწვრთნელები და რაც მთავარია, ქართველი გულშემატკივარი თავად ხდებოდა მოწმე მსაჯთა არაობიექტურობისა, მაგრამ, ნათქვამია, „თავს ზემოთ ძალა არ არისო“ ან რუს ან უცხო ქვეყნების მსაჯებთან ვინ რას გააწყობდა? გივის გამარჯვების მოლოდინი კი ყველას ჰქონდა. ყოველთვის ჰქონდა გივის თავისი ხელწერა, შემართება, პასუხისმგებლობა, სწრაფი აზროვნება მეტოქისათვის საბრძოლო ილეთის შესაცვლელად. ჰქონდა კიდეც თვალსაჩინო, ათასობით მაყურებლის წინაშე წარმატებაც, მაგრამ ხდებოდა ისე, რომ ოქროს მედლის ასპროცენტიანი პრეტენდენტი ვერცხლის, ან ბრინჯაოს მედლის მფლობელის დონეზე ჩამოჰყავდათ... თუმცა სიმართლე ვთქვათ, რამდენი სპორტსმენია უიღბლო, ვინც ვერც მიუნხენის ოლიმპიადამდე მიაღწია და გივი ონაშვილივით ვერც მსოფლიო ჩემპონატის ბრინჯაოს პრიზიორი გამხდარა (1969წელი), ან ევროპის ჩემპიონის გუნდურ (1970 წელი) და პირად შეჯიბრში (1974-1975წწ), სამგზის II (1969, 1972, 1976წწ) და III (1971წ) პრიზიორი, სსრკ-ს ჩემპიონი (1973წ) და ბრინჯაოს პრიზიორი (1975წ), ასევე სსრკ-ს ორგზის ჩემპიონი სამბოში (1970-72წწ).

მის ნაკვალევს მისი შვილიშვილი, ჩვენი თანამემამულე ლევან მატიაშვილი მიჰყვება, რომელიც გამარჯვებებს გამარჯვებებზე იმკის. გივის 4 ქალიშვილიდან უფროსი ნინო სპარტაკიადის ჩემპიონია ბადროს ტყორცნაში, მარინა – მორბენალი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

გივი ონაშვილმა კი დიდი სპორტის დატოვების შემდეგ სოფლის მეურნეობის სფეროში გადაინაცვლა. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი ერთხანს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარ სპეციალისტად მუშაობდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებში, ამჟამად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების მთავარი სპეციალისტია.

ლევან თედიაშვილი

ლევან თედიაშვილი – დაიბადა 1948 წლის 15 მარტს, საგარეჯოში.

დედა – ალექსანდრა ბალანდინა, წარმოშობით ვოლოგადსკის ოლქიდან იყო, კარგად იცოდა ქართული, ქართული ტრადიციებიც და პატივს სცემდა მათ.

მამა – ქიტესა თედიაშვილი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მშრომელი, ალალი კაცი იყო.

ძმა – გერმანე ირიკალოვი. შვიდი წლიდან საგარეჯოში, თედიაშვილების ოჯახში იზრდებოდა. კარგად იცის ქართული. ძმას ჭიდაობაზე სიარული ბავშვობიდანვე მან ურჩია. ოჯახით მოსკოვში ცხოვრობს.

ოჯახი

მეუღლე – ნანა მჭედლიშვილი, პროფესიით ექიმი-ოფთალმოლოგი.

შვილები: ვახტანგი – დაიბადა 1972 წელს, გარდაიცვალა 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთის ომის ბოლო დღეს.

ბესო – დაიბადა 1974 წელს. ჰყავს ცოლ-შვილი.

ლევანის წარმატებებისა და გამარჯვებების „სკივრი“

1972 წლის მიუნხენისა და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი:

ოთხჯერ თავისუფალ ჭიდაობაში – 1971, 1973, 1974, 1975 წლებში;

ერთხელ სამბოში – 1973 წ.

მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი – 1978წ.

მსოფლიო თასის მფლობელი – 1973წ.

ევროპის სამგზის ჩემპიონი – 1974, 1976, 1978 წლებში;

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონი – 1971წ;

საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი – 1973, 1974წწ.

ორგზის მეორე – 1969, 1980წწ. და მესამე – 1977წ პრიზიორი;

ლევანი ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში;

იყო ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი 82 და 90კგ-ში;

ევროპის ჩემპიონი 100კგ წონაში;

საბჭოთა კავშირის წლის (1973წ) საუკეთესო სპორტსმენი;

საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი – 1971, 1973, 1974 წწ-ში;

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი;

ღირსების, ვახტანგ გორგასლის, სოკისა და ფილას ორდენების კავალერი;

ერთადერთი ქართველი, ვისაც ირანელებმა ტახტის ოქროს ორდენი მისცეს.

ორთაბრძოლები

ჩატარებული აქვს 640 ორთაბრძოლა

ლევანისათვის იდეალი იყო მახაჩკალელი იური შახმურადოვი, რომელსაც 1971 წლის ივლისში შეხვდა. ადვილი არ იყო ლევანისათვის მასთან შერკინება, მაგრამ როცა ლევანმა აქტიური ბრძოლით დაჯაბნა მოწინააღმდეგე, შახმურადოვმა გულითადად მიულოცა ლევანს ეს გამარჯვება. იშვიათია, რომ მეტოქემ მეტოქეს გულითადად მიულოცოს გამარჯვება, მაგრამ ლევანი ამას იმსახურებდა... და რატომ?

„თედიაშვილის აზრით, ნამდვილი მოჭიდავე მეტოქეს ზურგს არ შეაქცევს, აკრძალულ ილეთებს არ იხმარს და სადემონსტრაციო საათისკენ არ დაიწყებს მალიმალ მზერას.ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი მოჭიდავე ხალიჩაზე მარტო ქულებისათვის კი არ გამოდის, არამედ სახელისა და ღირსებისათვის“ (გაზ: „ლელო“ 1971წ).

და კიდევ, ლევანი ჭიდაობას ყოველთვის ღიმილით იწყებდა, ღიმილით ჭიდაობდა და ღიმილითვე ამთავრებდა. „ლევანმაც ვითომ სალაღობოდ მიდისო, ისე გახედა მეტოქეს, საკუთარი გამარჯვება იწამა“ (გაზ: „სამშობლო“ 1971წ).

სწორედ ეს ღიმილი იყო იური შახმურადოვს (რომელზეც „სოვეტსკი სპორტში“ ერთ-ერთი ჟურნალისტი იფიცებოდა, „პლანეტაზე არ არსებობს ძალა, რომელიც შახმურადოვს ხალიჩაზე ბეჭს დაადებინებსო“), წელში რომ ტეხავდა და მასთან შეხვედრისას მხოლოდ ვაჟკაცური დამარცხებისათვის ხალიჩიდან არ გადიოდა. ასევე, მისი ღიმილი მორალურად და ფსიქოლოგიურად მოქმედებდა არცთუ ისე „ხელწამოსაკრავ ათლეტზე“ – ევროპის ჩემპიონ ჰანს შტოტმაისტერზე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე (1971წ. აგვისტო-სექტემბერი) ფინიშზე შახმურადოვი და სიულჟინი საჭიდაოდ არ გამოცხადდნენ, ლევანმა მოუგო ტიმირიაევს და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

ჭიდაობდა ელვისუსწრაფესად, წამის მეასედში შეეძლო ტაქტიკისა და სტრატეგიის შეცვლა, ამიტომაც ერიდებოდნენ მასთან შერკინებას. ახლაც ახსოვთ მის გულშემატკივრებს სოფიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე (1971წ) ლევანმა სენეგალელი მოჭიდავე 45 წამში გააკრა ხალიჩას, შვეიცარიელი – 30 წამში, პოლონელი – 40 წამში, ევროპისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს რუმინელ იორგას და შტოტმაისტერს „ხვდა ბედნიერება წილად 9 წუთი ყოფილიყვნენ საჭიდაო ხალიჩაზე. გურამ სადარაძე – ლევანის იდეალი ჭიდაობაში: „– ლევანი ჭიდაობისთვისაა დაბადებული. როცა მის შეხვედრებს ვუყურებ, ვფიქრობ, ამ ბიჭს ნაკლს ვერ მოვუძებნი-მეთქი. მომადლებული აქვს დიდი ღონე, საოცარი სისწრაფე, პლასტიკურობა. ყოველივე ეს შერწყმულია გამბედაობასთან, ილეთების მდიდარ არსენალთან, გამჭრიახობასთან, გამარჯვებისაკენ დაუცხრომელ ლტოლვასთან. კიდევ ერთი რამ, რაც ასევე მისაბაძია ახალგაზრდა თაობის სპორტსმენთათვის – თედიაშვილს ამპარტავნობისა და მედი-

დურობის ნატამალიც არა აქვს. ძალიან თავმდაბალი, მოკრძალებული კაცია“ (გაზეთი „ლელო“, 1972წ).

ვალერი რეზანცევი - ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში: – „გამოგიტყდებით, ვერ გამიგია, რით იბრძვის ლევანი – ღონე, ტექნიკა და ტაქტიკა რომ საჭიროა, ეს კარგა ხანია ვიცი. ამ შემთხვევაში ლაპარაკი სულ სხვა რამეზეა. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მეტოქე სულ მცირე ორი საათის შემდეგ მეცოდება. თედიაშვილი კი მოწინააღმდეგეს ჯერ კიდევ ჭიდაობის დაწყებამდე თანაუგრძნობს. ხალიჩაზე ყოველთვის ღიმილით გამოდის და თუ რაიმე ოინს არ ჩაიდენს, გაიხუმრებს მაინც. მე კი იუმორის გრძნობა ოლიმპიადის დაწყებამდე ორი თვით ადრე მიქრებაო“.

ირანის გუნდის ხელმძღვანელი ჰაბმბ ბულური აღფრთოვანებული უყურებდა ლევანის ორთაბრძოლას: – ლევან თედიაშვილს ისეთი თვისებები გააჩნია, რომელიც არც ერთ მოჭიდავეს არა აქვს. იგი განუმეორებელი ფალავანია. თითქმის მთელი ცხოვრება მაქვს გატარებული და მეგონა ხალიჩაზე აღარაფერი გამიკვირდებოდა. გამოგიტყდებით, ლ. თედიაშვილის ჭიდაობამ ეს აზრი გამიქარწყლა. იგი გასაოცარი ტექნიკისა და ძალის მქონეა. მისი ტექნიკური არსენალი ათ მოჭიდავესაც კი ეყოფა“.

მაგრამ სული, სული როგორი აქვს? – ქართული, ქართული და კიდევ ერთხელ ქართული – გაიხსენებენ ირანში, შაჰის წინაშე გამართულ, შაჰის სახელობის ტურნირს ქართველები?! 70 შეკვრა (პაჩკა) ათასდოლარიანები შესთავაზეს ლევანს – იქნებ შაჰის ნაქები არ გაგვიკრაო ხალიჩას – ირანელებმა. შუაკაცი ხომ ქართველი იყო. ლევანის მისებურად ჩაეცინა და ერთი მილიონიო... ძლივს დათანხმდა შაჰი. მაგრამ სანამ ფულს „მოიტანდნენ“, ლევანმა წამებში შაჰის ფეხებთან გააკრა ბეჭებით ხალიჩას. გაკვირვებულ ირანელებს სუნთქვაც კი შეუჩერდათ – ულამაზესი ფანდებისა და დახვეწილი ილეთების მაყურებელთ. მილიონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შაჰმა თითიდან ბეჭედი წაიძრო (რაც იშვიათად ხდება) და ლევანს ულამაზესი ბეჭედი აჩუქა (ლევანიმ ეს ბეჭედი ახლადშერთულ მეუღლეს ნანას აჩუქა).

ლევანი ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელმაც საერთაშორისო სარბიელზე, სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. ჯერ 82 კგ წონით კატეგორიაში – მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის მოგება და შემდეგ 90 კგ წონით კატეგორიაში ევროპის პირველობაზე.

1973 წლის სექტემბერში ირანის დედაქალაქში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 12 ქვეყნის 69 ათლეტი იღებდა მონაწილეობას. თავისუფალ ჭიდაობაში ლევანმა ოქროს მედალი მოიპოვა და „დამსახურებულად“ გამოცხადდა გუბერნატორის მიერ გამართულ ბანკეტზე, რომელიც თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს გაუმართა.

საინტერესო იყო მაყურებლისათვის თედიაშვილ-ბენ პეტერსონის ბრძოლა. იქ ყოველ წამში თურმე ილეთი კეთდებოდა. მანამდე, ლევანმა 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე ამერიკელ ჯონ პეტერსონს (ბენის ძმას) მოუგო.

სამბისტები კი ამ დროს მეორე დღის შეჯიბრებისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ ვახტანგ ბალავაძემ – მწვრთნელმა და სამბისტთა მწვრთნელმა ლენელმა ლევანს გამოუცხადეს – ხვალ სამბისტის ჩოხა უნდა ჩაიცვა, რადგან სამბისტი ვ. რუხლიაევი ავად გახდაო.

ლევანს კი როდის ეჭიდავა სამბო, აღარც ახსოვდა. ჩოხის ღილებიც კი ვერ შეიკრა წესიერად...

სამბისტთა პირველობაში ტოლს ვინ დაუდებდა ლევანს? თეირანის ცხელი სექტემბრის მსოფლიო ჩემპიონატზე 10 დღეში ლევანი ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. არადა 8 წელი სამბო აღარც კი ეჭიდავა.

„– ვფიქრობდი თუ არა ჩემპიონობაზე სამბოში? შეჯიბრების წინ საერთოდ, არ ვფიქრობ ხოლმე ჩემპიონობაზე , მე მთელი არსებით მიყვარს და მიტაცებს ჭიდაობა, თავდაუზოგავად ვებმები ბრძოლაში“, – იხსენებდა ლევანი.

1974 წლის ივნისში ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში „პალასიო დელოს დეპორტესის“ სპორტის სასახლეში ლევანი ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელია მეორე საშუალო წონაში.

1974 წელს სტამბოლში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი გახდა.

შემდეგ იყვნენ ჩემპიონები – გულიუტკინი, იარიგინი,

სურათზე: ლევან თედიაშვილი (მარჯვნიდან), ფოტოკორესპონდენტი ალექსი კოტორაშვილი და უშანგი კუზანაშვილი.

სტრახოვი, იკაევი და კაკოშკინი... იმ დროს ლევანი გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, 90 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. გულიუტკინთან მოულოდნელი, გაურკვეველი მარცხის შემდეგ თავისთავზე გულმოსული ლევანი იხსენებდა: – უფრო აქტიურად უნდა მეჭიდავა, უფრო დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო ჩემი გამოსვლა, მაშინ შეხვედრის შედეგებიც საალბათო და საჭოჭმანო აღარ გახდებოდა (ლევანს გულიუტკინთან მინსკში შეხვედრისას ქულის აღება დასჭირდა, რადგან 3:3 იყო ანგარიში. ვინც ქულას მოიპოვებდა, გამარჯვებული ის იქნებოდა. ლევანმა ილეთი წამოიწყო, მაგრამ ხელი მოწინააღმდეგის გაოფლილ ზურგზე აუცურდა და ორივე ლეიბის მიღმა გადაგორდა. ასეთ შემთხვევაში არც ერთს არ ეძლევა ქულა, მაგრამ რადგან გულიუტკინი კიეველი იყო, მსაჯმა, როგორც ჩანს, ქულა და გამარჯვება მას ჩაუთვალა). რაც შეეხება იკაევს, მას გულიუტკინი დამარცხებული ჰყავდა, ამიტომ ლევანთან შეხვედრისას ეცადა მეტი შანსი მოეპოვებინა და ლევანს ფეხში შეუვარდა, რასაც ლევანი ელოდა. ლევანმა ჩაიჩოქა, კისრულით წამოიღო და წმინდად მოუგო. ეს ბრძოლა „რეაქტიული სისწრაფით“ მოხდა – 1 წუთში.

იარიგინმა უარი თქვა ლევანთან ორთაბრძოლაზე, გამარჯვება ლევანს ჩაეთვალა.

ასეთი რამ კი ხდებოდა ხალიჩაზე. 1972 წელს თბილისი საერთაშორისო ტურნირში შტოტმაისტერმა ნახა ლევანის გამარჯვებები და როცა მისი გვარი და ლევანის გვარი ერთად, როგორც მეტოქეები გამოცხადდა, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი შტოტმაისტერი მიუახლოვდა ლევანს, ხელი ჩამოართვა და გასახდელისაკენ წავიდა.

ეს ის შტოტმაისტერია, რომელთანაც შემდეგში იჭიდავა ლევანმა. ისინი სულ შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და აქედან ექვსი ლევანმა მოუგო. მინსკში ლევანმა შტოტმაისტერს 11:2 მოუგო, სადაც ლევანი მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (1976წ).

1976 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე ლევანმა მოუგო სენეგალელ დიოპს, მონღოლ არტაგს, შვედ ელმგრენს, გერმანელ ნოიმაირს, იორგას, შტოტმაისტერს და გახდა ჩემპიონი.

წლები წლებს მიჰყვა და ლევანი დაემშვიდობა აქტიურ სპორტს. ერთხანს საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საპასუხისმგებლო პოსტზე იყო, შემდეგ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, იყო საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, კახეთის გუბერნატორის მოადგილე და სადაც უნდა ყოფილიყო, პარალელურად ყოველთვის აინტერესებდა და აინტერესებს ნორჩი, მომავალი მოჭიდავეების წვრთნისა და შეჯიბრებების შედეგები...

ბოლო წლებში მამა-პაპისეულ კერას ხშირად, ძალიან ხშირად უბრუნდება და მეგობრებით გარემოცული გარდასულ დღეთა სილამაზეს იხსენებს.

ჩვენი კარგი ლევანა!

(სხვადასხვა გაზეთებიდან)

„მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ, სან-დიეგოში საბჭოთა და ამერიკელ მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის დაწყებამდე ცირკიდან 120 კილოგრამიანი დათვი მაიყვანეს და სოსლან ანდიევს ცხვირწინა დაუსკუპეს. იმან კიდენა ცივი უარი დაარტყა. გუნდის კაპიტანი და კომსორგი ვარ და არ შეიძლებაო. მე შვილოსა, 12 წელი ვიყავი საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი, ავდექი და ვუთხარი: საბჭოთა კავშირ არცხვენ-მეთქი? ჩავიცვი ფორმა და ხალიჩაზე გავედი. დავეჭიდე დათვსა და სამი ქულით მოვუგე. დათვი რო გაბრაზდებოდა, მაგის "ტრენერს" ამოვეფარებოდი, შაქარს შეჭამდა, დამშვიდდებოდა და ვეძგერებოდი. დასამახსოვრებელი ორთაბრძოლა იყო ნამდვილად, მაგრამა, ამის მერე იმ ამერიკელმა, ჩემთან რო უნდა ეჭიდავა, ბრძოლაზე

უარი განაცხადა.

დათვთან დაჭიდებას განსაკუთრებულ რეკორდად არ ვთვლი, ჩემთვის სახალისო იყო იმაითან ფალავნობა...

– ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარეობის დროს ფალავნობა ჩავატარე. პირველ ადგილზე გასული მანქანით დავალჯიდოე, მეორე გამარჯვებული - ცხენით, მესამე - ვირით. ედუარდ შევარდნაძემ კაბინეტში დამიბარა: სირცხვილია, ცხენი კიდე შეიძლება, ვირს თავი დაანებეო. ამბროსოვიჩ, კახელი კაცი ვარ და ვირს იმიჯს ვუწევ-მეთქი, უკან არ დავიხიე. იესო იჯდა ვირზე და ვითომ, რა სირცხვილი იყო ვირის ჩუქება?! იგეთი ლამაზი თვალები აქ ვირსაა...

– ჭიდაობაში ორი რეკორდი ნაღდად მაქვს დამყარებული, ოღონდ ჭიდაობაში ოფიციალურად არავინ აკეთებს რეკორდების აღრიცხვიანობას.

– სოსლან ანდიევი ახსენეთ. ის ხომ ვლადიკავკაზიდან არის, გაქვთ მასთან ურთიერთობა?

– მა რაა, ვლადიკავკაზელი ოსია, ჯიგრიანი ბიჭი. აგვისტოში რო ომი და უბედურება ატყდა, დამირეკა. ვინ წარმაიდგენს, რო სოსლანამ იმათ მაგივრად ბოდიში მომიხადა? მოჭკიდე შენს ოჯახს ხელი და ახლავე ჩემთან წამოდიო... მე რას მებოდიშები, ან შენ ვინა გკითხამს ამ ომსა და ან მემეთქი, ერთმანეთს ვაწყნარებდით.

– პირველად მსოფლიო ჩემპიონი რომ გავხდი, შეხვედრებს გვიწყობდნენ, ცხინვალშიც მიგვიპატიჟეს. ბიჯოო, ამიტყდნენ, შენაო, ოსი ხაარო. ერთი ადგა და მეუბნება: გენაცვალე, შენ თედეევი ხარ! წადი შენი-მეთქი და სცენიდან ჩამოვედი. ვახტანგ ბალავაძე, უდიდესი პედაგოგი, ნაღდი ინტელიგენტი წამოდგა და იმან გააგრძელა სიტყვა. ის კაცი ისევ წამოიჭრა: შენა კიდევა, ბალაევი ხაარ! ახლა მე წამოვხტი: ბალღო, მე მგონია, რომა თქვენ იყავით თედიაშვილები და გვარი სწორედ თქვენ გადაიკეთეთ. თედეევი კი გყავთ, მაგრამა მე საგარეჯოელი თედიაშვილი ვარ და თუ მაგნაირებ კიდე წამააყრანტალებ, ყარფუზივით დაგახეთქებ ძირსა-მეთქი. ჩემი გვარი, როგორც გავიგე, ბორჯომის რაიონშია სოფელი მზეთამზე, იქიდან მოდის, ოღონდ რა ვქნა, მე კახეთში დაბადებულ-გაზრდილი ვარ და ვამაყობ ჩემი კახელობით, საგარეჯო - მიხაკო, რაა! ახლა, მამაჩემს რა სახელი ერქვა? - ქიტესა. თედიაანთ ლევანა ვიყავ, ვარ და ვიქნები.

– ერთადერთი ქართველი ვარ, ვისაც ირანელებმა ოქროს ორდენი მომცეს.

– ირანთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით. შაჰის სახელობის ტურნირზე გამოსასვლელად ვემზადები. მორბენალი სპორტსმენი ქალი იყო, ხნიკინა, იმისი ქმარი მოვიდა და მითხრა: ათი წელი რო ვიმუშაო ამდენ ფულს ვერ ავიღებ, დიდ ფულს გთავაზობენ, ირანელს ხო უნდა შეხვდე, მოეხსენი, ის გახდეს ჩემპიონიო. გავაღე ჩემოდანი, ათი ათასდოლარიანი 70 "პაჩკა" დავითვალე. ცოტაა - მეთქი (არადა ამოდენა ფული სიზმარშიც არ ამინახავს, პაპაჩემმა დამიტოვა მუთაქებში, თუ რა!) რამდენი გინდაო? მილიონი-მეთქი. რად გინდაო? შენ წადი, დაამატებინე და მერე მე ვიცი-მეთქი. უცბად აორთქლდა ხნიკინას ქართველი ქმარი. სანამ იმან ირბინა, ირანელი ხალიჩას გავაკარი. მილიონით რო მოვიდნენ, ვუთხარი: დააგვიანეთ, გამამიძახეს ხალიჩაზე და რა უნდა მექნა, "სდელკა" ვერ შედგა, კახელი ვარ, დურაკი კი არა, მაგისთანებზე ვირის აბანოში აგზავნიან - მეთქი, მოვახსენე შუამავალს. ბიჯოო, მოსყიდვა კი არა, ჩემი სახელობის საჭიდაო სკოლა რო მაქვს, იმათ არ მივეცი ტურნირის ჩატარების უფლება და ჩავშალე. არ მესმის ცოცხალი ადამიანის სახელობის ტურნირი რატო უნდა ჩაატარონ? რო დავერიე მწვრთნელებს... მერე მხოლოდ ბავშვებში ჩატარების უფლება მივეცი და არამც და არამც დიდებში. როცა მოვკვდები, "პაჟალუსტა", მერე ჩაატარონ. "ვისკაჩკა" არასოდეს ვყოფილვარ.

– ყველამ იცის, მესამე ოლიმპიადაზე რო ვაპირებდი გამოსვლას და რა თქმა უნდა, გამარჯვებას, მაგრამ უსამართლოდ მომექცნენ. ვამბობდი: რუსი არ ვარ და არ გამიშვებენ-მეთქი.

მართალი ვიყავი, იმიტომა, რომა რა აღარ გააკეთეს, ოღონდაც კი არ წავსულიყავი. სამ წონაში ოლიმპიადა ქართველს რო მოეგო, არ აწყობდათ. რუსებს მედვედი ჰყავდათ გასაგზავნი და თედიაშვილს რა თავში იხლიდნენ? კონკრეტულად ჩემზე კი არ ჰქონდათ გართულება, ქართული გვარის მქონე ნებისმიერი სპორტსმენი ამ ბედს გაიზიარებდა. დღეს უკვე სხვა დროა. შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებულად ჩაიარა ამ ოლიმპიადამ. მეტი ოქრო სჯობდა, მაგრამა სამი ოქროც ცუდი არ არის, ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ. აი, გოგშელიძე კი ნაღდად შემეცოდა. თუ დამიჯერებენ, ვიტყვი: რაც უნდა მოხდეს, თავი მაინც უნდა შეიკავოს სპორტსმენმა. მონრეალში ოლიმპიადაზე მქონდა ერთი შეხვედრა, მსაჯი ასი ათას დოლარად ჰყავდათ ნაყიდი, წესების დარღვევა უნდოდა ჩემთვის აეკიდა, მაგრამა ჩაახედეს წესებში, ამით "დავთხარე" თვალები. იმ მსაჯმა ხალიჩაზე რო ვერაფერი მამიხერხა (არ ეთმობოდა ასი ათასი), "სვისტოკი" ჩამარტყა თავში, მე კიდენა გავუცინე. იმ წუთში ხო გავუცინე, მემრე იმას მოხვდაა... ჩვენს საქმეში ყველაზე რთულია, სანამ ლეიბზე გახვალ, ესე იგი "სმერტნი კამერაა" ეს პერიოდი, აი, ხალიჩაზე უნდა განსაზღვრო სხვა ყველაფერი: მოჭიდავეს ოფლი რო შეაშრება, გადამწვარი "ლამფუჩკა" ხარ. იყავ თუ გინდა ეგრე გადამწვარი, რა"...



ტარიელ როსტომაშვილი



დაიბადა საგარეჯოში 1948 წელს. 1970-1975 წწ-ში სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტზე. 1963 წლიდან 1978 წლამდე იყო საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი თავისუფალ ჭიდაობაში.

ტარიელ როსტომაშვილი არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ-ს პრიზიორი, პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საკავშირო ჩემპიონი. საზღვარგარეთ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (1975-1977წწ). არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა: საგარეჯოს სატყეო მეურნეობაში ინჟინრად, საგარეჯოს პარტიის რაიკომის განთავისუფლებულ მდივნად უდაბნოს მეურნეობაში, საგარეჯოს სანერგე მეურნეობის დირექტორად, საგარეჯოს მეაბრეშუმეობის დირექტორად, საქ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფიტო-სანიტარული ინსპექციის მთავარ სპეციალისტად. ამჟამად საგარეჯოს სპორტული გაერთიანების მთავარი სპეციალისტია.

ჰყავს მეუღლე მარინა ილაური და შვილები – გიორგი და ნიკა.

გიორგი დიღმელაშვილი

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგწმინდაში 1948 წელს.

გიორგიწმინდის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საგარეჯოს ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმში მელიორაციის ფაკულტეტზე.

1969 - 1971 წლებში მოიხადა სამხედრო - სავალდებულო სამსახური.

მუშაობდა გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირად. პარალელურად იყო ამავე მეურნეობის პროფკავშირის თავმჯდომარე. შემდეგ მუშაობდა გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად. სხვადასხვა დროს მუშაობდა გიორგიწმინდის მედორეობის კომპლექსში მომმარაგებლად, შემდეგ წყალთა სამმართველოში უბნის უფროსად.

1980 წელს დაინიშნა გიორგიწმინდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. პარალელურად მუშაობდა მწვრთნელ - მასწავლებლად ჭიდაობა ძიუდოში. იმავე პერიოდში დაამთავრა საქართველოს სპორტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტი.

1991 წელს კენჭი იყარა გიორგიწმინდის საკრებულოს გამგებლის თანამდებობაზე, სადაც გაიმარჯვა და სოფლის გამგებლად მუშაობდა 2007 წლამდე.

გიორგი დიღმელაშვილი **არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში.** სპორტის ოსტატი სამ სახეობაში: თავისუფალი, ძიუდოსა და სამბოში. მონაწილეობა მიიღო ჭიდაობა სამბოში საბჭოთა კავშირის პირველობაზე, სადაც მესამე ადგილი დაიკავა.

1973 წელს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების პირველობაზე III ადგილი დაიკავა.

ერთხანს გიორგი დიღმელაშვილი მუშაობდა აიპ "სპორტგაერთიანებაში" სპეციალისტად.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

დიტო გზირიშვილი



დაიბადა საგარეჯოში 1949 წელს. დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. მეხუთე კლასიდან ვარჯიში დაიწყო ვანო მეკოკიშვილთან ჭიდაობა სამბოში. ჭიდაობა სამბოსთან ერთად ეუფლებოდა ქართული ჭიდაობის იღლეთებს. მას ქართულ ჭიდაობაში უკეთესი შედეგები ჰქონდა. იყო საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი, ნსს სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" ჩემპიონი. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საგარეჯოს ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმში. აქ სწავლის დროს ორჯერ გახდა საქართველოს ტექნიკუმების პირველობის ჩემპიონი. ამ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ჩააბარა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით. მუშაობდა საგარეჯოს №2 და №3 საშუალო სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლად. შემდგომში დაინიშნა წყაროსთავის გიორგი ლეონიძის სახელობის პიონერთა ბანაკის ხელმძღვანელად. მუშაობდა საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტად. სისტემატურად გამოჰყავდა საბჭოთა მეურნეობის მოჭიდავეთა გუნდი ქართულ ჭიდაობაში. ბოლოს **საგარეჯოში ჩატარებულ შეჯიბრში ვეტერან მოჭიდავეთა შორის ქართულ ჭიდაობაში დაიკავა პირველი ადგილი. არის სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობასა და ჭიდაობა სამბოში.**

მწვრთნელი მიხეილ არჩუაძე გამარჯვებულ გუნდთან ერთად.

ჯემალ ნინოშვილი



დაიბადა 1949 წელს საგარეჯოში. დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა. ვარჯიში დაიწყო ვანო მეკოკიშვილთან თავისუფალ ჭიდაობაში. შემდეგ მოეწყო ქალაქ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და დაამთავრა წარმატებით. გორში ვარჯიშობდა გურამ პაპიდაშვილთან ძიუდოში. იყო სპორტსაზოგადოება "ბურევესტნიკის" საკავშირო ცენტრალური **საბჭოს ჩემპიონი და საქართველოს მრავალგზის პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში.** მოგებული აქვს არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირი ქალაქ საგარეჯოში ჭიდაობა სამბოში.

როინ ყორღანაშვილი



დაიბადა საგარეჯოში 1950 წელს. იგი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იყო ჭიდაობა სამბოში, **საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში**, სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. აღზრდილი ჰყავს ორი მსოფლიო ჩემპიონი და ორი ევროპის პრიზიორი. ევროპის მრავალგზის ჩემპიონები და მსოფლიოს ჩემპიონები:

მამუკა კურდღელაშვილი – მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი;

ნუკრი გაგნიაშვილი – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში;

ალექსი შაქარაშვილი – ევროპის II პრიზიორი ჭაბუკებში;

ნიკო მახარობლიშვილი – ევროპის III პრიზიორი ახალგაზრდებში;

უშანგი კუზანაშვილი – ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის მრავალგზის პრიზიორი და მსოფლიო პრიზიორი ჭიდაობა სამბოში.

2000 წლის ბოლოს საქართველოში დასახელდა 10 საუკეთესო მწვრთნელი. **როინ ყორღანაშვილს მისცეს XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელის წოდება.** როინი გარდაიცვალა 2000 წლის 3 იანვარს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი. მისმა შვილმა, კახა ყორღანაშვილმა მამის გარდაცვალების შემდეგ მუშაობა დაიწყო საგარეჯოს რაიონის სპორტსკოლაში მწვრთნელად ჭიდაობა სამბოში და ძიუდოში. როინის მოსახელე შვილიშვილი ღირსეულად აგრძელებს თავისი ოჯახის სპორტულ ტრადიციებს და საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს როგორც ახლო მომავალისათვის წარმატებულ მოჭიდავეს.

თამაზ გეგეშიძე

რომ არა ტრავმა...

Იუმორით გაჯერებული საუბრით, მოულოდნელობებით სავსე ქმედებებით უყვართ და აფასებენ ნაცნობ-მეგობრები თამაზ გეგეშიძეს. მაგრამ ყოველი მისი ხუმრობა ისეთი სიალალითაა ნათქვამი და ქმედება შესრულებული, რომ მისი მეგობრები ღიმილით და რადაცნაირი სითბოთი ხვდებიან მის ყოველ გამონათქვამსაც და ხუმრობასაც. ექვს ათეულს სულ ახლახანს გადააბიჯა, მაგრამ, რა ქნას, ვერ მოიშალა ბავშვობიდან გამოყოლილი შეთამაშება თავის მეგობრებთან. თუმცა, ისედაც მოელიან მისგან რადაც უცნაურობებს და რაც მთავარია, ყოველთვის ღიმილით, სიყვარულით ხვდებიან.

თამაზ გეგეშიძემ 1964 წლიდან, 13 წლისამ დაიწყო ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში. 1967 წელს უკვე საქართველოს ჩემპიონია სამბოში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში. ამავე წელს იგი გახდა საბჭოთა კავშირის ნებაყოფლობითი საზოგადოება „სპარტაკის" კლუბის წევრი.

1968 წელს საქართველოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში.

1968 წელს საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში.

1968 წელს საქართველოს ჩემპიონია, ამავე წელს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონატში მეორე ადგილ;ი დაიკავა ახალგაზრდებში.

1970 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა. სსრკ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს შორის გამართულ საკავშირო ჩემპიონატებში ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი.

თამაზი 82 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. ჭიდაობდა სამბოს, ქართულს, თავისუფალს. მას საბჭოთა კავშირის მასშტაბით მწვრთნელები, სპორტსმენები და გულშემატკივრებიც დიდ მომავალს, საინტერესო წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ. ამ დაჯერებულობას კი მატებდა თამაზის შემართება, ენთუზიაზმი, ჭიდაობის მანერა, სწრაფი ტაქტიკა და ორთაბრძოლის ის სტრატეგია, რაც მძიმე წონის მქონე ადამიანს მართლაც რომ ღვთისგან მომადლებული ჰქონდა, მაგრამ... 19 წლის ასაკში აქტიურ სპორტს ჩამოშორდა – ფეხის ტრავმის გამო. მართალია ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს, როგორც სპორტსმენი, მაგრამ, არ შეუძლია სპორტდარბაზის გარეშე. ამასთან, 1974 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტიც დაამთავრა და პროფესიით დაიწყო მუშაობა ჯერ საგარეჯოს, შემდეგ მანავის ღვინის ქარხნებში. მისი აღზრდილები არიან ჭიდაობაში საკმაოდ დიდი წარმატებების მქონენი: პაატა ბუზარიაშვილი, დათო ბუზარიაშვილი, კობა კუპატაძე და სხვები.

2013 წლამდე იყო საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

1987 წლიდან თამაზ გეგეშიძე ბადიაურის ღვინის ქარხანაში გადაიყვანეს წარმოების უფროსად. დღემდე არის სსს „ბადიაურის“ დირექტორი.

თამაზის ჰყავს მეუღლე და სამი შვილი – ორი ვაჟი და გოგონა. უფროსი ვაჟი – თამაზი თავისუფალი ჭიდაობის ევროპის 3-გზის პრიზიორი, საქართველოს 9-გზის ჩემპიონია. უმცროსი – ლადო ბავშვთა ოლიმპიადის ჩემპიონია, 2002-2004 წლების ევროპის ჩემპიონი. მონაწილეობდა 2012 წლის მსოფლიო ოლიმპიადაში და მთელმა მსოფლიომ , გულშემატკივართა მთელმა არმიამ ტელეეკრანებიდან თვალყური ადევნა ოლიმპიადის მსაჯთა უსამართლო გადაწყვეტილებას და ლადო გეგეშიძეს – ოქროს მედლის რეალურ კანდიდატს მედლის დასაკუთრების შანსი ხელიდან გააშვებინა.



გია მარხვაშვილი და გურამ თედიაშვილი სპორტის სასახლის გახსნის ზეიმზე

გია მარხვაშვილი

დაიბადა 1951 წელს ქალაქ საგარეჯოში. 1968 წელს დაამთავრა საგარეჯოს №2 საშუალო სკოლა. სწავლობდა ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში. შემდეგ სწავლა განაგრძო და 1976 წელს დაამთავრა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. 1970-1972 წლებში მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური. აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა არმიის სპორტულ კლუბში . 1971 წელს ქალაქ ლვოვში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში. 1972 წელს მიღებული ტრავმის გამო თავი დაანება აქტიურ სპორტს.

მისი მწვრთნელი ქართულ ჭიდაობაში იყო სოლომონ ჩიტაშვილი. ვანო მეკოკიშვილის კლასში გია პირველი კლასიდან ჭიდაობდა. სპორტის სასახლის გახსნაზე, რომელიც 1959 წელს გაიხსნა, მონაწილეობდა თავის თანაკლასელ გურამ თედიაშვილთან ერთად. გია მარხვაშვილი არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. მამამისი – იოსებ მარხვაშვილი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოჭიდავე იყო საგარეჯოს რაიონში. მისი ჭიდაობა ყოველთვის გამოირჩეოდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფანდებით. ქართულს ჭიდაობდა მთელი თავისი შემართებით. ჭიდაობაში მასთან წაგებული ჰქონდა ხერხეულიძეს, პატარძეულის სახელოვან ფალავნებს. ძალიან უყვარდა ქართული ჭიდაობა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი არავის წაუქცევია. როგორ წაგაქციესო, გაკვირვებულმა ჰკითხა გიას, როცა გიამ ერთხელ შეჯიბრში მესამე ადგილი დაიკავა. “თავი სირცხვილით როგორ უნდა გამოჰყოო, -გაკვირვებული ეკითხებოდა, - “ერთი კაცი მომიყვანე, ვისაც წაქცეული ვყავარო”.

იოსებ მარხვაშვილი პენსიამდე საგარეჯოს რაიკოოპკავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებლად მუშაობდა. მიუხედავად საპასუხიმგებლო და დატვირთული მუშაობისა, არასოდეს გამოუტოვებია არც ერთი ტურნირი და შეჯიბრება. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მომავალი სპორტსმენების აღზრდის საქმეში. ეხმარებოდა ფინანსურად , ხშირად აწესებდა ფასიან საჩუქრებს, ჯილდოს გამარჯვებულთათვის.

გია მარხვაშვილი დღეს შპს “მექანიზატორის” დირექტორია. დიდი ინტერესით ადევნებს თვალს საგარეჯოელი მოჭიდავეების ფიზიკურ მომზადებას, ხშირად, თითქმის სისტემატიურად ეხმარება ფინანსურად სხვადასხვა საპასუხისმგებლო ტურნირებსა თუ შეჯიბრებებში მონაწილეთა მოსამზადებელ შეკრებებს. იგი საგარეჯოელ სპორტსმენებს და სპორტსაზოგადოებას ერთ-ერთ დიდ გულშემატკივრად და ფინანსურ მხარდამჭერად ეიმედებათ.

გიას ჰყავს მეუღლე და ორი ოთხი, შვილიშვილები



იოსებ მარხვაშვილი ფალავნობაზე ჭიდაობისას

გურამ თედიაშვილი



დაიბადა ქალაქ საგარეჯოში 1951 წელს.

დაამთავრა საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლა 1968 წელს.

1974 წელს შევიდა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და 1978 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი.

არის მრავალგზის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში და ჭიდაობა სამბოში.

მოგებული აქვს საბჭოთა კავშირის სტუდენტური უნივერსიადა ჭიდაობა სამბოში.

მონაწილეობა აქვს მიღებული სსრკ-ს შეიარაღებული ჯარებს შორის საკავშირო შეჯიბრებაში, სადაც დაიკავა პირველი ადგილი ახალგაზრდებს შორის.

მონაწილეობდა ბრიუხერის სახელობის საკავშირო ტურნირში ქალაქ რიაბინსკში, სადაც დაიკავა პირველი ადგილი ჭიდაობა სამბოში 66 კგ. წონით კატეგორიაში.

არის სპორტის ოსტატი ქართულში, სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. მისი შვილი - **გიორგი ორგზის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში,** მაგრამ ტრავმის გამო თავი დაანება სპორტს.

გიგლა შათირიშვილი



დაიბადა 1952 წელს საგარეჯოში. 1969 წელს დაამთავრა საგარეჯოს №2 საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის პარალელურად მისდევდა აქტიურ სპორტს. იყო საქართველოს ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში. ასევე, იყო საქართველოს მრავალგზის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში.

გიგლა შათირიშვილი გარდაიცვალა 2011 წლის 2 მაისს.

სპორტულ ტრადიციებზე იზრდება გიგლას 16 წლის შვილიშვილი - გიორგი (გიგლა) შათირიშვილიც. მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის აღსაზრდელს საუკეთესო მიღწევები აქვს თავისუფალ ჭიდაობაში. გიორგი არის რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გამარჯვებული. მოპოვებული აქვს მედლები, დაკავებული აქვს სხვადასხვა შეჯიბრებებში ორჯერ - II, სამჯერ – III ადგილები.

გიორგი ნინოშვილი



დაიბადა 1954 წელს, საგარეჯოში. საგარეჯოს II საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური.

სხვადასხვა დროს მუშაობდა საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხანა „სამებაში“ მომარაგება-გასაღების განყოფილებაში, იყო რაიკავშირის საქონელმცოდნე, ბოლოს კი მუშაობდა „საგარეჯო-გაზში“ ინკასატორად.

სკოლაში სწავლის პერიოდში გიორგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რაიონულ სპორტულ ღონისძიებებში. მიღებული აქვს დიპლომები და სიგელები ქართულ ჭიდაობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდის პერიოდში კი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტულ ღონისძიებებში, იყო არაერთი ტურნირის გამარჯვებული თავისუფალ ჭიდაობაში. გამოდიოდა 74 კგ წონით კატეგორიაში, მინიჭებული აქვს სპორტის ოსტატის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში.

გელა დიღმელაშვილი



დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში 1955 წელს. 1973 წელს დაამთავრა საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლა. ამის შემდეგ გაიწვიეს სამხედრო - სავალდებულო სამსახურში, რომელიც მოიხადა 1976 წელს. 1977 წელს შევიდა ქალაქ სტავროპოლის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში და დაამთავრა 1981 წელს. სკოლაში სწავლის პერიოდში ვარჯიშობდა მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან თავისუფალ ჭიდაობაში. გამოდიოდა რაიონის პირველობებზე ქართულ ჭიდაობაშიც. არის თავისუფალ ჭიდაობაში ნსს სპორტული საზოგადოება “კოლმეურნეს” ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი. ასევე, სპორტსაზოგადოება “სპარტაკის” პირველობაზე მოპოვებული აქვს ჩემპიონობა და ორჯერ მეორე ადგილი. ოთხმოციან წლებში მუშაობდა მწვრთნელად თავისუფალ ჭიდაობაში.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი.

ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საგარეჯოს სტადიონის მოძველებულ ტრიბუნებზე ჭიდაობის გარეკახელი გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან თავიანთი თანამემამულის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის არსენ მეკოკიშვილის სახელობის საკავშირო ტურნირის ფინალური შეხვედრების განახლებას ჭიდაობა სამბოში.

ასპარეზობის მსაჯებმა – ვასილ პერჩნიკმა და ნიკოლაი კულიკმა შეჯიბრების დაწყების ნიშანიც მისცეს. და... კვლავ გამოცოცხლდა, ახალი ძალითა და შეუპოვრობით ადუღდა და შენივთდა ორთაბრძოლები მინდორზე გაფენილ ორ საჭიდაო ხალიჩაზე. მაყურებელი კი ვერ დაწყნარებულა, ისევ შფოთავს და ღელავს, მოუთმენლად მოელის ასპარეზზე თავისი რჩეულის – მძიმე წონაში მოასპარეზე საგარეჯოელი ფალავნის გამოჩენას... ამ წონაში ხომ თვით ბეჭდაუდებელი, ლეგენდარული არსენა ჭიდაობდა...

ბოლოს დიდხანს ნანატრი წამიც დადგა. პირველი საჭიდაო ხალიჩის მთავარი მსაჯი ალექსანდრე ნოვიკოვი საჭიდაო ხალიჩაზე იწვევს საგარეჯოელ ფალავანს ტარიელ გზირიშვილსა და ბრიანსკელ გოლიათს ჭიდაობა სამბოში, რუსეთის ფედერაციის ჩემპიონს, სპორტის ოსტატს ვლადიმერ მარგატსკის, თუმცა ამ უკანასკნელის საჭიდაო არენაზე გამოსვლამ ცოტა არ იყოს შიში და შფოთი ჩაუნერგა გულში ბევრისმნახველ გარეკახელ გულშემატკივრებს – ქერა რუსი გოლიათი მთელი ორი თავით აღემატებოდა ტანდაბალ ქართველ მოჭიდავეს.

...ტარიელმა კი დინჯად ჩამოართვა მოწინააღმდეგეს ხელი, ზანტად დაიხია უკან და მსაჯის სასტვენის გაგონებამდე კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ახმაურებულ ტრიბუნებს. მას შემდეგ კი, რაც პირველ საჭიდაო ხალიჩაზე მოხდა, დღესაც სალაპარაკოდ აქვთ ამ ორთაბრძოლის მაყურებლებს. ლამაზი, სწრაფი ილეთებითა და ფანდებით ისე დაახვია თავბრუ „შალიკოს ბიჭმა“, რომ ორთაბრძოლის დასასრულამდე გონს მოსვლა არ აცალა – შეჯიბრების მსაჯებმა ერთხმად აღიარეს ქართველი მოჭიდავის აშკარა უპირატესობა. და მხოლოდ მაშინ დაიწყნარეს გული ჭიდაობის გარეკახელმა გულშემატკივრებმა – მათი სათაყვანო კერპის, არსენა მეკოკიშვილის ტურნირის მთავარი პრიზი უკვე მოგებული იყო. ტარიელ გზირიშვილმა კი თავის მრავალრიცხოვან სპორტულ ტიტულებს სახელოვანი თანამემამულის სახელობის საკავშირო ტურნირის გამარჯვებულის ტიტულიც მიუმატა.

საგარეჯოში, საქვეყნოდ ცნობილი და სახელგანოქმული ფალავნის შალვა გზირიშვილის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა ტარიელი, თავიდანვე ჭიდაობის რაინდულ წესზე აღზრდილმა შალვამ ორი უფროსი ვაჟის მსგავსად ნაბოლარა შვილიც თავიდანვე დაგეშა და აზიარა ჭიდაობის სიყვარულს. ჭიდაობისადმი ამ სიყვარულის გადვივებას ისიც უწყობდა ხელს, რომ მათ ოჯახში ხშირად საუბრობდნენ ჭიდაობაზე და მის გარშემო ატეხილ გახმაურებულ ამბებზე. ტარიელიც თანდათან იმსჭვალებოდა სახელოვან ქართველ ფალავანთა საგმირო საქმეებით, იმ დროზე ოცნებობდა, როცა თავისი მამის, ძმებისა და თანამემამულეთა მსგავსად შორს გაითქვამდა სახელს.

ჭიდაობაში ვარჯიში მესამე საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვანო მეკოკიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო. სკოლის დამთავრების წელსვე იგი უკვე ქალაქ ფრუნზეში ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში გამართული ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორი გახდა. შემდეგ იყო რესპუბლიკის უმაღლეს ფიზკულტურის სასწავლებელში სწავლა. აქ კიდევ უფრო დახვეწა და აიმაღლა ჭიდაობის ოსტატობა საგარეჯოელმა ფალავანმა. მონაწილეობდა ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა სპორტულ ასპარეზობაში და ბევრ მათგანში გამარჯვებულიც გამოვიდა. იგი არის 1975 წელს ქ. მინსკში გამართული სტუდენტური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ორგზის საქართველოს ჩემპიონი ამავე სტილის მოჭიდავეთა შორის.

თავისი ბოლოსწინა გამარჯვება ტარიელმა 1981 წელს იზეიმა, როცა კრასნოკამსკში საბჭოთა კავშირის გმირის მფრინავ-კოსმონავტის ა. ბელიაევის სახელობის პრიზის მფლობელი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში მძიმე წონით კატეგორიაში.

– ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე არსენა მეკოკიშვილის სახელობის საკავშირო ტურნირში გამარჯვების მოპოვებაა, – თქვა ასპარეზობის შემდეგ ჩვენთან საუბარში ტ. გზირიშვილმა. ეს გამარჯვება ჩემთვის იმითაცაა საამაყო, რომ სწორედ ამ წონაში ჭიდაობდა ჩვენი სწორუპოვარი ფალავანი მამაჩემთან ძმადნაფიცობის ფიც-ვერცხლნაჭამი არსენა. ამიტომაც ჭიდაობის საკმაო ტრადიციების მქონე ჩვენს ოჯახში, რომლისთვისაც უცხო არაა სხვადასხვა სპორტული ტიტულები, და ჩინ-მედლები, ჩემს მიერ ამ ასპარეზობაზე მოპოვებული ჩემპიონის მედალი რაღაც განსაკუთრებულ, წმინდა რელიქვიად მივიღეთ და ასევე გადაეცემა ჩვენს შვილთაშვილებს

ბ. ᲓᲐᲒᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გაზეთი „ივრის განთიადი“ (1982წ)

ტარიელ სუხაშვილი



დაიბადა 1956 წელს სოფელ პატარძეულში. 1966 წლიდან ვარჯიშობდა მურთაზ ელერდაშვილთან პატარძეულში მოქმედ ჭიდაობის სექციაში. 1968 წელს კასპში ქართულ ჭიდაობაში აიღო II ადგილი. ეს მისი პირველი ნათლობა იყო ჭიდაობაში.

1971 წელს ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის მოსწავლეებს შორის გახდა ჩემპიონი.

1973 წელს დაამთავრა პატარძეულის საშუალო სკოლა. შემდეგ იყო ფალავანთა კლუბში ვარჯიში მწვრთნელ ბიძინა მაზიაშვილთან. ტარიელი არის თბილისის II პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში, რესპუბლიკურში მან II ადგილი დაიკავა.

1975-1977 წლებში იყო სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.

1977 წელს ჩაირიცხა საქართველოს სპორტის და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში და დაიწყო სამწვრთნელო სამსახური საგარეჯოს სპორტსკოლასა და ნსს "კოლმეურნეს" სპორტსკოლაში მწვრთნელად.

1978 წელს არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირზე გახდა საქართველოს ჩემპიონი. ქალაქებსა და სოფლებს შორის შეჯიბრში ტარიელ სუხაშვილი ქართულ ჭიდაობაში გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. ამ შეჯიბრში პატარძეულელებმა გორის მოჭიდავეთა გუნდს მოუგეს.

არის საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში და ნსს "კოლმეურნეს" ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. მისი აღზრდილია ევროპის პრიზიორი სამბოში მიხეილ ყუშიტაშვილი.

ამჟამად ტარიელ სუხაშვილი არის ძიუდოს სექციის მწვრთნელი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მიშა ქურხული

დაიბადა 1959 წელს საგარეჯოში. 1975 წელს დაამთავრა საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლა. 1970 წლიდან წვრთნები დაიწყო მწვრთნელ როინ ყორღანაშვილთან ქართულ ჭიდაობასა და სამბოში. არის საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. **არის სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.**

1980 წელს დაამთავრა საქართველოს სპორტის და ფიზკულტურის ინსტიტუტი. მიხეილ ქურხულს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება ძიუდოში, რომელიც მიანიჭა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა 1966 წელს. იგი დამოუკიდებელი საქართველოს №1 დამსახურებული მწვრთნელია. დღემდე მუშაობს ძიუდოში მწვრთნელად.

მისი აღზრდილები არიან:

რევაზიშვილი გიორგი – ძიუდოში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი და პრიზიორი.

კუზანაშვილი უშანგი – ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში

სიმონიშვილი დათო – მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი სამბოში

ჭიაბერაშვილი ლევანი – ევროპის ჩემპიონი სამბოში

ცხვარიაშვილი ლაშა – სამბოში ევროპის III პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონი

მჭედლიშვილი ნოდარი – საქართველოს პოლიციის და საქართველოს ჩემპიონი სამბოში

მახარობლიშვილი ნიკო – სამბოში ევროპის III პრიზიორი

მამისაშვილი გია, ალექსაშვილი ზურა, ფირანიშვილი გელა, როსტიაშვილი თემური – საქართველოს ჩემპიონები.

ქარსაულიძე გოგიტა – ძიუდოში საქართველოს და საბჭოთა კავშირის პრიზიორი.

მათიაშვილი მამუკა, ქართლოს თედიაშვილი - ძიუდოში, ოლიმპიური თამაშების მონაწილენი პორტუგალიაში

ნიკა გილაშვილი – ოლიმპიური თამაშების მონაწილე პორტუგალიაში, იყო საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში.

როლანდ აღვნიშვილი

დაიბადა 1959 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარა ჩაილურში. პატარა ჩაილურის საშუალო სკოლა 1976 წელს დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ 1976 – 1979 წლებში იყო სამხედრო – სავალდებულო სამსახურში სპორტულ ასეულში. 1979 წელს შევიდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში და 1984 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით "ფიზიკური კულტურა და სპორტი", რომლის დამთავრების შემდეგ მიანიჭეს ფიზიკური კულტურის და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაცია. წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლაში, შემდეგ კი მეოთხე ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში ფიზადზრდის მასწავლებლად. ამჟამად მუშაობს საგარეჯოს სპორტული გაერთიანების სექციაში ჭიდაობა ძიუდოს მწვრთნელად.

სპორტული მოღვაწეობის დროს როლანდ აღვნიშვილს მიღებული აქვს შემდეგი დიპლომები:

1. რაიონის პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში - I ადგილი (60კგ)
2. "არსენ მეკოკიშვილის" სახელობის პრიზი - III ადგილი
3. "არსენ მეკოკიშვილის" სახელობის პრიზი - 79 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილის დაკავებისთვის.
4. 1977 წელს რაიონის პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 70 კგ.-მდე წონით კატეგორიაში პირველი ადგილი.
5. 1975 წელს მოსწავლეთა XXVII რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ქართულ ჭიდაობაში 64 წონით კატეგორიაში - მეორე ადგილი.
6. 1975 წელს მოსწავლეთა რაიონულ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში - პირველი ადგილი (68 კგ)
7. ჭიდაობა სამბოში საქართველოს პირველობაზე დაიკავა მესამე ადგილი (68 კგ)
8. ჭიდაობა სამბოში 1976 წელს საქართველოს პირველობაზე - II ადგილი
9. 1977 წლის ზონალურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში 73 კგ. წონით კატეგორიაში - მეორე ადგილი

10. საქართველოს ფინალურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში - II ადგილი (73 კგ.)
11. ამიერკავკასიის პირველობაზე ჭიდაობა სამბოში პირველი ადგილი (68 კგ.)
12. ქალაქ თბილისის პირველობა ჭიდაობა სამბოში - პირველი ადგილი 1978 წელს
13. "არსენ მეკოკიშვილის" სახელობის საერთაშორისო ტურნირის პირველი ადგილი 1979 წელს (74 კგ.)
14. "არსენ მეკოკიშვილის" სახელობის საერთაშორისო ტურნირის მესამე ადგილი 1980 წელს (74 კგ.)
15. საქართველოს ზონალურ პირად პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში 87 კგ. წონით კატეგორიაში - პირველი ადგილი 1980 წელს.
16. "არსენ მეკოკიშვილის" სახელობის ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში - პირველი ადგილი 87 კგ.
17. საქართველოს ალკკ საგარეჯოს რაიკომის ჯილდო "ნორჩი ლენინელის" პრიზზე ქართულ ჭიდაობაში რაიონულ პირველობაზე აქტიური მონაწილეობის მიღებისთვის და საუკეთესო მსაჯობისთვის - 1988 წელს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

კობა საგინაშვილი

დაიბადა 1960 წელს ქალაქ საგარეჯოში. სწავლობდა საგარეჯოს I საშუალო სკოლაში, რომელიც 1977 წელს დაამთავრა. სკოლაში სწავლის პერიოდში მეხუთე კლასიდან ვარჯიში დაიწყო თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელ თამაზ კელიშვილთან. ქართული ჭიდაობის სექციაში ვარჯიშებზე კობას არ უვლია, მაგრამ რაიონის პირველობაზე მოსწავლეებს შორის ყოველთვის იღებდა მონაწილეობას და შედეგებიც კარგი ჰქონდა. ერთხელ რაიონის პირველობაზე პირველი ადგილიც აიღო. საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში არ უჭიდავია. თავისუფალ ჭიდაობაში კი ბევრჯერ გამოსულა სპ. საზოგადოება "კოლმეურნეს" პირველობაზე და საქართველოს პირველობაზეც. სპ. საზოგადოება "კოლმეურნეს" ჩემპიონია, როგორც ჭაბუკებში, ასევე დიდებში. საქართველოს პირველობის მესამე საპრიზო ადგილის მფლობელია. დამთავრებული აქვს საგარეჯოს პოლიტექნიკური კოლეჯი.

ამჟამად მუშაობს ა.ი.პ. საგარეჯოს "სპორტგაერთიანებაში" წამყვან სპეციალისტად თავისუფალ ჭიდაობაში.

გიორგი ბეჭიაშვილი

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში 1960 წელს. გიორგიწმინდის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საგარეჯოს I საშუალო სკოლაში განაგრძო. სკოლაში სწავლისას, მე-7 კლასიდან ვარჯიში დაიწყო სოფ. გიორგიწმინდაში მწვრთნელ ბიჭიკო მარიდაშვილთან ძიუდოს წრეში. ძიუდოსთან ერთად ხშირად ვარჯიშობდა ქართულ ჭიდაობაში. ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობდა მრავალ შეჯიბრებაში. კერძოდ, ნ.ს.ს. საზოგადოება "კოლმეურნეს" პირველობაზე სხვადასხვა დროს დაკავებული აქვს საპრიზო ადგილები. საქართველოს ტექნიკური სასწავლებლების პირველობაზე ორჯერ გახდა ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. ჭიდაობა სამბოში სპორტ-საზოგადოება "სპარტაკის" საკავშირო პირველობაზე დაკავებული აქვს პირველი ადგილი. დამთავრებული აქვს თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, შემდეგ კი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაუსწრებლად.

არის სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობასა და ჭიდაობა სამბოში.

თემურ კურდღელაშვილი



დაიბადა 1961 წელს ქალაქ საგარეჯოში.

1978 წელს დაამთავრა საგარეჯოს III საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში მწვრთნელთა გამოყენების ფაკულტეტზე სამბო-ძიუდოს სპეციალობით.

თემურს ბავშვობიდანვე იზიდავდა ქართული ჭიდაობა, რომელიც აქტიურად 12 წლის ასაკიდან დაიწყო მწვრთნელ როინ ყორღანაშვილთან.

სკოლაში სწავლის პერიოდში თემური აქტიურად მონაწილეობდა სკოლებს შორის რაიონის პირველობაზე გამართულ ჩემპიონატებში, სადაც პრიზიორიც ყოფილა და მე-8, მე-9 და მეათე კლასებში ჩემპიონიც გამხდარა შესაბამის წონით კატეგორიებში. ჭაბუკთა შორის სამჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი გორში 1976 წელს; თელავში 1977 წელს; მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი 1978 წელს, გორში ქართულ ჭიდაობაში.

ასევე აქვს მოგებული მრავალი ქართული ჭიდაობის ტურნირები სხვადასხვა დროს სხვადასხვა წონით კატეგორიებში, კერძოდ: არსენ მეკოკიშვილის ტურნირები ქართულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები და რაიონები. 1979 წელს უფროს ასაკში 64 კგ. წონით კატეგორიაში გავიდა პირველ ადგილზე, ასევე, 1980-1984 წლებში კი 68 კგ. წონით კატეგორიაში. ამავე წონით კატეგორიაში იასპარეზა დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირეთში მეცხვარის დღეზე 1981 წელს, სადაც აიღო I ადგილი და ჯილდო "ჭედილა". ქართულ ჭიდაობაში პირად გუნდურ პირველობაზე იყო საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში და უფროს ასაკში, რამდენჯერმე პრიზიორიც . შესრულებული აქვს სპორტის ოსტატობის ნორმატივი.

თემურ კურდღელაშვილი შვიდი წელი იყო საქართველოს სამბისტთა ნაკრებში ჭაბუკებში, ახალგაზრდებს და უფროს ასაკში მთავარ მწვრთნელ გივი კახაბრიშვილთან. საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში 2-ჯერ; ერთხელ ფინალისტი. საკავშირო II პრიზიორი კიროვოგრადში 1977 წელს ჭაბუკებში; საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში.

ქალაქ ცხაკაიაში 1979 წელს ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი; 1977 წელს უფროს ასაკში ქუთაისში.

1983 წელს ქალაქ ტყიბულში.

ქალაქ რიაზანის 1981 წლის საკავშირო ცსკ "ქარიშხალას" II პრიზიორი 68 კგ. წონით კატეგორიაში.

რამდენჯერმე იყო საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტი სამბოში – უფროს ასაკში სხვადასხვა

დროს სხვადასხვა წონით კატეგორიაში.

თ. კურდღელაშვილი არის არსენ მეკოკიშვილის სახელობის საკავშირო ტურნირის გამარჯვებული 62 კგ-ში, 1980-1981 წლებში 68 კგ-ში.

არის სსრკ-ს სპორტის ოსტატი.

თ. კურდღელაშვილს წარმატებები აქვს ძიუდოში. იგი ვარჯიშობდა მწვრთნელ გურამ რატიშვილთან და ცნობილ სამბისტ გაიოზ ყაყიჩაშვილთან. სხვადასხვა დროს იყო თბილისის ჩემპიონი ძიუდოში, იყო საქართველოს უნივერსიადის გამარჯვებული, საქართველოს პრიზიორი ახალგაზრდებში.

მოგებული აქვს "ბურევესტნიკის" საკავშირო თასი ქალაქ პოლტავაში 1981 წელს. შესრულებული აქვს საკავშირო სპორტის ოსტატობის ნორმატივი ძიუდოში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მწვრთნელმასწავლებლად. ამჟამად თემურ კურდღელაშვილი მუშაობს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანებაში" სპეციალისტად.

დათო ოსიფაშვილი

დაიბადა 1963 წელს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ახალგაზრდებში ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და ჭიდაობა სამბოში, საკავშირო ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი.

ამჟამად მუშაობს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" საგარეჯოს ელექტროსერვისში.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

სულხან სუხაშვილი



დაიბადა 1964 წლის 7 ნოემბერს. 1970 წელს შევიდა სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლაში, რომელიც 1981 წელს დაამთავრა. არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში და სამბოში.

არის სსრკ-ს პრიზიორი სამბოში ახალგაზრდებს შორის, სხვადასხვა ტურნირების ჩემპიონი, სპორტის ოსტატი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

რამაზ სუხაშვილი

დაიბადა 1964 წლის 27 ივნისს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. პატარძეულის საშუალო სკოლაში შევიდა 1970 წელს და დაამთავრა 1981 წელს. განათლება - საშუალო. დაოჯახებულია. ჭიდაობა დაიწყო სოფელ პატარძეულში 1977 წელს გივი ეპიტაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ წვრთნა გააგრძელა საგარეჯოში როინ ყორდანაშვილთან. არის **საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში,** სპორტის ოსტატი და სხვადასხვა ტურნირებში გამარჯვებული. ჭიდაობა სამბოში არის საქართველოს მრავალგზის პრიზიორი, სსრკ ტურნირის პრიზიორი, საქართველოს III პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში. მისი მწვრთნელი ძიუდოში იყო ტრისტან სუხაშვილი.

დავით ბუზარიაშვილი

დაიბადა საგარეჯოში 1965 წლის 18 აპრილს. დაამთავრა თბილისის მე-100-ე საშუალო სკოლა 1981 წელს. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროსაინჟინრო ფაკულტეტზე. მუშაობდა თოხლიაურის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ აგრონომად.

ამჟამად მუშაობს აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანებაში" თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელად.

არის სსრკ ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1982-1983წწ)

მონღოლეთის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი (1983 წ.)

მოსკოვის ჩემპიონი

სსრკ ნაკრების წევრი

საქართველოს ჩემპიონი სამბოში

საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

პაატა ბუზარიაშვილი

დაიბადა 1965 წელს. 1981 წელს დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1985 წელს.

1983-1985-1986 წლებში გახდა სსრკ ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში და ძიუდოში,მინიჭებული აქვს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება. პაატა ბუზარიაშვილი სსრკ ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში და ძიუდოში, არის 12-გზის საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, თავისუფალსა და ძიუ-დოში, ყოფილი სსრკ-ს შეიარაღებული ძალების 7-გზის ჩემპიონი. მინიჭებული აქვს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება. 1985 წელს მუშაობა დაიწყო საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარა ჩაილურის საშუალო სკოლის ფიზადზრდის მასწავლებლად.

1985-1987 წლებში მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური.

1987 წ. მუშაობა დაიწყო საგარეჯოს სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში ჭიდაობის მწვრთნელად.

ამავე წელს მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს იძულებით სამკურნალო დაწესებულებაში ინჟინრის თანამდებობაზე.

1989 წელს მუშაობა გააგრძელა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებრო ქ/განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

1995-1999 წწ-ში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, რეკეტისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კახეთის სამხარეოს მთავარ სამმართველოში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

1999-2002 წწ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს განყოფილებაში კრიმინალური პოლიციის უფროსად და პარალელურად სწავლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2002 წელს.

2002-2003 წლებში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის მთავრი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი. იმავე წელს გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის პოლიციის უფროსად.

მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭა ვიცე-პოლკოვნიკის წოდება.

არის შინაგან საქმეთა სამინისტროს თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი.

2003 წლიდან 2008 წლამდე მუშაობა გააგრძელა შპს „ლილე“-ში მენეჯერის თანამდებობაზე.

2008 წლიდან 2010 წლამდე მუშაობდა საქართველოს პარლამენტის წევრის საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსად.

2010 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პროპორციული სიით.

2010-2014 წწ იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე სამი შვილ და სამი შვილიშვილი..

კობა კუპატაძე

დაიბადა 1966 წელს. 1982 წელს დაამთარა საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა, რის შემდეგაც ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და 1993 წელს დაამთავრა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი.

კობა კუპატაძე საქართველოს 9-გზის ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში.

1988 წლის საბჭოთა კავშირის უნივერსიადაზე I ადგილი დაიკავა. არის სსრკ აბსოლუტური ჩემპიონატის (1990წელი) გამარჯვებული.

1991 წელს გახდა იაპონიაში ბრძოლა წესების გარეშე გამარჯვებული.

1992 წელს მინსკში გამართულ მსოფლიო პირველობაზე დაიკავა III ადგილი.

არის 1993 წლის საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

ერთ წელიწადში თითქმის სამჯერ მოუწია იაპონიაში საერთაშორისო ტურნირში „ბრძოლა წესების გარეშე“ მონაწილეობა. შეხვდა ჰოლანდიელს, ბულგარელს, ბელგიელს. სპორტის ეს სახეობა ქართველისათვის თითქმის მიუღებელია, მაგრამ ბრძოლის ველზე სწორედ ასეთი „შეხვედრით“ თუ შეძლებს უიარაღო ქართველი მტრის საბოლოო განადგურებასო... მაგრამ, ის, რაც კობამ და თავისმა მეგობრებმა 2012 წლის 26 მაისს იხილეს და საკუთარ თავზე გადაიტანეს, ეს ალბათ დიდი იშვიათობაა ქართველებს შორის მოსაგონებლად. თავად 1989 წლის 9 აპრილის ღამის თვითმხილველებმაც კი გაიკვირვეს 26 მაისის ღამე...რუსის ჯარმა, კარგად გაწვრთნილმა და ქართველების სისხლზე დაგეშილებმა,,,დერეფანი“ გაუკეთეს ხალხს – გასულიყვნენ, 26 მაისს კი ქართველებმა, სპეცნაზის „უსისხლო“ ნაწილმა სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ქართველები. განსაკუთრებული სისასტიკით კი მოჭიდავეებს, სპორტმენებს გაუსწორდნენ. მათ შორის კობაც იყო და საგარეჯოელი მოჭიდავეებიც. – ძალიან გაგვიმეტესო,– გვიამბობს კობა და ამ სიტყვებში ის დიდი წყენაა, რომელიც მხოლოდ ქართველის მიერ ქართველისადმი დაუნდობლობამ და სისასტიკემ თუ შეიძლება გამოიწვიოს, – ხელიც არ გაგვატოკებინეს, სპეცტანსაცმელში, დუბინკებით, აირწინაღებით, აღჭურვილობით თითქმის სიკვდილს თესავდნენ ცრემლსადენი გაზის ბალონების აფეთქებითა და წყლის ჭავლით, თუმცა, ისედაც კოკისპირულად წვიმდა, თითქოს წვიმას უნდოდა წარეხოცა ქართველის მიერ ქართველის დაღვრილი სისხლი და ან იმ უსისხლოებისათვის გონიერებისთვის მოეხმო. ეს არ

იყო შიში დუბინკისა და ცრემლსადენი გაზის მიმართ, ეს იყო ძრწოლა ქართველის დაუნდობლობისა თავისი სისხლისა და ხორცისადმი, ეს იყო სულის გოდება შექმნილი ვითარების დანახვისა, ყურით მოსმენილისა, თვალით ნანახისა, სწორედ ამან გაგვიკავა ხელ-ფეხი მოჭიდავეებს, თორემ ქართველი ტანკს არ უფრთხის და არ უშინდება...

აღარ მინდა ვუსმინო კობას განცდებს, იმ დამინდელ ბარბაროსობას და ჭიდაობაში თავის პირველ ნაბიჯებს ვეკითხები.

– ათი წლისამ ვანო მეკოკიშვილთან დავიწყე ჭიდაობა, 85 კილოგრამი ვიყავი, ვეღარ ვსუნთქავდი. ყველა მე მერეოდა, ყველას უხაროდა ჩემთან ჭიდაობა, ადვილად მიგებდნენ, – ალალი, ბავშვური ღიმილით მიყვება კობა, – წონაში ვერ ვიკლებდი, აღარც ის მინდოდა, ყველა გამარჯვებული ყოფილიყო ჩემთან ჭიდაობისას და გლდანის სპორტსკოლაში გადამიყვანეს მშობლებმა მერვე კლასიდან – ადვილად დავიკელი და თანდათან დავიწყე ნამდვილი ჭიდაობა – შედეგებით.

1990 წელს საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გავხდი ვლადიმირში თავისუფალ ჭიდაობაში. მეტოქე, რომელიც 2 მეტრი სიმაღლის იყო, 20 სმ-ით მაღალი ჩემზე და 180 კგ-ს იწონიდა, ადვილად დავამარცხე. 1991 წელს ქართველი სპორტსმენები პირველად იტალიაში წავედით „ზვიადის დროშით“. აქ იყო საოცრება – 8 კგ 12 დღეში დამაკლებინეს. ისე დავსუსტდი, ფეხზე ვეღარ ვდგებოდი. ერთი შეხვედრა წავაგე, მერე კი III ადგილი დიდი გაჭირვებით მოვიპოვე. ეს იყო ევროპის პირველობა სამბოში.

ყველა სახის ჭიდაობა საინტერესოა, მაგრამ ***ქართულს ვერაფერი შეედრება, ქართული ჭიდაობა ქართულია თავისი არსით – ცეცხლოვანი, შემტევი, ვაჟკაცური, უშიშარი, მაგრამ ლამაზი და ნატიფი, ნაზი. წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი ერთად, მართლაც რა ლამაზი სანახავია, არა?!*** – გულუბრყვილო, ბავშვური ღიმილით მეკითხება კობა და მეც ვეთანხმები.

რამაზ ბუზარიაშვილი

რამაზი ერთ-ერთი პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც სპორტის ახალ სახეობაში – ბრძოლა წესების გარეშე თავისი სიტყვა თქვა. მისმა გამოსვლებმა იაპონიას კიდევ ერთხელ შეახსენა საქართველოს არსებობა არა მარტო გეოგრაფიულ რუკაზე, არამედ ფიზიკურადაც. იაპონიამ რამაზი 1993 წლის საუკეთესო მებრძოლად აღიარა და სიმართლე ითქვას, მაშინ ბევრმა მისმა მეტოქემ მისგან, როგორც ქართველისგან პრინციპულობა, შეუპოვრობა და მიზანდასახულობა ისწავლა. შემდეგ საქართველოშიც გაიმართა ჩემპიონატი საქართველოს პირველობაზე სპორტის ამ სახეობაში და რამაზ ბუზარიაშვილმა ამ ჩემპიონატის გამარჯვების შემდეგ წერტილი დაუსვა თავის აქტიურ სპორტულ მოღვაწეობას.

თუმცა, მანამდე რამაზი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო 1985-90 წლებში. ჰქონდა გამარჯვებები, ჯილდოები, პრიზები თავისუფალ ჭიდაობაში, იყო საბჭოთა კავშირის მრავალი საერთაშორისო ტურნირების მონაწილე და გამარჯვებული.

ჩვენთან საუბარში იმ ჩემპიონატებს თვლის, რომელზედაც მართლაც რომ თავდაჯერებული, დინჯი, გაწონასწორებული იყო შეჯიბრის წინაც და მეტოქესთან პაექრობისასაც. ახლა კარგად ახსენდება 1999 წლის მსოფლიო პრიზიორობა სამბოში, პარალელურად იაპონიაში მოღვაწეობა.

ახლა, 44 წლის გადასახედიდან, როცა მოვლილი აქვს საბჭოთა კავშირი, ევროპა, იაპონია, გაცნობილია უამრავი ქვეყნის სპორტსმენთა ხელწერას, მათ ტრადიციებს ჭიდაობაში, თვლის, რომ ქართული ჭიდაობა განუმეორებელი და შეუდარებელია თავისი ტექნიკით, ბრძოლის წესებით. აქ ვაჟკაცობაც ჩანს, ფიზიკური ძალის გამოვლენაც, მიზანდასახულობა, ქართული სიამაყე, სილამაზეც, შერკინების დროს გამჭრიახობაც და რაც მთავარია, ისიც, რომ მეტოქეს პატივს სცემს, ის მოსისხლედ არ ჰყავს დასახული. მისი აზრით, ***ქართული ჭიდაობა მხოლოდ ქართველებისთვის ღვთით ბოძებული სპორტის სახეობაა და ამ სახეობას უნდა მიჰყვეს ქართველი, მოეფეროს, გაუფრთხილდეს და მსოფლიო არენაზე თავისი სიტყვა თქვას.***

რამაზის ჰყავს მეუღლე და 3 შვილი. უფროსი ქალიშვილი-ლიკა მოსწავლეობისას შემეცნებითი პროგრამა ეტალონის, თურქეთის ბავშვთა შემოქმედებითი კონკურსის გამარჯვებული, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის II კურსის გრანტოსანი სტუდენტია. ტყუპები – 14 წლის გიგლა და ლევანი მომავალი ფეხბურთელები არიან.



საგარეჯოს ფეხბურთის სტადიონზე ტურნირი ქართულ ჭიდაობაში გასული საუკუნის 50-იანი წლები

ბადრი ბასილაშვილი

დაიბადა 1966 წელს საგარეჯოს რაიონის სოფ. გიორგიწმინდაში. 1984 წელს გიორგიწმინდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

ბადრი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში ყველა ასაკში. არის სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონი ძიუდოსა და სამბოში. I საკავშირო თამაშების ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, საბჭოთა კავშირის 20 წლამდე ასაკის III პრიზიორი და ჩემპიონი ძიუდოში. დიდებში თბილისის საერთაშორისო ტურნირის II და III პრიზიორი.

სერიოზული ტრავმის შემდეგ ბადრი აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და ამჟამად სოფელ გიორგიწმინდის სპორტდარბაზის აღსაზრდელთა მწვრთნელია ძიუ-დოში.



არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირზე გამარჯვებულები ბასილაშვილი, ოტიაშვილი, მჭედლიშვილი

გია ხოსიტაშვილი

დაიბადა 1966 წელს, სოფ გიორგიწმინდაში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და დიდებში; საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ახალგაზრდებში, არის საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი, სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული ძიუდოში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში.

ამჟამად მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წამყვან სპეციალისტად სპორტის საკითხებში.

ტარიელ ჯავახიშვილი

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ ანთოკში 1966 წელს. დაამთავრა გიორგიწმინდის საშუალო სკოლა. მეხუთე კლასიდან ვარჯიში დაიწყო გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში ძიუდოს წრეში მწვრთნელ ბიჭიკო მარიდაშვილთან. ძიუდოსთან ერთად ვარჯიშობდა ქართულ ჭიდაობაშიც. **საქართველოს ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში, ჭიდაობა სამბოსა და ძიუდოში. არის სპორტის ოსტატი სამივე სახის ჭიდაობაში.** დამთავრებული აქვს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს რაიგანყოფილებაში, შემდეგ მუშაობდა პრეზიდენტის დაცვაში. ამჟამად მუშაობს საქართველოს პარლამენტის წევრის, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში. არის პოლიციის მაიორი. 1986 წელს გახდა ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილის სახელობის საკავშირო ტურნირზე ჭიდაობა სამბოში. არის სსრკ-ს შეიარაღებული ძალების ჩემპიონი. ამასთან, არის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

გოგიტა მეკოკიშვილი

დაიბადა 1967 წელს, სოფელ გიორგიწმინდაში. სპორტით იგი ბავშვობის ასაკშივე დაინტერესდა და 1977 წლიდან ვარჯიში დაიწყო ბიჭიკო მარიდაშვილთან და გოგი დიდმელაშვილთან.

1984 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

გოგიტა არის:

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში;

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი;

სსრკ-ს პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში.

სსრკ-ს პროფკავშირების ჩემპიონი სპორტსაზოგადოებებს შორის, მათ შორის სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" ჩემპიონი. ამასთანავე, იგი მრავალი საქალაქთაშორისო ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორია.

სერიოზული ტრავმის მიღების გამო, მიუხედავად დიდი სურვილისა, მან ჭიდაობა ვედარ გააგრძელა, მაგრამ წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ გიორგიწმინდის სპორტდარბაზში მწვრთნელად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გოჩა მეკოკიშვილი

დაიბადა 1970 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში. გიორგიწმინდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო – სავალდებულო სამსახური 1988-1990 წლებში. 1991-1995 წლებში სწავლობდა საქართველოს სპორტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტში. გოჩამ შვიდი წლის ასაკიდან დაიწყო ვარჯიში ჭიდაობა ძიუდოში გიორგიწმინდის სპორტულ დარბაზში, სადაც მიაღწია გარკვეულ შედეგებს. არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში გუნდურ პირველობაში, თოთხმეტჯერ საქართველოს ჩემპიონი, ხუთჯერ მეორე პრიზიორი, ამდენჯერვე მესამე პრიზიორი. **არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში** . 1991 წელს გახდა ევროპის მეორე პრიზიორი ჭიდაობა სამბოში. ამჟამად მუშაობს გიორგიწმინდის სპორტულ დარბაზში ძიუდოს სექციის მწვრთნელ-მასწავლებლად.

არის დაოჯახებული, ჰყავს ორი ვაჟი.

მამუკა კურდღელაშვილი

დაბადებულია 1971 წელს

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის – 1991 წელი.

ევროპის II პრიზიორი – 1994 წელი;

მსოფლიოს II პრიზიორი – 1994 წელი;

მსოფლიოს ჩემპიონი სტუდენტებს შორის – 1995 წელი.

მსოფლიოს მეორე პრიზიორი – 1996 წელი;

ევროპის ჩემპიონი – 1997 წელი;

მსოფლიოს ჩემპიონი – 1997 წელი;

ევროპის III პრიზიორი – 1999 წელი;

მსოფლიო თასის მფლობელი – 1999 წელი;

მსოფლიო ჩემპიონი – 1999 წელი;

სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე – 2000 წელი;

მსოფლიოს II პრიზიორი – 2001 წელი;

ევროპის მეორე პრიზიორი – 2004 წელი;

მამუკა კურდღელაშვილი კახეთის მხარის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტია.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

დავით ჭიაბერაშვილი



დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში 1971 წელს. დაამთავრა გიორგიწმინდის საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ასევე, პოლიციის აკადემია. სკოლაში სწავლის პერიოდში ვარჯიში დაიწყო სოფელ გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში მწვრთნელ ბიჭიკო მარიდაშვილთან ძიუდოში. ძიუდოსთან ერთად ვარჯიშობდა ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდა შეჯიბრებებში მოსწავლეებს შორის, როგორც ძიუდოში, ისე ქართულ ჭიდაობაში.

აღებული აქვს პირველი, მეორე, მესამე ადგილები. 1986 – 1987 წლებში იყო საქართველოს ნაკრების გუნდის წევრი ძიუდოში. შემდეგ ტრავმა მიიღო და თავი დაანება აქტიურ სპორტს.

ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა საგარეჯოს რაიგანყოფილების უფროსია

არის სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.

გიორგი კირაკოზაშვილი

დაიბადა 1971 წელს სოფელ პატარა ჩაილურში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლაც. სკოლაში სიარულის დროს მესამე კლასიდან მამამისმა, თამაზ კირაკოზაშვილმა, ძმასთან, რამაზ კირაკოზაშვილთან ერთად მიიყვანა სოფელ გიორგიწმინდაში არსებულ ჭიდაობა ძიუდოს წრეში, სადაც ვარჯიშობდა სკოლის დამთავრებამდე. გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში ძიუდოსთან ერთად ჰქონდათ მეცადინეობები ქართულ ჭიდაობაში. მათი მწვრთნელი ბიჭიკო მარიდაშვილი იყო. **გიორგი არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ქართულ ჭიდაობაში და ძიუდოში. იყო საქართველოს ნაკრების გუნდის წევრი, მოგებული აქვს ორჯერ ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობა.** ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ძიუდოში, მაგრამ ფეხის ტრავმამ გიორგის გეგმები შეცვალა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი.

ამჟამად არსად არ მუშაობს - მისდევს სოფლის მეურნეობას.

თეიმურაზ როსტიაშვილი

დაიბადა 1973 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარა ჩაილურში. პატარა ჩაილურის საშუალო სკოლა დაამთავრა 1990 წელს. სკოლაში სწავლის პერიოდში დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ხარისხის მედლებით, დიპლომებით და სიგელებით. საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე ჭიდაობა სამბოში დაიკავა III ადგილი, სპორტსკოლების ფინალურ პირად-გუნდურ პირველობაზე ჭიდაობა ძიუდოში დაიკავა II ადგილი, სასპორტო სკოლების ფინალურ რესპუბლიკურ პირველობაზე დაიკავა I ადგილი; 1989 წელს მოლდავეთის რესპუბლიკაში დაჯილდოებული იქნა დიპლომით; 1992 წელს საქართველოს პირადი პირველობის ფინალურ შეჯიბრზე დაიკავა I ადგილი; დაჯილდოებულია ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის თასით და ოქროს მედლით, 1990 წელს - არსენ მეკოკიშვილის დიპლომით. მიღებული აქვს ანზორ კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა და დაჯილდოებული იყო ბრინჯაოს სინჯის მედლით. **ჭიდაობის დროს გამოირჩეოდა ქართული ჭიდაობის განსაკუთრებული ილეთებით.. აკეთებდა საოცარ ილეთს – მოგვერდს.**

დამთავრებული აქვს ქალაქ თბილისის ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემია ფიზიკური კულტურის და სპორტის სპეციალობით. მინიჭებული აქვს ფიზიკური კულტურის მასწავლებლის და მწვრთნელის კვალიფიკაცია.

ამჟამად მუშაობს სოფელ პატარა ჩაილურის სპორტდარბაზში მწვრთნელ-მასწავლებლად ჭიდაობა ძიუდოში.

1997 წელს დაოჯახდა. მეუღლე ნანა იაკობაშვილია, ჰყავს ორი შვილი.

მიხეილ ყუშიტაშვილი



დაიბადა 1973 წლის 10 მაისს, სოფელ პატარძეულში. 1980 წელს შევიდა სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1991 წელს. ჭიდაობის სექციაში ვარჯიში დაიწყო სოფელ პატარძეულში ტარიელ სუხაშვილის ხელმძღვანელობით. **არის საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ქართულ ჭიდაობაში; საქართველოს ჩემპიონი დიდებში ქართულ ჭიდაობაში.** საქართველოს ჩემპიონი დიდებში სამბოს და ძიუდოში, საკავშირო პროფკავშირების ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებს შორის და II პრიზიორი ჭაბუკებში ,ევროპის III პრიზიორი ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებშიც და ჭაბუკებშიც.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გოგიტა რევაზიშვილი

დაიბადა 1973 წელს, საგარეჯოში.

2000 და 2004 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეა.

მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში ჭიდაობა ძიუდოში.

მსოფლიო ჩემპიონატის II და III პრიზიორი დიდებში;

ევროპის ორგზის ჩემპიონი, მრავალგზის პრიზიორი.

მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი.

იოსებ ათაბეგაშვილი



დაიბადა 1973 წელს სოფელ ბადიაურში. 1989 წელს დაამთავრა ბადიაურის საშუალო სკოლა. 1995 წელს დაამთავრა სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი 2001 წელს. ქართულ ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო 1985 წელს მწვრთნელ გურამ სირაძესთან სოფელ ბადიაურში, ხოლო 1986 წლიდან ვარჯიში დაიწყო სამბოში მწვრთნელ ბიჭიკო მარიდაშვილთან.

მისი სპორტული გამარჯვებებია:

საგარეჯოს რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში 44 კგ. წონით კატეგორიაში, I ადგილი 1987 წელს,

საგარეჯოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში I ადგილი, 1987 წელს, ქალაქ სამტრედიაში რესპუბლიკის პირველობა სამბოში 1972 – 1973 წლებში 47 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი, 1988 წელს.

ქალაქ საგარეჯოს პროფკავშირების ნფსს რესპუბლიკური საბჭოს პირველობა სამბოში 47 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი, 1988 წელს.

ქალაქ იაროსლავის საკავშირო გუნდური პირველობა ჭაბუკ სამბისტთა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე 1972-1973 წელს დაბადებულთა შორის 47 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი, 1988 წელს

ქალაქ საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის თასი ქართულ ჭიდაობაში 50 კგ. წონაში I ადგილი, 1988 წელს.

ქალაქ საგარეჯოს პირველობა გაზეთ "ლელოს" პრიზზე სამბოში 55 კგ წონაში II ადგილი, 1988 წელს.

ქალაქ ხაშურში საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1972-1973 წლებში დაბადებულთა შორის 47 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი, 1989 წელს. ქალაქ თბილისის პირველობა სპორტსაზოგადოებებს შორის ქართულ ჭიდაობაში 52 კგ. წონაში I ადგილი, 1989 წელს.

ქალაქ თბილისის დია პირველობა ქართულ ჭიდაობაში 56 კგ. წონაში I ადგილი, 1989 წელს.

ქალაქ ადლერში საკავშირო ტურნირი ძიუდოში 1973-1974 წლებში დაბადებულთა შორის III ადგილი, 1989 წელს.

ქალაქ თბილისის სპორტსაზოგადოება "შევარდენის" პირველობა სამბოში 60კგ. წონაში III ადგილი, 1990 წელს.

ქალაქ თბილისის რესპუბლიკური თასის გათამაშება სამბოში 60 კგ. წონაში II ადგილი, 1990 წელს.

ქალაქ ტყიბულში საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის, 60 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი, 1990 წელს.

ქალაქ ახმეტაში საქართველოს პირველობა სამბოში 62 კგ. წონაში I ადგილი, 1990 წელს.

ქალაქ ქარელში საქართველოს თასის გათამაშება სამბოში 65 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი, 1991 წელს.

რესპუბლიკის პირველობა სამბოში 1973-1974 წლებში დაბადებულთა შორის 65 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი, 1991 წელს.

ქალაქ საგარეჯოში საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში 64 კგ. წონაში I ადგილი, 1991 წელს.

ქალაქ საგარეჯოში საქართველოს ზონალური გუნდური ჭიდაობა ქართულ ჭიდაობაში I ადგილი, 1992 წელს.

ქალაქ საგარეჯოში საქართველოს თასის გათამაშება. პირადი პირველობა სამბოში 68 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი, 1993 წელს.

ქალაქ თბილისის საქართველოს პირველობა სამბოში 68 კგ. წონაში II ადგილი, 1995 წელს.

ქალაქ საგარეჯოში საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობაში 76 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი, 1997 წელს.

ქალაქ საგარეჯოში საქართველოს ფალავნობა 80 კგ. წონაში III ადგილი, 2001 წელს. ქალაქ საგარეჯოში რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში II ადგილი, 1990 წელს.

მამუკა სუხაშვილი



დაიბადა 1973 წლის 10 ივლისს სოფელ პატარძეულში. 1980 წელს შევიდა სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს. ჭიდაობა დაიწყო პატარძეულში ტარიელ სუხაშვილის ხელმძღვანელობით. არის საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, 1985 წელს გაზეთ "ნორჩი ლენინელის" **პრიზზე საქართველოს ჩემპიონია ახალგაზრდებში ქართულ ჭიდაობაში და საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში დიდებში.** საქართველოს ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში, ჭიდაობა ძიუდოში, პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს მესამე პრიზიორი.

თენგიზ ჭინჭარაძე

დაიბადა 1973 წელს სოფელ პატარძეულში. 1980 წელს შევიდა სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს. 1991 წელს ჩაირიცხა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

ჭიდაობა დაიწყო სოფელ პატარძეულში ტარიელ სუხაშვილის ხელმძღვანელობით. **არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში, საქართველოს ჩემპიონი დიდებში ქართულ ჭიდაობაში**, როგორც ძიუდოში, ასევე გუნდურში. საქართველოს ჩემპიონია დიდებში ძიუდოსა და სამბოში. არის პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი 1991 წელს.

ქართლოს თედიაშვილი

დაიბადა ქალაქ საგარეჯოში 1976 წლის 1 აპრილს. დაამთავრა საგარეჯოს მესამე საშუალო სკოლა. მესამე კლასიდან ვარჯიში დაიწყო მწვრთნელ როინ ყორღანაშვილთან ჭიდაობა სამბოში. მოსწავლეთა პირველობებზე გამოდიოდა ქართულ ჭიდაობაში, ჭიდაობა ძიუდოში და ჭიდაობა სამბოში. **ქართულ ჭიდაობაში მოგებული აქვს საქართველოს პირველობა სახელწოდებით "ნორჩი ლენინელი"**. ასევე არის ნსს სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს" პრიზიორი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ძიუდოში, ერთხელ აქვს მოგებული საქართველოს პირველობა სამბოში. მონაწილეობდა ძიუდოში ევროპის პირველობაზე, ხოლო ძიუდოში მსოფლიოს პირველობაზე მონაწილეობისას სამეულში ვერ შევიდა გარკვეული მიზეზების გამო. ბაქოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე გახდა ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში. თურქეთში, სტამბულში ჩატარებულ ტურნირზე დაიკავა მესამე ადგილი ძიუდოში.

ამჟამად არის თოხლიაურის ძიუდოს სექციის მწვრთნელი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნიკო მახარობლიშვილი

მოჭიდავე, მეომარი

თუ მისი ბიოგრაფიის შესახებ არაფერი იცით, ძნელად წარმოიდგენთ, რომ ამ გამხდარ და მზისგან გარუჯულ ადამიანს, როდისმე რაიმე შეხება ჰქონია ქართულ სპორტთან და მის ისეთ პოპულარულ სახეობასთან, როგორიც ჭიდაობაა. არადა, იყო დრო, როცა ნიკოლოზ (ნიკო) მახარობლიშვილის სახელი კარგად იყო ცნობილი ქართული ჭიდაობის, სამბოსა და ძიუდოს სპეციალისტთა წრეებში.

1977 წლის 11 თებერვალს, მანავში დაბადებული, ამავე სოფლის საშუალო სკოლის მეექვსე კლასში სწავლობდა, როცა საგარეჯოელებისათვის კარგად ცნობილ და საყვარელ სპორტსმენთან და საქვეყნოდ აღიარებულ მწვრთნელთან როინ ყორღანაშვილთან დაიწყო ვარჯიში ქართულ ჭიდაობასა და სამბოში. პარალელურად ეუფლებოდა ძიუდოსაც. თანდაყოლილი ნიჭითა და გამოცდილი მწვრთნელის ხელში წარმატებებიც მალე მოვიდა - ჭიდაობის **სამივე სახეობაში გახდა საქართველოს ჩემპიონი. 1995 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება ქართულ ჭიდაობაში,** ხოლო სამბოში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში, გახდა ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი. შეეძლო უფრო მეტის გაკეთება იგივე ევროპისა და მსოფლიოს რანგის შეჯიბრებებში, მაგრამ ...

– როგორც იცით, მაშინ ისეთი არეული დრო იყო, რომ ვინ იყო ქვეყნის, ანდა სპორტსმენების პატრონი, ყველას უჭირდა და ამ შეჯიბრებებზე მონაწილეობას მე ვინ დამიფინანსებდა, ვის აგონდებოდა ჩემი შესაძლებლობები! შეჯიბრებებზე უშვებდნენ ისეთებს, ვისაც ფული ჰქონდა ან პატრონი ჰყავდა, ჰოდა, გაუშვებდნენ ასეთებს საზღვარგარეთ, იქ "აგორავებდნენ" ხალიჩაზე და ბრუნდებოდნენ უკან. ასე ვერ წავედი ხუთჯერ მსოფლიოს და ოთხჯერ ევროპის პირველობებზე. ეგ რა მოსატანია და ჩვენი რაიონის სინამდვილიდან გავიხსენებ რამდენიმე შემთხვევას: საგარეჯოში ტარდებოდა საერთაშორისო ტურნირი სამბოში. ფინალში ვხვდებოდი მახაჩკალელ მეტოქეს. მოხდა ისე, რომ "ხანტეის" უნდა გადაეწყვიტა ჩვენი შეხვედრის ბედი. სამი მსაჯიდან, ერთი ჩვენებური, საგარეჯოელი იყო. მოხდა ისე, რომ ერთმა მსაჯმა ჩემს აზერბაიჯანელ მეტოქეს მისცა უპირატესობა, მეორემ მე. ახლა ჩვენი ბედი საგარეჯოელი მსაჯის სიტყვას უნდა გადაეწყვიტა, იმანაც ადგა და ... ხანტეი ჩემს მეტოქეს მიანიჭა. შეხვედრის შემდეგ კი მე ასე მანუგეშა: ასე იმიტომ მოვიქეცი, მახაჩკალაში საპასუხო შეჯიბრებაზე რომ ჩავალთ, პატივს გვცემენო...

წელი აღარ მახსოვს, თბილისში შეჯიბრი ტარდებოდა "ნორჩი ლენინელის" პრიზზე. ყველა შედეგის მიხედვით, ამ შეჯიბრზე წასვლა საგარეჯოდან მე მეკუთვნოდა, მაგრამ ჩემს მაგივრად ჩემზე სუსტი ა –შვილი

დააყენეს შეჯიბრებაზე. მაშინ ჩემი შესაძლებლობები უკვე კარგად იცოდნენ სპორტულ წრეებში და საგარეჯოელებს ჰკითხეს, რატომ მახარობლიშვილი არ დააყენეთ შეჯიბრებაზეო. იმათაც, რა ვქნათ ა – შვილმა აჯობა შესარჩევ შეჯიბრზეო. მე იმ შეჯიბრებაზე მაინც დავდექი, ოღონდ თბილისის სახელით და, რა თქმა უნდა, ა – შვილთანაც მომიწია შეხვედრა, რომელსაც პირველსავე წუთზე შვიდი ქულა ავართვი და კარგადაც "ვაგორავე ლეიბზე". ერთი უნდა გენახათ ამ ამბით შერცხვენილი საგარეჯოელების სახეები, თბილისელები ნიშნს უგებდნენ, აკი ა – შვილი სჯობდა მახარობლიშვილსო?! ასეთი ამბების გამო ჭიდაობაზე გული ავიყარე. 2002 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი "კომანდოს ბატალიონი" და დაარსების დღიდანვე მასში შევედი. ვმონაწილეობდი სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში. შესვენებაზე საქართველოში ჩამოსული დანით დავიჭერი და დროებით ჩამოვშორდი კომანდოს. 2006 წლიდან კი, ისევ აღვიდგინე თავი და 2009 წლამდე მის შემადგენლობაში ვმსახურობდი. მიღებული მაქვს მადლობები ამერიკელებისგან.

2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ჩვენი ბატალიონი სამსახურს ერაყში გადიოდა და იქიდან თვითმფრინავით გადმოგვაფრინეს სამაჩაბლოში საბრძოლველად, მაგრამ ამ ხანმოკლე ომში მონაწილეობა არ მიგვიღია.

– ნიკო, მანავი ჭიდაობის დიდი ტრადიციების მქონე სოფელია. ძველებს, რომ თავი დავანებოთ, მანაველები არიან საქვეყნოდ სახელგანთქმული ფალავნები ირაკლი და გიორგი კუპატაძეები, ბექა ტერტერაშვილი ...ისინი საგარეჯოში დადიან წვრთნებზე. იქნებ აქვე, მანავში გეცადა მომავალი მოჭიდავეების აღზრდა?

– მწვრთნელობას დიდი შრომა, დიდი დრო და ენერგია სჭირდება. ეს საქმე დიდად საპასუხისმგებლოცაა. შეიძლება ვინმემ თქვას, მწვრთნელობას რა დიდი ამბავი უნდაო, მაგრამ მე იმის კაცი არ ვარ, რომ ბავშვები ლეიბზე მარტო საგორაოდ გავიყვანო. თუ საქმეს მოჰკიდებ ხელს, ის საქმე უნდა გააკეთო და ბოლომდე მიიყვანო. ისე აზრი არა აქვს რაიმეს. სხვებისა არ ვიცი, რა აზრი აქვთ ამის შესახებ, მე კი ყოველთვის ამ პრინციპით ვმოქმედებდი და საჭიდაოდაც ამ აზრით გავდიოდი. სიმართლე რომ ვთქვა საამისო დრო მე ნამდვილად არ მაქვს, რადგან მარტო მწვრთნელობით დღევანდელ დღეს კაცი თავს ვერ გაიტანს. მე კი ოჯახი მყავს...

გივი დაგახიშვილი

მამუკა მათიაშვილი

დაიბადა 1977 წელს. გიორგიწმინდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1994 წელს სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო.

მამუკა საქართველოს ჩემპიონია ძიუ-დოში, ქართულ ჭიდაობასა და სამბოში.

ორჯერ თბილისის საერთაშორისო ტურნირების პრიზიორია ძიუ-დოში (1997 და 1999წ).

ჰოლანდიის ორგზის ჩემპიონია ახალგაზრდებსა და დიდებში.

არის სპორტის ოსტატი.

1996 წელს მამუკას მონაწილეობა უნდა მიეღო მსოფლიო ჩემპიონატში ძიუ-დოში ახალგაზრდებში, მაგრამ ტრავმის გამო ვედარ გააგრძელა პაექრობა. ასეთივე შემთხვევა რამდენჯერმე ჰქონდა მამუკას, რასაც დიდი გულისტკივილით იხსენებს.

დღეს მამუკა მათიაშვილი საგარეჯოს სპორტული კომპლექსის უფროსი მწვრთნელია.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

ლაშა ცხვარიაშვილი



დაიბადა 1978 წლის 14 ივლისს სოფელ პატარძეულში. 1984 წელს შევიდა სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლაში, რომელიც 1995 წელს დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტზე, რომლის კურსიც 2003 წელს დაამთავრა. 2003 წელს ჩაირიცხა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, რომელიც 2006 წელს დაამთავრა.

ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო სოფელ პატარძეულში ტარიელ სუხაშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოს ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებში, საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში დიდებში 1996-1997 წლებში, საქართველოს ჩემპიონი სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, საქართველოს ჩემპიონია ძიუდოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში; ევროპის ბრინჯაოს პრიზიორია ახალგაზრდებში 1998 წელს. არის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი ახალგაზრდებში.

გიორგი დიღმელაშვილი

დაიბადა 1981 წლის 25 ნოემბერს. 1988 წელს შევიდა და 1999 წელს დაამთავრა საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლა. 2004 წელს დაამთავრა ფიზკულტურის აკადემია. მონაწილეობდა ამიერკავკასიის პირველობაზე, სადაც პირველი ადგილი დაიკავა, საქართველოს უნივერსიადაზე ასევე, დაიკავა პირველი ადგილი; საქართველოს უნივერსიადაზე – მეორე; ძმები ყვარელაშვილების სახელობის ტურნირზე მან პირველი ადგილი დაიკავა; ლევან თედიაშვილის სახელობის ტურნირზე - პირველი ადგილი. ასევე, პირველი ადგილები აქვს მოპოვებული დავით ციმაკურიძის სახელობის ტურნირზე, საქართველოს ახალგაზრდებს შორის ტურნირზე, აღმოსავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობაზე.

გიორგი არის საქართველოს პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში დიდებში .

ნოდარ მჭედლიშვილი

დაიბადა 1981 წელს სოფელ კაკაბეთში. დაამთავრა კაკაბეთის საშუალო სკოლა. ვარჯიში დაიწყო მეხუთე კლასიდან საგარეჯოში მწვრთნელებთან მიხეილ ქურხულთან და ბიჭიკო მარიდაშვილთან. არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. **ასევე, სამგზის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში დიდებში**. საქართველოს პირველობა მოგებული აქვს რვაჯერ ჭიდაობა სამბოში. ახალგაზრდებში არის მსოფლიოს და ევროპის პრიზიორი. 2013 წელს მოიგო საქართველოს შ.ს. სამინისტროს ოლიმპიადა ჭიდაობა ძიუდოში. ამჟამად მუშაობს საქართველოს შ.ს. სამინისტროს აპარატში.

2013 წლის 22 სექტემბერი. კაკაბეთში საჭიდაო არენის გახსნაზე

ვახტანგ ხოსიტაშვილი

დაიბადა 1982 წელს, სოფელ გიორგიწმინდაში. 2000 წელს დაამთავრა გიორგიწმინდის საშუალო სკოლა და სწავლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო.

1990 წლიდან დაინტერესდა სპორტით. ვარჯიში დაიწყო ჯერ ბიჭიკო მარიდაშვილთან და მიხეილ ქურხულთან, შემდეგ კი გია ხოსიტაშვილთან და გოგიტა მეკოკიშვილთან.

2001 წელს ბელგრადში გამართულ ევროპის პირველობაზე სამბოში II ადგილი დაიკავა.

1999 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი სამბოში;

2000 წელს მეორე ადგილი აიღო ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე;

2001 წელს მონაწილეობდა მსოფლიო უნივერსიადაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში და II ადგილი დაიკავა.

2001 წელს მონაწილეობდა პეკინში გამართულ მსოფლიო უნივერსიადაში დიდებში და II ადგილი აიღო;

2004 წელს გამართულ ევროპის პირველობაზე ძიუ-დოში მეორე ადგილი დაიკავა.

2005 წელს მოიგო მოსკოვში გამართული მსოფლიო თასი, შემდეგ ჩეხეთში მსოფლიო თასი ძიუ-დოში.

2006 წელს საქართველოს ნაკრების სახელით მონაწილეობდა პარიზში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ძიუ-დოში.

2008-2010 წლებში იყო თურქული კლუბის „ჩაიკურის“ წევრი.

უშანგი კუზანაშვილი –
ღირსეულ ფალავანთა ნაკვალევზე ღირსეული ნაბიჯებით

სიმართლე ითქვას, ახალგაზრდა სპორტსმენებთან შეხვედრას, როგორც ჟურნალისტი თავს ვარიდებდი ხოლმე. თავდაპირველად გიჭირს საუბარში აყოლიება და ბოლომდე არ ეხსნებათ დაძაბულობა. რატომღაც ასეთ შეხვედრას ველოდი მსოფლიო ჩემპიონ უშანგი კუზანაშვილთანაც. პირიქით კი მოხდა, ორიოდე წუთში მოვნახეთ საერთო ენა. თავდაპირველად უფრო მეტად ქრისტიანობასა და ეკლესიურობაზე ვისაუბრეთ, ვიდრე მის სპორტულ მოღვაწეობაზე. ვიცით, რომ 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონია, მსოფლიო ჩემპიონატებში 2003 წლიდან მონაწილეობს, ორჯერ III ადგილი დაიკავა, ერთხელ – II. ზედიზედ არის ევროპის ხუთგზის ჩემპიონი 2007 წლიდან 2013 წლამდე. ახლაც ამ ჩემპიონატისთვის ემზადება, ემზადება შემართებით და გამარჯვების ღრმა რწმენით. ევროპის ჩემპიონატიდან ჩოხიან ჭიდაობაში ქართველს კი არა ევროპელს არ ჰქონია ასეთი გამარჯვება. მისი აზრით არც ერთი საგარეჯოელი არ უნდა გავიდეს საჭიდაო არენაზე ისე, თუ გამარჯვება არ დაისახა მიზნად და ხალიჩაზე ამ ჩანაფიქრს ხორცი არ შეასხა.

– ეცნობი თანამემამულეების ბეჭდაუდებელი ფალავნის არსენ მეკოკიშვილისა და მსოფლიოში ჭიდაობის კორიფედ აღიარებულ ლევან თედიაშვილის მიღწევებს, მათი ცხოვრების ეპიზოდებს, იცი, რომ მაქსიმალური შესაძლებლობები გამოიყენეს და საგარეჯოს სახელი მსოფლიო სპორტულ რუკაზე გადაიტანეს. ყოველივე ამის შემდეგ ძნელია არ გრძნობდე პასუხისმგებლობას, როგორც სპორტსმენი და როგორც მოჭიდავე. შეჯიბრების წინ მომზადებისას და შეჯიბრში მონაწილეობისას სწორედ მათი სახელები მაძლევდა სტიმულს, მახსენდებოდა კადრები მათი ცხოვრებიდან, როგორი ოვაციებით ხვდებოდნენ მათ გულშემატკივრები და აკი არც უცრუებდნენ იმედს. ასევე მახსენდებოდა მამუკა კურდღელაშვილის ჭიდაობა და იცით რას ნიშნავს საჭიდაო ხალიჩაზე რწმენით, მიზნის დასახვით გასვლა, მოწადინება, სტრესის, განცდების დაძლევა, მოწინააღმდეგისათვის ღიმილით შეხვედრა ორთაბრძოლის წინ? – სრულ გამარჯვებას, გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასვლას.

დღეს მე მიხარია, მეამაყება, რომ ჩვენ, საგარეჯოელი მოჭიდავეები დიდი არსენას და ლევანის ღირსეული ცვლა ვართ. ჩვენს შემდეგაც კარგი ცვლა მოდის. მე ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ჩემი მომდევნო თაობისთვის სტიმულის მიმცემი ვიქნები, ცვლა კი მართლაც კარგი მოდის. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვიცი, რომ ესენიც თავიანთ სიტყვას იტყვიან ჩვენი რაიონის ჭიდაობის ისტორიაში. მათ ყველანაირი ხელისშეწყობა ექნებათ საამისოდ – მალე დაიწყება რაიონის მასშტაბით სპორტული დარბაზების, სპორტული მოედნების მშენებლობა. კაკაბეთში, ჩემს მშობლიურ სოფელში აპრილის ბოლოსთვის საჭიდაო მოედანი გაკეთდება. ეს იქნება გადახურული იარუსებით 600 კაცზე. კახეთში, უფრო სწორად საგარეჯოში ტრადიციულად ჭიდაობა აქ №1 სპორტის სახეობაა. ინტერესი დიდია გულშემატკივრის და რათქმაუნდა, უპირველესად სპორტსმენის. ჩვენს ქალაქში არის საკმაო ბაზა იმისთვის, რომ სპორტსმენმა სრულფასოვნად ივარჯიშოს. ამას მალე სპორტგაერთიანების ახალი ხელმძღვანელის შემართებისა და ენთუზიაზმის I ნაბიჯების შედეგებიც დაემატება, რაც საბოლოო ჯამში სპორტსმენებისათვის დიდი ხელშეწყობა და სტიმული გამოვა, – სიამაყის გრძნობით მეუბნება უშანგი.

– სპორტსმენს დრო არ რჩება ცუდი ქმედებისთვის. სწორედ იმ უკეთურების საკეთებლად, რასაც ქრისტიანობა კრძალავს, ასე არ არის? – ვეკითხები უშანგის.

– გეთანხმებით. ქართველი სპორტსმენი სულით და გენეტიკურადაც ქრისტიანია. ქრისტიანობა კი ისეთივე დიდი პასუხისმგებლობაა, როგორც ქართველობა – წარმოუდგენელია, სპორტსმენმა არაკაცური, არაქრისტიანული საქციელი, ქმედება ჩაიდინოს. ყოველი შეჯიბრის წინ ხომ ვეევედრებით უფალს – ოღონდ ახლა გამამარჯვებინე, ოღონდ ახლა მომეხმარეო. როცა იცი, რომ მხოლოდ ღმერთის იმედზე რჩები, ისიც იცი, რომ ცუდი არ უნდაა გააკეთო. გაუცნობიერებლად, გაუთვითცნობიერებლად ხდები ღვთისმოშიში.

– როგორც ვიცი, დიდმა რწმენამ სოფელში წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა დაგაწყებინათ და მარტის დასაწყისში კიდეც აღევლინა აქ პირველი წირვა? – ვეკითხები უშანგის.

– დიახ. მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მიღების წინ ასეთი აღთქმა დავდე და დავიწყე ეკლესიის მშენებლობა.

– თანხები, თანხები როგორ მოიძიეთ?

– ჩემი ჰონორარებით, ოჯახის შემოსავლებით. ეს ჩემი აღთქმა იყო...

– უშანგი, ოჯახის შესახებ არაფერი გითქვამს...

– მყავს მეუღლე – ვერიკო და ერთი ვაჟი – მალხაზი, იგივე ბათელა. ველოდებით გოგონას, რომელსაც დაბადებამდე მახომ მარიამი დაარქვა.

– დღევანდელ საქმიანობაზეც არაფერი გითქვამს. ხართ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. სპორტი?

– აქტიურ სპორტს ახალახან შევუდექი. პოლიტიკურმა პროცესებმა რამდენიმე თვით მართლაც ჩამომაცილა აქტიურ სპორტს. ახლაც დიდი შეჯიბრებისთვის ვემზადები. 20 მარტს (ინტერვიუ თებერვლის ბოლოს ჩაიწერა) მოსკოვში ხარლამპიევის ტურნირი იმართება სამბოში. ევროპის ჩემპიონატშიც მინდა მონაწილეობის მიღება. თანდათან ძიუ-დოშიც ჩავერთვები და ვნახოთ...

– წარმატებებს გისურვებთ!

– გმადლობთ! მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დაბადებიდან 65 წლისთავი მივულოცო ლეგენდარულ ლევან თედიაშვილს – დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სიკეთეს ვუსურვებ.

თინა ილაური

P.S. ჟურნალი დასაბეჭდად მზად იყო, როცა სასიხარულო ამბავი გავიგეთ – ხარლამპიევის სახელობის ტურნირზე უშანგის II ადგილი დაუკავებია. ეს მართლაც დიდი წარმატება იყო – უშანგიმ თავის წონით კატეგორიაში (52კგ) ვერ მოახერხა ასპარეზობა წონის გამო და 62 კგ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა. მსოფლიო დონის ტურნირზე მოკლევადიანი ვარჯიშითა და სპორტსმენისათვის უჩვეულო წონით კატეგორიაში გასვლა მართლაც „გარისკვა“ იყო. ვულოცავთ გამარჯვებას.

ჟურნალი „გარეჯელები“
№7. 2013 წელი

რევაზ ბაჩოშვილი

დაიბადა 1983 წელს საგარეჯოში. 2000 წელს დაამთავრა გიორგიწმინდის საშუალო სკოლა. ჭიდაობაზე ვარჯიში დაიწყო 1990 წლიდან მწვრთნელ როინ ყორღანაშვილთან. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ვარჯიში განაგრძო თბილისში გურამ მოდებაძესთან. არაერთგზის აქვს მიღებული მონაწილეობა ქართულ ჭიდაობაში, არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუ-დოსა და სამბოში. აქტიურად მონაწილეობდა საგარეჯოს რაიონის სოფლებში ქართულ ჭიდაობაში გამართულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში, სადაც მოპოვებული აქვს ჯილდოები და სიგელები. არაერთხელ ჰქონდა უპირატესობა მონაწილეობა მიეღო ევროპის პირველობებზე, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო ვერ ახერხებდა წასვლას. ამჟამად მუშაობს საგარეჯოს "სპორტგაერთიანებაში" მთავარ სპეციალისტად. მის სპორტულ კვალს მიჰყვება 7 წლის შვილი შოთიკო, რომელიც პირველ გამარჯვებებს თავის ასაკში უკვე იმკის.

სოსო ჭიკაძე

დაიბადა 1985 წელს სოფელ ბოგდანოვკაში. სწავლა ჯერ ბოგდანოვკის სკოლაში დაიწყო, შემდეგ კი სოფელ კაჭრეთის პროფლიცეუმში, რომელიც 2002 წელს დაამთავრა.

2004 წლიდან 2008 წლამდე სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის აკადემიაში (რომელიც შემდეგ ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტად გადაკეთდა).

2009 წლის დეკემბერში მუშაობა დაიწყო ბოგდანოვკის საჯარო სკოლაში სპორტის მასწავლებლად, სადაც მუშაობს ამჟამადაც და ამავე სკოლაში ასწავლის საგზაო მოძრაობის წესებს. სამი წლის მანძილზე სოფელში მუშაობდა ძიუდოს მწვრთნელად უხელფასოდ. სოფლის ყოფილი კლუბის დარბაზში თავად გააკეთა თვითნაკეთი სპორტული იარაღები, რომლებითაც მისი აღზრდილები დღესაც სარგებლობენ. სოსოს 2012 წლიდან დაენიშნა ძიუდოს სექციის მწვრთნელის ხელფასი.

სოსო სკოლაშიც და ინსტიტუტშიც სწავლის პერიოდში აქტიურად იღებდა მონაწილეობას ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუ-დოში. განსაკუთრებული ინტერესით მონაწილეობდა ტურნირებსა და შეჯიბრებებში ფალავნობაზე. რამდენჯერმე აქვს მოგებული ფალავნობა შიბლიანში, კაჭრეთში, დიღომში, ვერის ბაღში.

საქართველოს ფიზკულტურის აკადემიაში სწავლისას ის მონაწილეობდა მთელ რიგ ტურნირებსა და შეჯიბრებებში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. ყოველთვის იკავებდა I და II ადგილებს.

საგარეჯოში ვარჯიშისას სპორტდარბაზში წვრთნები ფინანსური კრიზისის გამო ჩაიშალა, რამაც იძულებული გახადა სოსო თბილისში გურამ მოდებაძესთან გაეგრძელებინა ვარჯიში. იყო საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში 2001 წლიდან. პერსპექტიულ, ახალგაზრდა მოჭიდავეს მართლაც საინტერესო და წარმატებულ სპორტულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სოფელში მომხდარი ინციდენტისას იგი მძიმედ დაიჭრა. ხუთი ორგანო დაუზიანდა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. - ასე ჩაიარა 12 წლის შრომამ ფუჭადო, - მითხრა სოსომ. მაგრამ რატომ ფუჭად? დღეს მისი ზედამხედველობით ვარჯიშობენ ბოგდანოვკელი ბიჭები ძიუ-დოს სექციაში და წარმატებებს აღწევენ - სოსო გიქორაშვილი, მიხეილ გურგენიძე, ლაშა მღებრიშვილი, თენგიზ ზირაქაშვილი, რუსლან ვოროშილოვი, რეზო ჭიკაძე, გიგა და ნიკა ჩოკოშვილები და სხვები – მონდომებული, ნიჭიერი, გამარჯვებებისათვის მოტივირებული ბიჭები.

სოსოს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სოსო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი გახდა

დავით სვიმონიშვილი



დაბადებულია 1985 წელს;

ჭაბუკთა ოლიმპიური თამაშების მონაწილე ძიუ-დოში 2001 წ;

ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის სამბოში 2003წ;

მსოფლიოს პრიზიორი ჭაბუკთა შორის სამბოში 2003წ;

მსოფლიო თასის II პრიზიორი ძიუდოში 2005წ;

ევროპის ჩემპიონი სამბოში 2007წ;

ევროპის ჩემპიონი ძიუ-დოში 2007წ;

ევროპის ჩემპიონი სამბოში 2008წ;

ევროპის ჩემპიონი სამბოში 2009წ;

მსოფლიოს II პრიზიორი სამბოში 2010 წ;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დათო ხუციშვილი



დაიბადა ქალაქ საგარეჯოში 1990 წელს. 2001 წელს დაამთავრა საგარეჯოს №1 საშუალო სკოლა.

მისი სპორტული მიღწევებია:

2006 წელი – საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში

2007 წელი – ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჭაბუკებში (ვარშავა)

2009 წელი – საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში

2009 წელი – თბილისის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ახალგაზრდებში

2010 წელი – საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში

2010 წელი – საქართველოს ჩემპიონატის ბრინ-

ჯაოს მედალოსანი

2010 წელი – ბულგარეთში ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში

2010 წელი – უნგრეთში მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში

2011 წელი – საქართველოს ჩემპიონი

2011 წელი – გერმანიაში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი

2011 წელი – თურქეთში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი

2011 წელი – ოლიმპიადის ლიცენზიატი

2012 წელი – სერბეთში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი

2012 წელი – ლონდონის ოლიმპიადაზე მე-7 ადგილი

2012 წელი – საქართველოს ჩემპიონი

2012 წელი – ასპარეზობდა ირანის საკლუბო ჩემპიონატში, კლუბ "სამა ჰოჯაჯის" სახელით. გაიმარჯვა ყველა შეხვედრაში და მისმა კლუბმა მოიპოვა ჩემპიონის ტიტული

2012 წელი – საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა ღირსების ორდენით

2013 წელი – ევროპის ჩემპიონატზე ტრავმის გამო საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა და ამჟამად მკურნალობას გადის.

მწვრთნელები: რამაზ ასაბაშვილი, ზაზა ლაფერიშვილი, კობა საგინაშვილი (საგარეჯო) 2000-2008 წლები; ალექსანდრე კახნიაშვილი 2008 წლიდან (თბილისი).

არის კლუბ „საგარეჯოს წევრი.

როინ ყორდანაშვილი საგარეჯოში არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირზე გამარჯვებულ მოჭიდაველებთან ერთად.

სახელოვან ფალავანთა აღზრდით თავმოყრონება ბევრს შეუძლია. აი, მწვრთნელთა მთელი პლეადის გამოყვრთობა კი მართლაც საშვილიშვილო საქმეა

მწვრთნელი, მსაჯი, ქომაგი...

ვანო მეკოკიშვილი



დაიბადა 1926 წელს სოფელ გიორგიწმინდაში. საგარეჯოს I საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმში თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელად. ბათუმიდან რამდენიმე თვის შემდეგ ქალაქ საგარეჯოში გადმოინაცვლა და აქ დაიწყო თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელობა. მის სახელს ეკუთვნის საგარეჯოში თავისუფალი ჭიდაობის აღორძინება. მან აღზარდა თავისუფალ ჭიდაობაში მთელი პლეადა. მათ შორის: ლევან თედიაშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, თენგიზ ასლამაზიშვილი, ძმები თამაზ და ბიძინა კევლიშვილები, ბიჭიკო მარიდაშვილი და ბევრი სხვა.

ვანო (ვალიკო) მეკოკიშვილი უებრო მოსაუბრე, სწორუპოვარი თამადა, ქართული სიტყვის მოტრფიალე და ყოველივე ქართული, ვაჟკაცური თვისებებით შემკული თავისივე "შეგირდების" იდეალი იყო. იგი 88 წლის ასაკში მძიმე დაავადების შედეგად 2014 წლის მაისში გარდაიცვალა.

ვალიკო ოდიკაძე



დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში 1929 წლის 25 ივლისს. 1937 წელს შევიდა საგარეჯოს I საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1949 წელს. ამავე წელს შევიდა და 1953 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. ამავე წელსვე დაინიშნა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად, ხოლო მის პარალელურად, 1965 წლიდან ინიშნება ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორად. 1973 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა საგარეჯოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ.

მუშაობის პერიოდში დაჯილდოებულია სხვადასხვა ჯილდოებით - 1986 წელს კარგი მუშაობისათვის მედლით "შრომის ვეტერანი". იყო მსაჯთა კოლეგიის წევრი, 1998 წელს არჩეული იყო გიორგიწმინდის საკრებულოს წევრად. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისაგან მინიჭებული აქვს საქართველოს "სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდება, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და სიხარული ჩვენი სპორტსმენების მიღწევები და წარმატებები იყო.

წავიდა ჩვენგან ისე, რომ ოჯახი არ შეუქმნია და შთამომავლობა არ დაუტოვებია, მაგრამ "მასწავლებელი ბევრჯერ უშვილო, მაგრამ მრავალი შვილის მშობელი"-ო, ეს მართლაც ასეა. მან საქართველოს აღუზარდა მრავალი ღირსეული შვილი.

გარდაიცვალა 2012 წლის 24 სექტემბერს.

მსაჯი

შოთა ზუკაკიშვილი



დაიბადა სოფელ პატარძეულში 1925 წელს. დაამთავრა პატარძეულის 8 წლიანი სკოლა. სწავლა თბილისის ავტო-სახელოსნო სასწავლებელში განაგრძო. მუშაობდა ტაქსების პარკში მექანიკოსად. პარალელურად ვარჯიშობდა ჭიდაობა სამბოში და ქართულ ჭიდაობაში. საქართველოს პირველობაზე დაკავებული აქვს II ადგილი ჭიდაობა სამბოში. ვარჯიშებზე მიღებულმა ტრავმამ აიძულა ჩამოშორებოდა აქტიურ სპორტს და მოღვაწეობა დაიწყო როგორც მსაჯმა, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწია და მიენიჭა "საერთაშორისო ექსტრა კლასის" წოდება, ამასთან, დაჯილდოვდა ოქროს სასტვენით.

ბიჭიკო გრიქულოვი



დაიბადა 1927 წლის 8 მარტს საგარეჯოში. დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა. თამაშობდა ფეხბურთს. მუშაობდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში საგარეჯოს სპორტკოლმეურნეს თავმჯდომარედ. იყო ძალიან კეთილი, უყვარდა ყველა ბავშვი, ყველანაირად ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ქართული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს.

წინ დიდი პერსპექტივებია

გარე კახეთი მოჭიდავეთა ისეთი სამჭედლოა, სადაც იწვრთნებოდა, იჭედებოდა და თანაც „წუთისოფლის ქურაშიც“ თავისებური წესით ატარებდა სპორტსმენებს, საგარეჯოში როცა სპორტსმენებსო, ვამბობთ, ე.ი. მხოლოდ მოჭიდავეებს ვგულისხმობთ. მიზეზი გასაგები და მარტივია – საგარეჯოს რაიონმა ქართულ, რუსულ, საბჭოთა, ევროპულ და მსოფლიო სპორტს „ბეჭდაუდებელი ფალავნის“ტერმინი შემოუტანა. მარტო ეს კი არა, მეგობრობის, ვაჟკაცობის არაერთი მაგალითი უჩვენეს ჩვენმა მოჭიდავეებმა უცხოტომელებს. იქნებ არც გჭირდებათ შეგახსენოთ ლევან თედიაშვილის ამერიკაში დათვთან პაექრობის ჩვენთვის – ქართველებისათვის საამაყო და მსოფლიოსათვის განსაცვიფრებელი მოვლენა. დიახ, ეს იყო მოვლენა – უიშვიათესი, რომელსაც მხოლოდ ქართველი კაცი – „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილი თუ გააკეთებდა.

წლების განმავლობაში თავს ვიწონებდით კარგი ღვინოებით „მანავის მწვანითა“ და „ხაშმური საფერავით“. ან მაშინ განა რამდენ ჰექტარზე იყო გაშენებული ვაზის ეს ჯიშები?! „მანავის მწვანე“ მხოლოდ 40 ჰექტარზე იძლეოდა მართლაც „მანავის მწვანედ“ ცნობილ ღვინოს, ხაშმის საფერავი კი განა რა მოთხოვნას გაუძლებდა, ალბათ საგარეჯოსაც ვერ გასწვდებოდა... ახლა, როცა გონებით ვწვდები გასული საუკუნის ბოლო ათეულ წლებს, კიდევ უფრო მეტი სიმწარითა და მორალური „სუსხით“ დგება სპორტის, სპორტსმენის ღვაწლის დაუფასებლობა. ჩვენ ღვინოებით „ვაკვირვებდით“ მხოლოდ საბჭოეთს, თავი მოგვწონდა „ქინძმარაულითა“ და „ახაშენით“, მაგრამ სათანადოდ ვერ ვაფასებდით ჩვენს არსენას, ლევანის... სხვა ქვეყანას რომ მათნაირი სპორტსმენები ჰყოლოდათ, ალბათ ცას ხელს მიაბჯენდნენ, ყველაფერს გააკეთებდნენ – ოქროს ქანდაკებებს ჩამოასხამდნენ და ქალაქებს მათ სახელებს უწოდებდნენ...

XV ოლიმპიური თამაშების ფინალში 42 წლის არსენ მეკოკიშვილმა ორჯერ დააგდო ხალიჩაზე ქართული ცერულით მასზე 10 წლით უმცროსი, მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი შვედი ბერტილ ატკინსონი... არსენ მეკოკიშვილი საბჭოთა კავშირის 18 გზის, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. სწორედ მისმა ჭიდაობამ შემოიტანა ტერმინი „ბეჭდაუდებელი ფალავანი“ სპორტში. ლევან თედიაშვილი?! – ცოცხალი ლეგენდა... მათ კვალს გაჰყვნენ და არც თუ ურიგოდ მთელი თაობები. სულ ახლახანს, ბოლო წლებში საგარეჯოს, გარეკახეთის სახელი შორს გაიტანეს ევროპის, მსოფლიოსა და საქართველოს ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის, დიდებს



კობა მჯედლიშვილი – მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძიუ-დოში (2014 წელი).

შორის საქართველოს ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში დავით ხუციშვილმა, ევროპის ჩემპიონმა ჭიდაობა სამბოში – ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა, მსოფლიო ჩემპიონმა უშანგი კუზანაშვილმა, მანამდე მსოფლიო პრიზიორმა და ევროპის ჩემპიონმა ძიუდოში გიორგი რევაზიშვილმა, ნუკრი გაგნიაშვილმა, მსოფლიო ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის სამბოში, ძიუდოისტმა ევროპის ჩემპიონმა ჭაბუკებში – კობა მჭედლიშვილმა, შემდეგ ზაურ მამარდაშვილმა, ირაკლი კუპატაძემ, ზაზა როსტომაშვილმა, ზურა ერბოწონაშვილმა, ნიკა მოველიძემ, სოლომონ თედიაშვილმა.

თუმცა, ეს მცირე ექსკურსია იმ დიდებული სპორტული მატიანისა, რომლის ფურცლებზეც საპატიო ადგილი უკავია ქაიხოსროშვილების, ელერდაშვილების, ქვლივიძეების, ქარსაულიძეების სპორტულ მიღწევებს.

დღეს სწორედ მათ ნაკვალევს მიჰყვებიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ დარბაზებში მოვარჯიშე მოზარდები, ახალგაზრდები, ჭაბუკები, ყოველდღიურად ხვეწენ თავიანთ საბრძოლო ტექნიკას, უფრო დიდი, სერიოზული შეჯიბრებებისთვისაც ემზადებიან.

2013 წლის იანვრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანებას სათავეში გიორგი მაისურაძე ჩაუდგა.

გიორგი მაისურაძე საგარეჯოელია. ქართულ ტრადიციებზე და საგარეჯოელი მოჭიდავეების, სპორტული საზოგადოების თვალწინ ჩამოყალიბებული პიროვნება.

მასზე, როგორც ჭიდაობის პატივისმცემელსა და შემდგომში მხარდამჭერზე თავისებური გავლენა იქონია დედის ძმის – დათო (დიტო) გზირიშვილის იმ დიდმა სიყვარულმა ჭიდაობის მიმართ, რაც მას, როგორც მწვრთნელს ჰქონდა. დათო სამბოს მისდევდა, საქართველოს ჩემპიონი იყო სამბოშიც და ქართულ ჭიდაობაშიც და მოზარდი თაობის აღმზრდელის პოსტზე მოძღვნა თავისი ადგილი. გიორგი მისი მეცადინეობების ხშირი სტუმარი იყო. იმ პერიოდში, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში უდიდესი ყურ-

ადღების ცენტრში იყვნენ მოზარდი სპორტსმენები, მოჭიდავეები – ნებისმიერ საგარეჯოელს აინტერესებდა მათი პაექრობები და გიორგიც ნელ-ნელა ჩაითრია იმ ატმოსფერომ, სადაც წინა ხაზზე წამოწეული იყო ვაჟკაცობის, ადამიანობის, ქართველობის ყველაზე ლამაზი და საინტერესო მხარეები. მეშვიდე კლასიდან მან უკვე სერიოზული ვარჯიში დაიწყო მწვრთნელ როინ ყორღანაშვილთან. პირველი მარცხიც ახსოვს და პირველი სიხარულიც. მისთვის სპორტული დარბაზი მხოლოდ სავარჯიშო ლეიბები და ილეთების სწავლის ადგილი არ იყო. აქ საოცარი სული ტრიალებდა – ქართული, თბილი, ვაჟკაცური, ადამიანური. არ შეიძლებოდა დარბაზიდან ნავარჯიშევი კაცი დაბოღმილი გამოსულიყო, ავი რამ ჩაედო გულში, ხელი ან ალკოჰოლისკენ წაცდენოდა, ან იარაღისკენ... საქართველოს ჩემპიონობა სამბოში და შემდეგ ქართულ ჭიდაობაში პრიზიორობაც იზეიმა ისეთ ასაკში, როცა კაცი უფრო მეტის გაკეთებას ისახავს მიზნად. ახსოვს, ქალაქ გორში სტალინის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც სამმა საგარეჯოელმა – ზაქრო კვერაშვილმა, გიორგი მაისურაძემ და გია ბეჟიაშვილმა თავიანთი სპორტული ოსტატობით გააკვირვა მაყურებელი.

კაკაბელები

შემდეგ კი იყო წლები, როცა სპორტი, ჭიდაობა უკვე მეცენატთა, ქველმოქმედთა კეთილი ნებითღა ითქვამდა სულს, როცა სახელმწიფო ვეღარ აფინანსებდა სპორტსმენთა მომზადებისა და პაექრობებში მონაწილეობის ხარჯებს. სწორედ რომ დროული აღმოჩნდა მაშინ მცირე ბიზნესში ჩაბმული გიორგი მაისურაძის მიერ გაღებული თანხები და უშანგი კუზანაშვილის, გიორგი რევაზიშვილის, დათო სვიმონიშვილის მოსამზადებელი პერიოდები თუ სატურნირო ხარჯები ხშირად სწორედ მას, გიორგი მაისურაძეს გაუღია. ეს თვისებაც ბიძის, უდროოდ გარდაცვლილი დათო გზირიშვილისგან ჰქონდა კარგად შეთვისებული – დიტო ხომ მთელ თავის ხელფასსა თუ ოჯახის ბიუჯეტს სწორედ თავისი აღსაზრდელების წვრთნასა და შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის იღებდა. გიორგი ყოველ დღე არა, მაგრამ სისტემატურად შედიოდა დარბაზებში და თვალყურს ადევნებდა პერსპექტიული მოჭიდავეების ყოველდღიურ სპორტულ ზრდას.

ზაურ მამარდაშვილი – ევროპის ჩემპიონი და ბრინჯაოს მედლის მფლობელი ჭაბუკე-ახალგაზრდეებს შორის სამბოში.

– ისინი დღესაც ჩემი ოჯახის წევრები, ჩემი შვილები არიან, – მეუბნება საუბარში გიორგი, – წარმოუდგენელია, ხედავდე პერსპექტივას, წინგადადგმულ ნაბიჯებს მომავალი თაობებისა და იქ გულმა სხვანაირად გიკარნახოს – ხელი უნდა შეაშველო ამ დროს მოზარდს, რადგან მასში ქართული სულის ნაპერწკალი კიაფობს, შემდეგ საქართველოს დიდებად რომ უნდა აკაშკაშდეს და, ეს პატარა ქვეყანა თავისი წარმატებებით მსოფლიოს გააცნოს. განა ასე არ იყო ლევანი?! როცა მის წარმომავლობას ეკითხებოდნენ საზღვარგარეთ, მარტო საგარეჯოს არ ასახელებდა, იქ უთითებდა, რომ სოფელ თაქლადან იყო. ამის ხაზგასმას იმიტომ აკეთებდა, რომ სოფელი უყვარდა, თავისი მშობლიური კუთხე და შემდეგ კი, თავის თაქლელ თანასოფლელებსა თუ უბნელებს სიამაყის და ბრძოლის, საჭიდაო ხალიჩაზე გამოსვლის სურვილს აღუძრავდა. რამდენი გაჰყვა მის კვალს?!

ბოგდანოვკელები

– დღე არ არის, სპორტსმენების ყოველდღიურობას არ ვეცნობოდე, – აგრძელებს საუბარს გიორგი, – ახლა უფრო მეტი ფიქრი, მოქმედება, ახლებური აზროვნება, საქმისადმი გულიანი

ზში. აქ **ტრისტან სუხაშვილია** მწვრთნელად. პატარა ჩაილურის სპორტდარბაზი შესარემონტებელია. აქ **როლანდ აღვნიშვილი** და **თემურ როსტიაშვილი** არიან მწვრთნელები.

სოფელ თოხლიაურში გასული წლიდან ფუნქციონირებს ძიუ-დოს სექცია, რომელიც სპორტდარბაზშია აქ მწვრთნელი **ქართლოს თედიაშვილია.**

უდაბნოს ძიუდოისტთა მწვრთნელია **ირაკლი დადვანი.**

კაკაბეთში ახლადგარემონტებულ სპორტდარბაზში მწვრთნელ **გია მასურაშვილთან** გადიან წვრთნებს მომავალი ძიუ-დოისტები, რომელთაც აქაური ძიუდოისტი გოგონებიც შეუერთდნენ.

სერიოზულ მიდგომას საჭიროებს სოფელ მზისგულში ძიუ-დოს სექციისთვის (მწვრთნელი სოსო ჭიკაძე) ნორმალური პირობების შექმნა. აქ საკრებულოს მოძველებული ადმინისტრაციული შენობის გასარემონტებელ ოთახშია განთავსებული სექცია, რომელიც ადრე სასოფლო კლუბს წარმოადგენდა.

აქ პერსპექტიული ძიუდოისტები იზრდებიან, რომლებმაც არაერთხელ წარმოაჩინეს თავი ჩვენი მუნიციპალიტეტის თუ სხვა მუნიციპალიტეტების ძიუდოისტებთან შეხვედრისას.

ჩემს მიერ ჩამოთვლილ სპორტულ დარბაზებში წვრთნები-მეცადინეობები მიმდინარეობს ყველა იმ სახეობაში, რაც, როგორც იტყვიან „ჩოხაში მიდის“, – ქართული ჭიდაობა, სამბო.

წლებია თვალყურს ვადევნებ და მთის ზონისა და აზერბაიჯანელებით დასახლებული ქართული სოფლები რატომღაც არ იღებენ მონაწილეობას ჭიდაობაში. რატომ? იქ არ არის სპორტული ბაზები.



ირაკლი კუპატაძე – მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის სამბოში

მიდგომა, სიახლეების შემოტანაზე ზრუნვა მიხდება. არის პოტენცია, ბირთვი, არის შესაძლებლობები იმისა, რომ გამოვავლინოთ სკოლებში, სოფლებში ის მოზარდები და ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ რაღაც, თუნდაც პატარა მონაცემები, შემდეგში მათთან მიზანმიმართული საქმიანობით რომ აღვზარდოთ. ამას თამამად ვაცხადებ, რადგან გარეკახეთი იძლევა ამის შესაძლებლობებს. დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტში 10 სპორტული დარბაზია, ჩვენ 500 მოსწავლე გვყავს.

დარბაზში, სადაც უფროსი მწვრთნელი მრავალგზის ტურნირების გამარჯვებული ძიუდოისტი **მამუკა მათიაშვილია,** მასთან ერთად სამბოში მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში **ნუკრი გაგნიაშვილიც** ავარჯიშებს. მინდა აღვნიშნო, რომ ორივე მწვრთნელმა მოიარა ესპანეთის, ჰოლანდიის, ბელგიის სპორტდარბაზები, სპორტული გუნდები როგორც მოქმედმა მოჭიდავეებმა და მწვრთნელებმა, მაგრამ თავის ქვეყნის და საქმის სიყვარულმა ისევ საგარეჯოში დააბრუნა. ამავე დარბაზში მომავალ მოჭიდავეებს ძიუდოში ავარჯიშებენ **ლევან ბასილაშვილი** და **დევი რევაზიშვილი,** სამბოში – **კახა ყორღანაშვილი**.

შშანგი კუზანაშვილი

არასაუწყებო დაცვის შენობაში არსებულ სპორტულ დარბაზში, სადაც უფროსი მწვრთნელი **რამაზ ასაბაშვილია,** მწვრთნელი **დათო ბაბუნიძეც** საკმაოდ ნაყოფიერად ავარჯიშებს სპორტსმენებს. **ამავე დარბაზში ავარჯიშებენ მწვრთნელები: ბიჭიკო მარიდაშვილი, დათო ბუზარიაშვილი, ზაზა ლაფერიშვილი, კობა საგინაშვილი.** დარბაზი კეთილმოწყობილია, მაგრამ არ თბება. რაც შეეხება სოფლებს – ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს სოფელ ნინოწმინდაში სპორტული დარბაზი, რომელიც ძველი, 8-წლიანი სკოლის ყოფილ შენობაში იყო. არ გვაქვს გათბობა გიორგიწმინდის სპორტულ დარბაზში, სადაც მწვრთნელები **ბადრი ბასილაშვილი** და **გოდერძი მეკოკიშვილია**. ასევე გათბობა არ არის პატარძეულის სპორტულ დარბა-

მხოლოდ მუღანლოს საჯარო სკოლის შენობაში ფუნქციონირებს ძიუ-დოს სექცია **(მწვრთნელი მიშა ძურხული)**, სადაც სამომავლოდ წარმატებული ძიო-დოისტები გვეზრდებიან. (თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელი **დათო ნანუაშვილი**). უახლოეს ხანში სპორტგაერთიანების თანამშრომლები შევხვდებით ყველა სოფლის რწმუნებულს, სადაც არ არის წრეები, სექციები, იქაც უნდა გავაკეთოთ, ჩამოვაყალიბოთ, შევქმნათ. ვინ იცის, იქნებ ნაღდი სპორტსმენები იქ უფრო არიან. ამ საკითხის ირგვლივ ძალიან არის დაინტერესებული რაიონის ხელმძღვანელი და საქართველოს პარლამენტის წევრი. თავად ქალბატონმა თინათინ ხიდაშელმა გვითხრა – ამ საკითხს ყურადღებით მოვეპყროთ და ყველა მექანიზმი ავამუშაოთ ადგილებზე პრობლემის მოსაგვარებლად. მე ახლა მახსენდება აზერბაიჯანელებიდან ფრენბურთის როგორი ძლიერი გუნდი გამოდიოდა რაიონულ შეჯიბრებებზე 70-იანი წლების ბოლოს – მხოლოდ მათთან პაექრობის გვეშინოდა საგარეჯოს II საშუალო სკოლის ფრენბურთელთა დაუმარცხებელ გუნდს.

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ მუნიციპალიტეტში ჭადრაკის შემდგომ განვითარებას. ჩვენ თვითონაც ხომ ყოველდღე ვხედავთ ჩვენი მოჭადრაკეების გამარჯვებებს. ნანი უნაფქოშვილს სპორტგაერთიანებამ ხელფასი დაუნიშნა. ის ჩვენს პატარა მოჭადრაკეებს ამეცადინებს და თვითონაც ხომ ვარჯიშობს. ვფიქრობთ, ეს მისთვისაც წამახალისებელია და პატარა მოჭადრაკეებისათვის – ცოცხალი მეტოქე, მოწინააღმდეგე. ნანი საქართველოს ჩემპიონია 20 წლამდელ მოჭადრაკეებში.

ფეხბურთიც ერთი პერიოდი უყურადღებოდ იყო ჩვენი მოზარდებისგან. წარმოუდგენელია ბიჭი, რომელიც ბურთს არ თამაშობდეს. ჩვენ სკოლებში შევალთ და ყველა დაინტერესებულ ბიჭს შევთავაზებთ ჩვენთან მოსვლას, საიდანაც შევარჩევთ საუკეთესო მოთამაშეებს.

არანაკლებ საინტერესოა გარეჯელ ძიუდოისტ გოგონათა წარმატებები, რომლებსაც მწვრთნელი ლუდა ფერაძე ავარჯიშებს. მათ უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც.

დიდი ინტერესი გამოიწვია სოფელ ბადიაურში კარატეს სექციის გახსნამ, სადაც მწვრთნელი **ვანო გიგილოშვილია.**



ლევან მატიაშვილი – ულან-ბატორის გრან-პრის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ძიუ-დოში

კაკაბელი ძიუდოისტი გოგონები



თამაზ კირაკოზაშვილი – ახალგაზრდული თამაშების ოლიმპიური პრიზიორი ძიუდოში.

საგარეჯოში ფუნქციონირებს კრივის სექცია (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე), რომლის აღსაზრდელებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის მასშტაბით.

რაგბის ბრწყინვალე და საამაყო გუნდი გვყავს პატარძეულში „ვეფხვები“ (მწვრთნელი **ზვიად სუხიშვილი**). მათ უკვე ორი თამაში ჰქონდათ პირველ ლიგაში და საოცარი შედეგებით.

გვყავს შესანიშნავი საფეხბურთო გუნდი „გარეჯი“, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის II ლიგის მონაწილეა. ასევე ფუნქციონირებს ფეხბურთელთა გუნდი მწვრთნელ მალხაზ ნიჟარაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც თავი არაერთხელ ისახელა რეგიონში.

გვყავს „შავფაროსნები“ (მწვრთნელი: ლ. ოქროპირიძე).

მოგეხსენებათ, რომ სპორტსმენები ყველაზე მეტ სოლიდარობას და ხელის წახმარებას უკეთებენ პერსპექტიულ სპორტსმენებს. ყოფილა შემთხვევა, ტურნირი ერთ პიროვნებას დაუფინანსებია. ახლაც, როცა ჩვენი სპორტსმენების მიღწევებს ეცნობიან ვეტერანი სპორტსმენები, სრულ მხარდაჭერას გვიცხადებენ.

თამაზ გეგეშიძემ გასულ წელს მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის სპორტსმენებს საჭიდაო დარბაზისათვის ლეიბები შეუძინა. ვეტერანმა სპორტსმენმა გია მარხვაშვილმა ტელევიზორი გვაჩუქა. მათ სრული თანადგომა გამოგვიცხადეს და ჩვენს სპორტსმენებს ფინანსურად გვერდში დგომას შეჰპირდნენ. მათთან ერთად თითქმის ყველა ვეტერანი საგარეჯოელი გვიცხადებს თანადგომას. მათ შორისაა მამუკა კურდღელაშვილიც – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, ამჟამად კახეთის მხარის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი. ჩვენს გვერდითაა ასევე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ძიუდოში გიორგი რევაზიშვილი, რომელიც საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებს ჭაბუკებში. ასევე, დათო სვიმონიშვილიც და სხვები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის მომზადებას ტურნირებსა თუ ოლიმპიადებში გასვლის წინ. ჩვენ შედეგები უკვე გვქონდა. გასული წლის გაზაფხულზე სპორტულ დარბაზში შევქმენით საამისოდ ყველა პირობა – გვაქვს სავარჯიშო დარბაზი, კვების ბლოკი, დასასვენებელი ოთახი, საშხაპე, საუნა, საძინებელი ოთახები. სპორტსმენები აქ მკაცრად იცავენ დღის რეჟიმს, ფსიქოლოგიურად ემზადებიან მომავალი ორთაბრძოლებისათვის.

უშანგი კუზანაშვილი, ლევან თედიაშვილი და სულიკო ზალიკაშვილი მიხა ქურხულის სახელობის ტურნირზე

ლუდმილა ფერაძის აღსაზრდელი საგარეჯოელი ძიუდოისტი გოგონები გია მაისურაძესთან.

ილო ბაბუნიძე

სოლომონ (ბუბა) ლალიაშვილი (ბერიძე) დის ოჯახთან ერთად



ტრისტან ქურხული



აზნაურა შვილი

ჟურნალის მომზადებაში თანადგომისა და დახმარებისათვის მადლობას ვუხდით *აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ “ დირექტორს* ბია მაისურაძეს, *მთავარ სპეციალისტებს:* ბიჭიკო მარიდაშვილს, ტარიელ როსტომაშვილს, *მხარდაჭერისათვის შპს „მექანიზატორის“ დირექტორს* ბია მარხვაშვილს, *მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს* ბიორბი ლოლაძეს, *საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს* ილია ჯიაურელს

ჟურნალის გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო
დ. აღმაშენებლის ქ. № 15

რედაქტორი:
თინათინ ილაური

დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 85 11 43

ჟურნალი ააწყო და
დააკაბადონა
ზურაბ აბულაშვილმა